

როინ მეტრეველი

სამკათვლმს

საისუმორო

საეთნობრაფიო

საუმობალოეგა

ისტორიული ნარკვევი
შასალეზი



9 (c41)
63.3 (2r)
9+902.7)(47,822)(052)
8 596

წიგნში შესწავლილია მეოცე საუკუნის გამოჩენილი ქართული მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობას ძირითადი ასპექტები; წარმოჩინებულია ის დიდი მნიშვნელობა, რაც საზოგადოებს (სააკადემიო მიმართულების ერთდერთ დაწესებულებას იმ დროისათვის) აქონდა საქართველოს წარსულის, მისი ხელოვნებისა და კულტურის კვლევას საქმეში; ის დიდი საექსპედიციო საქმიანობა, რომელიც საზოგადოებამ მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლასა და დაცვის მიზნით ჩაატარა; მოცემულია საზოგადოებას მუშეუმიხსა და წიგნთხაცავის შექმნის ისტორია, ის რეზონანსი, რაც საზოგადოებას აქონდა საქართველოს ყველა კუთხეში. ნაჩვენებია ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა (ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნ. მარი, ი. გოკებაშვილი, დ. კაკაბაძე, დ. გორდეჯია, დ. ბუღიაშვილი, მ. თოიძე და სხვ.) მონაწილეობა საზოგადოების საქმიანობაში; წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართველი და რუსი, აგრეთვე სხვა ეროვნების ხელოვნების წარმომადგენელთა ერთობლივ შემოქმედებას.

წიგნს დართული აქვს მასალები საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ისტორიიდან, აგრეთვე ცნობები საზოგადოების წევრთა შესახებ.

M-605

80105

© გამომცემლობა ხელოვნება, 1982

წიგნათქმა

რეეოლუციაზდელი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ორმა მნიშვნელოვანმა დაწესებულებამ — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ (დაარსდა 1879 წელს) და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ (დაარსდა 1907 წელს). თუ პირველი მათგანი, გამორჩენილი ქართველი მოღვაწეების მოთავეობით, ათეული წლების მანძილზე შეფის რუსეთის თეიომპრობელური პოლიტიკის პირობებში, ძალისა და ენერჯიის დაუზოვად იბრძოდა საქართველოში წერა-კითხვის გავრცელების, ქართული სკოლების დაარსებისა და ერის წიგნიერებისათვის, მეორემ არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმე — საქართველოს ისტორიის, მისი ხალხის ყოფაცხოვრების, სელოვნებას ძეგლების შესწავლა დაისახა მიზნად.

ორივე საზოგადოების მიზნები ეპოქის მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეცისრამეტე საუკუნის ბოლო ოცწლეულში და მეოცე საუკუნეში მთელა თავისი არსებობის მანძილზე (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1922 წ. სახელი შეიცვალა და ფაქტიურად ძველი სახით აღარ არსებობდა. ოფიციალური ლიკვიდაცია 1927 წ. მოსდა) ქართველი ხალხისათვის იმ დროს ყველაზე საჭირო საქმეს — განათლებას საქმეს ემსახურებოდა. ამ საზოგადოებას სახელთანაა დაკავშირებული გატარება ბევრი კულტურული ღონისძიებისა. რომელმაც არსებითი როლი შეასრულა საქართველოს ცხოვრებაში. ამ საზოგადოებას საქმიანობა ობიექტურად ვახდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების საფუძვლას შემქმნელი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში მეცნიერული ძალემა იმდენად მომძლავრდა, რომ უკვე აუცილებელი ვახდა კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის საზოგადოების გვერდით, სამეცნიერო ტიპის დაწესებულების შექმნა. საერთოდ, უმაღლესი სასწავლებლის დაარსება საქართველოში მოწინავე ქართველ მამულაპეილთა ძველა ოცნება იყო, მაგრამ რუსეთის იმპერიის შარწუსებში იგი განუხორციელებელი რჩებოდა. ისეთი ძველი ისტორიისა და კულტურის ქვეყანას, როგორიც საქართველო იყო სათანადო შესწავლა სჭირდებოდა. ბევრი ხუროთმოძღვრებისა თუ სხვა ხასის კულტურას ძველი გადამრჩენელს, სოლო ხალხური შემოქმედება შემკრებ-შემსწავლელს ელოდა, სიძველეთა უნიკალურ ნიმუშებს გამოშუუერება და მსოფლიო თვალსაწიერზე გატანა სჭირდებოდა. ყველა ამ მიზნების განხორციელებას ისახედა ამოცანად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელიც 1907 წელს

კამონენალი ქართველი მეცნიერისა და მამულაშვილის ექვთიმე თაყაიშვილის საოსტონიკო დაარსდა. სასოგადოებაში იმთავითვე შემოიქრინა თითქმის მთელი ქართველი მოწინავე ინტელაგენცია და ერას ისტორიის შესწავლის სამსახურში ჩააყენა აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ზაქარია ფალიაშვილი. იაკობ გოგებაშვილი და კიდევ მრავალი მოღვაწე ამიერადან საისტორიო და საეთნოგრაფიო სასოგადოებას ფრთხილად იწყობს მოღვაწეობას. სასოგადოებამ უღალესი ღვაწლი დასდო საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, საღესურაო სიტყვეთერებას შესწავლასა და წარსულის შევსებას ლეგენდა-პატაროების საქმეს. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სასოგადოებას მოღვაწეობის შესწავლა და ფართო სასოგადოებასათვის მისი ისტორიის გაცნობა საღვთისო ამოცანად იქცა. დიდ პატივად ვთვლით, რომ საქართველოს საისტორიო სასოგადოებამ ეს საქმე ჩვენ მოგვანდო.

წინი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სასოგადოების ისტორიის შესწავლას პირველი ცდაა. მასში საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებაში (საქართველოს ისტორიული არქივი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სს. სელნაწერთა ინსტიტუტი, საქართველოს სელოენების სასელმწიფო მუზეუმი, ქუთაისის ისტორიული არქივი, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის არქივი) არსებული ხარკივო მასალების შესწავლა-კამოყენების საფუძველზე, სასოგადოების სხვადასხვა მოღვაწეთა (ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. ცაგარელი და სხვ.) შესახებ ლიტერატურისა და თვით სასოგადოებას გამოცემათა გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად ასახულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სასოგადოების მოღვაწეობის თითქმის ყველა მხარე: შექმნა, სტრუქტურა, მიზანი, მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები, მატერიალური მდგომარეობა, ორგანიზაციული საქმიანობა, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და სხვა სახის კვლევა-ძიებანი, მუზეუმისა და წიგნოსაცავის შექმნა, საღვთისეიტო და არქეოლოგიური განყოფილებების საქმიანობა და სხვ. არ შევეძლია განსაკუთრებული მადლობით არ აღვნიშნოთ საკითხის კვლევისას ის დიდი დახმარება, რომელიც აღნიშნული სასოგადოების შესახებ თავიანთი მოგონებების მოწოდებით გავცივიწიეს საისტორიო და საეთნოგრაფიო სასოგადოების ყოფილმა წევრებმა: აკაკი შანიძემ, გიორგი ჩიტაბამ, არნოლდ ჩიქობავამ და ალექსანდრე ბარამიძემ.

სხვადასხვა საბუთის მიკვლევა-მოპოვებაში გაწეული დახმარებისა და საარქივო მასალებზე მუშაობისას ხელის შეწყობისათვის დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსს ა. მანელაშვილს, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის სელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ისტ. მეცნ. კანდიდატს ლ. ჯანაშიას, საქართველოს სელოენების სასელმწიფო მუზეუმის დირექტორს სელოენებათმცოდნეობის კანდიდატს თ. სანიკიძეს და ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგეს სელოენებათმცოდნეობის კანდიდატს გ. აბრამიშვილს, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის განყოფილების გამგეს გ. ვანიძეს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ნ. კაკაურიძეს.

ავტორი შორს არის იმ აზრისგან, რომ წიგნში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სასოგადოების მოღვაწეობის ყველა მხარე ამომწურავად არის გაშუქებული და ყველა შენიშვნას თუ სურვილს, ყოველ ახალ ცნობას სასოგადოების საქმიანობის შესახებ დიდი მადლობით მიიღებს.

საზოგადოების შექმნის წინამძღვრები

მეოცე საუკუნე საქართველოს ისტორიაში ახალი ძვრებით შემოვიდა და სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ სფეროში ახალი სირთულეები შემოიტანა. უდიდესი სამრეწველო კრიზისი დასავლეთ ევროპაში დაწყებული ეკონომიკური სირთულეების გარკვეული გაგრძელება იყო რუსეთის იმპერიაში და მისი მძაფრი მარწმუნების ქვეშ მოექცა იმდროინდელი საქართველოც. კრიზისს საქართველოში დიდი მოუსავლიანობა დაერთო 1901 წელს და მოსახლეობა უშძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა. განსაკუთრებულ გაჭირვებას გლეხობა განიცდიდა. საადგილმამულო და სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები, მემამულეთა თავგასულობა, სოფლის მოხელეთა განუკითხავი თარეში, ეგზეკუციაები ხულს ხდიდა ისედაც შიმშილით უბედურებაში ჩაყარდნელ ხალხს.

მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ მებრძოლ მუშათა კლასს გაზარდა-გაძლიერებისაკენ უბიძგა: სამრეწველო კრიზისის ნაადვრზე მუშათა კლასის მოძრაობამ ფართო სასიათა მიიღო და ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკურ შინაარსსაც ატარებდა. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ მოსახლეობას ფართო მასების მოძრაობაში მუშათა კლასი ერთადერთი მოწინავე ძალა იყო. საქართველოს მუშათა კლასი ყოველთვის მხარში ედგა რუსეთის პროლეტარიატს. 1905—1907 წლების რევოლუციის მდელვარე დღეებში, როცა რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აღსდგა, როცა პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ქარიშხალი მთელს იმპერიას მოედო, საქართველოს პროგრესული მოსახლეობა შედგრად ამოუდგა გვერდში თანამოძმეებს და მკაცრი

ბრძოლა გამოუცხადა ხალხის თავისუფლების დამორგუნველ წყობას.
ვ. ლენინი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ კავკასიამ და ბალტიის-
პარკითა წინ გაუსწრეს დედაქალაქსა და ცენტრალურ რაიონებს!
ძუძითა კლახს ვლესობაც არ ჩამოუვარდებოდა. ფართო სხსიათის აგ-
რარული გამოსვლები დაიწყო თითქმის მთელ საქართველოში. სოცია-
ლური და ეროვნული მოძრაობა ერთმანეთს ღრმად გადაეჯაჭვა და
უდადეგი ძალა მიიღო. აჯანყებულები ეკონომიკურ საკითხებთან ერ-
თად (სანადგლო, საუფლისწულო, სამონასტრო მიწების კონფისკაცია,
არაპირდაპირი გადასახადების გაუქმება და სსე.) მოითხოვდნენ ბეჭდ-
ვითი სიტყვის, კრების, სიტყვის თავისუფლებას, პიროვნების სელ-
ძეუსებლობას, სასამართლოს არჩევითობას, საყოველთაო უფასო
სწავლებას. ხალხი გმობდა ცარიზმის პოლიტიკას და მოითხოვდა
ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას.

სახალხო რევოლუციურ მოძრაობას წარმართავდა ბოლშევიკური
პარტია, რომელსაც დიდი ლენინი ედგა სათავეში. მისი მითითებებით
სელმძღვანელობდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლე-
ბელი ბრძოლის მესვეურებიც.

1905—1907 წლების პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევო-
ლუციას უდადეგი თანაგრძნობით შესვდა საქართველოს მოწინავე
ინტელაგენცია. ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგება-
შვილმა, ვაჟა-ფშაველამ და მრავალმა სხვა პროგრესულად მოაზროვნე
ინტელიგენტმა ხალხთა მახების ფართო მოძრაობაში თავიანთი
ეროვნული იდეალების განსორციელებისათვის ბრძოლის აუცილებ-
ლობა იგრძნეს. გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ამგვარი დაპოკიდე-
ბულება ძალას მატებდა და სიმტკიცისაკენ აქეზებდა ეროვნული თა-
ვისუფლებისათვის მებრძოლ ძალებს. აკაკი წერეთელმა არაერთი
ლექსი უძღვნა 1905—1907 წწ. რევოლუციას („თქვენი ჭირიმი“,
„ნატურა“, „ძირს“, „გურული ნანინა“ და სსე.). მან ჯერ კიდევ 1905
წლის მარტში დაბეჭდა ოპტიმიზმით აღსავსე ლექსი „თქვენი ჭი-
რიმი“.

ამ დღეს ველოდი, მიუეხწარ!
ვიცანი, აღარ ვტირი მე,
ახალგაზრდობო, აწ კი თქვენ
გამოდი თქვენი ჭირიმი!

ძველ თაობას პოეტი „მსვენელ-მთესველებს“ უწოდებს, ასლებს კი
„მომკლებს“:

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. VIII, მეოთხე გამოცემა, გვ. 434.

ბელმა ვეარგუნა ჩვენ ხენა და თხეო,
რაც კი მოითხოვს ხანდახან ვასერას!
თქვენ მომკლები სართი ხელს თუ გაიჭრის,
ნუ ერიდებით ცოტა სისხლის ღერას!

(„ნ ა ტ ვ რ ა“)

ილია ჭავჭავაძეც აჯანყებულთა მხარეზე იყო. მას ახლის და პროგრესულის დამკვიდრების იმედი ახარებდა. ილიამ დაგმო ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის განზრახვა რევოლუციური მოძრაობის ჩასახსობად რაზმის ჩამოყალიბების შესახებ და მკაცრად გაილაშქრა მის წინააღმდეგ².

ილიასა და აკაკის გვერდით მთელი ქართული პროგრესული საზოგადოება იდგა, ადამიანები, რომლებიც რეალურად ფიქრობდნენ საქართველოს ნათელ მომავალზე, მის სიკეთეზე, ხალხის ღოვლათსა და მაღალ კულტურაზე.

ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომელიც 1879 წელს შეიქმნა და დიდი სამსახური გაუწია ქართული ენის, ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარებას, ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების ამადლებას. უნდა შეენიშნოთ, რომ 1905—1907 წლების რევოლუციის ხანაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში გარკვეული შენელება შეიმჩნევა (შემცირდა საზოგადოების წევრთა რიცხვი, უსახსრობის გამო დაიკეტა ზოგიერთი სკოლა, იშვიათი გახდა წიგნების გამოცემა და სსე.)³ რევოლუციის წლებში საზოგადოება პოლიტიკური საკითხებით იყო ძირითადად დაკავებული და, როგორც ჩანს, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ჩვენამდე შემორჩენილ არაერთ დოკუმენტშია მითითებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრიზისული მდგომარეობა 1907 წლისათვის⁴.

სწორედ ამ დროს, 1907 წელს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის

² ზ. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IX, გვ. 191.

³ ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1901—1920), საისტორიო შოაშვე, 41—42, თბ., 1930, გვ. 228.

⁴ ნ. ცხვედაძის მოხსენება 1907 წ. I დეკემბერს წლიური კრებასადმი საზოგადოების მდგომარეობის შესახებ. საქ. ისტ. არქივი, საქ. 1008, ფურ. 7—8. ლ. გოდერიძე, იქვე, გვ. 270—272.

ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით თბილისში დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელმაც თავისი მრავალმხრივი სამეცნიერო-კულტურული საქმიანობით ღრმა კვალი დააჩინა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებას. ამგვარი საზოგადოების დაარსება რუსეთის მეფის თვითმპყრობელური პოლიტიკის პარობებში რთული საქმე იყო. ცარიზმის მსახურები ეჭვის თვალით უყურებდნენ ყოველ ახალ კულტურულ წამოწყებას. ბუნებრივია, ახალი საზოგადოების დაარსებასაც თავისი დაბრკოლებები ჰქონდა.

პირველი ნაბიჯები

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებამდე 1900 წლიდან ექვთიმე თაყაიშვილს თბილისში ჩამოყალიბებული ჰქონდა პატარა კერძო წრე, რომელიც საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრის სახელით იყო ცნობილი. ამ წრას დაარსებას კმაყოფილებით გამოეხმაურა საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება. დადებითი აზრის გამოთქმა წრის შექმნასთან დაკავშირებით აუცილებლად ჩათვალა გაზეთმა „ივერიამ“ (1900 წ., № 25) და ჟურნალმა „მოგზაურმა“ (1901 წ., № 3). წრის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს წარსულის შესწავლით დაინტერესებული სხვადასხვა კატეგორიის წარმომადგენლები. ამ წრემ თავისი ხარჯით 1903 წელს გამოსცა წიგნი „თიმსარიანი“ (თვითურაზ მეფის თარგმანი, ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობათა და რედაქციით). წრის წევრები აღნიშნული წრის ბაზაზე (აღიღობდნენ საზოგადოების ფართო ფენების მოზიდვას და საქმიანობის მასშტაბებს გაზრდას, მაგრამ ეს გარკვეულ დრომდე ვერ მოხერხდა... ექვთიმე თაყაიშვილს მხარში ედგნენ და მის საქმიანობას ახალისებდნენ დავით კარიჭაშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, სერგი გორგაძე, კოტე მაცაშვილი და სხვა ქართველი მოწინავე მოღვაწეები. რევოლუციის ქარიშხლით შემცბარ-შეშინებული ცარიზმი გარკვეულ დათმობებზე წავიდა. სასელმწიფო სათათბირო გადაწყვეტილებით ნებადართულ იქნა ეროვნულ სამეცნიერო საზოგადოებათა დაარსება. ექვთიმე თაყაიშვილმა ისარგებლა ამ შემთხვევით, შემოიკრიბა თავისი თანამოაზრეები და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გვერდით ახალი საზოგადოების შექმნის გეგმა დაისახა

მიხნად. გადაწყდა შეექმნათ ასალი საზოგადოების წესდება. ეს საქმე ექვთიმე თაყაიშვილმა იტვირთა და მალე წრეს წარუდგინა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წესდების პროექტი, რომელიც, განხილვა-მოწონების შემდეგ, 1906 წ. მეფის ნაცვალს კავკასიაში გრაფ ვრონცოვ-დაშკოვს⁵ მიართევს საზოგადოების დაარსების ნებართვის თხოვნასთან ერთად⁶. თხოვნა გონივრულად იყო შედგენილი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების აუცილებლობა მოტივირებული იყო ქართული საისტორიო ძეგლების შესწავლისა და დაცვის გადაუდებელი საჭიროებით; საზოგადოებას უნდა მოეხიდა საქართველოს ისტორიის შემსწავლელი მეცნიერული ძალები, კოორდინირებულად და გეგმასაზომიერად ეწარმოებინა მეცნიერული კვლევა. განცხადებას ხელს აწერდნენ თბილისის გუბერნიის თავად-ასნაურთა წინამძღოლი თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი, თბილისის ქალთა მეორე გიმნაზიის მასწავლებელი ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი, ექიმი ვრიგოლ დიმიტრის ძე გაბაშვილი, თავადი ვლადიმერ სვიმონის ძე შიქელაძე და როტმისტრი ბორის სპირიდონის ძე ესაძე.

როგორც ჩანს, ამგვარი ხელახლამწერნი შემთხვევით არ იყვნენ შერჩეული. მათ თანამდებობრივ-წოდებრივ მდგომარეობას გაელენა უნდა მოესდინა ხელისუფლების წარმომადგენლებზე. მიუხედავად ამასა, ვრონცოვ-დაშკოვმა მხოლოდ 1907 წლის ივნისში მოაწერა ხელი საზოგადოების გასსნის ნებართვას. დამფუძნებელ წევრთა პირველი შესვედრა ივნისშივე შედგა და გადაწყდა სექტემბერში მოწვეულიყო საზოგადოების პირველი კრება, რადგან უკვე საფხული იდგა ინტელიგენციის ნაწილი ქალაქში არ იყო. თვითონ ექვთიმე თაყაიშვილი სამხრეთ საქართველოში ექსპედიციისათვის ემზადებოდა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პირველი ე. წ. ჩვეულებრივი საზოგადო (საერთო) კრება 1907 წლის 20 სექტემბერს შედგა. კრება ხლამოს 8 საათზე დაიწყო თბილისის გუ-

⁵ 1905 წ. 26 თებერვლის უმაღლესი ბრძანებით ვაჟქმდა კავკასიის მოთავრმარ-თებლობა და აღდგენილ იქნა მეუისნაცვლობა. ამ თანამდებობაზე კავკასიაში დანიშნა ნენერალ-ადაუტანტი ვრაფა ვრონცოვ-დაშკოვა.

⁶ რ. მეტრეველი, შ. ბაღრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1962, გვ. 25; ვ. ლომათაძე, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და ღვაწლი, კრება, აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1966, გვ. 37-39; ა. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977, გვ. 109-110.

ბერნიის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში (დ. სარაჯიშვილის ხასლი ბელინსკის ქ. № 2-ში). ეს ფაქტიურად დამფუძნებელი კრება იყო. დაესწრო შემოსხენებული სუთი დამფუძნებელი წევრი, რომელთაც ხელი მოაწერეს მთავრობის თხოვნას და შესაბამისად დამტკიცებულ წესდებას. მათ კრების თავმჯდომარედ ექვთიმე თაყაიშვილი აირჩიეს. მისი წინადადებით დამფუძნებელმა წევრებმა საზოგადოების ნამდვილ და დამფუძნებელ წევრებად აირჩიეს შემდეგი პირები: თავადი პაველ იოსების ძე თუმანიშვილი, ივანე დამიტრის ძე აფსაზი, მისეილ ვასტანგის ძე შაჩაბელი, ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, გრიგოლ თევდორეს ძე ყიფშიძე, დავით კიორგავს ძე კარიჭაშვილი, ილია ივანეს ძე ფერაძე, გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძე, კონსტანტინე შაქარიას ძე მაყაშვილი, დეკანოზი ანტონ თოთიბაძე, მღვდელი კალისტრატე ცინცაძე, დეკანოზი კორნელი კეკელიძე, ზერგი რომანოზის ძე გორგაძე, სეით ლუარსაბის ძე იაშვილი, ალექსანდრე ბესარიონის ძე მდივანი, ვიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი, გერასიმე სოფრომის ძე იმნაიშვილი, ვიორგი იოსების ძე ამირეჯიბი, ალექსანდრე ივანეს ძე ყანჩელი.

დამფუძნებელმა წევრებმა საზოგადოების ნამდვილ და დამფუძნებელ წევრებად ჩარიცხეს ის პირები, რომელთაც ღვაწლი მიუძღოდათ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნაში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ დაესწრნენ პირველ საზოგადო კრებას: ა. ცაგარელი, ვ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, მ. ჯანაშვილი, პ. კარბელაშვილი, ვ. კარბელაშვილი, დ. სარაჯიშვილი, იუსტ. აბულაძე, ალ. ყიფშიძე, ა. ხელაია, ი. ზურაბიშვილი, ი. გოგებაშვილი⁷.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზოგიერთი ხელმძღვანელი კეთილად ვერ შეხვედრია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებას, მაგრამ ე. თაყაიშვილის დიდ მცდელობასა და მისი წამოწყებული საქმის პერსპექტიულობას თავისი გაუტანია და ბოლოს ისინიც შეუერთდნენ და ახლადდაარსებული საზოგადოების აქტიური წევრები გახდნენ.

როგორც ვხედავთ, ექვთიმე თაყაიშვილმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში შემოიკრიბა ქართველი პროგრესული ინტელიგენცია, რომელთა შორის არიან ისტორიის მკვლევარებიც და ცალკეული შეძლებული არისტოკრატები, სასულიერო თუ სამხედრო

7 ჩვეულებრივი საზოგადო კრების ოქმი № 1, კრებ., ძველი საქართველო, 1, 1909, VI განყოფილება, გვ. 1-2.

პირები, ერთი სიტყვით, ვისაც თავისი საქმიანობით, ნივთიერი შემწეობითა და საერთო მხარდაჭერით შეეძლო თანადგომა გაეწია მისთვის.

საზოგადოების პირველმა კრებამ წევრთა არჩევის შემდგომ, თავმჯდომარის წინადადებით, ფეხზე ადგომით პატივი სცა ახალგაზრდაცვლილ ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

ექვთიმე თაყაიშვილმა კრებას მოახსენა, რომ „...თფილისში კერძოდ არსებობდა ქართული ისტორიისა და მწერლობის მოყვარულთა პატარა წრე, რომელიც შოულობდა ნივთიერ საშუალებას და, სხვათა შორის, თავისი ხარჯით დაბეჭდა წიგნი „თიმსარიანი“; მთელს ამ გამოცემასა და აგრეთვე ფულად 68 მანეთსა და 40 კაპეიკს აღნიშნული წრე ჩვენს ახლად დაარსებულ საზოგადოებას სწირავს; ამ ფულს გარდა, იმავე წრემ კიდევ დახარჯა ჩვენი „საზოგადოების“ წესდების გადაწერასა და დაბეჭდვაზე 22 მანეთი“. კრებამ სიამოვნებით მოისმინა ეს განცხადება და შემოწირულება მადლობით მიიღო.

დასასრულ, ე. თაყაიშვილმა კრებას წინადადება მისცა წესდების თანახმად აერჩიათ საზოგადოების საბჭო 9 წევრის შემადგენლობით, წევრობის კანდიდატი 3 კაცის რაოდენობით და სარევიზიო კომისია.

კრებამ წესდების შესაბამისად ფარული კენჭისყრით აირჩია საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ასეთი შემადგენლობა:

ს ა ბ ჭ ო: თავმჯდომარე — ე. თაყაიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგი — დ. კარიჭაშვილი; სახინაძარა — ალ. სარაჯიშვილი;

მუხეუმისა და ბაბლიოთეკის მცველი — ი. ფერაქე;

მღაენი — ხ. გორგაძე;

წევრები: ა. ყაფშაძე, ბ. კარბელაშვილი, მ. ჯანაშვილი, აუსტ. აბულაძე;

წევრობის კანდიდატები: კ. ცინცაძე, ა. მღაენა, კ. კახელაძე;

სარევიზიო კომისია: ივ. აფსაზა, გრ. ყაფშაძე, კ. მაყაშვილი.

საზოგადოების სტრუქტურა, მიზანი. ამოცანები

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წესდებაში პრაქტიკულად ჩამოყალიბებული იყო ამ საზოგადოების მიზანი და ამოცანები, ასევე მოცემული იყო წევრთა უფლება-მოვალეობანი (წესდება დაბეჭდვის შემდეგ 1907 წელს გამოქვეყნდა ქართულ და რუსულ ენებზე).

* ჩვეულებრივი საზოგადო კრებას ოქმი № 1, კრებ., ძველი საქართველო, I, 1909, VI განყოფილება, გვ. 3-4.

პარველ პუნქტშივე საზგასმით იყო აღნიშნული, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება არსებობდა თბილისში. იგი მიზნად ისახავდა შეესწავლა, შეეგროვებინა და შეენახა ისტორიული, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული ნაშთები როგორც ძველი საქართველოსი, ასევე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნებისა; საზოგადოებას უნდა გაეხსნა მუზეუმი, რომელიც თავს მოუყრიდა და დაიცავდა ნაეთიერ მასალასა და სელნაწერებს, კავკასიათმცოდნეობაში არსებულ დაბეჭდილ წიგნებს.

განზრახული იყო ჟურნალების, კრებულების, წიგნების, ატლასების, ლექსიკონების, რუკების, ნასატების, ნოტების გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე; სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა და სხვ.

საზოგადოებას უნდა ეწარმოებინა არქეოლოგიური გათხრები, დასმარებოდა მეცნიერებს და სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებას კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების შესწავლაში. უნდა გამართულიყო ლექციები, საჯარო კითხვები კავკასიის და სხვა ქვეყნების ისტორიას, არქეოლოგიის, ლიტერატურის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, ხელი უნდა შეეწყო კავკასიის მუზეუმისა და ქართლ-კახეთის სამღვდლოების თბილისის საეკლესიო მუზეუმის შევსება-გამდიდრებასათვის. საზოგადოების მიზანი იყო არ გაეშვა თავისი მეთვალყურეობის თვალსაწიერიდან წარსულის ნაშთები, საჭირო შემთხვევაში მთელი პრინციპულით უნდა დაეხვა საკითხი არქეოლოგიური საზოგადოებებთან და ადგილობრივ სელისუფალთა წინაშე კავკასიის სიძველეთა დაცვის შესახებ. თვითონ კი მოწოდებული იყო შეძლებისდაგვარად დაეცვა, განეახლებინა და აღედგინა ძველი სუროთმოდვრების ძეგლები.

მოსახლეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების მიზანდასახულებას იმის შესახებ, რომ დროდადრო გაემართა სიძველეთა და ეთნოგრაფიული კოლექციების გამოფენები, ჩაეტარებინა საეთნოგრაფიო და სამუხიკო საღამოები. როგორც ვსედავთ, საზოგადოება მთელი თავისი მოღვაწეობით სელს უწყობდა საისტორიო და საეთნოგრაფიო ცოდნის გავრცელებას საქართველოში.

წესდების მიხედვით, პერიოდულად გამართულ საზოგადოების წევრთა კრებებზე უნდა წაკითხულიყო მოსხენებები, საქართველოს და ზოგადად კავკასიის, მისი მოსაზღვრე ქვეყნებისა და ხალხების ისტორიის, არქეოლოგიის, ლიტერატურის, ანთროპოლოგიის, ენათ-

მცნაერებისა და ეთნოგრაფიის შესახებ. საზოგადოება ცდილობდა შეძლებისამებრ უზრუნველყო ნიეთიერად (ჯამაგირით, პენსიით თუ ერთდროული დასმარებით) ის პირები, რომლებიც საქართველოსა და კავკასიის პრობლემატიკაზე მუშაობდნენ.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება სრულყოფილებიანი იურიდიული ერთეული იყო. მას უფლება ჰქონდა საკუთრებად შეეძინა ან გაეცა მოძრავი და უძრავი ქონება, მიეღო ყოველგვარი ნაეთიერი შემოწირულება, დაექირავებინა მისთვის საჭირო ბინები, ესარგებლა საკუთარი ქონებით. ამასთან, როგორც წესდების მეოთხე მუხლი გვაუწყებს: „...ნება აქვს პირობის შეკვრისა კანონის მიერ ნებადართულის ყოველნაირის წესითა და არსებულის დებულების დაცვით, და აგრეთვე იდავოს და პასუხი აგოს სასამართლოში“. საზოგადოება აღჭურვილი იყო ბეჭდით, რომელსაც ჰქონდა რუსული და ქართული წარწერა: „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ (ბეჭდის შენახვა-დაცვის წესი განსაზღვრული იყო).

როგორი იყო საზოგადოების შედგენილობა, რა უფლება-მოვალეობით იყვნენ აღჭურვილნი მისი წევრები?

საზოგადოებას წევრები იყოფოდნენ შემდეგ კატეგორიებად: მზრუნავნი, საპატიონი, ნამდვილნი, კორესპონდენტნი, დამსმარენი. წევრებად შეიძლებოდა მიღებულიყვნენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები და არჩეულიყვნენ (კორესპონდენტებისა და დამსმარეების გარდა) საზოგადოების მმართველობის ნებისმიერ ორგანოში.

მზრუნავ წევრად შეიძლებოდა არჩეულიყო ის პირი, რომელიც ყოველწლიურად საზოგადოების სასარგებლოდ გადაიხდიდა არანაკლებ 600 მანეთისა (ან ერთდროულად შეიტანდა არანაკლებ 6000 მანეთს); საპატიო წევრად შესაძლებელი იყო იმ პირის არჩევა, ვინც თავისი მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევით ან სხვა განსაკუთრებული სამსახურით გამოიჩინდა თავს (საპატიო წევრის წოდება შეიძლებოდა მზრუნავსაც მიკუთვნებოდა); ნამდვილ წევრებად ირჩეოდნენ იმათ, ვინც კავკასიის ისტორიის კვლევა-ძიებას ეწეოდა, ან სხვა სამსახურს უწევდა საზოგადოებას. ნამდვილი წევრები მოვალენი იყვნენ ყოველწლიური საწევრო შესატანი გადაეხადათ სამ-სამი მანეთის (ან ერთდროულად 50 მანეთის) ოდენობით; კორესპონდენტებად ირჩეოდნენ უმთავრესად დედაქალაქის საზოგადოების ადგილსამყოფელის შესაბამისად მცხოვრებთ, რომელთაც შეეძლოთ საზოგადო-

ეპისაოვის ხარკებლობის მოტანა კავკასიის კვლევა-ძიების შესახებ ცნობებასა და მასალების მოწოდებით. დამსმარე წევრს უნდა გადაესადა წელიწადში 1 მანეთი, ან ერთდროულად შეეწირა 30 მანეთი.

წესდების შესაბამისად, კორესპონდენტებსა და დამსმარეებს საზოგადო კრებაზე მსოლოდ სათათბირო სმა კქონდათ. მათ არ შეეძლოთ აერჩიათ, ან არჩეულიყვნენ რომელიმე თანამდებობაზე. მზრუნავსა და საპატიო წევრებს ნამდვილი წევრის ყველა უფლება კქონდათ და შეეძლოთ აერჩიათ და არჩეული ყოფილიყვნენ ნებისმიერ თანამდებობაზე. საპატიო წევრები და კორესპონდენტები არ ისდიდნენ ყოველწლიურ გადასახადს.

მკაფიოდ იყო განსაზღვრული არჩევის წესები. მზრუნავის, საპატიო და ნამდვილი წევრის არჩევა უნდა მომსდარიყო საზოგადო კრებაზე ხმათა არითმეტიკული უმრავლესობით; ამასთან, მზრუნავ და საპატიო წევრებს ირჩევდნენ საბჭოს წინადადებით, ხოლო ნამდვილთ — საზოგადოების ორი წევრის წარდგინებით. კორესპონდენტებსა და დამსმარეებს საბჭო ირჩევდა. ნამდვილი წევრი, რომელიც რაიმე თანამდებობაზე იყო არჩეული საზოგადოებაში, ყოველწლიური საწევრო გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა. წესდება საზოგადოებიდან გასულად თელიდა იმ წევრებს, რომლებიც საწევრო გადასახადს არ შეიტანდნენ ორი წლის განმავლობაში. მათ თავიანთი საწევრო უფლებები დაუბრუნდებოდათ (კენჭის უყრელად) მსოლოდ მაშინ, როცა მთლიანად გადაისდიდნენ საზოგადოების ვალს.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას არსებობისა და სხვადასხვა სასარგებლო საქმიანობისათვის გააჩნდა გარკვეული სახსრები, რომელთა წყარო იყო შემოსული საწევრო გადასახადები, შემოწირულებანი, მუზეუმის გამოფენებისა და ლექციებისათვის შემოღებული გადასახადები, აგრეთვე საზოგადოების სასარგებლოდ გამართული ბალების, კონცერტების, წარმოდგენების შემოსავალი. საზოგადოებას გარკვეული თანხა შემოუვიდოდა თავის გამოცემათა გაყიდვით.

საზოგადოების ხალაროში შესული ფული სამ კატეგორიად იყოფოდა: ძირითადი, საგანგებო და საწარმოებელი. ძირითადში ირიცხებოდა საწევრო შესატანისა და საერთოდ ყოველგვარი შემოსავლის 5%. ამ თანხას უნდა დაეფარა საზოგადოების არაჩეულეებრიფი ხარჯები იმ შემთხვევაში, როცა საწარმოებელი თანხით ეს ვერ ხერსდებოდა. ძირითადი თანხის დასარჯვაზე აუცილებელი იყო საზოგადოებების დადგენილება.

საგანგებო თანხა შედგებოდა წევრების, გარეშე პირებისა და საზოგადოებათა შემოწირულებისაგან, აგრეთვე თვით საზოგადოების მიერ თავისუფალი ფულიდან საგანგებო დანიშნულებით გადაღებული თანხისაგან. ამ თანხის დახარჯვა არ შეიძლებოდა დანიშნულების გარეშე. საზოგადოების სხვა შემოსავალი შეადგენდა ე. წ. საწარმოებულ თანხას და იხარჯებოდა საზოგადოების წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობას განაგებდა საზოგადო კრება და საბჭო. საზოგადოების კრება იყო ჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი (საგანგებო) და წლიური. ჩვეულებრივ კრებას იწვევდა თავმჯდომარე საჭიროებისამებრ (არაონაკლებ ერთი კრებისა თვეში). მაისიდან სექტემბრის დამლევამდე არდადეგები იყო. ასე რომ, წელიწადში სულ ცოტა შეიძი კრება უნდა მოწვეულიყო. კრების მოწვევის შესახებ ცნობები იბეჭდებოდა გაზეთებში და ცხადდებოდა დღის წესრიგი. ჩვეულებრივი კრება კარს უღებდა დასასწრებად ყველა მსურველს. საზოგადო (საერთო) კრებაზე საკითხების გადაწყვეტა ხდებოდა მარტივად, ხმების (არითმეტიკული) უმრავლესობით. იმ შემთხვევაში, როცა წყდებოდა უძრავი ქონების შექენისა და გაცემის, ან წესდების შეცვლისა და შეესების საკითხები, საჭირო იყო კრებაზე დამსწრე წევრთა ორი მესამედის თანხმობა.

ჩვეულებრივი საზოგადო კრების გარდა, საბჭოს დადგენილებით სათათბიროდ ინიშნებოდა ერთი ან რამდენიმე დღე კვირაში.

არაჩვეულებრივი (დახურული) კრების მოწვევის ვადა განსაზღვრული არ ყოფილა. იგი ინიშნებოდა საჭირო შემთხვევაში თავმჯდომარის მიერ ან საზოგადოების ხუთი წევრის მოთხოვნით. ამგვარი კრება შესლუდული იყო წარმომადგენლობითაც: ესწრებოდნენ მზრუნავნი, საპატიო და ნამდვილი წევრები. ამ კრებაზე ხდებოდა საზოგადოების კერძო საქმეების განხილვა და მზრუნავის, საპატიო და ნამდვილი წევრების არჩევა. არაჩვეულებრივი კრება უფლებამოსილი იყო შედგომოდა მუშაობას თუ დაესწრებოდა არაონაკლებ შეიძი წევრისა (თავმჯდომარისა და მდივნის ჩათვლით); ჩვეულებრივ კრებას უნდა დასწრებოდა ხუთი წევრი (თავმჯდომარისა და მდივნის ჩათვლით).

წლიური კრება წელიწადში ერთხელ იმართებოდა (უპირატესად მარტის თვეში) საჯაროდ და ისმენდა საზოგადოების საქმიანობის წლიურ ანგარიშს. ამგვარ კრებას აუცილებლად უნდა დასწრებოდა ობილისში მცხოვრები საზოგადოების წევრთა ერთი მეათედი მაინც.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს ადგილსამყოფელი თბალისში იყო განსაზღვრული. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი, მუშეუმისა და ბიბლიოთეკის მცველი, საზინადარი, მდივანი და ოთხი წევრი. საზოგადოების თავმჯდომარე საბჭოს თავმჯდომარედაც ითვლებოდა. შესაძლებელი იყო საზოგადოებას აერჩია საპატიო თავმჯდომარეც. საბჭო განაგებდა ყველა სამეურნეო და მიმდინარე საკითხებს, გამოცემის საქმეს (ადგენდა საგამომცემლო კომისიას ყოველგვარი გამოცემებისათვის).

საზოგადოების საბჭოს (შესაბამისად ყველა თანამდებობის პირებს) არჩეულა წლიური საერთო კრება სამი წლის ვადით. საბჭო ვალდებული იყო წლიური კრებისათვის წარედგინა ანგარიში საზოგადოებას საქმიანობის შესახებ (სარევიზიო კომისიის სათანადო დასკვნათ). სამი წევრისაგან შემდგარი საზოგადო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისია მოწოდებული იყო შეემოწმებინა საზოგადოების თანხება, ბიბლიოთეკისა და მუშეუმის მუშაობა და თავისი დასკვნა საბჭოს საშუალებით საზოგადო კრებისათვის წარედგინა.

წესდებაში მკვეთრად იყო ჩამოყალიბებული თანამდებობის პირების (თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი, საზინადარი, მდივანი და სხვ.) უფლება-მოვალეობანი. განსაკუთრებულად იყო გამოკვეთილი საზოგადოების საქმიანობაში თავმჯდომარის როლი; მას თვალყურა უნდა ედევნებინა წესდების შესრულების სისწორეზე. მისი სასულით წარმოებდა ყოველგვარი მიწერ-მოწერა საზოგადოებებთან და კერძო წრებთან. თავმჯდომარე აღჭურვილი იყო კრების მოწვევის, სარჯის გაწევაზე განკარგულების გაცემის უფლებით. ას მანეთამდე სარჯის გაწევა, საჭირო შემთხვევაში, თავმჯდომარეს შეეძლო საბჭოს დაუკითხავად (შემდეგ კი ეს ფაქტი უნდა ეცნობებინა უასლოესი საბჭოს სსდომისათვის). თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში (ან მისი მინდობილობით) მის უფლება-მოვალეობას კისრულობდა თავმჯდომარის ამხანაგი.

განსაზღვრული ფუნქცია ჰქონდა მუშეუმისა და ბიბლიოთეკის მცველსაც. იგი აწარმოებდა სამუშეუმო ექსპონატებისა და წიგნების კატალოგს, ადგენდა ყოველწლიურ ანგარიშს. საბჭოს უფლება ჰქონდა მცველისათვის დახასმარებლად საჭირო შემთხვევაში თანაშემწე მოეწვია.

საზოგადოების ხაზინადარი განაგებდა თანხებს, იბარებდა საწევრო გადასახადს, ასდენდა საჭირო სარჯებს საბჭოს დადგენილებისა და

თავმჯდომარის განკარგულების შესაბამისად და პასუხს აგებდა „თანხის უნაკლულობისა და ხელუხლებლობისათვის“. იგი ყოველთვიურად საბჭოს წარუდგენდა ცნობას ფულის მოძრაობისა და სალაროს მდგომარეობის შესახებ, ადგენდა წლიურ ანგარიშებს საზოგადოების თანხების შემოსავლისა და გასავლის შესახებ.

მდივანი მართავდა საზოგადოების კანცელარიას თავმჯდომარის ხელმძღვანელობით და ზედამხედველობით, ადგენდა საბჭოსა და საზოგადო კრების ურნალებს, განაგებდა მთელ მიწერ-მოწერას და ინახავდა საზოგადოების ბეჭედს.

საზოგადოებას განსაზღვრული პქონდა თავისი საგამომცემლო საქმიანობის საკითხები. წიგნები თუ ცალკეული გამოკვლევები (ნებისმიერი ხასიათისა და ავტორისა) შეიძლებოდა დაბეჭდილიყო საბჭოს ზათანადო განხილვისა და მოწონების შემდეგ. ხელნაწერთა რედაქტორობის, გადაწერისა და კორექტურისათვის გასამრჯელოს განსაზღვრავდა საზოგადო კრება (საბჭოს წარდგინების შესაბამისად). ხალხური ნაწარმოებების (ზღაპრები, ლეგენდები, ლექსები, შაირები და სხვ.) შეგროვების ფასი, ექსკურსიების, ექსპედიციებისა და არქეოლოგიური გათხრების ხარჯები უნდა განესაზღვრა საბჭოს.

მსრუნაეებს, საპატიო წევრებსა და თანამდებობის პირებს საზოგადოების ყველა გამოცემა უფასოდ უნდა მიეღოთ. დანარჩენ წევრებს საზოგადოების გამოცემები უფასოდ შეეძლოთ მიეღოთ მხოლოდ იმ თანხის ოდენობისა, რომელიც მათ წლიურ გადასახადს უდრიდა. სხვა გამოცემათა შეძენა შეეძლოთ 25% ფასდაკლებით.

ნიშნდობლივია, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მესვეურებს იმთავითვე გაუთვალისწინებიათ დიდი მომავალი და საზოგადოების ფართო საქმიანობა წესდებაშივე განუსაზღვრაეთ. კერძოდ, მას უფლება ეძლეოდა საზოგადოების წევრების თავმჯდომარეობით ჩამოეყალიბებია სხვადასხვა განყოფილება: საანთროპოლოგიო, სალინგვისტო, სალიტერატურო, სანუმინზმატიკო და სხვ.

ამგვარად, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას დახვეწილი ორგანიზაციული სტრუქტურა, მოქმედების მკვეთრად ჩამოყალიბებული პროგრამა და მომავლის დიდი გეგმები ქქონდა.

მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები 1907—1917 წწ.

მატერიალური მდგომარეობა, ორგანიზაციული საქმიანობა,
საზოგადო კრებები

პირველი დამფუძნებელი კრების შემდეგ საისტორიო და საეთნო-გრაფიო საზოგადოებამ დიდად ნაყოფიერი მუშაობა გაშალა. საზო-გადოების შექმნას ფართო რეზონანსი ჰქონდა საქართველოს ფარ-გლებს გარეთაც. ყველა განათლებული ქართველი თავის მოვალე-ობად თვლიდა საზოგადოების წევრი გამხდარიყო და რაიმე ამაგი დაედო მისთვის. 1907 წლის 20 სექტემბერს, ე. ი. პირველი კრების დღეს (დაფუძნების დღეს), საზოგადოება 38 წევრს ითვლიდა. უკვე მეორე არაჩვეულებრივმა (საგანგებო) კრებამ 1907 წლის 8 ნოემ-ბერს ამ რიცხვის მკვეთრად გაზრდა დაადასტურა. წესდების მე-16 პარაგრაფის შესაბამისად, გრ. დიასამიძისა და ს. გორგაძის წინადა-დებით კრებამ ახალი ნამდვილი წევრები აირჩია. მეცნიერები — ნიკო მარი, ვასილ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ივანე ჯავა-ხიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ივანე თარხნი-შვილი და სხვ; მწერლები — აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ეკატე-რინე გაბაშვილი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, ნინო ნაკა-შიძე, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია და სხვ.; ხელოვნების მუშაკე-ბი — დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი და სხვ.; სასული-ერო პირები — ალექსანდრე, ლეონიდი, კირიონი, გიორგი, პეტრე და დავითი (ეპისკოპოსები); ჰეროს ოქროპირიძე და დოხითეოს ჰერძე-ნიშვილი (არქიმანდრიტები); ამათთან ერთად სხვადასხვა მდგომარე-ობისა და პროფესიის მრავალი პირი იქნა ჩარიცხული საზოგადოების

ნამდვილ წევრად¹. სულ 207 კაცით გაიზარდა ამ დღეს საზოგადოება. ნიშანდობლივია, რომ საზოგადოების წევრები გახდნენ ქართველი კაპიტალისტები. თავის მხრივ ე. თაყაიშვილი ყოველმხრივ ცდილობდა მოეზიდა შეძლებული ქართველები იმის იმედით, რომ საჭიროების შემთხვევაში მატერიალურ დახმარებას გაუწყებდნენ საზოგადოებას.

1908 წლის პირველი იანვრისთვის საზოგადოებას ჰყავდა 250 ნამდვილი წევრი. ამავე პერიოდში გაიმართა ხუთი საზოგადო კრება, სადაც რეფერატები წაიკითხეს ს. გორგაძემ („ადერკი მეფე და ეგრეთ-წოდებული ორმეფობის ხანა ძველს ივერიაში“), დ. კარიჭაშვილმა („დავით დიდი კუროპალატის გენეალოგია“ და „ვინ უნდა იყოს სუშბატის ქრონიკის დამწერი?“), პ. კარბელაშვილმა („ამილახვრიანთ გვარის სიგელ-გუჯრები“), ა. ხელაიამ („ქართლის მოქცევის ახალი (ჭელიძის) ვარიანტი“) და ე. თაყაიშვილმა („ბანის ეკლესიის შესახებ“).

პირველი იანვრისთვის საზოგადოებამ მოაწყო კანცელარია, შეიძინა საკანცელარიო ნივთები, დააბეჭდინა საზოგადოების წესდება ქართულად და რუსულად; დაიწყო ზრუნვა (მასალების შეკროვება: გეგმის შედგენა) კრებულის გამოსაცემად. საზოგადოების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საზოგადოებამ დააარსა ბიბლიოთეკა, რომლის ფონდი შედგებოდა ნიკოლოზ ხიზანაშვილის (ურბნელის) ქვრივის ელისაბედ ხიზანაშვილის შემოწირული წიგნებისაგან (სულ ბიბლიოთეკაში იყო 52 სახელწოდების რუსული, ფრანგული და 23 სხვადასხვა სახელწოდების ქართული წიგნი).

1908 წლის განმავლობაში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ორგანიზაციულად განმტკიცდა. დღითი დღე იზრდებოდა მისი რიგები. საზოგადოებაში თავი მოიყარა პრაქტიკულად მთელმა ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ. 1909 წლის 1 იანვრისთვის 456 წევრი ირიცხებოდა. დიდი კონტაქტი იყო დამყარებული თითოეულ წევრთან. ჯერ ერთი, არჩევის უმაღლესი წერილობითი მიმართავდნენ ამა თუ იმ პიროვნებას და აუწყებდნენ თავიანთი მოვალეობის შესახებ, შემდეგ კი საზოგადოება ყოველნაირად ცდილობდა კავშირი

¹ ის. არაჩეულებრივი საზოგადო კრებას (1907 წ. 8 ნოემბერი) ოქმა № 3, კრ., პეელი საქართველო, I, გვ. 8—12.

არ გაუწყვიტა მასთან. აი ერთი წერილი, გაგზავნილი ანასტასია მა-
ხაბლისაძმი:

„მის ბრწყინვალე ბას კნ. ანასტასია ალექსანდრეს

ასულს მახაბლისას

მ ო წ ყ ა ლ ე ო ს ე ლ მ წ ი ფ ე ვ ე!

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებებს
1908 წლის 21 თებერვლის კრებამ თქვენ ავირჩიათ საზოგადოების
წამდვილ წევრად.

გაუწყებთ რა ამას, გაახლებთ საზოგადოების წესდებას და გთხოვთ:
წერით, მასალის მოწოდებით, თუ ნივთიერის შემწევობით აღნიშნულ
საზოგადოებას დახმარება გაუწიოთ.

საზოგადოების თავმჯდომარე — ე. თაყაიშვილი

მდივანი — ს. გორგაძე².

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას საქმიანობის გეგმა-
ზომიერად წარმართვისათვის ესაჭიროებოდა მატერიალური საშუ-
ალებები. საწევრო ანარიცხებით შემოსული თანხა არ იყო იმ რაოდე-
ნობისა, რომ ოდნავ მაინც უზრუნველყო საზოგადოება. აქ აუცი-
ლებლად მოსახსენებელია ის დიდი დახმარება, რასაც აკეთებდნენ
მზრუნველი და დამხმარე წევრები. დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა
საზოგადოებას პავლე თუმანიშვილმა³ — შესწირა ერთი დესეტიანა
ძიწა ვერაზე, ქართული გიმნაზიის მახლობლად, რომელიც თავის
დროზე უყიდა 28.800 მანეთად (ბანკში შესატან წლიურ გადასახადს
თვითონ იხდიდა); პავლე თუმანიშვილმა საზოგადოებას გადასცა მდი-
დარი ბიბლიოთეკა (2502 ცალი წიგნი); ცნობილ ფოტოგრაფს დ. ერ-
მაკოეს შეუკვეთა საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და სიძვე-
ლეთა ფოტოგრაფიული სურათები და ოცდაათ დიდ ალბომად გაკე-
თებული საზოგადოებას აჩუქა. მანვე შესწირა ბევრი არქეოლოგიური
და ეთნოგრაფიული ნივთი, ქართველი მხატვრების ძვირფასი ნაწარ-
მოებები და სხვ. ამასთან, შემოწირული ნივთების მოსათავსებლად

² გ. ლეონიძის სახელობის ლიტ. მუზ. ფონდი, 14566-6.

³ ე. თაყაიშვილი, მდირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთ-
ნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის. განმარტებაში
(1907-1917), კრებ., აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1966, გვ. 200-201.

დაამზადებინა ლაშაზი კარადები. პ. თუმანიშვილმა დააფინანსა სვანეთის დიდი არქეოლოგიური ექსპედიცია, აღწერილი და ფოტოგრაფიულად გადმოღებულ იქნა იქაური სიძველეების სურათები; ამ მოგზაურობის დროს, სხვათა შორის გადაღებულ იქნა ადიშის ოთხთავის ფოტოპირი (ფოტოტიპურად გამოსცა მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ).

დიდი ღვაწლი დასდო საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II, რომელმაც შესწირა ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების მდიდარი ბიბლიოთეკა, არქეოლოგიური ნივთები, ალბომები, სურათები და დიდი ნუმიზმატიკური კოლექცია (შეიცავდა 2700-ზე მეტ სახეობის ფულს). კირიონ II ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისადმი, როგორც მისი მზრუნავი წევრი. 1917 წელს იგი საპატიო წევრად იქნა არჩეული⁴.

ექვთიმე თაყაიშვილი საგანგებოდ ჩავიდა ბაქოში და იქაურ ქართველებს სთხოვა შემწეობა დ. ერმაკოვის ფოტოგრაფიული ფირფიტების შექმნაში. ბაქოს ქართველობამ საზოგადოებას 35 000 მანეთის შემოტანა აღუთქვა. სულ მალე საზოგადოებამ ბაქოდან მიიღო აკაკი ხოშტარიასგან გამოგზავნილი რვა ათასი მანეთი (ექვსი ათასი საწევროდ და ორი ათასი შემოწირულება). იგი საზოგადოებამ თავის მზრუნველ წევრად აირჩია. ბაქოდანვე მიიღეს ნიკოლოზ ჯაყელის მიერ გამოგზავნილი ათასი მანეთი. მზრუნველი წევრის ხვედრი ფული შეიტანა და კიდევ ოთხი ათასი მანეთი შესწირა საზოგადოებას ცნობილმა რუსმა კოლექციონერმა დიმიტრი ივანეს ძე შჩუკინმა (1916 წ. არჩეულ იქნა საზოგადოების მზრუნველ წევრად). მანვე გამოგზავნა ძვირფასი წიგნები, მათ შორის ზენენგოროდსკისა და ბოტკინის მინანქრის კოლექციათა აღწერილობა⁵.

საზოგადოებას ჰყავდა ბევრი დამხმარე წევრი, რომლებიც ნივთიერად ამდიდრებდნენ მის ფონდს. ექვთიმე თაყაიშვილს საგანგებოდ აღუნიშნავს ქუთაისელი რაჟდენ დათეშიძე, რომელიც ხშირად ყიდულობდა და აგზავნიდა სხვადასხვა ნივთსა და ფულს. მას გამოუგზავნიან როდამ დედოფლის (გიორგი XI-ის ასული, იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ს მეუღლე) სასიგელო ბეჭედი, კოლხური მონეტები და სხვა, ვერცხლისა და ოქროს ნივთები. პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატდოცენტმა სვიმონ ავალიანმა საზოგადოებას გამოუგზავნა მრავალი

⁴ ე. თაყაიშვილი, კრებ., აკადემიკოსი ე. თაყაიშვილი, გვ. 201.

⁵ იქვე, გვ. 202.

წავნი ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ (ხულ 793 წიგნი და 37 ალბომი). განსვენებული ალექსანდრე ყიფშიძის მიმკვიდრებისაგან საზოგადოებამ მიიღო 532 სხვადასხვა წიგნი⁶.

საზოგადოებას თავისი ქონების ნაწილი (13 ათასი მანეთის ოდენობით) უანდერძა ნიკოლოზ დოლობერიძემ. ამას მოჰყვა აკაკი წერეთლის ანდერძი (ამ საკითხზე ცალკე გვექნება საუბარი). ანდერძითვე მიიღო საზოგადოებამ იაკობ გოგებაშვილის ერთი მომგებიანი პალატი (1000 მან. ღირებულებისა). ამას გარდა, თბილისელმა სოლომონ გაბაშვილმა საზოგადოებას უანდერძა სამასი მანეთი, ექიმმა ს. მრეველიშვილმა — ხუთი ათასი მანეთი, სოფ. დიდმის მცხოვრებმა მიხეილ მარიაშვილმა — ათასი მანეთი.

იხე როგორც ბევრ ეროვნულ საქმეს, საზოგადოებასაც თავისი დიდი ამაგი დასდეს ეკატერინე და დავით სარაჯიშვილებმა. დ. სარაჯიშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მუზეუმის ასაშენებლად დაუტოვა ასი ათასი მანეთი, სოლომონ მისმა მეუღლემ ეკატერინე ივანეს ასულმა იმავე მიზნით უანდერძა ექვსასი ათასი მანეთი. აქედან სიცოცხლეშივე გადასცა ასი ათასი მანეთი, რითაც შეძენილ იქნა წყნეთის ქუჩაზე მუზეუმის ასაშენებელი მიწა.

უფრო დაწვრილებით გვინდა გავაცნოთ მკითხველს ზოგიერთი შემოწირულების საბუთები; 1913 წლის მაისში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის წინადადება ატენის სიონის შემოწირვის შესახებ:

„დი და დ პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო ბ ა ტ ო ნ ო ე ქ თ ი მ ე !“

კარგა ხანია მწადიან ატენის დიდებული სიონი, რომელიც ჩემი სრული საკუთრება არის, ისეთს ქართულს დაწესებულებას შევსწირო, რომელიც ამ შესანიშნავ ძეგლს მზრუნველობით მოუვლის და მომავალ განადგურებისაგან გადაარჩენს. ასეთ დაწესებულებად მე ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება მიმანჩნია და მას შევსწირავ კიდევ შემოადინებულს ტაძარს, თუ რომ თვით საზოგადოება მოისურვებს ამ შეწირულების მიღებას. მეტად დამაჯავლებთ თუ თქვენს და საისტორიო საზოგადოების გამგეობის აზრს ამის თაობაზე მაცნობებთ.

დავშობით თქვენი ღრმად პატივისმცემელი
მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისა⁷.

⁶ კრებ., აკადემიკოსი ე. თაყაიშვილი, გვ. 202.

⁷ იხ. საქ. ხელოვნების მუზეუმის ფონდი, ე. 910. საქ. № 9.

ეს განცხადება მნიშვნელოვანი იყო. 2 ივნისს საზოგადოების საბჭომ განიხილა იგი და სათანადო პასუხი მისწერა მ. ჯამბაკურ-ორბელიანს:

„მის ბრწყინვალეობას კნენია მარიამ ვახტანგის ასულს
ჯამბაკურ-ორბელიანისას

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ, 2 ივნისს სხდომაზე, განიხილა თქვენი ბრწყინვალეობის წერილობითი განცხადება თავმჯდომარის სახელზე ამ წლის 28 ივნისის რიცხვით ატენის ტაძრის შესახებ და დაადგინა მოგახსენოთ, რომ „საზოგადოება“ დიდის მადლობით მიიღებს თქვენს შემოწირულობას. ამასთანავე საბჭო იმედოვნებს, რომ „საზოგადოება“ თქვენის დახმარებით შესძლებს მოუაროს და უპატრონოს მას, როგორც ამგვარ ძეგლს შეეფერება. მოკლე დროში ამ ძეგლის დასათვალისწინებლად გაიგზავნება საბჭოს წევრთა და არქიტექტორებისაგან შემდგარი კომისია, რომელიც გამოარკვევს, თუ რა მდგომარეობაშია ტაძარი და რის შეკეთებაა აშუშად აუცილებლად საჭირო და მოსახერხებელი. პირადად მოლაპარაკება ამ საგანზე თქვენს ბრწყინვალეობასთან მიენდო საზოგადოების ხაზინადარს ალ. ივ. სარაჯიშვილს.

საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი
მდივანი ს. გორგაძე².

აი კიდევ ერთი შემოწირულება მხატვარ მოსე თოიძისაგან. მოგვაქვს მისი განცხადების ტექსტი:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას
მხატვარ მოსე ივანეს ძე თოიძისაგან

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გამსჭვალული ღრმა პატივისცემით და სიყვარულით ჩემი აღმზრდელის დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის სახსოვრად ვწირავ საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჩემს უგუ-

² საქ. სელ. მუზეუმის ფონდი, ყ. 910, № 7.

ლითადეს ნაწარმოებს დღეობას, რომელიც იქნა დაფასებული 4000 მანეთად და მისთვისვე საიუბილეო გამოფენამ დამაჯილდოვა ოქროს მედლით.

მსატვარი მოხე თოიძე
1912 წელს 3 ნოემბერს
ქ. თბილისი⁹.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობის ფართო რეზონანსზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ მისდამი ყურადღებას იჩენდნენ საზღვარგარეთელი მოღვაწეებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია ინგლისელი ქართველოლოგები და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპები. მათი საერთო დამსახურება კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. ისინი ახლო მეგობრობდნენ ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ივანე მაჩაბელსა და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან. მარჯორი უორდროპმა ინგლისურად თარგმნა ქართული ხალხური ზღაპრები, ილია ჭავჭავაძის რამდენიმე ნაწარმოები, და, რაც მთავარია, „ვეფხისტყაოსანი“, რომლის გამოცემა მას არ დასცალდა (გარდაიცვალა 1909 წ.). საგულისხმოა, რომ ოლივერ უორდროპმა 1910 წ. 23 ივლისს ოქსფორდის უნივერსიტეტში დააარსა მარჯორი უორდროპის ფონდი. ამ ფონდმა დიდი ღვაწლი დასდო ქართველოლოგიას. ოლივერ უორდროპმა შეადგინა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდის აღწერილობა. მას მიმოწერა ჰქონდა ნიკო მართან და ექვთიმე თაყაიშვილთან. ეს უკანასკნელი უცხოელ მეცნიერს კონსულტაციას უწევდა „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვა ძველი ქართული ხელნაწერების გაცნობაში. ექვთიმე თაყაიშვილი დიდად აფასებდა ოლივერ უორდროპის დამსახურებას ქართველოლოგიაში. სწორედ ამ დამსახურების გათვალისწინებით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ 1910 წლის პირველ დეკემბერს ოლივერ უორდროპი თავის წევრად აირჩია¹⁰. ინგლისელი მეცნიერი დიდად აფასებდა ქართული საზოგადოების ყურადღებას და თავის მხრივ ცდილობდა მსარში დასდგომოდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. აი ერთი

⁹ საქ. ხელ. მუზეუმის ფონდი, ყ. 910, საქ. № 7.

¹⁰ იხ. არაჩეულაბერივი კრების ოქმი № 42. კრ., ძველი საქართველო, II, გვ. 72.

წერილი, რომელიც დიდი ბრიტანეთის ბათუმის საკონსულოდან მი-
აღო ე. თაყაიშვილმა.

«Его высокоородию господину
Е. С. Такашвили,
Господину председателю Грузинского
общества истории и этнографии,
Т и ф л и с

По поручению г-на Оливера Вардропа, Великобританского консула в Берген, сегодня мною переведено по почте в Тифлис на Ваше имя пожертвованные им как почетным членом Вашего общества сто рублей.

Вместе с тем г-н Вардроп просит не отказать в любезности выслать ему в Великобританское консульство в Берген, Норвегия; за последние 2—3 года отчеты и публикации относящиеся к деятельности Вашего Общества»¹¹.

ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ოლივერ უორდროპი დაინტერესებულია საზოგადოების საქმიანობით. იგი სისტემატურად იღებდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პერიოდულ გამოცემებს და სათანადო დამუშავება-გამოყენების შემდეგ ბოდლის ბიბლიოთეკას სწირავდა, სადაც მარჯორი უორდროპის კოლექცია იყო დაცული. უორდროპიც არ რჩებოდა ვალში. იგი თავის მხრივ ე. თაყაიშვილს უგზავნიდა ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკის კატალოგებს, უცხოეთში, სხვადასხვა ადგილას დაცულ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობას და სხვა მასალებს¹². საქართველოს ისტორიის შესწავლით დაინტერესებული ოლივერ უორდროპი 1911 წლის 21 მაისს სწერდა ექვთიმე თაყაიშვილს:

„...დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს მეგობრებს საქართველოში არ დაეიწყებიათ ჩვენი ბიბლიოთეკის არსებობა და გამოგვიგზავნიან წიგნებს, ბროშურებსა და ჟურნალებს“. ერთი სიტყვით, ოლივერ უორდროპი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დიდი ქომაგი იყო საზღვარგარეთ.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება თავის მხრივ დიდად ახალისებდა შემომწირველებს, მათი გვარება და

¹¹ საქ. ხელ. მუზეუმის ფონდი, ყ. 347, საქ. № 16 ა., ბ. წერილი დათარიღებულია 1916 წლის 26 აგვისტოთი.

¹² ა. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ.; 1977, გვ. 138.

შემოწირულებანი საგანგებოდ ცხადდებოდა გაზეთებსა და საზოგადოების წლიურ ანგარიშებში. ეგზავნებოდათ სამადლობლო წერილები. აი, ერთი ასეთი მადლობის ბარათი:

„ალექსანდრე და გიორგი რომანოვის ძეთ მრევლიშვილებს

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ მიიღო თქვენ მიერ გადმოცემული „გვქლადნოი ბილეთი“ ხუთი ათასი მანეთისა, რომლითაც ეს თანხა შეტანილია სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში ექვსი პროცენტის ანგარიშით, და მასთან თქვენი განცხადება, რომ თქვენ ამ თანხას სწირავთ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემდეგის პირობით: ეს თანხა ხელუხლებელი იყოს მანამ ის ზედშეკვიცილი პროცენტებით გახდებოდეს ათი ათასი მან., შემდეგ კი მისი პროცენტები საზოგადოების საბჭომ მოიხმაროს წიგნების გამოსაცემად და ყოველ ამ თანხით გამოცემულ წიგნს წააწეროს: „გამოცემა დოქტორ მედიცინის სოლომონ იოსების ძის მრევლიშვილის თანხისა“. ეს უხვი შემოწირულება მოხსენდა ამ წლის პირველ დეკემბრის საზოგადო კრებას, რომელმაც ერთხმად დაადგინა: გულითადი მადლობა გამოგვცხადოთ თქვენ ამ უხვი შემოწირულებისათვის. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო, გაუწყებთ რა ამ გადაწყვეტილებას, თავის მხრითაც გულწრფელ მადლობას გიძღვნიოთ და გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ დადებული პირობა უნაკლულად იქნება შესრულებული.

საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი¹³.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას 1908 წელს მიმართა საგანგებო წერილით, რომელშიც უხსნიდა საზოგადოების დიდ მზინებს და მის ეროვნულ მნიშვნელობას. თანაც იმედს გამოთქვამდა, რომ სრულ თანაგრძნობას მოიპოვებდა როგორც ცალკეულ პირებში, ისე იმდროინდელი საქართველოს წოდებრივსა და საზოგადოებრივ ჯგუფებში, „რომელთაც შეგნებული აქვთ ჩვენი სამშობლო ქვეყნის საისტორიო და საეთნოგრაფიო ნაშთთა შენახვისა და შესწავლის დიადი მნიშვნელობა“. სწორედ ამ იმედით სთხოვდა საზოგადოება თბი-

¹³ საქ. ხელ. მუხ. ფონდი, ყ. 251, საქ. № 21.

ლისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას შეძლებისდაგვარად ფულად დახმარებას¹⁴. როგორც ჩანს, თავად-აზნაურთა კრებას მართლაც აღმოუჩენია გარკვეული მატერიალური დახმარება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის. 1910 წელს იგივე ადრესატისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „...დაარსების დღიდან საზოგადოებას შემოუვიდა 3600 მანეთამდე. ამ რიცხვში 1000 მანეთი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებამ შემოსწირა შარშან“¹⁵. ამ თანხით საზოგადოებამ შეიძინა 1000 მანეთად ღირებული სათავად-აზნაურო ბანკის სარგებლიანი ფურცლები, არქეოლოგიური ნივთები, სელნაწერები, მონეტები და სხვ. წერილიდან ვიგებთ, რომ იმ დიდი მიზნების შესასრულებლად, რომელიც საზოგადოებას გააჩნდა, არსებული სახსრები არ კმაროდა და კვლავ ითხოვდა დახმარებას თავად-აზნაურთა კრებისაგან. დროდადრო ეს უკანასკნელიც უმართავდა ხელს საზოგადოებას. ნიშანდობლივია, რომ იგივე თავად-აზნაურთა კრებას ხათანადო თანხა გადაუდგია ოქსფორდის უნივერსიტეტის ქართული წიგნთსაცავისათვის. ამის თაობაზე გვინდა მოვიტანოთ ერთი ფრიად საინტერესო წერილი, რომელიც საზოგადოებას თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოსათვის 1911 წლის 3 ნოემბერს გაუგზავნია:

„თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს

საზოგადოების საბჭომ ამა ოქტომბრის 30-ს მოიხმინა მათი ბრწყინვალეების გუბერნიის წინამძღოლის წერილი ამა წლის 24 ოქტომბრის რიცხვით, № 12 971, აგრეთვე მიწერ-მოწერა თავ. ბ. თუქანიშვილისა და ოლივერ უორდროპისა 600 მანეთის შესახებ, რომელიც თავადაზნაურთა საკრებულოს ოქსფორდის უნივერსიტეტის ქართული წიგნთსაცავისათვის გადაუდგია, და დაადგინა: მოხსენდეს პატივცემულს თავადაზნაურთა დეპუტატების კრებას, რომ ძალიან კარგი იქნება შემოადნისხული ფული ჩვენს საზოგადოებას გადმოცეს; ხოლო ჩვენი საზოგადოება ვალად დაიდებს უგზავნოს ოქსფორდის უნივერსიტეტს უორდროპთა მიერ დაარსებულის კათედრასათვის თავისი გამოცემანი და აგრეთვე ის ძველი და ახალი ნაბეჭდი წიგნები, რომელნიც ჩვენი საზოგადოების ბიბლიოთეკაში ორ ცალზე

¹⁴ საქ. სელ. მუზეუმის ფონდი, ყ. 347, საქ. 16 ა, ბ.

¹⁵ იქვე.

მეტი აღმოჩნდება“¹⁶. წერილს ხელს აწერს ე. თაყაიშვილი და ს. გორვაძე (თავმჯდომარე და მდივანი).

თავისი მატერიალური მდგომარეობა საზოგადოებას აიძულებდა კვლავ და კვლავ მიემართა ხან თავად-აზნაურთა კრებისათვის, ხან პირადად თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის. ერთ ასეთ წერილში (1913 წლის 12 მაისით დათარიღებული) საზოგადოების საბჭო „მის ბრწყინვალეებას თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს“ მოახსენებს, რომ „საქართველოს ხანისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოქმედება — ...ისე გართულდა, რომ ის შემოწირულება, რომელსაც ყოველწლივ გულგაშლილად იძლევა პატივცემული თავადაზნაურობა, ველარ აკმაყოფილებს „საზოგადოების“ მრავალმხრივ მოთხოვნილებას. ამიტომ საბჭო უმორჩილესად გთხოვთ, შუამდგომლობა აღძრათ თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს წინაშე, რომ წელს მოეცეს ჩვენს „საზოგადოებას“ შემწეობა არა ნაკლებს რვა ათასი მანეთისა...“¹⁷ ეს თანხა ძირითადად უნდა მოხმარებოდა ეკლესია-მონასტრების კედლებიდან ფრესკების გადმოღებას. წერილში აღწერილი იყო ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც იმ დროს ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშები იმყოფებოდა, და საბუთდებოდა მათი გადმოღების აუცილებლობა. თავად-აზნაურთა კრება მცირე შემწეობას თითქმის ყოველწლიურად უყოფდა საზოგადოებას. ამჯერადაც 6800 მანეთი გადაუცია საზოგადოების წარმომადგენლისათვის, რასაც ადასტურებს 1913 წლის 16 ივლისს გაცემული ეს ცნობა:

«В Совет Грузинского общества истории и этнографии

Согласно смете за текущий год, утвержденной Чрезвычайным Губернским Собранием Дворянства, от 29/30 июня с. г., Обществу Истории и Этнографии назначено было пособие в размере 6800 р. Сумма эта полностью выдана казначею общества Александру Ивановичу Сараджеву, в апрель месяц 1000 р. и 5800 р. в июль, о чем уведомляю общество.

Губернский предводитель

дворянства Кн. Конст. Абхазин¹⁸.

¹⁶ საქ. ხელ. მუზეუმის ფონდი, ყ. 347, საქ. 16 ა, ბ.

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე, კ. აფხაზი საქართველოს თავად-აზნაურთა ლიბერალური წრის ერთ-ერთი ლიდერი იყო, მეთაურობდა ე. წ. „უპარტიოთა კავშირს“, რომელიც თავისი პროგრამული მოთხოვნებით ასლოს იდგა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიასთან (შეუერთდა 1921 წლის იანვარში).

საგულისხმოა, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წლიური ანგარიშები, სადაც ჩანს რეალური მატერიალური მდგომარეობა. მაგალითად, 1908 წლის პირველი იანვრისათვის (ე. ი. საზოგადოების არსებობის სამი თვის შემდეგ) საზოგადოების შემოსავალი ასე გამოიყურებოდა:

საწევრო გადასახადი	143 მან. 50 კაპ.
შემოწირულებანი	230 მან. 26 კაპ.
სულ	373 მან. 76 კაპ.
ხარჯი	131 მან. 38 კაპ.
ნაღდი შემოსავალი	242 მან 38 კაპ. ¹⁹

როგორც ვხედავთ, 1908 საანგარიშო წელი საზოგადოებამ დაიწყო 242 მან 38 კაპიკით. 1910 წლისათვის (დამტკიცებული ბალანსის მიხედვით) შემოსავალი 11 124 მან. და 28 კაპ. შეადგენდა. დარსების 10 წლისთავეზე საზოგადოების ქონება შეიდასი ათასი მანეთის ღირებულებისა იყო²⁰. მხოლოდ 1917 წლის შემოსავალი აღწევდა თოთხმეტი ათას მანეთს (1916 წლის ბალანსი შეადგენდა 89. 257 მანეთს და 78 კაპიკს). „ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით — აღნიშნავდა ე. თაყაიშვილი, — რომ საზოგადოებამ უნდა მიიღოს ყოველი ღონე და იმდენი თანხა იქონიოს, რომლის შემოსავალი მას უზრუნველყოფს. ამ საქმეში ყველა წევრმა უნდა აღმოგვიჩინოს დახმარება. ყველა ვალდებულია უნდა ხდიდეს თავს, რითაც შეუძლია დაგვეხმაროს. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი საზოგადოება ერთადერთი არის, რომელიც ტყუილად არ იღებს საწევრო ფულს, არამედ მუქთად ურიგებს წევრებს თავის გამოცემებს და ეს გამოცემანი ყოველთვის მეტი ღირს, ვიდრე წლიური საწევრო გადასახადი“²¹.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ფართო ხასიათის მრავალმხრივ სამეცნიერო მუშაობას ატარებდა და შემთხვევითი არ არის, რომ იგი ოფიციალურ დოკუმენტებში მოიხსენება, როგორც „ერთადერთი დაწესებულება, რომელიც სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ასორციელებს“.

¹⁹ იხ. 1908 წ. 2 აპრილს ჩვეულებრივი საზოგადო (წლიური) კრების იქმი № 8, ძველი საქართველო, I, გვ. 21-23.

²⁰ ე. თაყაიშვილი, მცირე უწყება... გვ. 118.

²¹ იქვე, გვ. 199.

საზოგადოების მიერ ათი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შესახებ არსებული მასალების განსილვას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სხვა საქმიანობასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებებს, სადაც გამოჩენილი ქართველი მეცნიერები (ძირითადად მოწინავე მეცნიერები ესწრებოდნენ) დამსწრე საზოგადოებას აცნობდნენ თავიანთი გამოკვლევების შედეგებს. იმართებოდა ცალკეული პრობლემების შესახებ მოხსენებების განხილვა. სშირად ამგვარი განხილვები ძალიან პრინციპულ ხასიათს ატარებდა, გზას უკაფავდა სწორ მეცნიერულ აზრს.

1907—1917 წწ. ჩატარებულ 124 საზოგადოებრივ წაკითხულ იქნა 88 მოხსენება. ზოგადი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამ მოხსენებებზე, ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა ოთხი მოხსენება: 1. „ქართველ ისტორიკოსთა ფილოსოფიურ და მეთოდოლოგიურ შეხედულების განვითარება მე-VIII—XIII საუკუნეთა განმავლობაში“, 2. „საქართველოს ეკონომიური ვითარება მონგოლების დროს“, 3. „ქართული სამართლის ისტორია“, 4. „ქართული ხელოვნების ისტორია“ (ორი უკანასკნელი ზოგადი ხასიათის ლექცია იყო); ექვთიმე თაყაიშვილმა — 1. „ბანის ეკლესიის გეგმა“, 2. „მოგზაურობა სოფელ ბორში“, 3. „შესახებ ასლადამოჩენილის თხზულების „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“. 4. „ქალაქის მოურავის სარგო და უფლებანი“, 5. „ზაალ ორბელიანის არზა ირაკლი II-ისადმი“, 6. მეფის დარბაზობა და სიგელის გაცემის წესი საქართველოში“, 7. „ქართლ-კახეთში მოგზაურობის შესახებ 1911 წელს“ და სხვ. (სულ 13 მოხსენება); კორნელი კეკელიძემ — 1. „ქართული აგიოგრაფიული მწერლობის სამეცნიერო მნიშვნელობა“, 2. „ორი კვირა გელათის მონასტერში“, 3. „ანტონ კათალიკოსის სალიტერატურო მოღვაწეობა“; პაველ ინგოროყვამ — 1. „მოგზაურობა დასავლეთ საქართველოს სამონასტრო წიგნთსაცავებში 1912 წელს“, 2. „ნიკ. ბარათაშვილი და ქართული ლექსის პრობლემა“, 3. „აკაკი“ (ლექცია); სერგი გორგაძემ — 1. „მეფე ადერკი და ეგრეთწოდებული ორმეფობა ძველ ივერიაში“, 2. „ადერკი მეფიდან მირიანამდე“, 3. „ივერიის მეფე ვახტანგ I და მისი დრო“ და სხვ. (სულ 13 მოხსენება); ალექსანდრე სვანიძემ — 1. „ძველი თქმულებანი ამაზონებზე და არგონავტებზე და მათი ისტორიული სარჩული“, 2. „ასურული ლურსმული წარწერანი ქართველ ტომთა შესახებ და მათი განმარტება“ და სხვ. ცალკეულ პრობლემებზე მოხსენებები გააკეთეს: ალექსანდრე ხახანაშვილმა, იოსებ ყიფშიძემ, აკაკი

შანიძემ, დავით კარიჭაშვილმა, იუსტინე აბულაძემ, პოლიექტოს კარბელაშვილმა, ვასილ კარბელაშვილმა, ლეონ მელიქსეთ-ბეგმა, გიორგი ჩუბინაშვილმა, ალექსანდრე სარაჯიშვილმა, ვაჰან გაბინიანმა, ამბროსი ხელაიამ, სარგის კაკაბაძემ, ალექსანდრე ჯავახიშვილმა, მიხეილ ყიფიანმა, მოსე ჯანაშვილმა, გრიგოლ ყიფშიძემ, სევასტი გაჩეჩილაძემ, ილია კარგარეთელმა და სხვ.

ნიშანდობლივია, რომ თითოეული მოხსენების დასახელება, დრო და ადგილი წინასწარ ცხადდებოდა პრესაში. ზოგჯერ მოხსენების დაწერილებითი გეგმაც ქვეყნდებოდა. ნათელი წარმოდგენა რომ გვექონდეს ცალკეული მოხსენებების განხილვის შესახებ, მოვიტანთ სრულ ამონაწერს ერთი ტიპური სხდომის ოქმიდან (სტილის ზუსტი დაცვით):

„კრება გაიხსნა საღამოს 8 1/2 საათზე, თავად-აზნაურთა საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2), ექვთიმე ხე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრენ ნამდვილი წევრები: გიორგი ნ. ყაზბეგი, ანტ. ფურცელაძე, დეკანოზი ნ. თალაკვაძე, დეკანოზი კორნელი კეკელიძე, მღვდ. ვას. კარბელაშვილი, მღვდ. ილია შუბლაძე, ექიმი ვახტ. ღამბაშიძე, ექიმი აბ. იაშვილი, გრ. ყიფშიძე, ალ. ყიფშიძე, ალ. ივ. სარაჯიშვილი, დ. კარიჭაშვილი, პ. მირიანაშვილი, იუსტ. აბულაძე, ალ. მიქაბერიძე, მასწ. ანდრიაშვილი, ჯორჯაძე, ტყავაძე, ს. გორგაძე და გარეშე საზოგადოება (მრავლად).

I. პირველად კრებამ მოისმინა თავმჯდომარის მოხსენება ცნობილი მწერლის და ქართველი ერის მეგობრის მარჯორი უორდროპის გარდაცვალების შესახებ. ზეზე ადგომით პატივი სცა მის ხსოვნას და დაადგინა მიცვალებულის ძმას სამძიმრის წერილი და დეპეშა გაუგზავნოს. კრებამ ზეზე ადგომით პატივი სცა, აგრეთვე, „საზოგადოების“ წევრთა: თავ. თათარხან დადიშკელიანის და მარიამ ივანეს ასულ დემურიანს ხსოვნას.

II. შემდეგ კრებამ მოისმინა წინანდელ კრებათა ოქმები და დაამტკიცა იგინი.

III. ბოლოს, კრებას მოხსენდა ს. რ. გორგაძის რეფერატი

„ივერიის მეფე ვახტანგ I და მისი დრო“. შემდეგი პროგრამით: 1. ვახტანგის წინამოადგილენი და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა 368 წლიდან 450 წლამდე; 2. ვახტანგის ვინაობა და მისი მეფობის თარიღები; 3. ამიერ და იმიერ საქართველოს მდგომარეობა.

რეობა ვახტანგის მეფობის პირველ პერიოდში: ლაზიკის მეფე გუბაზ I, სარაგურების შემოსევა, ვარსკენი და წმ. შუშანიკი; 4. ივერიისა და სომხეთის აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ, სპარსელების გამარჯვება და მათი გავლენის გაძლიერება საქართველოს ორსავე ნაწილში; 5. კათალიკოზობის დაარსება, მისი მიზეზები, თარიღი და პირველი კათალიკოზის ვინაობა; 6. ვახტანგის უკანასკნელი საქმენი და გარდაცვალება.

რეფერატმა ცოცხალი და სანგრძლივი კამათი გამოიწვია. ილაპარაკეს: მღვდ. ვასილ კარბელაშვილმა, პეტრე გრ. მირიანაშვილმა, ანტონ ნიკ. ფურცელაძემ, ექვთიმე სვ. თაყაიშვილმა, დავით გიორგ. კარიჭაშვილმა, იუსტ. ირ. აბულაძემ და თვით რეფერენტმა, რომელმაც პასუხი გასცა მოპირდაპირებს.

მღვდ. ვასილ კარბელაშვილი: 1) ბ-ნი რეფერენტი შეესო, სხვათა შორის, ქართული ანბანის ისტორიას და გამოსთქვა აზრი, ვითომ ამ ანბანის მოწყობაში რაიმე წილი სდებოდეს სომხის არქიმანდრიტს მესრობს; მე მგონია, ანბანი ქართველებს მე-V საუკუნეზე ბევრით ადრე უნდა ჰქონებოდათ და მესრობს ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ უნდა ეკუთვნოდეს; 2) რეფერენტის აზრით, ვახტანგის დროს საქართველოს ეკლესიას მსოლოდ პირველი ნაბიჯი გადაუდგამს დამოუკიდებლობისადმი, გარეგნულათ კი ისევ ანტიოქიის კათედრაზე დარჩენილა დამოკიდებული, ხოლო სრული დამოუკიდებლობა მე-XI საუკუნეში მიუღია. არ შემძლია ამ აზრს დაეთანხმო: პროფ. მარრის მიერ გამოქვეყნებულ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოთხრობილია მცხეთის კათალიკოსის არჩევის ამბავი, სადაც ნათლათ ხჩანს, რომ მე-XI საუკუნეში უკვე ქართველები ადგილობრივ ირჩევდენ და ხელდასხამდენ კათალიკოზს, ანტიოქიის პატრიარქს ამის შესახებ იგინი არავითარს ანგარიშს არ უწევდენ; 3) დასასრულ, არ შემძლია საზოგადოთ საყვედურით არ მოვისხენიო ის პირნი, რომელნიც ჩვენი საისტორიო წყაროებისადმი სრულს უნდობლობას იჩენენ და სამაგიეროდ სომხურსა და ბიზანტიურ წყაროებს ძლიერ უჯერიან.

ს. გორგაძე: 1) არსებითად მეც თანახმა ვარ იმ აზრისა, რომ ანბანი ქართველებს არა თუ მესრობამდე, არამედ ქრისტეს წინაც ჰქონდათ (იხ. ჩემი, წერილები საქართველოს ისტორიიდან ნაწილი I, თავი II); მაგრამ შესაძლოდ მიმაჩნია, ის ანბანი სრული არ ყოფილიყოს და შემდეგს დროებში კიდევ დასჭირებოდეს შევსება-შესწო-

რება ქართული ენის ფონეტიკის თანახმად. როგორც სომხის ისტორიკოსები მოწმობენ, მესრობს და ორ ქართველ მეცნიერს (ეპისკოპოსს მოსეს და ვიდაც ჯახს) ეს საქმე დაუმთავრებიათ, სახელდობრ „მოლწყეიათ.“ (რუსულ თარგმანში „УСТРОИЛИ“) ქართული ანბანი. ქართველ და სომეხ მეცნიერთა კოლექტიური მუშაობა იმ პერიოდში ჩემთვის არაფერს შეუძლებელს არ წარმოადგენს, რადგან იმ დროს, როგორც დღევანდელი რეფერატიდანაც დაინახეთ, სომხეთს და საქართველოს პოლიტიკური ინტერესებიც კი ხშირათ ერთი ქქონდათ (მაგ. აჯანყება სპარსეთის წინააღმდეგ), ხოლო ქალკედონის კრების წინ, რომელ ხანასაც მესრობის შესახებ ცნობა ეკუთვნის, ამ ორ მხარეს საეკლესიო სფეროშიაც ბევრი რამ საერთო ქქონდათ: ქართველი საიერარქიო კანდიდატები ბევრჯერ სომხეთში იღებდენ განათლებას (იობ, ნერსეს სომხის კათალიკოსის დიაკონი, რომელიც შემდეგ მცხეთის მთავარ-ეპისკოპოსი გახდა) აგრეთვე სომხები — საქართველოში (მაგალ. თვით ლაზარე ფარპელი). 2) ავტოკეფალიის შესახებ მამა ვასილ კარბელაშვილის მიერ მოტანილი ფაქტი (გრიგ. სანძთელის ცხოვრებიდან) ჩემს დღევანდელ რეფერატში გამოთქმულს აზრს ვერ არღვევს, არც საზოგადოთ იმ აზრს ეწინააღმდეგება, რომელსაც მე ვადგივარ ჩვენში ავტოკეფალობის თანდათან დამყარების შესახებ; მამა კალ. ცინცაძესთან ერთად (რომელსაც მე დღევანდელ რეფერატშიაც ვემყარები), მეც იმ აზრისა ვარ, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობამ ისტორიული სამი საფეხური გაიარა: ა) მე-V საუკუნეში კათალიკოზობა და შინაგან მართვა-გამგეობაში დამოუკიდებლობა; ბ) მე-VIII საუკუნეში (ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს დროს) — კათალიკოზის ადგილობრივ არჩევაცა და კურთხევაც, მაგრამ უზენაესი მეთვალყურეობა მაინც ანტიოქიის პატრიარქისაგან; გ) ხოლო მე-XI საუკუნეში სრული „თავისუფლება და ავტოკეფალობა“, როგორც ვალსამონი ამბობს (იხ. კალ. ცინცაძის «Автокефалія церкви грузинской», Тфл., 1905 г. და ჩემი Автокефальность груз. церкви“ ჟურნალს „Дух Вѣст. экзархата“ за 1905 г. № № 21—22, 23—24). მაშასადამე არც გასაკვირალია, რომ მე-IX საუკუნეში ქართველ ეპისკოპოსებს კათალიკოზი მცხეთაშივე აერჩიოსთ და ეკურთხებიოსთ, როგორც პროფ. მარრის მიერ გამოქვეყნებული „გრიგოლ სანძთელის ცხოვრება“ მოწმობს. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, ვითომც იმ დროს სხვა საკითხებშიაც აღარაფერი იურიდიული დამოკიდებულება აღარ ქქონებოდეს ჩვენს ეკლესიას ანტიოქიის პატრიარქთან. საკუთრივ ნიკ. მარრის აზრი ამ საგნის

შესახებ ძალიან საინტერესოა: იგი სცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველოს ეკლესია თავიდანვე დამოუკიდებელი იყო და ანტი-ოქურსა და ზოგიერთს ქართულ წყაროს არ უჯერის, — მაგრამ პირადათ ჩემთვის მისი საბუთები ამ საკითხში კმასაყოფელნი არ არიან. თუ დღემდე იმავე აზრს ვადგივარ, რაც ჩემი შრომის „საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისის“ მე-IV თავში გამოვთქვი: საქართველოს ეკლესია 326 წლიდანვე ანტიოქიის კათედრას დაექვემდებარა; და ავტოკეფალობაც შემდეგში ამ კათედრიდან უნდა მიეღო, და კიდევაც მიიღო. გ) დასასრულ ვ. კარბელაშვილის საპასუხოდ, არ შემიძლია ჩემს თავზე მივიღო ის საყვედური, რომელიც მან გამოსთქვა ჩვენი ისტორიის მკვლევართა შესახებ. მართალია, მე უფრო მეტის ნდობით ვეპყრობი საკამათო ეპოქის თანამედროვე ბიზანტიურსა და სომხის მწერლებს, ვინემ „ქართლის მოქცევასა“ და „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნაწილს, მაგრამ სრული უნდობლობით არც ამ უკანასკნელებს ვუცქერი, პირიქით, ჩემს მოხსენებაში ვცდილობ, რამდენათაც კი შესაძლოა, ამათი ცნობანი შეეუთანხმო მსოფლიო ისტორიისა და უცხოეთის მწერალთა ცნობებს ჩვენს შესახებ. მაგრამ სადაც ამგვარი შეთანხმება არ ხერხდება, ან კიდევ სადაც „ქართლის მოქცევასა“ და „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ერთმანეთს ეწინააღმდეგება ან ცხადათ საზღაპრო ხასიათს ატარებს იქ უპირატესობას ვაძლევ უცხოეთის თანადროულ მწერალთა ცნობებს (ამჟამინ მარცელიანი, პრისკ პანიტი, ლაზარე ფარპელი, პროკოპი კესარიელი). ქართულ წყაროთა შორის კი ამავე ეპოქის შესახებ მე დიდის ნდობით ვეპყრობი შუშანიკის „მარტივილობას“, რომელიც, როგორც რეფერატშიც მაქვს ნათქვამი, მე-V საუკუნისავე ბოლო წლებში უნდა იყოს დაწერილი, მაშასადამე, თანამედროვისაგან (იაკობ ხუცესი — შუშანიკის მოძღვარი). სჩანს, მე ქართულ წყაროებს სრული უნდობლობით არ ვექცევი, თორემ ამგვარ ფაქტებს ხომ ადგილიც არ ექნებოდა. — (ამ უკანასკნელ შენიშვნაზე ვ. კარბელაშვილმა უთხრა რეფერენტს: მე თქვენ არ მყოლიხართ სახეში, სხვებზე ვამბობდი).

პეტრე მირიანაშვილი: 1) ვახტანგ მეფის ზედმეტ სახელის „გურგასლანის“ შესახებ რეფერენტმა მხოლოდ გაკვრით სთქვა: ეს სახელი შემდეგში უნდა იყოს შეთხზულიო და კარგად არ გამოარკვია, სახელდობრ, თუ როგორია ამ სიტყვის ეტიმოლოგია, ან რა დროს უნდა შეეთხზათ იგი; 2) გაკვრით აღნიშნა, აგრეთვე, ავტორმა, რომ პეტრე მღვდელი და კათალიკოზობის საკითხის საბო-

ლოთ გადაწყვეტა ბიზანტიის იმპერატორმა ანტიოქიის პატრიარქს გადასცაო, მაგრამ ვრცლად არ განგვიმარტა, თუ რატომ მოიქცა ასე იმპერატორი, რატომ მაინც და მაინც ანტიოქიის პატრიარქს მიანდო ამ საქმის საბოლოო სანქცია; ამის გამო აღნიშნული საკითხი მსმენელთათვის გაუგებარი დარჩა; 3) დასასრულ, კარგი იქნება რეფერენტმა გვიჩვენოს ხელნაწერები ან დაბეჭდილი ტექსტები, სადაც სიტყვა „თავი ეპისკოპოსთა“ ნახმარი იყოს ნაცვლათ სიტყვისა „მთავარ-ეპისკოპოსი“; მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება ის განმარტება, რომელსაც რეფერენტი აძლევს სიტყვებს „თავი ეპისკოპოსთა“.

ს. გო რ გ ა ძ ე: 1) ვასტანგის ზედმეტი სახელის შესახებ ჩემს რეფერატში ბევრი არა მითქვამს რა და არც ახლა ვამბობ, რადგან ამ სიტყვის შესახებ სენკოსკის აქეთ („Библиотека для чтения“, 1838 წლ. ოქტომბერი) იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ შეუძლებელია მკვლევარმა ამ საგანზე ახალი სთქვას რამე. (შეად. სხვათა შორის Brosset — Hist. de la Georgie t. I. p. 178, შენიშვნები 1 და 2*22. ჩემი აზრი ამ სახელის შესახებ ის არის, რომ იგი ნაგვიანვედ უნდა იყოს შეთხზული ხალხის ფანტაზიით; ეს აზრი, ჩემის მხრით, რეფერატში იმით დავსაბუთე, რომ ამ სახელს თანამედროვე ლაზარე ფარპელი არ იცნობს-მეთქი, და საჭიროდ აღარ დავინახე გამემეორებია ის, რაც წინათ მრავალჯერ თქმულა და გადაღეჭილა. 2) მართალია, დღევანდელ რეფერატში გაკვრით შევესე, აგრეთვე, საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულებას ანტიოქიის პატრიარქზე, მაგრამ სამაგიეროთ ამ საგანზე სიტყვა მქონდა ჩემს წინანდელ რეფერატში, რომლის შესახებაც ოქმი დღეს მოგახსენეთ, და რომლის გაგრძელებასაც დღევანდელი რეფერატი წარმოადგენს; ამას გარდა, აღნიშნულ საკითხზე ცალკე შრომა მაქვს უკვე გამოქვეყნებული: „საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი“, რომლის მე-V თავში („მოამბე“ 1905 წ. № 5) ეს საკითხი ვრცლად არის განხილული და შეძლებისამებრ დასაბუთებულია ის აზრი, რომ საქართველოს ეკლესია 326 წლიდანვე იურიდიულად ანტიოქიის კათედრას დაექვემდებარა და არა კონსტანტინოპოლისას, სადაც ამ დროს, 326 წელს, არც კონსტანტინოპოლი არსებობდა და არც კონსტანტინოპოლის პატრიარქი, სოლო

²² ბროსეს თანახმად, ამ სიტყვას („ვოლგახარი“ — „გორვახარი“) ნიკ. მარრი ასე განმარტავს: ეს არის სპარსული სიტყვა და ნიშნავს „ვოლგისთაიანს“ („волгоголовыиъ“). იხ. «Тезисы и разыск, по арм.-груз. фил.» т. IV, ბოლოში ლექსიკონი საკუთარი სახელებისა (კვერდი-რეე).

აღმოსავლეთში უპირატესობა ეკუთვნოდა ანტიოქიის კათედრას, რომლის მღვდელ-მთავარიც ევსტათე 325 წელს ნიკეაში თავმჯდომარეობდა პირველ მსოფლიო კრებას (ამ კრებამ დააკანონა ანტიოქიის კათედრის უპირატესობანი აღმოსავლეთში) და შემდეგ, როგორც ანტიოქური და ქართული წყაროები მოგვითხრობს, ასლად მოქცეულ საქართველოსაც უკურთხა პირველი სამღვდლოება. ამას შემდეგ საქართველოს ეკლესია ანტიოქიის კათედრას დაექვემდებარა იურიდიულად. ცხადია, მე-V საუკუნეშიაც საქართველოს საეკლესიო საკათოსს ბიზანტიის იმპერატორი იმავე ანტიოქიის კათედრას მიანდობდა საბოლოოდ გადასაწყვეტად და, როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, ეს მართლაც ასე მომხდარა. 3) დასასრულ ორიოდე სიტყვა ბ-ნის პ. მირიანაშვილის უკანასკნელი შენიშვნის შესახებაც. სიტყვა „თავი ეპისკოპოსთა“ მე პირველად მხედება შუშანიკის „ცხოვრებაში“, ხოლო „მთავარ ეპისკოპოსი“ — შატბერდულ ქრონიკაში, „ქართლის ცხოვრებაში“ და მრავალგან სხვაგანაც. რაც შეეხება ამ ორი სიტყვის მნიშვნელობას, ჩემის აზრით იგინი ორივე უდრის ბერძნულ „არსი-ეპისკოპოს“-ს. როგორც სჩანს ამ ბერძნული ტერმინისათვის შუშანიკის „მარტილობის“ აღწერის დროს (მე-V საუკუნეში) ქართველებს ჯერ კიდევ არა ჰქონდათ შემუშავებული ტერმინი „მთავარ-ეპისკოპოსი“ და უხმარიათ სიტყვა „თავი ეპისკოპოსთა“ სწორედ ისე, როგორც საერო უწყებაში ერთი მეორის ნაცვლათ ისმარებოდა სიტყვები: „ერის-თავი“ და „ერის-მთავარი“, რომელთაგან არცერთი არ უდრის მონარქს ანუ „მეფეს“, ანალოგიის ძალით ჩემთვის ცხადია, რომ არც „თავი ეპისკოპოსთა“ უნდა უდრიდეს „კათალიკოსს“; იგია მხოლოდ პირველი ცდა „არსი-ეპისკოპოსის“ გადმოქართულებსა; სჩანს, მე-V საუკუნეში მრავალი საეკლესიო ტერმინი ჯერ კიდევ არ ყოფილა ქართულად ნათარგმნი: ამას ამტკიცებს იგივე შუშანიკის „მარტილობა“, სადაც უთარგმნელათ გვხვდება სიტყვები: „ევანგელიე“ (სახარება), „გალიაკი“ (ოთახი), „იონნი“ (ბერძნები) და სხვანი.

ანტონ ფურცელაძე: 1) ჩემთვის საინტერესოა ვიცოდე, თუ რა აზრისაა რეფერენტი ქართულ ანბანთა შესახებ: რომელი უფრო წინეთაა შემოდებული — მხედრული, როგორც ილ. ოქრომჭედლიშვილი ამტკიცებდა, თუ ხუცური? 2) ამას გარდა, ჩემთვის გაუგებარია ის უნდობლობა, რომელსაც „ქართლის ცხოვრებას“ რეფერენტი უცხადებს ვახტანგის მეფობის შესახებ: პირადათ მე დაკვირვებით

კადაკითსული მაქვს „ქ. — ცხოვრების“ ის ნაწილი, სადაც მონგოლების ეპოქაა აწერილი, და უნდა მოგახსენოთ, რომ იქ ზღაპრული არა არის რა, პირიქით თითქმის ყოველი ცნობა სინამდვილის ბეჭედს ატარებს.

ს. გორგაძე: 1) სანამ ქართული ანბანის შესახებ რაიმე ვადაჭრილ აზრს დავადგებოდი, მე გავეცანი ყველა მკვლევართა აზრს ამავვე საგნის შესახებ, მათ შორის ბროსესას, ილ. ოქრომჭედლიშვილისას, დიმ. ბაქრაძისას და სხვათა; ვიშოვე აგრეთვე მთელი ქვეყნის ანბანთა პალეოგრაფიული ცხრილები (Шницлеръ—Иллюстр. всеобщ. исторія письменъ Спб. 1903 г.); შევეუდარე ამ ცხრილებს ოქრომჭედლიშვილის. მსგავსება მართო ზუთ თუ ექვს ასოში გამოისატება (ა, ი, დ, პ, მ, ლ). დანარჩენ ასოთა შორის მსგავსება ან სრულიად არ არის, ან უბრალო გარეგანს მოხაზულობის საზოგადო ხასიათს არ აღემატება (იხ. ჩემი „წერილები საქ. ისტორიიდან“ ნაწ. I, თავი II). ამასთანავე მხედველობაში მივიღე შემდეგი ორი გარემოება: ა) დიმ. ბაქრაძემ საკმაოდ დაასაბუთა (იხ. მისი „Груз. палеография“ в „Тр. У археол. съезда в Тифлисе“, Москва, 1887 г., стр. 207—214), რომ დღევანდელი მხედრული გენეტიურად განვითარებულა ხუცურისაგან და რომ უუძველესი ქართული ანბანი არის ასო-მთავრული ხუცური და არა მხედრული; ბ) სახეში მივიღე აგრეთვე, რომ ასო-მთავრული ქართული ანბანი არც ერთს ანბანს ისე ასლო არ უდგას, როგორც VII—VI საუკუნის (ქრ. წინ) არამეულს ანბანს: აქ ასოთა მოხაზულობაც ერთგვარია, მათი მოყვანილობაც (ბ, გ, ე, ვ, თ, ი, წ), ძირითადი ელემენტება ასოებისა იქაც და აქაც ერთი და იგივეა (ა, დ, ზ, ღ, კ, ლ, მ, თ, შ; ს; ტ—ც—ჩ), რიგიც ასოებისა ერთი და იგივეა, ხოლო ორი ასო (ზ და შ) იქაც და აქაც ერთსა და იმავე სახელს ატარებს („ზენ“, „შინ“); მე-IV და III საუკუნის (ქრ. წინ) არამეული ანბანი კი უკვე ისე აღარა ჰგავს ჩვენს ასო-მთავრულს. ყველა ამ საბუთის ძალით მე დავადექი იმ დასკვნას, რომ ქართველებს ანბანი უნდა შემოეღოთ ქრ. წინ მე-VI—V საუკუნეში, როცა იგინი სპარსეთს ემორჩილებოდნენ, არამეული ანბანის მიხედვით, რომელიც იმ საუკუნეებში მართლაც გავრცელებული იყო სპარსეთში და მესობოტამიაში სირიითურთ, ე. ი. სწორეთ იმ ქვეყნებში, რომლებთანაც ქართველებს უხსოვარის დროიდან ჰქონდათ მჭიდრო კულტურული კავშირი (იხ. ჩემი „წერ. საქ. ისტ.“ ნაწ. I, თავი II). 2) ჩემს დღევანდელ რეფერატში მთელს „ქართლის ცხოვრე-

ზას“ არ შეესებოდა; საუბარი მქონდა მსოლოდ მის უძველეს ნაწილზე, რომელიც თავისი დღევანდელი სახით, უეჭველია, თანამედროვეთაგან არაა შედგენილი; ესევე უნდა ითქვას „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაზედაც: მაგალითად, ორსავე წყაროში ჩვენ გვხვდება (ვახტანგის დროსა და წინათაც) ქალაქი „ბაღდადი“, რომლის აშენებაც არაბებმა მსოლოდ 762 წელს დაიწყეს; ცხადია, მაშასადამე, რომ ორსავე ჩვენი წყაროს დღევანდელი რედაქცია მე-VIII საუკუნეზე ადრე არ შეიძლება იყოს შედგენილი; მაგრამ ცალ-ცალკე ცნობები, რასაკვირველია, შესაძლოა უფრო ადრინდელ დროსაც ეკუთვნოდეს. მეც ჩემს რეფერატში ცვდილობდი სწორეთ ამგვარი ცნობები შემომეკრიბა ჩვენი წყაროებიდან: რამდენათ მივადღწიე ამ მიზანს, დაე მცოდნე პირებმა დააფასონ.

ე. ს. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი: 1) ჩვენს რეფერენტს ზოგიერთებმა უკიჟინეს: ქართული მატრიანისა და ქრონიკისადმი დიდს უნდობლობას იჩინო. მე კი მგონია, რომ, პირიქით, რეფერენტი ამ წყაროთადმი გაცილებით მეტს ნდობას იჩენს, ვინემ ესენი ღირსნი არიან. განსაკუთრებით „ქართ. ცხოვრების“ ის ადგილი, სადაც ვახტანგზეა მოთხრობილი, მრავალს ლეგენდას წარმოადგენს და, ცხადია, თვით ვახტანგის ეპოქაზე გაცილებით გვიან უნდა იყოს შედგენილი. თვით „ქართლის ცხოვრებაში“ პირდაპირაა ნათქვამი, რომ არჩილ მეფისა (VIII საუკ.), მირიანისა და ვახტანგის „ცხოვრება“ ლეონტი მროველმა აღწერაო (მარიამ დედოფლის ვარიანტი ქ.-ცხ., გვ. 211). უეჭველია, როცა ამ „ცხოვრებებს“ ადგენდა, ავტორს უუძველესი წერილობითი წყაროებიც ექნებოდა ხელში, როგორც ეს დღეს მტკიცდება „ქართლის მოქცევის“ ჭელიშური ვარიანტიდან, მაგრამ, როგორც სჩანს, უკვე იმ მასალებში ვახტანგის შესახებ გასვიადებული აზრი ყოფილა გატარებული (ქრონიკაში იგი წოდებულია „დიდი ვახტანგ გორგასარი“). სიტყვა, „ბაღდადი“ კი, ჩემის აზრით, გვიანდელ გლოსსას უნდა წარმოადგენდეს. 2) რაც შეეხება ვახტანგის ზედმეტ სახელს „გოგრ-ასლანს“, მართლაც, უკვე კარგა ხანია, რაც მკვლევრებმა გამოარკვეეს, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილი თურქული სიტყვაა და არ შეიძლება თვით ვახტანგის დროს მიეწეროს. 3) რეფერენტი სამართლიანად იქცევა, როდესაც უარყოფს საბინინის არა კრიტიკულ გამოცემაზე დამყარებულ აზრს იე. ჯავახიშვილისას პირველი კათალიკოსის ენჩაობის შესახებ: პირველ კათალიკოსად ყველა წყაროში პეტრეა წოდებული და არა სამოელ, რომელიც ყველგან მოხსე-

ნებულთა მეორე კათალიკოსად. 4) ქართული ანბანის შემოღების შესახებ კითხვა ჯერ-ჯერობით საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის: ჩვენს რეფერენტს ამ საკითხის შესახებ გამოთქმული აქვს ერთ-ერთი შესაძლო პასუხი, რომელიც მოკლეთ დღეს კამათის დროს გაგაცნოთ. თუმცა, ჩემის ფიქრით, შესაძლოა სხვაგვარი პასუხიც, სახელდობრ: რადგან უშუალოდ ქართული ფულები (სახანიანთა დროისა, ცეცხლის ემბლემით) ფეპლეური წარწერებით გვხვდება, უშუალოდ სუცური წარწერაც მე-VI საუკუნეს ეკუთვნის (გურგენის ფულზე), ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მსედრულიცა და სუცურიც ერთ დროს უნდა შემოეღოთ, პარალელურად, ჩვენს წინაპრებს; ან კიდევ შეიძლება, როგორც ოქრომჭედლიშვილი. ჰფიქრობდა, მსედრული უშუალოდ იყოს სუცურზე, მაგრამ ვიმეორებ, დღეს-დღეობით ამ საკითხზე ყოველი პასუხი ჰიპოთეტური ხასიათისა იქნება, რადგან მის გადასაჭრელად საკმაო მასალები არ მოგვეპოვება. 5) ბ-ნმა ანტონ ფურცელაძემ ბრძანა: „ქართლის ცხოვრებაში“ მონაგობების ეპოქის ისტორია საოცარის სინამდვილით არის აწერილი; მართალი გასლავთ; იქ სხვა პერიოდის ისტორიაც სინამდვილითაა აღწერილი თანამედროვეთაგან; მაგრამ ეს სრულებით არაფერს ამტკიცებს „ქ.-ცხოვრების“ უშუალოდ ნაწილის შესახებ, რადგან, როგორც დღეს უკვე გამორკვეულია, „ქართლის ცხოვრება“ არ წარმოადგენს ერთგვარი ხასიათისა და სინამდვილის მასალას: იგია საისტორიო კრებული, რომლის სხვა და სხვა ნაწილები სხვა და სხვა დროსა და სხვა და სხვა პირთაგანაა შედგენილი; ამიტომ გასაკვირველიც არაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ სხვა და სხვა ნაწილები ერთგვარი ნაწილის დირსნი არ იყონ. 6) დასასრულ, რამოდენიმე სიტყვა თვით ვახტანგის ისტორიული პიროვნების შესახებ: დღეს აღარავინ უარყოფს იმას, რომ ვახტანგი ნამდვილი ისტორიული პირია. ლაზარე ფარპელის მოწმობაც რომ არ გვექონოდა, ჩვენთვის ისედაც ცხადი იქნებოდა ეს ჭეშმარიტება, რადგან ამას ამტკიცებს თვით იმ ლეგენდების სიუხვე, რომელთაც ჩვენი მათიანე ვახტანგს მიაწერს; როგორც ზემოთ შევნიშნე, ქრონიკაშიაც ვახტანგი „დიდად“ არის წოდებული; აგრეთვე ხალხშიაც დარჩენილა ლექსები ვახტანგის გმირობის შესახებ. ყოველივე ეს თავისთავად ნათელყოფს, რომ ვახტანგ მეფე ნამდვილად არსებულა, როგორც ისტორიული პირი; წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ არც ლეგენდები და საისტორიო თქმულებანი გაჩნდებოდა მის შესახებ. მაგრამ ლეგენდარულია და არა-ისტორიულია ის სახე, რომლითაც ამ მეფეს ჩვენი მათიანე და

ხალხის ფანტაზია გეისატავს, ამ შემთხვევაში რეფერენტის ცლა ჭკუშარატად ყურადღების ღირსია: იგი სცდილობს ვასტანგს მოაშოროს ყველაფერი, რაც ლეგენდარულ სასიათს ატარებს, და დაგვისატოს ვასტანგის პიროვნება და მისი ეპოქა — როგორც ისტორიული სინამდვილე.

და ვ ი თ კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი: ვეთანხმები იმ აზრს, რომ ვასტანგის „ცხოვრებაში“ მათიანის შემდგენელს მრავალი ლეგენდა შეუტანაა. ეს ლეგენდები რეფერენტმაც აღნიშნა ვაკვრით. მაგრამ სრულიად უყურადღებოდ დასტოვა ის ნიადაგი, რომელზედაც ეს ლეგენდები უნდა აღმოცენებულიყოს. სახელდობრ, ავტორი ვრცლად არ შეესო იმ სარწმუნოებრივს ბრძოლას, რომელიც სწარმოებდა ვასტანგის წინ და მის დროს ქრისტიანობასა და ცეცხლის-თაყვანისმცემლობას შორის და რომელიც, ჩვენის ფიქრით, წარმოადგენს ერთ უძლიერეს ფაქტორთაგანს, რომლის ნიადაგზედაც, სხვათა შორის, უნდა აღმოცენებულიყო ვასტანგის შესახებ ლეგენდები. სჩანს, სარწმუნოებრივს სფეროში ვასტანგს იმდენად დიდი ღვაწლი გაუწევია სამშობლოსათვის, რომ ქრისტეს მორწმუნე ხალხს გმირი მეფის შესახებ იმ თავითვე მკითხავ გაზვიადებული აზრი შეუდგენია და მისი პიროვნება მრავლის ლეგენდით შეუმოსავს. რეფერენტს საზოგადოდ ამ ლეგენდათა წარმომშობ მიზეზთათვის, მათი გენეზისისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია, — და ამიტომ არ შემძლია ეს გარემოება მისი რეფერატის ერთ უმთავრეს ნაკლად არ ჩავთვალო.

ს. გ ო რ გ ა ძ ე: 1) უჩვენებს თავის რეფერატიდან ოთხს ადგილს (არჩილისა, მირდატისა, ვასტანგის მეფობის დასაწყისისა და ვარსკენ-შუშანიკის ცხოვრებიდან), სადაც მას ლაპარაკი შქონდა ცეცხლის თაყვანისმცემლობისა და ქრისტიანობის ბრძოლაზე; მოაგონებს აგრეთვე ადგილებს კათალიკოზობის დაარსების შესახებ, რაზედაც რეფერატი ძლიერ ბევრია ნალაპარაკები. შემდეგ განაგრძობს: ბ-ნი კარიჭაშვილი, ალბათ, ან გვიან მობრძანებულა და აღნიშნული ადგილების კითხვას არ დასწრებია, ან საკმაო ყურადღებით არ მოუხმენია იგინი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ არც მიკიყინებდა, სარწმუნოებრივს მხარეს ვრცლად არ შეხებიხართ: მე, ვგონებ, სწორეთ ამ მხარეში სომიერებას. გადავაჭარბე, ასე რომ კიდევ ვშიშობდი, სარწმუნოებრივ საკითხებზე ლაპარაკით თავი ხომ არ მოვაბეზრე-მეთქი დამსწრე საზოგადოებას. ამიტომ უსაბუთოდ მიმაჩნია ბ-ნ კარიჭაშვილის ჩემდამი საყვედური ამ საგნის შესახებ. 2) ვეთანხმები ბ-ნს კა-

რიჭაშვილს, რომ ჩემს რეფერატში დიდათ არ შეეხებოდა ვასტანგის შესახებ ლეგენდების ისტორიას (გენეზისს), თუმცა თვითონ ლეგენდები კი აღვნიშნე. მაგრამ არ ვეთანხმები იმაზე, ვითომც ეს გარემოება ჩემი რეფერატის ერთს უმთავრეს ნაკლს წარმოადგენს: როგორც მოგახსენებთ, მე ვწერ ქართველი ერისა და მისი მოღვაწეების ისტორიას, და არა ქართულ ლეგენდათა და ზეპირ-სიტყვაობის წარმოშობის ისტორიას; ამ უკანასკნელს მე მხოლოდ გაკერით შემოძლია შევეხო, რამდენადაც ამას მოითხოვს ჩემი რეფერატის უმთავრესი საგანი, და ამით ჩემს გამოკვლევას არსებითად არა ევნება რა. ჩემთვის, როგორც ერის ცხოვრების და არა სიტყვიერების მკვლევარისთვის, საკმაოა ვიცოდე, რომ ესა თუ ის თქმულება მართლა ლეგენდაა, და არა საისტორიო ცნობა; და თუ ეს ჩემი ცოდნა არავისში ეჭვს არ იწვევს, დამშვიდებით შემოძლია ამა თუ იმ პირისა და ეპოქის ისტორიის გამორკვევა, დაწყობა-დალაგება. 3) რაც შეეხება საკუთრივ თვით ამ ლეგენდის გენეზისს, არ შემოძლია დაეთანხმო იმ ახსნას, რომელსაც ამ საგნის შესახებ ჩემი თპკონენტი იძლევა. იგი ამბობს: ამ ლეგენდათა აღმოცენების ფაქტორი, სხვათა შორის, სარწმუნოებრივი ბრძოლა უნდა ყოფილიყო. ნამდვილათ კი არც ერთი იმ ლეგენდათაგანი (ოსების შემოსევა და მათ და პაჭანიკების წინააღმდეგ ვასტანგის ლაშქრობა; საბერძნეთთან ბრძოლა, სპარსელებთან ბრძოლა, შემდეგ სპარსეთისა, აბაშეთისა და სინდეთ-ინდოეთისაკენ გმირული ლაშქრობა) სარწმუნოებრივს ხასიათს არ ატარებს, არამედ ყველანი ჩვეულებრივის საგმირო-ზღაპრული ხასიათისანი არიან. ჩემს რეფერატში მე აღვნიშნე ის ნამდვილი ისტორიული ფაქტები, რომელნიც შესაძლოა, საფუძვლად დასდებოდეს ამ თქმულებებს: ოსებთან და პაჭანიკებთან ბრძოლა — ეს, შესაძლოა, სარაგურების შემოსევას ნიშნავდეს, მხოლოდ ძლიერ დამახინჯებულს; საბერძნეთთან ვასტანგის ბრძოლა — შესაძლოა ვასტანგის ლაშქრის მონაწილეობას გულისხმობდეს ლაზიკის მეფის გუბაზ I-ლის აჯანყებაში ბიზანტიის წინააღმდეგ; სპარსელებთან ბრძოლა — ეს, შესაძლოა, ვასტანგისა და ვაჰან მამიკონიანის აჯანყების ამბავი იყოს დამახინჯებულად გადმოცემული; სოლო სინდეთ-ინდოეთ-აბაშეთისაკენ ვასტანგის გალაშქრებასაც, შესაძლოა, რაიმე ისტორიული საფუძველი ჰქონდეს „ქართლის მოქცევის“ ლაკონიურ თქმულებაში: „მაშინ წარიყვანეს ვასტანგ სპარსთა, და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცაო“; ამის შესახებ მე ვსთქვი: შესაძლოა სპარსეთის მეფეს კობადს (-კავადს) ჰუნებთან საბრძოლველად ლაშქრით გაეწვიოს თავისი ვასსალი.

ბრძოლაში გამოცდილი, მეფე ვახტანგი-მეთქი, როგორც ეს შემდეგ-
შიაც ჩვეულებათ ჰქონდათ სპარსეთის მეფეებს (მაგ. მე-XVII—XVIII
საუკუნეში გიორგი მე-XI სპარსეთის შაჰს მიჰყავს ავღანელების და-
სამშვიდებლად — ქართველის ლაშქრით). არ უარვყოფ, რომ ვახტან-
გის შესახებ თქმულებებში ზოგი რამ ხალხური ფანტაზიის ნაწარმო-
ებიც უნდა ერიოს, მაგრამ თვით ამ თქმულებათა შემადგენელის ელე-
მენტების უდიდესი ნაწილი უფრო მწიგნობრული სესხებისა და
წამბაძველობის ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს.

ი უ ს ტ ი ნ ე ა ბ უ ლ ა ძ ე: მეც მგონია, რომ „ქართლის ცხოვრე-
ბის“ ვახტანგის შესახებ ზღაპარ-თქმულებანი ირანულ-სპარსული
გავლენის ნაყოფია. ვახტანგის საგმირო საქმეები, მისი ბუმბერაზ-
გოლიათობა, ქვეყნიდან ქვეყნად გალაშქრება, ბრძოლა მისი სინდეთ-
თან, აბაშეთსა და ინდოეთთან, ყველგან და ყოველთვის უძლეველობა
მისი — ნამდვილი სპარსული ზღაპრის ნიმუშებს გვაგონებს. საზოგა-
დოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბუმბერაზობა და გოლიათობა და რაინ-
დული ხასიათი ჩვენი შორეული წარსულის დამახასიათებელია და
ყველაფერი ეს კი ცხადყოფს ირანის ძლიერს გავლენას.

ე ქ ე თ ი მ ე ს. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი: ბ-ნმა დავ. კარიჭაშვილმა
ბრძანა: ვახტანგის შესახებ „ქ.-ცხოვრების“ თქმულებანი ხალხური
ნაწარმოები უნდა იყონო. ეს რომ მართლა ასე იყოს, ამას რაღა
აჯობებდა: მაშინ „ქ.-ცხოვრებაში“ ჩვენ გვექნებოდა მეტად ძვირფასი
უშუაველესი ქართული ხალხური ნაწარმოები; მაგრამ, სამწუხაროდ, ეს
ასე არ არის: „ქართლის-ცხოვრების“ თქმულებანი ვახტანგის შესა-
ხებ ნამდვილ მწიგნობრული ჩამომავლობის ხასიათს ატარებენ: მო-
იგონეთ, თუნდ, თქმულება ნებროთიანობაზე; აგრეთვე „არაკები“
რომლებითაც ვახტანგი და სანდთა მეფე ერთმანეთს ეკამათებიან და
სხვანი. რასაკვირველია, ჩვენთვის დიდად საინტერესო იქნებოდა გა-
გვეგო, თუ საიდან და როგორ შემოიტანეს ეს თქმულებანი ჩვენს მა-
ტიანეში; მაგრამ ეს ცალკე საკითხია და მისი ვრცელი გარკვევა დღე-
ვანდელი რეფერატის ორგანიულ ნაწილს არ შეადგენს. რეფერენტი
ეცადა ვახტანგის ისტორიული პიროვნება გამოერკვია და მისი ღრო
დაეხასიათებია; მე მგონია, ამ თავის პირდაპირ მიზანს, რამდენადაც
არსებული მასალა ნებას აძლევდა, რეფერენტმა საკმაოდ მიაღწია;
და ჩვენც მოვალენი ვართ მის ცდას მადლობითა და თანაგრძნობით
მივებებოთ.

საღამოს 11¹/₂ საათზე თავმჯდომარემ ჩვეულებრივი კრება დასუ-

რულად გამოაცხადა. როცა გარეშე საზოგადოება წავიდ-წამოვიდა, თავიჯდომარემ გახსნა არა-ჩვეულებრივი კრება“²³.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების წევრების მიერ საჯარო ლექციების კითხვას. ამასთან შემოსავალი ხშირად საზოგადოების სასარგებლოდ გადაიხარჯებოდა. დიდი ინტერესი გამოუწვევია ივანე ჯავახიშვილის საჯარო ლექციებს, რომლებიც გაიმართა 1914 წლის 7 და 8 იანვარს ქართულ თეატრში. „სახალხო გაზეთი“ მკითხველს აუწყებდა: „7 და 8 იანვარს, საღამოს 8 საათზე პროფესორი ი. ჯავახიშვილი ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სასარგებლოდ წაიკითხავს ლექციებს შემდეგის პროგრამით: „საქართველოს ეკონომიური წესწყობილება და მდგომარეობა XVII—XVIII სს“. იქვე იყო დაბეჭდილი ლექციის დეტალური გეგმა. ეს იყო გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის დიდი ნაკვლევის გადმოცემა ფართო საზოგადოებისათვის. ლექციებს დიდი ინტერესი გამოუწვევია, შემოსავალიც კარგი მიუცია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის. 1914 წლის 13 თებერვლის საზოგადოების საბჭოს სხდომის ეურნალში ვკითხულობთ (იხ. № 91), რომ ქართულ თეატრში ი. ჯავახიშვილის მიერ 7 და 8 იანვარს ჩატარებულ ლექციებს საზოგადოებისათვის მიუცია წმინდა შემოსავალი 168 მან. 45 კაპ. ე. თაყაიშვილის წინადადებით საბჭომ დაადგინა წერილობითი მადლობა გადაეხადათ ივანე ჯავახიშვილისათვის. იგი საზგასმით აღნიშნავდა: „მეტად დავალებული ვართ ამ მხრით ჩვენი საზოგადოების წევრის, პროფესორ ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის მიერ, რომელიც საზოგადოების სასულიერო და საზოგადოების სასარგებლოდ თითქმის ყოველ წელს კითხულობდა ლექციებს, ან საყურადღებო მოხსენებებს აკეთებდა საზოგადო კრებაზე. ამ ლექციების საგანი იყო: ქართული სამართლის ისტორია, ძველი ქართული ხელოვნების ისტორია, ეკონომიკური სტრუქტურა და მდგომარეობა საქართველოსა, ქართველი ისტორიკოსები და მათი ნაწარმოებნი, სახელმწიფო წესწყობილება ძველ საქართველოში და სხვ“²⁴.

საჯარო ლექციები წაიკითხეს ექვთიმე თაყაიშვილმა (ქართული ფრესკების შესახებ), ალექსანდრე ჯავახიშვილმა (ქართული ანთროპოლოგიის შესახებ) და სხვ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგა-

²³ იხ. 1910 წლის 4 მარტის ჩვეულებრივი საზოგადო კრების ოქმი № 31, „ძველი საქართველო“, III, განყოფილება მესამე, გვ. 28—40.

²⁴ ე. თაყაიშვილი, მცირე უწყება..., გვ. 192.

დაეხმას საზოგადო კრებებზე წაკითხული ლექცია-მოსხენებები შემდგომში არაერთი მეცნიერული მონოგრაფიის საფუძველი გახდეს. ფართო საზოგადოებისათვის საჯარო ლექციების გამართვას წინ სხვადასხვა დაბრკოლება სვდებოდა. ჯერ ერთი, საზოგადოებას არ მოეპოვებოდა შესაფერისი ბინა, თანაც მეფის რუსეთის ადმინისტრაციის მოხელეები ძალზედ ართულებდნენ ნებართვის მიცემას ლექციის წაკითხვაზე. ცენტურა ლექციების შინაარსის წინასწარ წარდგინას თხოულობდა და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მას. საზოგადოებას სძირად ჰქონნარის გადახდაც უჭირდა ლექტორებისათვის (განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს უკანასკნელნი ძვირად აფასებდნენ თავიანთ ლექციებს).

საემქსაემლიციო სამმიანობა

(არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და სხვა სახის კვლევა-ძიება)

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება უდიდეს ყურადღებას აქცევდა სხვადასხვა სახის ექსპედიციების (როგორც თვითონ უწოდებდნენ ექსკურსიების) მოწყობას. საზოგადოების საბჭო თვლიდა, რომ საქართველოს მდიდარი წარსულის და აწმყოს სათანადოდ შესწავლა კარგად ორგანიზებული ექსპედიციებით შეიძლებოდა. საზოგადოება თავისი დაარსების უმაღ შეუდგა ამ საქმიანობას და მის წევრებს საშუალება მისცა მრავლად მოეწყოთ ექსპედიცია-ექსკურსიები, რომელთა მიზანი იყო არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვება, ისტორიული ძეგლების შესწავლა (გეგმების, სურათების გადმოღება), ხალხური სიტყვიერების მასალის შეკრება. ყველა ამ საქმის მოთავე ექვთიმე თაყაიშვილი იყო. მან ჯერ კიდევ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად ყოფნისას, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან დაიწყო ძველი ხელნაწერების შეგროვება. ექვთიმე თაყაიშვილი იგონებდა: „...საზოგადოების წევრი რომ გავხდი, მივიხედ-მოვიხედე, შევატყე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუნებურად მოგკადე ხელი, დავუწყე პატრონობა. მერე თანდათან გამიტაცა, შემიყვარდა და ვიწყე ზრუნვა დაღუპვისაგან მათ გადარჩენაზე. თან ახალ-ახალსაც ვაგროვებდი. შემოწირულსაც აღარ ვჯერდებოდი, საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე“.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება ითვალისწინებდა ეკლესია-მონასტრებში დაცული ძველი საეკლესიო წიგნების შეგროვებას. ექვთიმე თაყაიშვილმაც სწორედ ამით დაიწყო. პირველი არქეოლოგიური მოგზაურობა დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად მოაწყო 1889 წლის თებერვალში მცხეთაში. მათი მიზანი იყო სელნაწერი წიგნების მოპოვება-ჩამოტანა. კარგი სელნაწერები სექტიცხოველში უნახავთ და წამოუღიათ. ამ მოგზაურობის შესახებ სათანადოდ აღინიშნა იმდროინდელ პრესაშიც. შემდგომში ექვთიმე თაყაიშვილი დამოუკიდებლად იწყებს ფართო შემოქმედებით საქმიანობას, რომლის ერთგვარ დაგვირგვინებას წარმოადგენდა მის მიერ 1890 წ. გამოცემული „სამი სრონიკა“. მას მოჰყვა „წმინდა ნინოს ცხოვრება“, რომელიც წინა ნაშრომის გაგრძელებას წარმოადგენდა.

ექვთიმე თაყაიშვილმა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ხისტემატური კვლევა-ძიების შედეგად ბევრი ახალი, სრულიად უცნობი პირველსარისხოვანი ძეგლი აღმოაჩინა (მათ შორის „ვეფხისტყაოსანის“ 17 სელნაწერი).

1880—1890 წლებში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ფართოდ გაშლა ძალიან ჭირდა. დაიხურა ე. წ. კავკასიის მოყვარულთა საზოგადოება. შემდეგ კავკასიის ისტორია-არქეოლოგიის საზოგადოებამაც შეწყვიტა არსებობა. ორივე ეს საზოგადოება ისე მალე დაიხურა, რომ მათ სასარგებლო საქმიანობის ფართოდ გაშლა ვერ მოახერხეს.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისში გამართულ რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობას, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, რაფიელ ყრასთავი და სხვა ქართველი მამულიშვილები. ამ დროისათვის საქართველოში არქეოლოგ ბაიერნის მიერ მნიშვნელოვანი გათხრები იყო ჩატარებული (მცხეთაში), მაგრამ რატომღაც V ყრილობაზე არც ბაიერნი გამოსულა და არც მცხეთის მასალები გამოუტანიათ. ამიტომ იყო, რომ ექვთიმე თაყაიშვილი თავგამოდებით იბრძოდა უკვე აღმოჩენილი ქართული არქეოლოგიური მასალების ფართო საზოგადოების თვალსაწიერზე გატანისა და ახლის აღმოჩენისათვის.

1917 წლამდე ექვთიმე თაყაიშვილი იყო ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც ხისტემატურად აწარმოებდა გათხრებს²⁵.

²⁵ გ. ლომთათიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მთხრელი არქეოლოგი, კრებ., აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1966, გვ. 100—117.

თბილისში 1901 წ. დაარსდა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება²⁶, რომლის დამფუძნებელი წევრი (1905 წლიდან 1918 წლამდე სწავლული მდივანი და მისი ყველა გამოცემის რედაქტორი) იყო ექვთიმე თაყაიშვილი. 1902 წელს იგი თსრის მცხეთას და მეტად მნიშვნელოვან აღმოჩენებს აკეთებს (სამარსები სხვადასხვა ინვენტარით), იმავე წელს იგი მოგზაურობს სამხრეთ საქართველოში, ე. წ. „თურქეთის საქართველოში“. ექსპედიციაში ე. თაყაიშვილთან ერთად მონაწილეობდნენ სუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაიშვილი. ასალცისისა და ასალქალაქის ზოგიერთ ძეგლთან ერთად მათ გამოიკვლიეს არტაანისა და თლთისის ოლქის ძეგლებიც.

მეორე ექსპედიცია 1907 წელს მოეწყო, იმ დროს, როცა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო (დამტკიცებული იყო წესდება და მიღებული იყო სათანადო ნებართვა). ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ სუროთმოძღვარი ანატოლი კალგინი და მოხალისე ფოტოგრაფი (იგი ფრანგული ენის მასწავლებელი იყო) ედუარდ ლიოზენი. გამოკვლეულ იქნა არტაანის ოლქის კოლხს რაიონის ძეგლები და დამთავრდა თლთისის ოლქის შესწავლა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ისტორიული ძეგლები შესწავლასა და გამომზეურებას ელოდნენ. ექვთიმე თაყაიშვილი თავის თანამოაზრეებთან ერთად, განსაკუთრებით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების შემდეგ (რომლის საწესდებო მოთხოვნაც იყო წარსულის ძეგლების გამოკვლევა და დაცვა), დიდი მონდომებით ეწეოდა ამ საქმეს. ის შემდგომ იგონებდა: „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისათვისაც. პირდაპირ ამიტანა ფანტიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს“. ექვთიმე თაყაიშვილს მიუვალ ადგილებზე აგებული ტაძრებიც კი არ გამოჩენია მხედველობიდან. კოლა-თლთისში მოგზაურობისას მას სოლომონისის მღვიმე-ეკლესიაზე მოუსურვებია ასვლა. ასახელელის სიძნელის გამო თანმხლებ ფოტოგრაფს უარი უთქვამს აყოლაზე.

²⁶ ამ საქმის ინიციატორი იყო გრაფ ალექსი უვაროვის ქვრივი პრასკოვია უვაროვა. მის სახელთანაა დაკავშირებული ბევრი არქეოლოგიური გათხრა საქართველოში. გრაფინია უვაროვასთან უშუალოდ თანამშრომლობდა ე. თაყაიშვილი.

ექვთიმე კოჭლი იყო და, რა თქმა უნდა, ასვლა უჭირდა. მას იქაური მკვიდრნი (მესხები) დახმარებიან და ხელით აუყვანიათ. ამის შემდეგ დარე ფოტოგრაფს შერცხვენია და თვითონაც დიდი წვალებით ასულა მადლა. ექვთიმე თაყაიშვილი ხუმრობით იგონებდა: იქაურ მაზრის უფროსს რომ ჩემი გაჭირვება შეუტყვია, საფეხურები ამოუჭრევენებია კლდეზე და მიუვალი ეკლესია მისადგომი გაუსდიაო.

1907 წელს კოლა-ოლთისსა და ჩანგლში თავისი არქეოლოგიური მოგზაურობის დროს ე. თაყაიშვილმა აღწერა ბანას ტაძარი — „ეკლესია გუნბათიანი, დიდი, მშვენიერად ნაგები, კეთილ-მშვენიერ ადგილს“ (ვახუშტი). მის მიერ 1938 წელს პარიზში გამოქვეყნებულ წიგნში „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“, სხვა ისტორიულ ძეგლებს გარდა, მოთხრობილია ქალაქ ოლთისისა და მისი ღირსშესანიშნაობების შესახებ. შემდეგ ტაოსკარია აღწერილი. აქედან ექვთიმე ოლორში ჩასულა. გზად გაუფლია ხოფელი კოხი, სადაც თორმეტი გამაჰმადიანებული ქართველი გლეხი სახლობდა. სოფლების არკუნისისა და კალადიბის გავლით ფანასკერტს მისულა. ფანასკერტელი ერისთავების სამფლობელოში ექვთიმე თაყაიშვილი ბევრი სიძველის ნახვას ელოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. არა მხოლოდ ეკლესიები ვერ ნახა, ფანასკერტელთა ციხეც დანგრეული დაუხვდა. აქედან მეცნიერმა იმოგზაურა სოშევანქში, კარნაეაზში, ულამში, ხოსორში, ანზაეში, დაბრუნდა ყარსში და ქ. ყალიზმანის მახლობლად მდებარე სოფელ ჩანგლში ჩავიდა. აქ აღწერა ჩანგლის ჯვრის ტიპის ეკლესია, რომელსაც მეტად საინტერესო ქართული წარწერები ჰქონდა.

ექვთიმე თაყაიშვილმა თავისი მოგზაურობების დროს შეისწავლა დიდძალი ისტორიული მასალა. მართალია, ბევრი ძეგლი უკვე აღწერილი იყო, მაგრამ მეცნიერს ძველ აღწერილობაში კორექტივები შეჰქონდა და ბევრს ისეთს ახალს ნახულობდა, რასაც ფასდაუღებელი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ისტორიის რიგი საკითხების გაშუქებისათვის.

ექვთიმე თაყაიშვილმა შეისწავლა და აღწერა: კახეთში—ალავერდი, შუამთა, ბოდბე, თელავი, გრემი, იყალთო, ასმეტა და სხვ., იმერეთში—საჩხერე, ჯრუჭი, კაცხი, ქუთაისი, გელათი და სხვ., სამეგრელოში—მარტვილი, ცაიში, ზუგდიდი, წალენჯიხა, ბანძა, აბაშა, სუჯუნა და სხვ.; რაჭაში—გლოლა, ჭიორა, ღები, ონი, წესი, მრავალძალი, სხვაეა, ბუგეული, ნიკორწმინდა და სხვ.; ლეჩხუმ-სვანეთში—

ლაბკინა, ხაირძე; ლაჯანა, ორბელი, ლენტეხი, ჩოღერი, ლაშხეთი, უშგული და სსგ. 27.

ექვთიმე თაყაიშვილის ცდით ისე მოხერხდა, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ყოველწლიურად ითვალისწინებდა თანხებს ექსპედიციების (ექსკურსიების) ჩატარების მიზნით. ამ ექსპედიციებს კი დიდი სარგებლობა მოჰქონდა მეცნიერული თვალსაზრისით. 1908 წლიდან, როგორც წლიურ ანგარიშშია მოცემული, „...რამდენადაც ნავთიერი საშუალება ნებას აძლევდა, ჩვენი საზოგადოების საბჭო იღებდა მონაწილეობას სხვადასხვაგვარს საარქეოლოგიო მოგზაურობაში და ერთი საკუთარი მოგზაურობაც მოახდინა სოფელ ატენს, გორის მაზრაში“ (იხ. საბჭოს ოქმი № 24, მუხლი 5). მოგზაურობაში მონაწილეობა მიიღო საზოგადოების თავმჯდომარემ ე. ს. თაყაიშვილმა და საზოგადოების წევრმა არისტ. ვ. ქუთათელაძემ²⁸. ექსპედიციას შეუსწავლია ადგილობრივი სიძველეები და შეუძენია რამდენიმე სიგელ-გუჯარი და ხელნაწერი.

1908 წელს ბევრი საინტერესო მასალა იქნა მიკვლეული. საზოგადოებამ მიიღო ცნობა, რომ ქართლის ახალქალაქის მახლობლად გლეხებს სპილენძის ძველი იარაღები აღმოეჩინათ. ექვთიმე თაყაიშვილი დაუყოვნებლივ გაემგზავრა, მონახულა აღმოჩენის ადგილი და შეიძინა თითქმის მთელი განძი — ბრინჯაოს 17 ცული და 6 ფუთზე მეტი სპილენძის ზოდები, რომლებიც თიხის ჭურჭლით ყოფილა დაფლული²⁹.

1909 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ახლად-დაარსებული მუზეუმისათვის შეუწირავთ საჩხერეში ნაპოვნი სპილენძის ძველებური, უჩვეულო მოყვანილობის ცული. შემდეგ წელსაც სხვადასხვა ნივთები უპოვიათ. 1910 წელს ე. თაყაიშვილი საგანგებოდ ჩასულა საჩხერეში, უნახავს ნივთებიც და მათი მოპოვების ადგილიც. შემდეგ მას თხრილი გაუჭრია ამ ბორცვზე და ცსოველთა ძვლები და სპილენძის წვრილი საგნები უპოვია. აქვე ყოფილა თიხის ჭურჭლის ნამტვრევებიც. ადრე აღმოჩენილი და განათხარი მასალაც

²⁷ იხ. რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1962, გვ. 38—61. ე. თაყაიშვილის ზოგიერთი მოგზაურობის შესახებ ქვემოთაც გვექნება საუბარი.

²⁸ იხ. 1909 წლის 14 ივნისის წლიური საზოგადო კრების ოქმი № 23, „ქველი საქართველო“, 1:1, გვ. 10.

²⁹ გ. ლომთათიძე, ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი, კრებ., აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 110.

ობლისში წამოუღია. მეცნიერებამ საჩხერის ყორღანი სპილენძის სანახ მიაკუთვნა³⁰. 1908 წ. ე. თაყაიშვილმა საგანგებოდ დაათვალიერა ანისის ნაქალაქარი, სადაც გათხრებს აწარმოებდა ნიკო მარი.

1909 წელს ექსპედიციები მოეწყო ქართლის სხვადასხვა სოფელში: ახალქალაქში, დოესში, ოთარაშენში, მეჯვრისხევში, იკორთაში, ხელთუბანში, კასპში, ლამისყანაში, ოძისში, ქსოვრისსა და მუხრანში, ქ. გორში. (იხ. საბჭოს ოქმები № 37, № 38). შეკრიბეს მრავალი სიგელ-გუჯარი, რამდენიმე ხელნაწერი წიგნი და არქეოლოგიური ნივთი. ეს მოგზაურობები მეტად მნიშვნელოვანი იყო. გამოვლინდა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართულ ოჯახებში მრავალი სიგელ-გუჯარი და საარქეოლოგიო ნივთი ინახებოდა. ზოგჯერ ეს ხელნაწერები თუ ნივთები უყურადღებოდ იყო მიტოვებული, წვიმა და მტვერი აფუჭებდა (ზოგი თავგებისგან იყო შეჭმული). საზოგადოებამ თვალნათლივ დაინახა, რომ საჭირო იყო ანალოგიური ექსპედიციების მოწყობა მთელ საქართველოში. ძვირფას საუნჯეს დროულად სჭირდებოდა პატრონობა, თორემ სამუდამოდ დაღუპვის საფრთხე ემუქრებოდა.

1910 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მოაწყო ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთსა და ყვირილას ხეობაში. ამ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ე. თაყაიშვილი. ეს მოგზაურობა დააფინანსა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრმა პავლე თუმანიშვილმა. ექსპედიციის მიზანს შეადგენდა ფოტოგრაფიულად გადაღოთ სვანეთის ისტორიული ძეგლები, ხელოვნების ნიმუშები; შეეგროვებინათ სხვადასხვა (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული) მასალა. ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ ჩამოიტანეს და მუზეუმის წიგნთსაცავს გადასცეს მრავალი არქეოლოგიური ნივთი და ხელნაწერი წიგნი. სვანეთში მოგზაურობისას ე. თაყაიშვილი ძირითადად ქრისტიანული კულტურის ნაშთების შესწავლით იყო დაინტერესებული, თუმცა მას უყურადღებოდ არც სხვა მასალები დაუტოვებია. იგი გადმოგვცემს: „სვანეთში, რამდენადაც ცნობილია, არქეოლოგიურ გათხრებს ჯერ ადგილი არ ჰქონია და არაფერი ვიცით რა დონეზე იყო ქრისტიანობას წინადროინდელი კულტურა. მაგრამ რამდენადაც ეს სჩანს იმ მცირე ნაშთებისაგან, რომლებიც ეკლესიებშია დაცული და რომელნიც ეჭვს გარეშეა, ძველი სასაფლაოებიდან არის ამოღე-

³⁰ Е. Такаишвили, О Сачхерском кургане Шорапанского уезда Кутаисской губернии, «Арх. Эхск., разыск. и зам.», IV, 1913, 167—172.

პულა, ეს კულტურა იგივეა, რაც ყობანის კულტურა ოსეთში. ამას ვარდა, სვანეთში დიდძალ ოქროს ფულებს პოულობენ, რაც მ.ოწმობს მის მჭიდრო სალუბ-მიცემო კავშირს წინა აზიის და საბერძნეთის ხალხებთან... ადვილად შესაძლებელია ის ოქროს ფულები; რომლებიც სშირად გვხვდება საქართველოს სასაფლაოებში და რომელნიც ლიზიმაქოსის ოქროს ფულის მიბაძვით არის დამზადებული, სვანეთში იჭრებოდა სვანეთშივე ნაპოვნი და დამუშავებული ოქროთი...“³¹.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისთვის თაყაიშვილმა შეიძინა სასანიდების დროინდელი მინანქრით შემკული სპილენძის სამფეხი ფრთოსანი ლომების გამოსახულებით (ამ ნაეთს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ე. თაყაიშვილი). სწინეთიდან ჩამოტანილ ნიეთებს შორის გამოირჩევა „ბედნიერი სვანეთის“ ერთობლივი სევის დროშა (ლომის თავის გამოსახულებით). ე. თაყაიშვილმა ახლებურად წაიკითხა დროშის თავზე ამოტყვიფრული წარწერა და შეკრებილი მასალების საფუძველზე ახსნა დროშის გამოყენების წესები. ექსპედიციის ნაყოფიერ მუშაობას დიდი ღვაწლი დასდეს მისმა მონაწილეებმა: ხუროთმოძღვარმა სეიმონ კლდიაშვილმა, ფოტოგრაფმა დიმიტრი ერმაკოვმა და თბილისის პირველი გიმნაზიის მასწავლებელმა ივანე ნიჟარაძემ. ექსპედიციამ დასახულ მიზანს ძირითადად მიაღწია. აღწერეს ლეჩხუმის თითქმის ყველა ეკლესია, სვანეთის ტაძრების უმრავლესობა. ვერ მოუსერსებიათ მხოლოდ ლახამულის (იქ მაშინ ხოლერა მძვინვარებდა), ჩუბის-სევისა და ადიშის (დიდი თოვლი მოსულა) ნახვა. ადიშის სახარება მოუტანიათ და იქ გადაუღიათ მისი ფოტოპირი.

³¹ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 435—436. პარიზში (ემბერაციაში ყოფნის დროს) გამოაცემულ ამ წიგნში ე. თაყაიშვილმა ლეჩხუმ-სვანეთის კულტურის ძეგლების აღწერასთან ერთად მნიშვნელოვანი დასკვნებიც გააკეთა. წიგნში ძირითადად ქრისტიანული დროის კულტურის ძეგლებია მიმოსილული. ავტორის აზრით, ქრისტიანობა სვანებმა ბიზანტიიდან მიიღეს. როდესაც დასაუღეთი („აფსანეთი“) და აღმოსავლეთი საქართველო ბაგრატ I-ის ძალაუფლების ქვეშ გაეროიანდა X ს. 80-იან წლებში, სვანეთიც ერთიანი საქართველოს ნაწილი ვასდა. ამის შემდგომ დიდ ყურადღებას აქცევდნენ სვანეთს. იფარის ეკლესია დავით აღმაშენებლის მსატყარს შეუშკია ფრესკებთ. აქვე ღეთისმშობლის სატყე დასატულა დავით V და მისი შეუღლე დედოფალი გვანცა. მუსერის მთავარანგელოზის სატის წარწერაში ეკითხულობთ: „ადაღენ შეუენი ბაგრატიანნი, დიდნი და დიდებულნი და ერთობლივი საქართველო და ერთობილნი სანნი“.

წინათ ფიქრობდნენ, სიმრავლე ჯვარ-სატებისა და ხელნაწერებისა სვანეთში იმით აიხსნებოდა, რომ აქ ნიეთებს მტრის შემოსევებისაგან დასაფარავად და გადასარჩენად ეზიდებოდნენ. ე. თაყაიშვილმა დაასაბუთა, რომ ცსრამეათედი ამ ჯვარ-სატებისა თვით სვანეთშია დამზადებული. ამას ნათლად მოწმობენ სვანიზმები წარწერებში. თქრომჭედლობა სვანეთში დიდად განვითარებული ყოფილა. აკად. გ. ჩუბინაშვილი თვლიდა, რომ 1910 წლის ლენხუმ-სვანეთის ექსპედიციით იწყება ასალი, განსაკუთრებული ხანა ე. თაყაიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში, რომელსაც ახასიათებს ქართული ხელოვნებისა და სიძველის მცირე, შობრავი ძეგლების ფართოდ აღრიცხვა და შეკრება, როგორც სათანადო ექსპედიციების ძირითადი ამოცანა³².

ექვთიმე თაყაიშვილმა შემდეგ წლებში იმოგზაურა კახეთში. აქ მასთან ერთად იყო ადგილობრივ სიძველეთა კარგი მცოდნე ზაქარია ჩხიკვაძე. არქიტექტორმა მ. კალაშნიკოვმა იქაური ძეგლები აზომა. ე. თაყაიშვილის მითითებით მანვე აზომა სუროთმოდვრების ძეგლები ბორჯომის ხეობაში.

1913 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს დაჯალბებით ექვთიმე თაყაიშვილმა და საბჭოს მიერ საგანგებოდ მოწვეულმა მსატყარმა და ფოტოგრაფმა თედო კიუნემ იმოგზაურეს გურია-სამეგრელოსა და იმერეთში. ექსპედიციის მიზანი იგივე იყო: ისტორიული ძეგლების აღრიცხვა, ფოტოგრაფირება და სხვადასხვა სასიათას სამუშეუმო ნივთების შეგროვება. ექსპედიციამ ინახულა და აღწერა: შემოქმედის, ვანის, ხონის, მარტვილის, კადარის, სეფიეთის, სობის, ცაიშის, წალენჯიხის, სუჯუნის, გულეკარის, ტყვირისა და კორცხელის მონასტრები. გადმოიღეს ფრესკებისა და ცალკეული ნივთების ფოტოსურათები (მათი რიცხვი 450-ს აღემატებოდა). მოგზაურობის დროს მოიპოვეს ოცამდე ხელნაწერი და რამდენიმე საყურადღებო არქეოლოგიური ნივთი.

იმვე წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ექსპედიციამ (იგივე შემადგენლობას დაემატა საზოგადოების მდივანი სერგი ვორგაძე) შეისწავლა შიომღვიმის მონასტერი, გადაიღო ყველა მნიშვნელოვანი სიძველის ფოტოსურათები. შეადგინა შიომღვიმის საფლავსე აგებული ტაძრის კეგმა. ე. თაყაიშვილმა საისტორიო

³² გ. ჩუბინაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ხელოვნების ძეგლები, კრებ., აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1966, გვ. 126.

და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთან არქიმანდრიტ ნაზარის-თან (ლექავა) ერთად დაათვალიერა იოანე ნათლისმცემლისა და დავით ვარეჯის მონასტრები (გარეკახეთში, ასლანდელი საგარეჯოს რაიონი). დაისახა გეგმა, რომ მსატყვარ-ფოტოგრაფს გადმოეღო რიგი სიძველეები (ეს საქმე 1914 წლისთვის შესასრულებლად განი-საზღვრა).

საზოგადოების დავალებით ს. გორგაძემ ახალგაზრდა მსატყვართან გიორგი სმაღაძესთან ერთად განმეორებით ინასულა ტაბაკინის მონასტერი (შორაპნის მაზრაში), რომლის კედლიდანაც მსატყვარმა გადმოიღო ტაძრის განმასახლებლის ქუთათელი მიტროპოლიტას გერასიმე ჩსეტიძის სურათის პირი.

1913 წელსვე საზოგადოების საბჭოს წევრმა იროდიონ სონდულაშვილმა ნორვეგიელ მსატყვართან ქრ. კრონთან ერთად ინასულა ბეთანიის მონასტერი და გადმოიღო ფრესკები (ცნობილი ფრესკა — თამარი, გიორგი III, ლაშა გიორგი; ასევე სხვა სურათები: წმიდა მარია მეგვიპტელი და წმიდა ზოსიმე; აღმაშენებელი ეკლესიისა; ნაწილი განკითხვის დღისა).

როგორც ჩანს, გამოცდილი მსატყვარი ქრ. კრონი თავისი სელოვ-ნებით სავსებით შეესაბამებოდა საზოგადოების მოთხოვნებს. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ მას მიანდეს გადმოსადებად მცხეთის ტაძრის კედლიდან „სამაია“ და საფარის მონასტრის მსატყვრობა (ათაბაგები სამცხისა საბას მონასტრიდან, ძმანი ლასურიძენი წმიდა მარინეს ეკლესიიდან და აგრეთვე ჯვარცმა). ქრ. კრონს სამუშაო წარმატებით შეუსრულებია.

საზოგადოებამ ფართოდ მოიზიდა ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი მსატყვრები და დიდი სამუშაოების შესრულება მიანდო მათ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭოს დავალებით ახალგაზრდა მსატყვარმა დავით კაკაბაძემ ნაყურალეშის ეკლესიის (ლენჩხუმი) კედლებიდან გადმოიღო ორი დიდი მსატყვრობა (გამოსახული იყო დადიანთა წინაპართა — ჩიქოვანთა საგვარეულოს წარმომადგენლები). ამავე დროს მსატყვარი მოსე თოიძე მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და საზოგადოების მუზეუმს ეთნოგრაფიულ ჩანასახტებს უკეთებდა. მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებდა ლადო გუდიაშვილიც.

1913 წლის დასასრულს ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა ქუთაისში, საიდანაც ჩამოიტანა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთები.

მოვიტანთ რამდენიმე, ჩვენი აზრით, საინტერესო დოკუმენტს, რომელიც გაიცა ცალკეული ექსპედიციის მონაწილეზე. აი მოწმობა, გაცემული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ 1913 წლის 13 ივნისს დავით კაკაბაძისადმი:

„ესე მიეცა მსატვარს სტუდენტს დავით ნესტორის ძეს კაკაბაძეს მას შინა, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ მას, კაკაბაძეს, მიანდო გადმოიღოს „საზოგადოების“ მუზეუმისათვის ნაყურალეშის ეკლესიის (ლენსუმში) კედლის მსატვრობა: ჩიქოვანთა გვარეულობის (დადიანთა წინაპრების) რვა სურათი და სხვა მსატვრობა ამა წლის ზაფხულის თვეებში“ (საქ. ხელ. მუზეუმის ფონდი, ყ. 816). დოკუმენტს ხელს აწერს საზოგადოების თავმჯდომარე და მდივანი.

სოფლად მუშაობის დროს ახალგაზრდა მსატვარს ფული შემოკლება (თანაც განზრახული ჰქონდა სვანეთში წახელაც) და 1913 წლის 28 ივნისს ბარათს უგზავნის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას:

„ჩამოვედი ნაყურალეში 20 ივანობისთვის და შევეუდექი ფრესკების გადმოღებას. ამ სამუშაოს მოთავეების შემდეგ განზრახული მაქვს სვანეთში წავიდე და ამიტომ ვთხოვ საზოგადოებას ამ ბარათის მიღებისთანავე გამომიგზავნონ ფოსტით 25 მანეთი.

დაე. კაკაბაძე“³³.

საგულისხმოა დავით კაკაბაძის განცხადება (1913 წლის 7 ივნისით დათარიღებული), სადაც ფრესკების გადმოღებისათვის მსატვრის პირობებია მოცემული.

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ლენსუმის მაზრაში ფრესკების გადმოღების ჩემი პირობები შემდეგია: თითო ოთსკუთხი საყენი ჩემი ხარჯით და მასალებით ეღირება 100 მან., მაგრამ თუ ფრესკა არ აღმოჩნდა ისე რთული გადმო-

³³ ის. საქ. ხელ. მუზეუმის ფონდი, ყ. № 816.

საღვთისმშობლის, როგორც მოხალღნელია, მაშინ შესაძლოა, სამუშაოს მი-
ხედვით, ამ ფაზის დაკლება. თუ კი სარჯხ და მასალებს გაძგეობა
თავას თავსედ იკისრებს, მაშინ 3—4 კვირის სამუშაო ეღირება 150 მან.

დავ. კაკაბაიე
7 იანოზისთეე, 1913 წ.“34.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭოს 1913 წლის 13 იელისის
ოქმში (№ 84) შეტანილია მოსე თოიძის თსოვნა მასზე ფრესკების
გაღაღების მინდობის შესახებ. აი ეს საბუთიც:

„ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას
მსატვარ მოსე თოიძისაგან

თ ს ო ვ ნ ა

გთსოვთ მომანდოთ უძველეს ეკლესიათა ფრესკების გაღაღება,
რომელშიც საკმარისად დასელოვნებული გასლაეართ და იმედი მაქვს
თქვენი მოთხოვნილება სისრულით დაეაკმაყოფილო.

მოსე თოიძე
1913 წლის 7 მაისათეე“35.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია ლადო გუდიამვი-
ლის განცხადებაც, რომლითაც იგი მიმართავს საისტორიო და საეთ-
ნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს. თან აუწყებს, რომ ნეკრესისა და
გრემის ეკლესიათა კედლებიდან გადმოუღია სამი ფრესკის ასლი³⁶.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მსატვრებისა და საისტ-
ტორიო და საეთნოგრაფიო, აგრეთვე ქართველ ხელოვნათა საზოგა-
დოების³⁷ საქმიანობას ძველი ქართული მსატვრობის ნაშთების გა-
ღარჩენისა და გადმოღების მიზნით დიდად იწონებდა ივანე ჯავახი-

³⁴ საქ. სელ. მუზეუმის ფონდი, ყ. № 816.

³⁵ ი ქ ვ ე.

³⁶ ი ქ ვ ე.

³⁷ ქართველ ხელოვნათა საზოგადოება 1911 წელს ჩამოყალიბდა. ფართო საქმიანობა დაიწყო 1912 წლიდან. საზოგადოების კომიტეტის პირველი თავმჯდომარე იყო გიორგი ჟურული, მდივანი— იოსებ გვეგელაშვილი. საქართველოში საბჭოთა სელი-
სუფლების დამყარების შემდეგ გადაკეტიდა ხელოვნათა კავშირად, რომლის ბაზაზე
ჩამოყალიბდა საქართველოს მუზეუმის ფონდი და ბიბლიოთეკა.

შვილი. იგი აღტაცებული იყო ნაბასტევეში მომუშავე მხატვრების (ლ. გუდიაშვილი, გ. ერისთავი, მ. თოიძე და მისი ვაჟი ერეკლე. მ. ჭიაურელი და დ. შევარდნაძე) საქმისადმი სიყვარულით, რაც დაწყებული დიდი აღდგენითი საქმიანობის ნაყოფიერების საწინდარი ჩანდა³⁸.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ ორგანიზებული ექსპედიციები ავროპებდნენ ქართული მუსიკის ნიმუშებსაც. ჯერ კიდევ 1909 წლის ზაფხულში ივანე ჯავახიშვილმა და საქარია ფალიაშვილმა იმოგზაურეს ქართლში. სოფელ ხოვლეში ზ. ფალიაშვილმა მთისმინა ქართული ხალხური სიმღერები ძმები კავასაძეების გუნდის შესრულებით (გუნდში ივანე ჯავახიშვილი და მისი ძმა დათაძე მღეროდნენ). კომპოზიტორმა ფონოგრაფზე ჩაიწერა ზოგიერთი სიმღერა. აქედან ქართლის სხვა სოფლებში უმოგზაურიათ. ამ დროს ჩაუწერია ზ. ფალიაშვილს „აბესალომ და ეთერის ლეკური“ (შემდეგში, ივანე ჯავახიშვილის წელილის აღსანიშნავად, სუმრაობით „ივანეს „ლეკურსაც“ ეძახდა)³⁹.

რამდენიმე ფირი („ვალიკი), რომელზედაც ჩაწერილი იყო ქართული ხალხური მუსიკის (იმერული, მეგრული, გურული სიმღერები) ნიმუშები, თედო ჟორდანიას საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის შეუწირავს.

სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს ხალხური მუსიკა ჩაუწერია საზოგადოების წევრს გიორგი თედორეს ძე ჟორდანიას (აგი ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ხელმძღვანელიც იყო). „საზოგადოების დასტურდაუცემლად შეეგაროვე რამდენიმე ქართულხალხურსიმღერაიანი „ვალიკი“,—წერს გ. ჟორდანიას საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს, — და რადგან ჩემს შეკითხვაზე (შეიძლება თუ არა მისთვის სხვა დანიშნულებით მიცემული 37 მანეთის ამ საქმისთვის დახარჯვა—რ. მ.) დღემდე პასუხი არ მომსვლია და დრო კი საკმარისი გავიდა, უმორჩილესად ეთხოვ საბჭოს რაც შეიძლება მოკლე ხანში მიპასუხოს შემდეგ საკითხზე: საჭიროდ მიაჩნია თუ არა სხენებული „ვალიკების“ ჩაწერაზე გაწეული ხარჯი; დაადასტურებს თუ არა ამ ხარჯს. თუ საზოგადოების

³⁸ ი. ლორთქიფანიძე, ნაბასტევის მხატვრობა, იბ., 1973: რ. მეტრეველი, კვალა ვანათილებული (ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის: ზოგადრობის საკითხი), იბ., 1975. გვ. 86-89.

³⁹ ნ. ჯავახიშვილი, სასელოვანი მეგობრობა, დროშა, 1953, № 5. გვ. 14.

პასუსი ამ საკითხზე დადებითი იქნება, „ვალიკების“ ჩაბარება შემოდგომის 22—24 დეკემბერს“⁴⁰.

ნიშანდობლივია, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ, როგორც მოხალოდნელი იყო, გ. უორდანიას თხოვნაზე თანხმობა განაცხადა და ფირზე ჩაწერილი მასალის სარჯი ანაზღაურა.

1913 წლის ზაფხულში საზოგადოების მდივანმა ს. გორგაძემ იმოგზაურა მდ. ყვირილის ხეობაში. მან აღწერა სოფლების: სვირის, ბარბაწმინდის, ვარძიისა და ილემის სიძველეები (სხვა სოფლებსაც ესტუმრა ექსპედიცია, მაგრამ როგორც აღინიშნა, ისინი არქეოლოგიურად საინტერესო არ აღმოჩნდნენ). ს. გორგაძეს დაუთვალა იერებია ქუთაისის (ბაგრატიის) ტაძარი და გელათის მონასტრის კომპლექსი. იმავე წელს ყოფილა ხაშურის რაიონის სოფელ ქალაქში. ამ მოგზაურობის დროს მას საზოგადოებისათვის შეუძენია: 27 ხელნაწერი წიგნი, 11 არქეოლოგიური ნივთი, 36 სიგელ-გუჯარი და 12 ძველი ნაბეჭდი წიგნი. შირაპნის მახრამში, ჩხერიმელას ხეობის სოფელ ნებოძირში ს. გორგაძემ შეკრიბა საეთნოგრაფიო და ხალექსიკონო მასალები. გაწეული მუშაობის შესახებ ს. გორგაძემ მოახსენა საზოგადო კრებას (იხ. ჩვეულებრივი საზოგადო კრების ოქმი № 66; დაცულია საქ. ხელ. მუზეუმში), გამოითქვა სურვილი, რომ ექსპედიციები აუცილებლად უნდა იყვნენ აღჭურვილი ფოტოაპარატებით, რათა შეუფერხებლად გადაიღონ არქეოლოგიური სიძველეები იუეთნოგრაფიული მასალები. ს. გორგაძის სამართლიანი შენიშვნით, „იმ მოგზაურობათ, რომელნიც... საზოგადოებამ... გამართა, ჩვენ უნდა ვუცქიროთ არა როგორც სრულსა და დამთავრებულს საარქეოლოგიო მოგზაურობას, არამედ როგორც წინასწარს (შავს) მუშაობას სრულსა და დამთავრებულის საარქეოლოგიო მოგზაურობისათვის: ამ მუშაობამ უნდა შეიმუშაოს საიმედო მარშრუტი ამგვარის მოგზაურობისათვის, აღნიშნოს ადგილები, რომელნიც ღირსნი არიან არქეოლოგიურად შესწავლისა, და თან იხსნას სამუდამო დაკარგვისა და განადგურებისაგან ის საარქეოლოგიო ნივთები, რომელნიც ჯერ კიდევ მოიპოვებიან და არ დაკარგულან კერძო ოჯახებში და ეკლესიებში“ (იხ. ჩვეულებრივი საზოგადო კრების ოქმი № 66).

აკად. გიორგი ჩიტაია იგონებს, თუ როდენ დიდი გულისყურით ეკიდებოდა საზოგადოება საექსპედიციო საქმიანობას: „...მეორედ მე

⁴⁰ საქ. ხელ. მუზეუმის ფონდი, ყ. № 816.

დავესწარი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს სსდომას 1914 წელს⁴¹ (პირველად იგი 1911 წელს დასწრებია საბჭოს სსდომას, ე. თაყაიშვილის ბინაზე, პეტერბურგის უნივერსიტეტში სასწავლებლად გამგზავრების წინ — რ. მ.), როდესაც საზოგადოება მისი უცვლელი პრეზიდენტის ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით სახავედა ღონისძიებებს საზაფხულო მივლინებების შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლად. იმ სსდომაზე გადაწყდა მივლინება ეთნოგრაფიული მასალის შესაგროვებლად ზემო იმერეთში, ხოლო მისი შესრულება დაეკისრა სერგი გორგაძეს. სსდომაზე დავრწმუნდი თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა და როგორ აფასებდა ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას ექვთიმე თაყაიშვილი“⁴².

ცალკე უნდა აღინიშნოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით პაეღე ინგოროყვას მუშაობა 1912 წელს დასავლეთ საქართველოს სამონასტრო წიგნთსაცავებში. ახალგაზრდა მეცნიერმა გამოიკვლია მარტილის, ჯრუჭის, გელათის, უბისის და უდაბნოს მონასტრებში დაცული ხელნაწერები და 1913 წლის 8 თებერვალს მოხსენებით წარსდგა საზოგადოების ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე (ის. ოქმა № 68). პაეღე ინგოროყვამ შეისწავლა: მარტივალში — „დავითნის“ კომენტარების თარგმანის უცნობი ისტორიულ-ლიტერატურული შესავალი ეფრემ მცირისა და მის მიერვე შედგენილი ლექსაკონი, დავით ტბელის თარგმანები, არსენ იყალთოელის „ხჯულის-კანონის“ შესავალი და რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“, არსენ იყალთოელის დოგმატიკურ-აპოლოგეტურ თხზულებათა კრებული; დავით აღმაშენებლის მატთანე (ვინაობა, თხზულების დაწერის თარიღი), „სიტყვისგება ქრისტიანეთა და სარკინოზთა“ (იორიგინალური საააექრო წერილი არსენის „დოღმატიკონიდან“), არსენ იყალთოელის იამბიკონი, ვალობანი გრიგოლ ხანძთელის და აბო თბილელის პატივად და ქართული ჰიმნოგრაფიის სხვა ტექსტება და მასალები და სხვ., გელათში — გიორგი მთაწმინდელის იამბიკონი, იოანე შავთელის „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“ (მისი მნიშვნელობა „აბდულმესიანის“ დათარიღებასათვის), ძველი ქართუ-

⁴¹ ე. ჩიტაიამ ჩვენი თსოვნით დაწერილ მოგონებაში საისტორიო და საეთნოგრაფიო: საზოგადოების შესახებ დააზუსტა, რომ იგი სსდომას 1913 წელს დავესწრო. ეს სავსებით დასტურდება საზოგადოებას კრების შესაბამისი ოქმითაც.

⁴² ე. ჩიტაია, ექვთიმე თაყაიშვილი და ეთნოგრაფია, კრებ. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1966, გვ. 131.

ლი სახულიერო პოეზიის ასალი ტექსტები; უბისში — საბა წყაროს-
თაველის „შქსსმა გიორგი მტბევარისა“ და სხვ., ჯრუჭში — ასალი
საგალობლნი პატივად გრიგოლ ხანძთელისა, გალობანი ნინოფხნი,
ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის ასალი მასალები; პეტრე გელათელის
თარგმანები. გიორგი მთაწმინდელის მიერ ლათინურიდან ბერძნუ-
ლად და ქართულად თარგმნილი „ცხოვრება პროსორე ჯვარის აღმა-
შენებლისა“ სასეინაქსარო ცხოვრება აექსენტი ბანაელისა და სხვ.,
უდაბნოში — IX—X საუკუნის კრებული „მრავალთავე“. პაველ
ინგოროყვა მოითხოვდა, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზო-
გადოებას სამეცნიერო ექსპედიცია გაეგზავნა შავიმთის (ანტიოქიის
მასლობლად) მონასტრების წიგნთსაცავთა შესასწავლად (სწორედ
შევმაზე იყო ძველად ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვანი ცენ-
ტრი). ასალგაზრდა მეცნიერმა გაწეული დიდი შრომისათვის ექვთიმე
თაყაიშვილის მადლობა დაიმსახურა.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით საქარ-
თველოს სხვადასხვა კუთხეში იმოგზაურა და საინტერესო მასალები
(სალექსიკონო, კილოკავეები და სხვ.) შეკრიბა აკაკი შანიძემ. აი
ა. შანიძის ერთი ბარათი, რომელიც ექსპედიციაში ყოფნისას ქიზი-
ყიდან გამოუგზავნია ე. თაყაიშვილისათვის:

„23. V. 1914 წ.

ქვემო მახხაანი

ბატონო ჩემო ექვთიმე,

უკვე ქიზიყში ვარ. სამუშაოდ ქვემო მახხაანი ავირჩიე, რომელიც
ქიზიყის შუაგულში მდებარეობს და მუშაობას შეეუდექი. პირველ
ხანებში უმთავრესად სალექსიკონო მასალებს ვაგროვებ.

აქ საფოსტო განყოფილება არი და ვთხოვთ ფული ამ მისამართით
გამომიგზავნოთ: Нижние Мачхаани, Сигнахского уезда, (Ак. Гав-
риловичу Ш.)

მარად იქვენი ბატონისძეველი
აკაკი შანიძე⁴³

1913—1914 წლებში ასალგაზრდა აკაკი შანიძემ საზოგადოებას
გადასცა შიდა კახეთში ნაპოვნი წვერწაკვეთილი ბრინჯაოს მასვილი.

⁴³ საქ. სელონების მუზეუმის ფონდი, ყ. 816. 1914 წ. 2-იენის ა. შანიძეს სა-
ზოგადოებამ აცნობა, რომ „100 მანეთის გაგზავნა გადაწყვეტილია: მხოლოდ ფული
ბაშინ გაიგზავნება, როცა თავად-აზნაურობისაგან მივიღებთ (ამ რამდენიმე დღეში)“.

პირიქეთა სევსურეთში, ანატორში, ძველ სასოფლო ნაგებობაში მიაკვლია მიცვალებულთა ტანისამოსის ნაშთებს და ესეც საზოგადოებას გადასცა. გურიის უდაბნოდან (ახე ეძახდნენ მონახტერს, რომელიც მდებარეობდა ჩოხატაურის ახლოს ნიგოთის მთის სამხრეთ კალთაზე ტყეში) ა. შანიძემ ჩამოიტანა და საზოგადოებას გადასცა ორი ძველი ხელნაწერი. „მრავალთავი“ X საუკუნისა და იოანე ოქროპირის „თარგმანები სახარებისა“. 1916 წელს მეცნიერმა მთა რაჭაში იმოგზაურა. აქ სოფ. ღებში (მთა რაჭის უკიდურესი სოფელია, რიონის სათავესთან) შეიძინა და საზოგადოებას გადასცა ეთნოგრაფიული. თვალსაზრისით მეტად საინტერესო საქორწინო ტანისამოსი, თავსაბური და წინსაფარი⁴⁴. აკაკი შანიძემ სხვა ბევრი მასალა მიაწოდა საზოგადოებას⁴⁵. მთა რაჭაში ნაყოფიერი საექსპედიციო მუშაობის შედეგი იყო მისი მოხსენება „გლოლისა და ღების კილოების შესახებ“, რომელიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჩეკოვსკიერს საზოგადო კრებაზე გააქვითა 1916 წლის 28 აგვისტოს (იხ. ოქმი № 116). მეცნიერი შეესო ამ ორი კილოს ფონეტიკას და აღნიშნა, რომ ბგერა *ა* არსად იხე ლამაზად, მხოლოდ არ იხმის, როგორც ამ კილოებში (ქვეყანად, სიტყვად, და სხვ.); ხმოვნის წინ ბგერა *ლ* ძალიან მაგრად იხმის (ფული, გული). ა. შანიძემ ყურადღება მიაქცია ბგერა *ვ-საც*. იგი ამ კილოებში ნახევარ უ-საკავს (უასშამი, თაუი და სხვ.). *ჰ* ბგერა იხმის ზმნებში ხორსისმიერი ხმებას წინ („დაჰყევდე, ჰყვა). კილოებში ადგილი აქვს *ს* ბგერის გამოვარდნას, აგრეთვე ხმოვნების გადასმ-გადმოსმას: ლისა (სილა), მოდიხოდი (მოხვიდოდი).

მორფოლოგიაში საყურადღებოა, რომ ნათესაობით ბრუნვაში *ბ* იკარგება: რძი თავი, აგრეთვე ამ ბრუნვის წარმოება სიტყვა „რიონისაგან“: რიენის.

44 ამ „მრავალთავის“ ერთი ფურცელი ადრევე აქონდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს. 1923 წ. პეტროპოლადში საჯარო ბიბლიოთეკაში (საბანიის კოლეჯისთან) აღმოჩნდა ამავე „მრავალთავის“ რამდენიმე ფურცელი. ისინი მაშინვე იცხო აკაკი შანიძემ და დაადგინა, რომ გურიის უდაბნოს ხელნაწერის ნაწილი იყო. მისივე მოთხოვნით ფურცლები საქარსკელს გადაეცა და ყველა ნაწილმა ერთად მოიყარა თავი.

45 ამგვარად ჩატკული ქალაქ პორტრეტი (მხატვარი რ. თოფურიძე) უძღვნა საქარსკელს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საზოგადოებაში ა. შანიძეს 1967 წლის 12 მაისს მისი 80 წლის იუბილეზე.

ესარეგბლობა ა. შანიძის მიერ ჩვენი თსოვნით სავანგებოდ დაწერილი მოგონებათა საზოგადოების საქმიანობის შესახებ.

სიტყვათა წარმოებაში განსაკუთრებულია კნინობითი სასელების წარმოება: ვაშლი-ვაშლა, ძაღლი-ძაღლა, ქალი-ქალუკა, მოზვერი-მოზვერიკა, პატარა-პატარიკა, ბოეში-ბოეშუნა და სხვ.

ამ კილოებს უყვართ „ქვე“ ნაწილაკის სმარება. თანდებულები ში და ზე გვსვდება სრული ფორმით: შიდა (ქუთაიშიდა), შიდ (სახლშიდ); ზედა (სახელზედა, ჩემზედა).

სინტაქსში ყურადღებას იქცევს: ობიექტური სუფიქსის (ნ-ის) ხმარება გლოლაში და ყე-სი დებში. აი მაგალითები: ბჭედ დასვენ კაცები, ცოლისძმები წამოაყოლნა, დაგვებარნა სუდმა მე და ჩემი ძმისწული; მოკლავე კაცები, მიუტანავე წიგნები, უნდაყე (მათ), და-უწერავე (მათ) და სხვ.

ლექსიკონში აღსანიშნავია ისეთი სიტყვები, როგორცაა: „აკეანი“ (აკეანი), „ბოში“ (გოგო, ქალი), „მექნები“ (მეყოლები) და სხვ.

აკაკი შანიძემ საზოგადოებას წარუდგინა მის მიერ შეკრებილი და ჩაწერილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. მეცნიერის მოსხენებებს (მან 1916 წლის 12 მაისსაც წაიკითხა მოსხენება თემაზე: „მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში (ხ-ესი და ხ-ანის ხმარების საკითხი ზმნის ფორმებში)“ მაღალი შეფასება მისცა ივანე ჯავახიშვილმა და სთხოვა მას ზაფხულზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას მიერ განზრახულ კურსებზე სოფლის მასწავლებლებისათვის წაეკითხა რამდენიმე ლექცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას შეკრებილი ხალხში სალინგვისტო მასალები (ეს დიდად წაახალი-სებდა მასწავლებლებს და შესაძლებელია ზოგი მათგანი სელსაც მოჰკიდებდა ამგვარი მასალების ჩაწერას).

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ივანე ჯავახიშვილის მცდელობა, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობა (მათ შორის საექსპედიციო) შეეთანსმებინა ყველა იმ დაწესებულების საქმიანობასთან, რომლებიც მოწოდებული იყვნენ ქართული კულტურის ძეგლების დაცვა-შესწავლისათვის. მეცნიერი მიესალმებოდა რა ქართველ ხელოვანთა საზოგადოების სწრაფვას ხელოვნების ძეგლების დაცვა-აღდგენისაკენ, მიზნის მიღწევისა და განზრახული წადლის შესახარულებლად საზოგადოებას თავის მოსაზრებებს სთავაზობდა.⁴⁵

⁴⁵ ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრებები მოცემულია იმ მოხსენებაში, რომელიც მეცნაერმა 1916 წელს ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას წარუდგინა (დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სას. ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის სახელობა კაბინეტში. მოხსენების ტექსტი დედნის მისედეით უცვლელად დაიბეჭდა 1966 წ. ის. ძეგლის მეგობარი, 1966, № 7, კვ. 43-51).

დასახული ამოცანის შესარულებლად, ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, სამი გზა არსებობდა: 1) ქართული ხელოვნების ძველი ძეგლების შეგროვება, შენახვა და მეცნიერულ-მსატერული შესწავლა. 2) თანამედროვე (მსხედველობაშია მეოცე საუკუნის 10—20-იანი წლები) ქართული ეთნოგრაფიული მასალების (შინამრეწველობის სხვადასხვა დარგის საგნები, ავეჯეულობა, ჭურჭლეულობა და სხვ. ნიმუშები) შეგროვება და შესწავლა. 3) საქართველოს ბუნების („ყოველი ხელოვნების უბირველესისა და დაუშრეტელი წყაროს“. — ი. ჯ.) შესწავლა და „შემოქმედებითი აღბეჭდვა“.

რაკი ეთნოგრაფიული მასალებისა და ქართული შინამრეწველობის ნიმუშების შეგროვება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიზანსაც შეადგენდა, ამიტომ ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ მას ქართულ ხელოვნათა საზოგადოებასთან შეთანხმებულად უნდა ემოქმედნა, რათა ორივე საზოგადოებას ერთი და იმავე საქმისათვის ფუჭად არ შეეღია ძალა. შინამრეწველობის სხვადასხვა დარგის აღდგენის იმ დროისათვის ქართული სამეურნეო საზოგადოებაც¹⁷ ეწეოდა და ამიტომ აქაც გარკვეული შეთანხმება იყო საჭირო.

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილის აზრით, მომავალი საქმიანობა ზემოაღნიშნულ დარგებში დასახელებულ სამ საზოგადოებას შორის უნდა განაწილებულიყო. მეცნიერი საზოგადოებათა სამოქმედო ასპარეზს შემდეგნაირად განსაზღვრავდა: საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება საქართველოს ყოველ კუთხეში საეთნოგრაფიო მასალებს და შინამრეწველობის ნიმუშებს შეაგროვებდა და თავის მუზეუმში მოუყრიდა თავს. ქართველ ხელოვნათა საზოგადოებას თავის მხრივ ეს მასალები უნდა შეესწავლა და დაემუშაებინა, თანაც ქართული მსატერული შინამრეწველობის განახლებისათვის საჭირო სახეების ნიმუშები და სამაგალითო ესკიზები შეედგინა. ქართულ სამეურნეო საზოგადოებას ეთნოგრაფიული მასალები და შინამრეწველობის ნიმუშები ტექნიკურად უნდა შეესწავლა; გაეთვალისწინებინა და გაერკვია მსატერული შინამრეწველობის განახლებისათვის საჭირო ტექნიკური საკითხები.

ივ. ჯავახიშვილის წინადადებები ზედმიწევნით კონკრეტული იყო: „თუ ნაშთების შეგროვებისა და გადარჩენისათვის ყველაზე საუკეთე-

¹⁷ ქართული სამეურნეო საზოგადოება შეიქმნა 1915 წელს და იარსება 1921 წლამდე. მისი თავმჯდომარე იყო დიმიტრი ჩოლოყაშვილი.

ა. ა. ამ ორი საზოგადოების (საისტორიო და საეინოგრაფიო და სამე-
ურნეო — რ. მ.) შეერთებული შრომა იქმნებოდა, მსატერობის გადმო-
ღება. ან გადმოსატვა კი — სწორედ ქართველ ხელოვანთა საზოგადო-
ებას წმინდა მთავალეობაა და აქ მას ყერაინ გაუწევს მეტოქეობას“⁴⁸.

სსეადასხვა ძეგლის მიმოსხილვისა და აღწერის თვალსაზრისით
ისტორიკოსებს ვარკვეული შრომა უკვე ჩატარებული ქქონდათ, თუმ-
ცა იგი ისტორიულ-არქეოლოგიური სასიათისა უფრო იყო, ვიდრე
ხელოვნებათმცოდნური. ამიტომ ივ. ჯავახიშვილი მოიხისოგდა, რომ
ყველა ცნობილი ძეგლი ხელასლა შეესწავლათ, უცნობი ძეგლები
აღწუნსსათ, შეფასებინათ როგორც ხელოვნების თვალსაზრისით, ისე
იმ მიზნითაც, რომ ვარკვეულიყო რომელი კედლის მსატერობა ან
ქანდაკება იყო დაზიანებული, რომელი საჭირიებდა დროულ გამაგრე-
ბას ან გადმოღება-გადმოსატვას.

როგორც ვხვდავთ, ივ. ჯავახიშვილი საქმის ღრმა ცოდნით აყენებ-
და არაქტიკულ საკითხებს. მეცნიერს აწუხებდა რევოლუციამღელ
საქართველოში კულტურის ძეგლებისადმი გულგრილი, უყურადღებო
დამოკიდებულება: „შენახული მსატერობის ძეგლების... სიმრავლე,
მუშაკთა და ქონებრივი სახსრის სიმცირე“⁴⁹ გვაიმულებს ეს ღიადი და
საშვილიშვილო საქმე, რომლის განსორციელებაზე სხვა ქვეყნებში
თვით მთავრობა ზრუნავს და ამისათვის არავითარ საზოგადოებათა
გარდა გულშემატიკიარი და მზრუნველი არავინა ჰყავს, — თანდათა-
ნობით განსორციელებული იქნეს“⁵⁰.

ივ. ჯავახიშვილი საზოგადოებებს კონკრეტულ გეგმას სთავაზობ-
და, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში უნდა გადმოსატულიყო და
გადმოეღოთ ისეთი ძეგლები, რომელნიც განსაცდელში იყვნენ და რო-
შელთა გადარჩენისათვის დაუყოვნებლივ ზრუნვა იყო საჭირო. ისეთი

⁴⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასას. მოსხენება, გვ. 45.

⁴⁹ სასარების სიმცირე აშკარად ჩანს იმ მიმოწერიდანაც, რომელიც სსეადასხვა
ექსპედიციითა ცალკეულ წევრებს ქქონდათ საისტორიო და საეინოგრაფიო საზოგადო-
ებას საბჭოსთან (იხინი პირითადად უფულობას უჩივიან და იოსოვენ მატერიალუ-
რი დასმარების დროულად მიღებას). აკაკი შანიძე იგონებს, რომ როცა საზოგადო-
ებამ ბესარიონ ნაფარაძის მიერ ხეანეთში შეკრებილი ძეგლი ხელნაწერები შეიძინა,
„ე. თაყაიშვილმა არ მომიწონა, რომ მეტს ეიმეტებდი მის საფასურად (ა. შანიძე
აწარმოებდა ხელნაწერთა შეფასებას — რ. მ.) საზოგადოებისაგან. ბატონი ექვთიაშვი
მომპირნე იყო და საზოგადოების თანსებს უფრთხილდებოდა“. რასაკვირველია, ეს
მომპირნეობა და სიფრთხილე საზოგადოების ხელმოკლე მატერიალური მდგომარე-
ობით იყო განპირობებული.

⁵⁰ ივ. ჯავახიშვილი, დასას. მოსხენება, გვ. 46.

ძეგლები კი, რომლებიც შედარებით ნორმალურ მდგომარეობაში იყვნენ, საჭიროებისამებრ უნდა გაემაგრებინათ. მთელი ყურადღება განსაცდელში მყოფ ძეგლებზე (ასეთი, როგორც ჩანს, იმ დროს ძალზე ბევრი იყო) უნდა გადასულიყო. მეორე ეტაპად ივ. ჯავახიშვილს (ისტორიული ძეგლების გადარჩენის შემდეგ) მიაჩნდა ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლა და გადმოღება-გადმოხატვა. კედლის მსატერობის შესწავლა მეთოდოლოგიურად სწორად უნდა წარმართულიყო: პირველ რიგში ის ფრესკები უნდა შეესწავლათ, რომელთა შესახებაც გარკვეული ცნობები მოიპოვებოდა, ხოლო შემდეგ დაუთარილებელი ნაწარმოებები. მეცნიერი მოითხოვდა, რომ განსაკუთრებული სიფრთხილით მოპყრობოდნენ უნიკალურ ისტორიულ ქანდაკებებსა და მსატერობას, რადგან თითოეული ასეთი დაღუპული ძეგლის აღდგენა და დანაკლისის შევსება აღარ შეიძლებოდა.

ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული გეგმის განხორციელება შეიძლებოდა თანდათანობით, კომპლექსურად. დროდადრო ცალკეულ სასოგადოებას უნდა მოესმინა ისტორიული ძეგლების შესწავლის მიმდინარეობის შესახებ ჩატარებული საექსპედიციო მუშაობის ნაყოფიერებას საკითხები.

დიდი რეზონანსი ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1914 წლის თებერვალში გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (№ 31) გამოქვეყნებულ წერილს „უნდა ვუშველოთ ჯვარის მონასტერს“. ეს დიდი მოწოდება იყო ისტორიული ძეგლების დაცვისათვის საზოგადოების დასარაზმად: „...ჯვარის მონასტერი შესანიშნავი ნაშთია არა თავისი სიდიდით და... ჩუქურთმათა სიმრავლით, არამედ თავის სიძველით. უძველესი ფორმების დაცვით, უძველეს ქანდაკებათა და წარწერათა შენახვით“. გადმოსცემს რა ტაძრის გულსაკლავ მდგომარეობას მეცნიერი მიმართავს სასოგადოებას: „...ვუშველოთ ამ შესანიშნავ ძეგლს ქართულის სურთომოდვრებისა, ამ თორმეტი საუკუნის მოწმეს საქართველოს თავგადასავლისა, უძველეს ნაშთებს ქართული ქანდაკებისა, ქართულის ანბანისა და ქართულის ჩუქურთმებისა... ყველამ გამოვიდოთ წელილი დიდმა და პატარამ, ერმა და ბერმა, განათლებულმან და გაუნათლებელმა, გვეყოფა ამდენი გულგრილობა ჩვენი ძვირფასი ნაშთებისადმი. მომავალი თაობა არ გვაპატიებს თუ ეს ძველი ჩვენს თვალწინ დაინგრა“.

ექვთიმე თაყაიშვილის ამ მკაცრმა გაფრთხილებამ ბევრი ქართველი მამულიშვილი ჩააფიქრა, ჩააფიქრა არამართო ჯვრის მონასტრის, არამედ მრავალი სხვა ისტორიული ძეგლების ბედზეც. დაიწყო

თანსის შეგროვება და საგანგებო კომისიაც შეიქმნა ამ საქმის მოსაგვარებლად. სამწუსაროდ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ დიდად შეაფერსა ძეგლის საბოლოოდ წესრიგში მოყვანა. სასელდასელოდ სახურავი შეუკეთეს მსოლოდ.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გეგმით გათვალისწინებულ არქეოლოგიურ ექსპედიციათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია 1917 წლის ექსპედიციას სამსრეთ საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. მოწვეულ იქნენ სამოქალაქო ინჟინერი ანატოლი კალგინი, მოხალისე ხუროთმოძღვარი ილია სდანიეიჩი, მხატვრები დიმიტრი შევარდნაძე, ლადო გუდიაშვილი და მიხეილ ჭიაურელი (შემდგომში ცნობილი კინორეჟისორი). ექსპედიციის ნაკლი იყო ის, რომ არ ჰყავდათ სპეციალისტი ფოტოგრაფი. სახელგანთქმული ფოტოგრაფი ერმაკოვი, რომელსაც დიდი ხურვილი ჰქონდა ე. თაყაიშვილთან ერთად ემოგზაურა „თურქეთის საქართველოში“, ცოცხალი ადარ იყო. ექსპედიციამ წაუყენა სამსედრო უწყებას (რადგან ომი იყო და დანიშნულების ადგილი რუხის ჯარის მიერ იყო დაკავებული, სამხედრო უწყების ნებართვის გარეშე ამ საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლებოდა) ფოტოგრაფის რამდენიმე კანდიდატურა, მაგრამ თანხმობა ვერც ერთზე ვერ მიიღო. მაშინ ფოტოგრაფობა თვითონ იკისრეს ექსპედიციის წევრებმა.

ფულადი დახმარება (ექსპედიციას ხელი გაუმართეს სხვადასხვა ორგანიზაციამ), რაც ექსპედიციას შეეცა, არ იძლეოდა მთელი ზიხრულით კვლევის ჩატარების საშუალებას. ექსპედიციისათვის დახმარების გაწევა დაევალა სამხედრო მოხელეს ალექსანდრე ციციშვილს, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის ნამოწაფარი იყო. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელ გარემოებას თავისი გავლენა ჰქონია და ა. ციციშვილს ძალდონე არ დაუმურებია, რათა დაკისრებული საქმე პირნათლად შეესრულებინა. ექსპედიციის წევრები მაღლობით იხსენიებენ სამსედრო მოხელის მიერ გაწეულ სამსახურს.

1917 წლის 8 ივლისს არქეოლოგიური ექსპედიცია მატარებლით ყარსისაკენ გაემგზავრა. ყარსიდან ავტომანქანით ჩავიდნენ მერდუქში, შემდეგ — ოლთისში, ხოლო ოლთისიდან ახპუსორის მაღალი უღელტეხილით გადავიდნენ თორთუმის ხეობაში და სასულს მიადწიეს.

ექსპედიციამ სასულის მონასტრის შესწავლა-აღწერა დაიწყო. შემდგომ თორთუმი და მისი ციხე („თორთუმ-ყალა“) ინახულეს (1401 წელს თემურ ლენგმა თავისი მეექვსე ლაშქრობა თორთუმის

ცნობით დაიწყო. აქ გამაგრებული 200 ქართველი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. თემურის ჯარმა გატესა ქართველები — ორასივე ამოხოცეს). თორთუმიდან ექსპედიცია ექექში გადავიდა და ეკლესია აზომა. შემდეგ კვლავ სახულში დაბრუნდა და აქედან კურსი ოშკისაკენ აიღო. ოშკში მუშაობის დამთავრების შემდეგ იშხანი შეისწავლეს.

ე. თაყაიშვილმა თავის თანამოსაქმეებთან ერთად ინახულა და აღწერა თორთუმის ხეობის ზემო წელში მდებარე ექექის ტაძარი, მის სამხრეთით სოფელ სოხთორთის ტაძარი, ჩვენს ისტორიაში კარგად ცნობილი ოთხთა ეკლესია, ასევე ცნობილი პარხლის ეკლესია და სხვ.

ექსპედიციამ დიდი საქმე გააკეთა: გაამზადა ყველა ნანახი ეკლესიის გეგმა, მულაუით გადმოიღო მრავალი ბარელიეფი და ასე ჩამ. იტანა თბილისში. ეს იყო ქართული ძეგლების ამგვარი ხერხით შესწავლის პირველი ცდა. ექსპედიციამ მიაკვლია და გადმოიღო მრავალი ძვირფასი წარწერა, გარკვევა ზოგიერთი მონასტრის სახელი, რომელიც მანამდე ლიტერატურაში ცნობილი არ იყო.

ისტორიული ძეგლები, რომლებიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ექსპედიციამ აღწერა, დღეს ფართო საზოგადოებრიობისათვის ზანახავად მიუწვდომელია. ამიტომაც, რომ ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ექსპედიციის შედეგებს⁵¹.

როგორც ჩანს, ექვთიმე თაყაიშვილი ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგაც არ აკლებდა ზრუნვას სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ძეგლებს. მან მოსთხოვა საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს გაეზაენათ ტაოს მხრის ქართული მონასტრების სამეთვალყუროდ სასულიერო პირები. საბჭოს ცურად უღია ეს თხოვნა და დაუკმაყოფილებია იგი. ფფიქრობთ, არ იქნება ინტერესმოკლებული ამ საკითხთან დაკავშირებული საგანგებო წერილის პოტანა:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ს ე .ს. თაყაიშვილს

ამით გაუწყებთ, რომ სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ თავის სხდომაზე 28 სექტემბერს მოისმინა რა თქვენი სიტყვიერი მოსხენება, რომ გაგზავნილი იქნას ტაოში ამ მხრის ძველი

⁵¹ 1917 წლის ექსპედიციის შედეგები მოგვიანებით გამოქვეყნდა რუსულად და ქართულად. იხ. Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии. Тб., 1952; 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, იბ., 1960.

ქართული მონასტრების თვალყურის სადევნად ერთი პერი, ორის
მორჩილით — დაადგინა: გაიგზავნოს ვარძიის მონასტრის წინამძღვა-
რა მღვდელ-მონაზონი იბოლიტე, ორის მორჩილით, სასულის უკვე
ნაკურთხ ეკლესიასთან დასასასლელად, რათა მანდედან თვალყური
ადევნოს და მოუაროს, როგორც ხასულს, ისე ტაოს დანარჩენ ძველ
ქართულ ნაშთებს: ოშკსა, ექექს, დორთქილს, იშხანსა და პარსალს.
შესანახი მღვდელმონაზონ იბოლიტეს და ორ მორჩილს ენიშნება
ერთდროულად საკათალიკოსო საბჭოს თანხიდან ორი ათასი მანეთი.

საკათალიკოსო საბჭოს წევრი — მდივანი პ. ინგოროყვა" 52.

მიუსედავად სხვადასხვა ხასიათის სირთულეებისა, 1907—1917
წლებში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება
ფართო ხასიათით საექსპედიციო საქმიანობას აწარმოებდა და გარკვე-
ულ შედეგსაც მიაღწია — მეცნიერული საფუძველი შეუქმნა და სწო-
რა გეზი მისცა საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების
მოვლა-პატრონობისა და შესწავლა-გამოკვლევის საქმეს, დიდი მუ-
შაობა გასწია ჩვენს სიძველეთა დაცვაში ფართო საზოგადოების აქ-
ტურად ჩაბმისათვის.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი და წიგნთსაცავი

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წესდების შესამე
მუხლის პირველ პარაგრაფში საგანგებოდაა მინიშნებული, რომ
საზოგადოება „არსებს და ხსნის ქ. ტფილისში, როცა დაინახავს შე-
საძლებლად, „ქართულს მუზეუმს და ბიბლიოთეკას“, რომლებშიაც
თავს მოუყრის და დაიცავს ნივთიერს და ნაწერს ნაშთებს, რომელ-
ნიც ესებიან როგორც უმთავრესად უწინდელის საქართველოს და
ახლანდელი ქართველი ტომების, ისე მთელის კავკასიისა და მისი
მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიას, არქეოლოგიას, ლიტერატურას,

52 საქ. სელოენ. მუზეუმის ფონდი, ყ. 347, საქ. № 19 (წერილი დათარიღე-
ბულია 1917 წლის 9 ოქტომბრით).

ანთროპოლოგიას, ეთნოგრაფიას და კულტურას, და აგრეთვე დაბეჭდილ წიგნებს უმთავრესად კავკასიის ცოდნის შესახებ“.

საქართველოში ეროვნული მუზეუმის დაარსება მართლაც საშური საქმე იყო. მეოცე საუკუნის დასაწყისში სამუზეუმო საქმე აღმავლობას განიცდიდა მსოფლიო მასშტაბით. ძალზედ გაიზარდა ეთნოგრაფიით დაინტერესება. კავკასიის მუზეუმი (თბილისში) მხოლოდ ევზოტიკურ კოლექციებს აგროვებდა საქართველოს მთაში (ხვანეთი, ხეცურეთი)⁵³. ნიშანდობლივია, რომ მუზეუმის არსებობის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში ადგილობრივი წარმოშობის არც ერთი თანამშრომელი არ ყოფილა. ამან კავკასიის მუზეუმის საქმიანობას თავისი დაღი დააჩინა. ეროვნული მუზეუმის შექმნით მეფის რუსეთის ადმინისტრაცია, ბუნებრივია, არ ყოფილა დაინტერესებული. უფრო მეტიც, ეროვნული კულტურის გამოვლინების ყოველგვარ ცდას უარყოფითად უყურებდა. ასეთ უაღრესად არახელსაყრელ პირობებში ადგილობრივი ძალების შემწეობით მუზეუმის შექმნა დიდ ორგანიზატორულ მუშაობას მოითხოვდა. ამ „თავ მიზნის“ განხორციელება საზოგადოების წევრების სისხლხორციეული საქმე იყო. ნიშანდობლივია, რომ წესდებით განსაზღვრულ საზოგადოების სახელმძღვანელო იერარქიაში იმთავითვე იყო ადგილი მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველისა. საგულისხმოა ისიც, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პირველივე დამფუძნებელ კრებაზე საბჭოს წევრად და მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველად არჩეულ იქნა ილია ივანეს ძე ფერაძე. მართალია, ჯერ ~~ფილი~~ ბიბლიოთეკა არ არსებობდა, მაგრამ ეს ნაბიჯი მისი აუცილებლად შექმნის საწინდარი იყო.

პირველ ხანებში მუზეუმისა და ბიბლიოთეკისათვის საზოგადოებას არ გააჩნდა ბინა, სადაც შეიძლებოდა ნივთებისა და წიგნების შეკრება-შენახვა. სადებუტატო საკრებულოსთან დაარსებული საადგილმამულო კომისიის ოთახში იდგა ერთი პატარა კარადა. კარადაში მოთავსდა ნიკოლოზ ხიზანაშვილის (ურბნელის) ქერივის ელისაბედ სიზანაშვილის მიერ შემოწირული წიგნები: 52 სახელწოდების (რუსული და ფრანგული) და 23 სხვადასხვა სახელწოდების ქართული წიგნი, რომელმაც საფუძველი დაუდო შემდგომში მუზეუმ-ბიბლიოთეკას. 1907 წელსვე (საზოგადოების დაარსებიდან ორიოდე თვის შემდეგ) შეიქმნა სამუზეუმო კომისია (ე. თაყაიშვილი, ა. სარა-

⁵³ ვ. ჩატაია, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეთნოგრაფია, კრებ., „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი“, თბ., 1966, გვ. 132.

ჯაშვალა⁵⁴, გ. ცეცხლაძე), რომელსაც უნდა შეემუშავებინა მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მოწყობის გეგმა. მთავარი პრობლემა ბინის გამონასვა იყო. ჯერ მიიღეს ერთი ოთასი სათავადაზნაურო გიმნაზიის მეორე სართულზე, უფრო გვიან ამ შენობის მესამე სართულის მთელი მარჯვენა მხარე დაიკავეს. საზოგადოებამ დიდი მუშაობა გაშალა სამუზეუმო ექსპონატებისა და სხვადასხვა (ხელნაწერი, ნაბეჭდა) წიგნის მოსაპოვებლად. მთელი 1908 წლის განმავლობაში მუზეუმ-ბიბლიოთეკის სახელზე არაერთი მნიშვნელოვანი შემოწირულება მოვიდა. არ შეიძლება სავანებოდ არ აღინიშნოს, რომ აქაც ქართველ საზოგადოებას მისაბაძი მაგალითი მისცა ექვთიმე თაყაიშვილმა. მან მუზეუმ-ბიბლიოთეკას გადასცა ორი ხელნაწერი: ვასტანგოს კანონები და ვახტანგოს სამართალი. მას სხვებმაც მიბაძეს. მოსე ჯანაშვილმა მეტად საინტერესო არქეოლოგიურა ნივთი შესწირა, თავადმა გიორგი დავითის ძე ერისთავმა — ექვსი ბეჭედა; არაბული ფული, საკალატოზო, შვეული (მინანქრიანი), დასაკეცი სატიის პატარა ძვლის კარი და სხვ., გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ათანასეს ძე მაცაშვილმა — ხელნაწერი „დავითნი“ (1691 წლასა) და ხელნაწერი „უამლოცვანი“ (1738 წლის), მარიამ ვასტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ — ვერცხლით მოჭედილი კეხა, ოქროთი დაფერილი ხატი, ფერცხლის რახტი, ოქრომკედით ნაკერი ქალის პირსაბური, სამღვდლო ფილონი, სტიქარი, ქაშარი, ოლარი და მარგალიტით შემკული საბუსრეები.

მუზეუმ-ბიბლიოთეკას 1908 წელსვე სხვადასხვა წიგნი და ნივთი შესწირეს: მარიამ დავითის ასულმა შარვაშიძისამ, ალექსანდრა გიორგის ასულმა მირზაშვილისამ, დამიანე დავრიშაშვილმა, ვლადიმერ ლორთქიფანიძემ, მისეილ ლობჯანიძემ, აექსენტი აბესაძემ, ივანე აფხაზმა, კალისტრატე ცინცაძემ და ნიკოლოზ ლოღობერიძემ.

ამასთან, საზოგადოებამ რამდენიმე ხელნაწერი და ხარკეოლოგიო ნივთი ფულითაც შეიძინა (საერთოდ მუზეუმ-წიგნოსაცავისათვის გარკვეული რაოდენობის თანხა ყოველთვის იყო განსაზღვრული საზოგადოების წლიურ ხარჯთაღრიცხვებში). 1909 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოების წიგნოსაცავი 44 ხელნაწერ და 95 ნაბეჭდ

⁵⁴ ა. სარაჯიშვილის მეცნიერული ინტერესები უკავშირდებოდა ხალხის ყოფისა და კულტურის საკითხებს, იგი მხარში ედგა ექვთიმე თაყაიშვილს სამუზეუმო საქმის მოწესრიგებაში. წლების მანძილზე (1909 წ.-დან) იყო საზოგადოების საზინადარი და მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველი.

წიგნს ითვლიდა (ამას გარდა, საზოგადოებას ჰქონდა 56 ეგზემპლარი ნ. სიზანაშვილის „ათაბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი“ და 450 ცალი „თიმსარიანი“).

მუზეუმ-წიგნთსაცავს დიდი პერსპექტივა ჰქონდა. საჭირო იყო სათანადო შენობის აგება, რომელიც საგანგებოდ მუზეუმისათვის გაიმართებოდა. ამ საქმეს დიდი თანხები სჭირდებოდა. საზოგადოებამ თხოვნით მიმართა შეძლებულ ქართველებს, რომ ფინანსური დახმარება აღმოეჩინათ მუზეუმისათვის. ყოველი თხოვნის ბარათი დიდი ტაქტით იყო დაწერილი, დასაბუთებული იყო ამ საქველმოქმედო საქმის დიდმნიშვნელოვნება. სანიმუშოდ მოვიტანთ საქ. საისტორიო არქივში დაცულ ელისაბედ მოზდოკელისადმი კავკავში გაგზავნილ ერთ წერილს:

„მოწყალეო ქალბატონო, ელისაბედ დავითის ასულო!

მთელმა საქართველომ დიდის სიამოვნებით და სიხარულით მოისმინა ის ამბავი, რომ გარდაცვალებულს თქვენს მეუღლეს იოსებ ვასილის ძეს ჰქონდა სურვილი ნაწილი თვისის ქონებისა შეეწირა რომელიმე ქართულ საზოგადო საქმისათვის. მოულოდნელმა გარდაცვალებამ ხელი შეუშალა განსვენებულ იოსებს სიხარულში მოეყვანა თავისი კეთილშობილური განზრახვა და უხვის შეწირულებით უკვდავექმნა როგორც თვისი სახელი, აგრეთვე თვისი გვარისაც.

მართალია განსვენებულმა იოსებმა ვერ აასრულა თვისი სურვილი სიცოცხლეში და ვერც მოასწრო დაეტოვებინა ანდერძი, მაგრამ სანუგემოდ ისა გვაქვს, რომ განსვენებულს დარჩა მემკვიდრედ ძმა ბ-ნი გრიგოლი და თქვენ ქალბატონი ელისაბედი. „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ ღრმად დარწმუნებულია, რომ როგორც თქვენი მაზლი, აგრეთვე თქვენ, ქალბატონო ელისაბედ, არ ინებებთ რომ პატივი არა სცეთ განსვენებულის იოსების კეთილშობილურს განზრახვას და სურვილს და არ აასრულოთ მისი სიტყვიერი ანდერძი საკეთილოდ და საბედნიეროდ ჩვენის სამშობლოსი და სადიდებლად თქვენის გვარისა და სახელისა შთამომავლობის ხსოვნაში.

დღეს უპირველესი საჭიროება ქართველი საზოგადოებისა ისაა, რომ როგორმე ავაგოთ შენობა (მუზეუმი), სადაც უნდა მოთავსდეს საქართველოს საერო განძი: ეს განძია ძველი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები, ზაყალებიო შესამოსელი, ძველის დროის ზბილენძის, ვერ-

ცხლასა და ოქროს ფული, ძველებური ტანისამოსი, სამკაული, ძველ-
ლებური ტურტული, სელსაწყო, სამუშაო და საომარი იარაღი და სხვა.
ამგვარი ნივთები უკვე ბლომადა გვაქვს მოგროვილი და სულ იმის
შიშში ვართ, ვაი თუ შესაფერი ბინის უქონლობის გამო ეს ნივთები
ცეცხლმა იმსხვერპლოს და გადაგვეწვას. ეს უბედურება რომ დაგვე-
ძარითოს, სწორედ ჩასაქოლაფი გახდება დღევანდელი ქართველი სა-
ზოგადოება, რომ ვერ მოუარა, ვერ უპატრონა მამა-პაპათაგან დატო-
ვებულ ეროვნულ განძს, რომლის შემწეობით საქართველოს განათ-
ლებულ ქვეყნების თვალში შარავანდედით მორთული სახელი აქვს
მოაზრებული.

მუზეუმის აშენებას დასჭირდება არა ნაკლებ 60 000 მანეთისა.
მცირედი ფული უკვე გვაქვს შეგროვილი მუზეუმისათვის და თუ
თქვენ, ქალბატონო ელისაბედ და თქვენი მამა, ბ-ნი გრიგოლ, ინე-
ბებთ შემოსწიროთ ნაწილი თქვენის ქონებისა, თანახმად განსვენებულ
იოსებ ვასილის ძის სურვილისა, მაშინ მუზეუმის აშენების საქმე
გაიჩარხება და სულ ცოტა დროში ტფილისში ავაგებთ მშვენიერ შე-
ნობა-მუზეუმს, რომელსაც ზედ ექმნება წარწერილი თითბრის ან
მარმარალოს ფიცარზე, რომ აგებულია ძმათა გრიგოლ და იოსებ
ვასილის ძეთა და ელისაბედ მოზდოკელთა დეაწლითა და საფა-
სითა.

ეს წარწერა უკვდავსა ჰყოფს შთამომავლობის თვალში იოსების,
გრიგოლისა და თქვენს სახელს. ამაზე უკეთეს ძეგლს მემკვიდრენი
იოსებისა სხვას ვერას მოიგონებენ. გარდა ამისა თქვენ არჩეული
იქნებათ საპატიო წევრად ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებისა.

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“
საბჭო ამასთანავე გაუწყებთ, რომ ცალკე წერილი მივწერეთ ამავე
საგანზე ბ-ნს გრიგოლ მოზდოკელს და იმათაც ვსთხოვეთ შემოსწირონ
ესე 40 000 მანეთი, სასახელოდ თავისა და განსვენებულის იოსებისა.
თუ საჭირო იქმნება ამ საქმეზე მოლაპარაკება, დიდის სიამოვნებით
გაახლებთ მანდ, კავკაეში, საბჭოს წევრს ალექსანდრე ყიფშიძეს, რო-
მელსაც დაევალება მოაწყოს თქვენთან ერთად ეს საქმე.

ამასთანავე გაუწყებთ, რომ ამთავითვე „საზოგადოებამ“ თქვენ
აგარჩიით თავის ნამდვილ წევრად და გაახლებთ საზოგადოების წეს-
დებს.

საზოგადოების თავმჯდომარე ე. თყაიშვილი
მდივანი ს. ვორვაძე.

წერილი დათარიღებულია 1908 წლის 20 ივნისით. იმავე თარიღით საზოგადოებამ წერილი გაუგზავნა გრიგოლ ვასილის ძე მოზდოკელსაც, ანალოგიური თხოვნით წერილები, როგორც ჩანს, სხვა ადრესატებსაც დაეგზავნა.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება გადაჭრით სვამდა მუზეუმისათვის შენობის აგების საკითხს. 1909 წ. 20 დეკემბერს გამგეობამ საზოგადო კრებას წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ხაზგასმული იყო მუზეუმის აშენების აუცილებლობა. „მუზეუმის აშენება შეაქმნა საზოგადოების ოცნებად და ჰანატრელად“, —ნათქვამი იყო მოხსენებაში⁵⁵. მუზეუმის აშენების საკითხი იღვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობის დღის წესრიგშიც. ამ საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკა მათავესებული იყო თავად-აზნაურობის ქარვასლაში, წიგნის მაღაზიის გვერდით, სადაც სივიწროვისა და უხერხულობის გარდა, ხანძრის გაჩენის საშიშროებაც არსებობდა.

1909 წლის 20 დეკემბერს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საზოგადო კრებამ განიხილა გამგეობის მოხსენება მუზეუმის მდგომარეობისა და სამუზეუმო შენობის აგების შესახებ და დაადგინა: „კრება საჭიროდ სცნობს, რომ ახლავე აშენდეს სამუზეუმო შენობა. ამ მიზნის მისაღწევად შეუერთდეს დროებით მუზეუმის თანხას თანხება ილია ჭავჭავაძისა, რაფიელ ერისთავისა, სასტამბო და ძველი წიგნების ბეჭდვისა. მიემართოს საზოგადოებას მოწოდებით და თხოვნით, შემოგვწიროს ფული მუზეუმის ასაგებად. მიემართოს აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებას — ამ აზრის განსახორციელებლად ავირჩიოთ ცალკე კომისია (თანახმად წესდების მე-15 პარაგრაფისა). კომისიაში საზოგადო კრება აირჩევს ხუთს წევრს, ხოლო მათ გარდა ამ კომისიაში მონაწილეობას იღებენ წევრის უფლებით სამი წარმომადგენელი წ. კ. საზოგადოების გამგეობისა და სამი წევრი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წარმომადგენელი, რომელნიც ამხთანავე უნდა იყვნენ წ. კ. გ. საზოგადოებას წევრნი“.

აუწყებდა რა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ამ გადაწყვეტილებას, გამგეობის თავმჯდომარე საგანგებო წერილით

⁵⁵ რ. მეტრეველი, შ. ბაღრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1962, გვ. 29.

სოსოედა სამუშეუშო კომისიაში სამი წევრის დელიგირებას. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებიდან გამოყოფილი წევრები უკვე შემოთ იყენენ დასახელებულა. და აი ამ ორმა საზოგადოებამ საერთო ძალით დაიწყო სრუნვა მუშეუმის ასაშენებლად.

როცა ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლებმა დიდი მწერლის სახელის უკვდავსაყოფად დასახეს რიგი ღონისძიებები, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ილიას თანხის დაარსება იყო. რისთვის უნდა გამოყენებულაყო ეს თანხა? ამასთან დაკავშირებით უპრიანია ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრება, რომელიც გამოქვეყნდა „ისრის“ ფურცლებზე: „...ახლავე უნდა გვექონდეს გარკვეული რა უფრო გვესაჭიროება ამჟამად, რას უნდა მოხმარდეს ყველაზე ადრე, ყველაზე უპირატესად ეს ფონდი, რის დაარსება უფრო შესაფერია ილია ჭავჭავაძის სასსოვრად? ჩვენის აზრით, ამჟამად ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ქართული მუშეუმის აშენება“ (გაზ. „ისარი“, 1907 წ., 10. IX, № 201). ექვთიმე თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ აქ უნდა შეკრებილიყო მთელი ის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლიტერატურული და სხვა მასალები, რომლებიც მანამდე ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ინახებოდა. მუშეუმში უნდა შექმნილიყო ილიას დარბაზი, სადაც გამოფენილი იქნებოდა მისი ბაუსტი, სურათები, ხელნაწერი და ნაბეჭდი მასალა. ექვთიმე თაყაიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ჯერჯერობით არც ერთმა ქველმოქმედმა (რისი იმედიც უქონდათ) არ გაუმართლათ იმედი და მუშეუმის აშენების საქმე ვერ მოგვარდაო. მეცნიერს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო თვითონვე შედგომოდნენ მუშეუმის აშენების საქმეს, რასაც უნდა მოხმარებოდა დიმიტრი ბაქრაძისა და რაფიელ ერისთავის ფონდებში არსებული თანხები (ილია ჭავჭავაძის თანხასთან ერთად).

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება მთლიანად უჭერდა მხარს თავმჯდომარის მცდელობას მუშეუმის დაარსებისათვის. ეს საერთო საქმე იყო, ყველა ქართველის, ყველა ეროვნული და კულტურული საზოგადოების დიდი საქმე და ამიტომ 1909 წლის მიწურულში შექმნილ სამუშეუშო კომისიაში შევიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ კომისიაში აირჩია ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და კალისტრატე ცინცაძე. საერთო სამუშეუშო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი.

მუზეუმისა და ბიბლიოთეკის დაარსებას, გარდა მატერიალური სასსრებისა, მთავრობის ნებართვაც სჭირდებოდა. ეს უკანასკნელაც არ იყო ადვილი. საზოგადოებამ ბიბლიოთეკის დაარსების ოფიციალური ნებართვა 1911 წლის 5 დეკემბერს მიიღო, მუზეუმისა კი — 1912 წლის 24 იანვარს. ამ ოფიციალურ დოკუმენტებს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მუზეუმის აშენების საქმე უკვე რეალურ საფუძველზე იდგა. საქმე ისაა, რომ, როცა სამუზეუმო კომისიას მიმართვა მიიღეს, შეძლებულმა ქართველმა მამულიშვილებმა დახმარების სელი გაუწოდეს ამ დიდსა და საშვილიშვილო საქმეს. პავლე თუმანიშვილმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა ერთი დესიატინა მიწა (ამაზე შემოთაც იყო ლაპარაკი) ვაკეში სათავადაზნაურო გიმნაზიის მასლობლად. მამული იმთავითვე დაუმტკიცა საზოგადოებას და თანაც აღუთქვა, რომ გადასცემდა დიდი რაოდენობით საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო წიგნებს (ეს წიგნები უნდა მოთავსებულიყო ერთ დარბაზში, რომელსაც პავლე იოსების ძე თუმანიშვილის სასული დაერქმეოდა). მრავალი ეროვნული საქმის დიდმა მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა იკისრა თავისი ხარჯით მუზეუმის აშენება. რადგან იგი აუად იყო და საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა სამკურნალოდ, შეადგინა ანდერძი და საზოგადოებას აცნობა, რომ მუზეუმის ასაშენებელი თანხა გადადებულია. თუ კი მას დასცალდებოდა საზღვარგარეთიდან დაბრუნება, მაშინვე თავად შეუდგებოდა შენობის აგებას. დ. სარაჯიშვილმა საქართველოში დაბრუნების უმალ მოინდომა მისი განხორციელება. უპირველესად მოითხოვა მიწის გამოყოფა. პ. თუმანიშვილას შემოწირული მიწა მან (და სხვებმაც) არ მოიწონეს მუზეუმისათვის, ჯერ სიშორისა და შემდეგ ფასადის გასამართავი ფართობის (სულ 9 საუენი იყო) სიმცირის გამო. დ. სარაჯიშვილმა საზოგადოებას ურჩია შეეძინათ წყნეთისა და ოლღას ქუჩების შუა მდებარე წილოსანისეული მიწა (ამ ნაკვეთის მიხედვით დ. სარაჯიშვილმა გერმანელ სუროთმოძღვარს შეადგენინა მუზეუმის გეგმა-პროექტი). ეს მიწა სულ 250 კვადრატული საუენი იყო, მაგრამ წილოსანს მთლიანად არ ეკუთვნოდა — 1/14 ცისკარიშვილისა იყო, 1/14 მალინოვსკისა. იმხანად წილოსანი საზღვარგარეთ იყო და, როგორც მისმა ექილმა ნ. ქართველიშვილმა განაცხადა, ერთ თვეში უნდა დაბრუნებულიყო. მისივე ცნობით, მიწას გაჰყიდიდა წილოსანი 1 საუენს არა ნაკლებ ათი თუმნისა. საზღვარგარეთიდან ჩამოსვლა დაავიანდა წილოსანს, საქმე კი არ ითმენდა, ამიტომ გიორგი ყაზბეგისა და ექვთიმე

თაყაიშვილის სელმოწერით ბარათი გაუგზავნიათ მისთვის, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ.

ამასობაში სხვა მიწაც ნახეს წყნეთის ქუჩის ბოლოს. ფართობი 1000 კვადრატული საჟენი იყო, მაგრამ უსერსული მდებარეობა ჰქონდა (ადგილი წავრძელებული იყო და ჩავარდნილი). არც ეს მიწა მოაწონეს და სარაჯიშვილის რჩევით, მოცდა და ისევ წილოსანის მანის ყიდვა გადაწყვიტეს. ამ დროს ერთმა სომეხმა ვაჭარმა მუზეუმის მშენებლობის ხელის შეშლის მიზნით გადაწყვიტა ცისკარიშვილისადმი კუთვნილი ნაკვეთის (ფართობის 1/14 ნაწილის) შეძენა, ბუც მისცა და სათანადო სელწერილიც მიიღო (სელწერილით მიწას ცისკარიშვილი 1500 მანეთად ყიდდა, თუ პირობას დაარღვევდა 500 მანეთი უნდა გადებოდა). როცა სამუზეუმო კომისიამ ეს ამბავი შეიტყო, მოელაპარაკნენ ცისკარიშვილს და ამ უკანასკნელმაც სომეხ ვაჭარს უარი უთხრა და დათანხმდა, რომ ექვსი თვის განმავლობაში მიწას საზოგადოებას დაუმტკიცებდა. მოლაპარაკება მაღინოვსკისთანაც გაიმართა: ამ დროს საზღვარგარეთიდან წილოსანი დაბრუნდა. როცა საზოგადოების განზრახვა შეიტყო, მიწის გაყიდვის საქმე შორს დაიჭირა და ამდენად ეს ცდაც ჩაიშალა. 1911 წელს დ. სარაჯიშვილი გარდაიცვალა, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მან დატოვა საგანგებო ანდერძი, რომლითაც მის ნების აღმასრულებლებს ევალებოდათ ზოგიერთი მამული გაეყიდათ, იქიდან აღებული ფულის ნახევარი (ამ თანხამ ასი ათას მანეთზე მეტი შეადგინა) მუზეუმის ასაგებად გამოეყიდათ, დარჩენილი ნახევარი სტიპენდიებისათვის უნდა გადაეღებოდა.

სამუზეუმო კომისიამ მიზნად დაისახა მუზეუმის ასაშენებლად მოხერხებული ადგილის შეძენა. მიმართეს თბილისის თავად-აზნაურობას და სთხოვეს საამისოდ ის ადგილი, რომელიც ფრეილინის ქუჩაზე მდებარეობდა და თავად-აზნაურთა ქარვასლის კარ-მიდამოს ნაწილს შეადგენდა (იმ პენობითურთ, რომელშიც მაშინ საადგილმამულო ბანკი იყო).

როგორც ჩანს, ეს თხოვნა ყურად არ იღო თავადაზნაურობის საკრებულომ და განსახილველად გადასცა კულტურულ დაწესებულებათა შორის თანხების გამანაწილებელ საგანგებო კომისიას. ამ უკანასკნელს, ბუნებრივია, არ შესწევდა უნარი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისა, როგორც მუზეუმის ასაშენებლად ადგილის გამოყოფა ან კიდევ სათანადო ასიგნება ამ საქმისათვის. ექვთიმე თაყაიშვი-

ლი ამის გამო მიმართაედა თბილსის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს:

«Его Сиятельству Предводителю
Дворянства Тифлисской Губернии

От Комиссии по постройке Грузинского Музея

Еще летом прошлого года Комиссия по постройке Грузинского Музея вошла с ходатайством в общее собрание Дворянства Тифлисской Губернии об ассигновании известной суммы денег на постройку Грузинского Музея, но ходатайство Комиссии, к сожалению, не было прочтено и рассмотрено в общем собрании, а передано в особую Комиссию по распределению денег между культурными учреждениями и просветителями пособий от Дворянства. В распоряжении последней Комиссии было только 6000 рублей при обсуждении вопроса о распределении этих денег не найдет ли Депутатское собрание и дворянство возможным уступить под Грузинский Музей землю в имении Дворянства, позади дворянского Каравансарая, прилегающую к Фрейлинской улице, включая сюда и здание, занимаемое Дворянским земельным банком, с тем однако, чтобы эта земля была укреплена за учреждением, на имя которого будет построен Музей. Если по чему-либо невозможно будет уступить означенную землю, то просим обсудить, в какой сумме дворянство могло бы придти на помощь для покупки земли под Музей в другом месте и о результатах совещания Депутатского Собрания не оставить известить Комиссию.

При этом нужным считаю добавить, что решения дворянства зависит, быть ли Музеем в центре города или на окраине.

Если Депутатское собрание найдет нужным познаться более детально с вопросом о Музее, Комиссия охотно пришлет своего представителя для объяснений.

Председатель Комиссии по постройке Музея
Евфимий Семенович Такайшвили⁵⁶.

ამ წერილის შემდეგ აღნიშნული საკითხი განიხილა თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ სამუზეუმო კომისიის თანდასწრებით და გადაწყვიტა უარი ეთქვა მიწის გამოყოფაზე; სამაგიეროდ დაადგანეს მუზეუმისთვის გადაეცათ 50 000 მანეთი სუთი წლას გან-

⁵⁶ წერილი დაცულია საქ. სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სას. ხელნაწერთა ინსტიტუტში. ის. ე. თაყაიშვილის ფონდი № 975

მაგლობაში (წელიწადში 10 000 მანეთის ოდენობით). სამუზეუმო კომისიას განზრახული ჰქონდა ამ ფულით შეემინა წილოსანის მამული და მასთან მიმდებარე გაბაშვილის (ვაჭრის) მამულიც (240 საყენი), რადგან ამის გარეშე მუზეუმისათვის ადგილი არ კმაროდა (სვიმონ კლდიაშვილის მიერ ნაკვეთის გაზომვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის ვეგმა-პროექტი, რომელიც დავით სარაჯიშვილმა გერმანიაში შეადგენინა, აქ არ თავსდება)⁵⁷. სამწუხაროდ, სამუზეუმო კომისიამ განკუთვნილი თანხის მხოლოდ ნაწილი (15 ათასი მანეთი) მიიღო⁵⁸.

სამუზეუმო კომისიის ხელთ არსებული თანხით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე სამოცა ათას მანეთად შეძენილ იქნა „ფიქრის გორა“ (შეიცავდა 5000 კვადრატულ საყენს, აქედან 1800 საყენი ვაკე ადგილი იყო), აქ განისაზღვრა მუზეუმის აგება. ამიერიდან „ფიქრის გორასთან“ დაკავშირებული ყველა საკითხი სამუზეუმო კომისიის გარეშე ვერ გადაწყდებოდა.

ქართული მუზეუმის ამშენებელი კომისიის წევრთა 1914 წლის 11 ნოემბრის კრებაზე (ესწრებოდნენ ე. თაყაიშვილი, ქრ. ციციქაშვილი, ს. კლდიაშვილი, იბ. ვართაგავა, იუსტ. აბულაძე, ა. ყიფშიძე) მოისმინეს თავად იასონ ციციშვილის თსოგნა (1914 წ. 4 ნოემბრის) და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წერილი (1914 წ. 6 ნოემბრის № 596) „ფიქრის გორაზე“ ორსართულიანი სასლის აშენების თაობაზე. კრებამ მიიღო ი. ციციშვილის წინადადება. ნაკვეთის აზომვა და გეგმის შედგენა მიენდო სვიმონ კლდიაშვილს. „ფიქრის გორის“ საერთო აგებმვა დაევალა კ. დგებუაძეს (მას უნდა ემოქმედა სვ. კლდიაშვილსა და აღ. სარაჯიშვილთან ერთად. ამ უკანასკნელთ უნდა მოეწოდებინათ მისთვის საჭირო ცნობები გეგმის შესადგენად)⁵⁹.

⁵⁷ იხ. სამუზეუმო კომისიის 1911 წ. 10 სექტემბრის სხდომის ოქმი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტ-ის ე. თაყაიშვილის ფონდი, № 972, ფ. 1-2.

⁵⁸ ღარჩენილი თანხა კომისიამ 1917 წ. თებერვლამდე ვერ მიიღო. ამის შემდეგ კომისია ამ ფულს ეროვნულ საბჭოს სთხოვდა, რადგან თავად-აზნაურთა კოლექტიური ქონება და ელდებულებები მასზე გადაეიდა.

⁵⁹ საქ. სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. თაყაიშვილის ფონდი № 9, ფ. 3.

ი. ციციშვილისათვის სახლის აშენებაზე ნებართვის მიცემა იმას გულისხმობდა, რომ ეს უკანასკნელი მოუვლიდა რა „ფიქრის გორას“ (გააშენებდა ხეხილს და სხვ.), მის მიერ აგებულ ორსართულიან სახლს ანდერძით უტოვებდა (სიკვდილის შემდეგ) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

მუზეუმისათვის შენობის დროული აგება იმითაც იყო საშური საქმე, რომ საზოგადოების მიერ დაკავებული ოთახების (სათავადაზნაურო გიმნაზიაში) უკან დაბრუნებას მოითხოვდა ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი, იმ მოტივით, რომ ამ უკანასკნელს გადაუწყვეტია გიმნაზიის შენობის გაქირავება. თანაც წინადადებას აძლევდა ე. თაყაიშვილს, რომ მუზეუმი და ბიბლიოთეკა სხვაგან გადაეტანათ (მიმართვას სელს აწერდნენ პ. გვერდწითელი და გ. ბერძენიშვილი)⁶⁰. ამასვე, რასაკვირველია, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ უარი შეუთვალა:

„საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების საბჭომ განიხილა გამგე კომიტეტის წინადადება ამა წლის (1915 წ.—რ. მ.) 23 აპრილის თარიღით № 53 და დაადგინა პატივისცემით მოახსენოს გამგე კომიტეტს. რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას არა აქვს არავითარი სახსარი, არავითარი საშუალება გადაიტანოს მუზეუმი და ბიბლიოთეკა გიმნაზიის შენობიდან“⁶¹.

საზოგადოებას მუზეუმი არსად გადაუტანია, მაგრამ ფაქტია, რომ სხვადასხვა მხრივ გარკვეულ შევიწროებას განიცდიდნენ ამ საქმის მესვეურები, ეს კი აიძულებდა უფრო აქტიურად ეფიქრათ და ემოქმედათ მუზეუმისათვის შენობის ასაგებად. მეორე მხრივ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მუზეუმს იმედის თვალით უყურებდნენ სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებიც. როცა საეკლესიო მუზეუმს შენობა გაუჭირდა, მანაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მიმართა:

«В виду предположенного сноса здания церковного музея Духовенства Грузинской епархии и впредь до постройки нового в ограде Сионского Кафедрального Собора, Комитет Церковного музея Духовенства Грузинской епархии имеет честь просить

⁶⁰ მაშინვე 1915 წლის 23 აპრილითა დათარიღებული; დაცულია საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის ხას. სელსაწერთა ინსტიტუტში, ის. თაყაიშვილის ფონდი № 981.

⁶¹ დაცულია იქვე.

правление Грузинского Общества Истории и Этнографии, не найдет ли оно возможным отвести в занимаемом музеем общества помещении достаточного места для музея епархии.

Председатель комитета, Епископ Антоний
секретарь комитета, прот. К. Цинцадзе⁶².

დავით სარაჯიშვილის ნაანდერძევი თანხის ამოღება დროს ითხოვდა, რადგან მამულები გაიყიდა განვადებით. წყნეთის ქუჩაზე მდებარე მამული თბილისის თავად-აზნაურობამ იყიდა იმ პირობით, რომ ღირებულება — 100 ათასი მანეთი—წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაეხადა ნაწილ-ნაწილ, ათი წლის განმავლობაში. ამას გარდა, თანხა, რომელიც უნდა მიეღო საზოგადოებას მუზეუმი-სათვის, არ აღემატებოდა ახ ათას მანეთს. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წარმომადგენლები (პირადად ე. თაყაიშვილიც) უმტკიცებდნენ ეკატერინე ივანეს ასულ სარაჯიშვილისას (რომელსაც ქმრის ანდერძით დავალებული ჰქონდა თავის მხრივ ანდერძის შედგენა), რომ დავით სარაჯიშვილის სურვილის განსტრცელება მუზეუმის აშენების შესახებ მოცემული თანხით პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. თავის მხრივ ეკატერინე ივანეს ასულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მუზეუმის ასაშენებლად უანდერძა ნახევარი იმ თანხისა, რომელიც უნდა დარჩენილიყო მისი მამულის „ლიკვიდაციისა“ და ნაანდერძევი ისევე თანხების საზოგადოებათა შორის განაწილების შემდეგ. ამ გზით საზოგადოება მიიღებდა ექვსას ათას მანეთზე მეტს. ამიტომ სამუზეუმო კომისიამ მოინდომა უფრო ადვილად მისაღებოდა ადგილის ყიდვა (ვიდრე „ფიქრის გორა“ იყო). გადაწყვიტეს თავად-აზნაურობისაგან გამოეყიდათ ის მამული, რომელიც მათ დავით სარაჯიშვილის ნების აღმსრულებლებისაგან შეიძინეს (და რომლის ვალი მთლიანად ჯერ არ გადაეხადათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის)⁶³. თავად-აზნაურთა საზოგადოებამ ამ თხოვნაზე თანხმობა მისცა და 1917 წლისათვის ეს საქმე უკვე დაბოლოვდა. ნოტარიალურად გააფორმეს მიწის ნახყიდობა. სამუზეუმო კომისიამ ასი ათასი მანეთი ფული ჩაიბარა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავად-აზნაურობისაგან გაინაღდა 80

⁶² წერილი დათარიღებულია 1916 წლის 21 მარტით, დაცულია ხაქ. ხსრ სე-ლ.უნ. მუსეუმში.

⁶³ ე. თაყაიშვილი, მცირე უწყება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობას პირველი ასი წლის განმავლობაში (1907—1917), კრებ., აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1966, გვ. 197—198.

ათასი მანეთის ვექსილი (ის, რაც მომავალი რვა წლის განმავლობაში უნდა მიედლოს). როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, მუზეუმი-სათვის ხელსაყრელი მამული შეიძინეს. ასი ათასი მანეთი ეკატერინე ივანეს ასულ სარაჯიშვილის ნების აღმსრულებლებსაგან მიიღეს (მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში კიდევ უნდა მიედლოს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი).

ამრიგად, მუზეუმისათვის ორი ადგილი იყო. ერთი მათგანი ფულად უნდა ექციათ და სამუზეუმო თანხისათვის შეემატებინათ. საჭირო იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თანხებაც შეერთება და შესაფერისი შენობის აგება მუზეუმისათვის.

ნიშნდობლივია, რომ ვიდრე მუზეუმ-წიგნსაცავისათვის შენობის აგების საკითხი წყდებოდა, სამუზეუმო ექსპონატები თანდათან მატულობდა. ქართველი საზოგადოების ერთი (მოწინავე) ნაწილი დიდი ყურადღებით მოეკიდა მუზეუმის შექმნას საკითხს და შემოწირული ნავთების რიცხვმა ძალზე იმატა. 1917 წლისათვის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჰქონდა 9875 წიგნი (აქედან 1495 — ქართული, 8380 — რუსულსა და სხვა ენებზე), 160 ალბომი, 1427 სელნაწერი და 8000-ზე მეტი სიგელ-გუჯარი. ბევრი სელნაწერი ეტრატზე იყო შესრულებული (აქედან ნაწილი სურათებით იყო შემკული). არაერთი სელნაწერი ახალადმოჩენილი და ჩვენი მწერლობისთვის სრულიად უცნობი იყო. უძველესი სელნაწერები მკათე საუკუნეს განეკუთვნებოდა, უახლესი — მეოცეს. სიგელ-გუჯართა შორის უძველესი მეთორმეტე საუკუნისა იყო, უახლესი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისა. ბევრი ნაბეჭდი წიგნი და ალბომი ძვირადღირებული ახალადმოჩენილი იშვიათი გამოცემა იყო. საგულისხმოა, რომ გამოცემათა უდიდესი ნაწილი ჰუმანიტარული ხასიათის ლიტერატურა იყო კავკასიისა (ძირითადად საქართველოს) და მისი მოსაზღვრე მხარეების შესახებ (საზოგადოებამ უარი თქვა ქიმიის შესახებ დიდი ბიბლიოთეკის მიღებაზე და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე მიუთითა) ⁶⁴.

საგრძნობლად გაიზარდა სამუზეუმო ნივთების რაოდენობაც. იმავე, 1917 წლისათვის საზოგადოებას ჰქონდა 2432 სხვადასხვა საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი, 550 ნაქსოვ-ნაკერი ექსპონატი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ნაწარმოები (ისტორიულ პირთა პორტრეტები და სხვ.).

⁶⁴ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 195.

1912 წლიდან საზოგადოების საბჭო შეუდგა ეკლესია-მონასტრების კვლევებიდან ფრესკების გადმოღების ორგანიზებას. 1917 წლისათვის 73 ძველი ფრესკის პირი (ფაქსიმილე) მოეპოვებოდა საზოგადოებას და მუზეუმის ცალკე განყოფილებას შეადგენდა. აქ იყო: ბეთანიის, საფარის, მცხეთის, ყინწვისის, ტიმოთესუბნის, ნაბასტევის, ჭელევის, ნაყურალეშის, ვანის, გარეჯის, ბერთუბნის, სასულის, ოშკის, იშხანის, ტაბაკინის, ნეკრესისა და საბუის ტაძართა ფრესკები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექცია, რომელიც თავისი სიმდიდრით გამოირჩეოდა. ქართული მონეტების კოლექცია სამი მნიშვნელოვანი წყაროს მეშვეობით დაკომპლექტდა. ესაა: იაკობ სერგის ძე მედვედიევისაგან ნაყიდი მონეტები (ეს შენაძენი საფუძვლად დაედო კოლექციას), ექვთიმე თაყაიშვილის კოლექცია, რომელიც მან გადასცა საზოგადოებას, და კირიონ II-ის კოლექცია (განსაკუთრებით მდიდარი იყო უცხო სახელმწიფოთა ფულებით). ამგვარად, შეგროვდა მეტად მნიშვნელოვანი კოლექცია, რომელიც დამუშავდა და სათანადოდ განლაგდა. მის მოწესრიგებაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ნუმისმატს ევგენი ალექსანდრეს ძე პახომოვს. კოლექციაში იყო 38893 ნუმისმატიკური ერთეული (1081 — ვერცხლის, 2794 — სპილენძის, 4 — ბრინჯაოსი). უძველესი იყო „კოლხური თეთრი“ და უახლესი — რუსულ-ქართული ფული (ამ უკანასკნელის მოჭრა შეწყდა 1833 წ.). კოლექციაში მოიპოვებოდა ისეთი მონეტებიც, რომლებიც მანამდე ნუმისმატიკური ლიტერატურისათვის უცნობი იყო⁶⁵.

მუზეუმმა თავისი კოლექციით სახელი გაითქვა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ მოხდა, რაც ექვთიმე თაყაიშვილმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა რუსეთის ექიმთა და ბუნებასმეტყველთა ყრილობაზე 1913 წლის 22 ივნისს⁶⁶. საზოგადოება სხვადასხვა კუთხიდან იღებდა წერილებს, სადაც მრავალგვარი შეკითხვები, თუ თხოვნები იყო (მიმართავდნენ ისე, როგორც გამოცდილ და მდიდარ მუზეუმს). აი სარკოველი პროფესორის ა. ჩერევეკოვის თხოვნის ბარათი:

⁶⁵ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 195—196.

⁶⁶ ეს მოხსენება გამოქვეყნდა სსენებული ყრილობის პროტოკოლში 1916 წ. აქედან გადმოიბეჭდა ე. თაყაიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში 1966 წელს. ის. E. C. Такашвили, О деятельности общества истории и этнографии, კრებ. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 208—212.

«Грузинскому обществу истории и этнографии в г. Тифлисе
Покорнейше прошу ответить мне, можно ли приобрести от
общества или через посредство его нижеуказанные монеты, че-
канные для Грузии, по какой цене, и какая степень сохранности
каждого экземпляра. Обращаюсь к содействию Общества, оз-
накомившись с документом г-на Е. С. Такашвили «О деятель-
ности Грузинского общества истории и этнографии», читанным
на съезде Естествоиспытателей и Врачей в Тифлисе в 1913 г.
Из него видно, что Общество имеет свой музей и редкую кол-
лекцию грузинских монет, а отсюда недалеко от заключения, что
при собирании коллекции монет у Об-ва остались лишние эк-
земпляры, не нужные ему. Пожалуйста, прошу дать мне ответ,
или же указать лицо, через которое я мог бы приобрести мо-
неты.

С истинным почтением

Профессор А. Черевков.

г. Харьков, Госпитальный переулок № 3

1916. X. 18⁶⁷.

როგორც ვხედავთ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
მუზეუმ-წიგნთსაცავისათვის მდიდარი (როგორც რაოდენობით, ისე
ღირებულებით) მასალა იქნა მოპოვებული და სათანადო მუშაობაც
მიმდინარეობდა ამ მასალის დამუშავება-გამოფენისათვის. სამუზე-
უმო საქმემ ფართო საზოგადოების ყურადღება იმითაც მიიქცია, რომ
იგი პოპულარული იყო ხალხში თავისი მნიშვნელობით. არა ერთმა
მოღვაწემ გამოთქვა სურვილი უშუალოდ ეთანამშრომლა მუზეუმში
და თავისი წინადადებები შექმონდა საქმის სწორად ორგანიზების
მიზნით. მოვიტანთ (სტილის დაცვით) ნაფიცო ვექილის თანაშემწის
გიორგი ჟორდანიას (იგი შემდგომში ქართული კულტურის მოყვა-
რულთა საზოგადოების თავმჯდომარე იყო) განცხადებას (დათარიღე-
ბულია 1911 წლის 11 ივნისით):

„ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების საბჭოს
ნაფიცო ვექილის თანაშემწის
გიორგი თედორეს ძის ჟორდანიას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაგებული მაქვს, რომ ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სა-
ზოგადოებას განუსაზღვრავს ქართული მუზეუმის დაარსება ეთნო-

⁶⁷ საქ. სსრ მეცნ. აკად. ა. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ე. თაყა-
იშვილის ფონდი. № 982.

გრაფიულ განყოფილებით. მე ეს საძი წელიწადია ვაგროვებ ჩვენში ეთნოგრაფიულ მასალას, ვირიცხები მოსკოვის ეთნოგრაფიულ საზოგადოების წევრად და წამიკითხავს იქ რამდენიმე მოხსენება ქართული ეთნოგრაფიის შესახებ. ამჟამად, უნივერსიტეტში კურსის დამთავრების შემდეგ, სამუდამოდ თბილისში მაქვს განზრახული დარჩენა და ქართული ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსება და შემდეგში მისი გამგეობა ისეთ საქმედ მიმაჩნია, რომლისთვისაც, ვგრძნობ, საჭირო და გამოსადეგი ვიქნებოდი.

ამისათვის ვთხოვ ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოების საბჭოს, თუ შესაძლოდ დაინახავს ამ ჩემს წინადადებას, მომანდოს მე ჯერ-ჯერობით მოწყობა, შემდეგ კი (მოწყობის შემდეგ) გამგეობა ქართულ მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილებისა.

ამ თავითვე ვთხოვ საბჭოს მომცეს სადმე ერთი ოთასი, საცა შემეძლოს ვაგროვო მასალა და მივიღო-ხოლმე მუდმივი კორესპონდენცია. სასურველი იქნებოდა აგრეთვე მცირეოდენი „აენსი“ ეტნოგრაფიული მხრივ საინტერესო ნივთების შესაძენად და 1000—2000 ცალი მოწოდების (არა უმეტეს 3—4 გვერდისა) დაბეჭდვა ქართულ საზოგადოებაში გასავრცელებლად.

თუ წერილობითი წესები მუზეუმის გამგეობისა შემდეგში შემუშავებულ იქნება საბჭოს მიერ, სასურველი იქნება, რომ შემუშავებულიყო ჩემის თანდასწრებით.

გ. უორდანი

1911 წ. 11 ივნისი

ადრესი: ტურგენევის ქ. № 2.⁶⁸

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდა ყურადღება მიაქცია ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიის შედგენას. 1916 წლის 23 თებერვალს საზოგადოების ჩვეულებრივმა საზოგადო კრებამ (იხ. ოქმი № 111) საგანგებოდ განიხილა ეს საკითხი. აღინიშნა, რომ მუშაობა უკვე დაიწყო და ნაწილობრივ კიდევაც შეასრულა პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართულმა სამეცნიერო წრემ, რომელმაც შეადგინა ბიბლიოგრაფია ყველა ქართული პერიოდული გამოცემისა 1910 წლამდე (ნაწილი კიდევაც დაბეჭდა). მასალის ერთი ნაწილი არ დაბეჭდილა, შესადგენი იყო ბიბლიოგრაფია 1910—1915 წლების გამოცემებისა. ამის გარდა, უნდა გარკვეულიყო საკითხი, თუ როგორ მოწყობილიყო მიმდ-

⁶⁸ წერილი დაცულია საქ. ხელოვნების მუზეუმის ფონდში. № 816.

ნარი წლების პრესის ბიბლიოგრაფიის შედგენა. საერთოდ გამოითქვა გულისტკივილი იმის გამო, რომ წიგნები ცუდ (უხარისხო) ქალაქებში იბეჭდებოდა.

საზოგადო კრებამ შეკითხვა გაუგზავნა პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართულ სამეცნიერო წრეს, თუ რას უპირებდა იგი უკვე დამზადებულ დაუბეჭდავ საბიბლიოგრაფიორ მასალას, ფიქრობდნენ თუ არა, რომ განეგრძოთ მუშაობა შემდგომი პერიოდის ბიბლიოგრაფიის დასამზადებლად. ამასთან, კრებამ სთხოვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, მიმდინარე წლების თავიანთ გამოცემათა ბიბლიოგრაფია თვით შეედგინათ და წლის (ან თვის) ბოლოს დამზადებული მასალა გადმოეცათ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის.

ამავე საზოგადო კრების დადგენილებით უნდა მიღებულიყო ზომები, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავებში გაგზავნილიყო ყოველგვარი როგორც პერიოდული, ისე არაპერიოდული გამოცემა.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. ე. თაყაიშვილს დიდად აწუხებდა ამ საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკის ბედი. იგი მოთავსებული იყო თავადაზნაურობის ქარვასლაში, წიგნის მალაზიის გვერდით. აქ მოუხერხებლობისა და საეიწროვის გარდა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ხანძრის გაჩენის საშიშროებაც არსებობდა. 1911 წლის 10 ნოემბერს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ საბჭოს დადგენილების (იხ. საბჭოს ოქმი № 63, მუხ. 10) შესაბამისად წინადადება მისცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ბიბლიოთეკისა და მუზეუმის შემოურთების შესახებ. პირობა ასეთი იყო: მათ ნივთებსა და წიგნებს ექნებოდათ ცალკე კარადები და კატალოგები; დარჩებოდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საკუთრებაში; მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგეს აირჩევდა ორივე საზოგადოება და საჭირო ხარჯებსაც ორივე საზოგადოება გაიღებდა.

ეს დადგენილება წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო 1911 წლის 14 ნოემბერს, განიხილა საზოგადოების გამგეობის ორ სსდომაზე (15 და 22 ნოემბერს) და სასურველად სცნო შემოთავაზებული წინადადების განხორციელება. ეს გადაწყვეტილება წერი-

ლობით აცნობა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას 1912 წლის 4 ივნისს:

„1911 წლის 15-სა და 22 ნოემბერს, თანახმად „საისტორიო საზოგადოების“ საბჭოს განცხადებისა⁶⁸, გამგეობამ განაჩინა საკითხი წიგნთსაცავის გადატანის შესახებ ქართულს გიმნაზიაში და შემდეგი დაადგინა: 1. „საზოგადოების“ მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ქართულ გიმნაზიაში გადატანა სასურველია და მისაღები; 2. თვით გადატანა ბიბლიოთეკისა გადაიდოს იმ დრომდე, ხანამ გიმნაზიის შენობის მომავალი ბედ-იღბალი გადაწყდებოდეს; 3. ამ საქმის დაწვრილებით განსილვა და მიზი მოწყობის შესახებ მოლაპარაკება მიენდოს წ. კ. საზოგადოების გამგეობისა და საისტორიო საზოგადოების საბჭოს შეერთებულ სხდომას.

გაცნობებთ რა ამას უმორჩილესად გთხოვთ დაეწროთ ამ თვის 7-ს, ხუთშაბათს, გამგეობის სხდომას მთელის შეკრებილობით ამის შესახებ მოსალაპარაკებლად. სხდომა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

თამაჯლომარის ამხანავი ალ. მდიანი
საქმისმწარმოებელი გ. ბურჭულაძე“.

1912 წლის 7 ივნისს გაიმართა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელზეც იმსჯელეს ამ ორგანიზაციების შეერთებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ 1912 წლის 8 ივნისს (ოქმი № 67) განიხილა წერა-კითხვისა და საისტორიო საზოგადოებათა მუზეუმ-ბიბლიოთეკების შეერთების საკითხი და დაადგინეს, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა და მუზეუმი ჯერჯერობით დარჩენილიყო იმავე საზოგადოების სრულ საკუთრებად; მათი წინადადებით, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უნდა მიბარებოდა მუზეუმი და ბიბლიოთეკა მსოლოდ შესანახად, მოსაგლეღად და შესასწავლად; აღნიშნული მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გამგებლობა (სანამ წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება უკან არ მოითხოვდა) უნდა მინდობოდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ამასთან, ის თანხა, რომელიც მუზეუმ-ბიბლიოთეკისათვის იყო განკუთვნილი, და შემწეობა, რომელსაც თა-

⁶⁸ მხედველობაშია საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭოს 1911 წლის 14 ნოემბრის წერილი (დაცულია საქ. ხელოვნების მუზეუმში).

ყად-აზნაურობა მისთვის იღებდა, უნდა გადმოსცემოდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. თავის მხრივ ეს უკანასკნელი ვალდებულებას იღებდა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამუშეო და საბიბლიოთეკო ინვენტარს, ნივთებსა და წიგნებს თავისი ცალკე კატალოგები ექნებოდათ. მათივე წინადადებით, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და მის გამგეობას სრული უფლება ეძლეოდათ, ნებისმიერ დროს კონტროლი გაეწიათ მობარებული ქონებისათვის. ეს წინადადებები განხილულ იქნა ორივე საზოგადოების მიერ. 1913 წლის 2 ივლისს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წლიურმა კრებამ საგანგებოდ განიხილა მუშეუმიბლიოთეკების შეერთების საკითხი და აზრთა ცხოველი გაზიარების შემდეგ ხმის უმრავლესობით (15 ხმით 8-ის წინააღმდეგ) მიღებულ იქნა შეერთების შემდეგი პირობები:

„1. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ჩაიბარებს შესანახად, მოსავლელად და შესასწავლად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების ყოველგვარ სამუშეო ნივთს, ყველა ნაბეჭდსა და ხელთნაწერ წიგნს, სიგელ-გუჯარს, სურათსა და ნუმიზმატიკურს კოლექციას;

2. ყველა ზემო ჩამოთვლილი საგანი და სამუშეო ავეჯი, რომელთაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება წერა-კითხვის საზოგადოებისაგან ჩაიბარებს, აღნუსხული იქნება საისტორიო საზოგადოების მიერ როგორც საერთო, ისე ცალკე დაეთრებში და კატალოგებში;

3. თანხა, თუ რამ მოეპოვება მუშეუმიბლიოთეკისათვის წერა-კითხვის საზოგადოებას, გადმოეცემა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

4. მთელს მობარებულს ქონებას წერა-კითხვის საზოგადოებისას განაგებს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო, წერა-კითხვის საზოგადოების სამი წარმომადგენლის თანდასწრებით (რომელთაც ეძლევათ სრული ხმა); ამ სამ პირს ეძლევა უფლება, უკეთუ თანახმანი არ იქნებიან საბჭოს რომელიმე დადგენილებისა მობარებული ქონების შესახებ, აღძრან კითხვა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, და საცილობელ კითხვებს გადასწყვეტს ორთავე საზოგადოებათა გამგეობისა და საბჭოს შეერთებული კრება“⁷⁰.

⁷⁰ იხ. 1913 წლის 2 ივლისის წლიური კრების № 74 ოქმი, „ქველი საქართველო“, III, გვ. 14.

ორივე საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკათა გამგეობისათვის, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს აზრით, საჭირო აყო ერთი გამგე, ორი მისი თანაშემწე (საკმაოდ მომზადებული და შეგნებული პირები) და ორი მსახური (ამ პირების მოწვევა და დათხოვნა უნდა ყოფილიყო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს ხელში). ამ შტატის წლიური ხელფასი ასეთი უნდა ყოფილიყო: გამგის — 1200 მანეთი, მისი ორი თანაშემწის — 1200 მანეთი, ორი მსახურის — 600 მანეთი (სულ 3000 მანეთი).

როგორც ჩანს, ერთხანს ამ წინადადებებს (მუზეუმ-ბიბლიოთეკათა შეერთების პირობები საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ 1913 წლის 4 ივლისს ოფიციალურად აცნობა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და სთხოვა განეხილა საზოგადო კრებაზე) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ წაუყრუა, 1915 წელს კი კვლავ დაისვა იგივე საკითხი. 1915 წლის 2 ოქტომბერს ორივე საზოგადოების გამგეობისა და საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ განაცხადა, რომ იგი მტკიცედ იდგა და უცვლელად იცავდა იმ პირობებს, რომელიც 1912 წლის 15 ივნისს მიიღეს საზოგადო კრებაზე. ამ განცხადების თაობაზე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო განმარტავდა, რომ აღნიშნულ პირობათა ერთი ნაწილი (მუზეუმ-ბიბლიოთეკათა შეერთება, ნივთების სისტემატურად დალაგება, კატალოგებში მინიშნება, თუ რომელი ნივთი რომელ საზოგადოებას ეკუთვნის) არსებითად იგივეა, რაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პირობათა შესაბამისი მუსეუმი (ამიტომ მიღებული იყო ამ უკანასკნელის მიერ). საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება სავსებით იზიარებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იმ აზრსაც, რომ მუზეუმ-ბიბლიოთეკათა გამგეობის უზენაესი კონტროლი ორივე საზოგადოების ხელში იქნებოდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნივთებს თვითონვე გაუწევდნენ მეთვალყურეობას იმ სამი წევრის მეშვეობით, რომლებიც მუდმივად იქნებოდნენ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოში (სრული ხმებით).

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო მსარს არ უჭერდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირობათა იმ მუხლს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „მართვა-გამგეობა ამ შეერთებულის მუზეუმისა უნდა ჩაბარდეს ახალ ორგანოს, შემდგარს ექვსის პირისაგან, რომელთაგან სამი იქნება წ. კ. საზოგადოებისაგან

არჩეული, სამიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოსაგან; ეს ორგანო აირჩევს მუზეუმის გამგეს, მის თანამემწეებს...“ და სსვ. ამგვარი ორგანოს დაარსება ეწინააღმდეგებოდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წესდებას და ამიტომ იგი უარყო საზოგადოების კრებამ, რომლის აზრითაც, მუზეუმ-ბიბლიოთეკათა შეერთება ისე უნდა მომხდარიყო, რომ არც ერთი საზოგადოების წესდება არ დარღვეულიყო. ერთი სიტყვით, საზოგადოებათა ამ დავაში მუზეუმ-ბიბლიოთეკათა შეერთების საქმე გაჭიანურდა. როგორც ე. თაყაიშვილი შენიშნავს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდი ყოყმანის შემდეგ დათანხმებულია თავისი მუზეუმ-ბიბლიოთეკის გიმნაზიის შენობაში გადმოტანას. „რა ბედი მოულოდა მას, რომ ის ქარვასლაში დარჩენილიყო — ამბობდა ე. თაყაიშვილი — ამას ყველა კარგად წარმოიდგენს მას შემდეგ, რაც ცეცხლმა იმსხვერპლა ქართული თეატრი და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზია“⁷¹.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ის დიდი მუშაობა, რომელსაც ეწეოდნენ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ის წევრები, რომლებიც უშუალოდ თანამდებობით იყვნენ დაკავშირებული მუზეუმ-ბიბლიოთეკასთან. 1907 წლიდან 1908 წლის ივნისამდე მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველი იყო ი. ფერაძე. მისი ბათუმში გადასვლის შემდეგ ეს თანამდებობა დაიკავა კალ. ცინცაძემ, როგორც საბჭოს წევრობის კანდიდატმა, მაგრამ მოუცლელობის გამო მან გათავისუფლება ითხოვა და მუზეუმ-ბიბლიოთეკა ს. გორგაძემ ჩაიბარა (1908 წ. 5 ნოემბრიდან). განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საზოგადოების პირველი ხაზინადარი, მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგე 1909 წლიდან ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო მუზეუმის ორგანიზებას, დიდად ზრუნავდა მის გასამდიდრებლად და მოსაწესრიგებლად. იგი მუზეუმში შემოსულ ყოველ ნივთს აღტაცებით უყურებდა, თავისი თავდადებული საქმიანობით სხვებსაც ამხნევებდა და ახალისებდა⁷². საგულისხმოა ექვთიმე თაყაიშვილის გამოხატოვარი (ა. სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1914 წლის 1 ივნისს) სიტყვები:

⁷¹ ე. თაყაიშვილი, მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობას პირველი ათი წლის განმავლობაში (1907—1917), გვ. 194.

⁷² გ. ჩიტაია, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეთნოგრაფია, გვ. 133.

„ჩვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მოაკლდა ბურჯი, რომელზედაც დამყარებული იყო ამ საზოგადოების წარმატება. აწ შენ აღარავის უჩვენებ თავისებურის ალერსით შენ მიერ ხელოვნურად დაკიდულს სურათებს, აღარავის აუხსნი შენ მიერ დალაგებულის ნივთების მნიშვნელობას ... რა დროს გვიმუხთლა ბედმა? ... სწორედ იმ დროს, როდესაც მუზეუმი დღითი-დღე ზრდაშია, როდესაც მუზეუმის შენობის საკითხი კისერზე გვაწევს... როდესაც ყველაზე უფრო გვესაჭიროებოდა შენისთანა გამოცდილი, შენისთანა პრაქტიკის მქონე, მუყაითი და უანგარო მუშაკი ... შენ მით განირჩეოდი სხვებისაგან, რომ სახელისათვის არ შრომობდი ... შენ მხოლოდ მოვალეობა გამუშავებდა; შენ კარგად გქონდა შეგნებული, რომ იქ სადაც ყველა ბელადობს და ჯარისკაცი არ არის, საქმე არ გაკეთდება“...

ა. სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი თანამდებობა განაწილდა — ხაზინადრობა მიენდო საბჭოს წევრს და საქმისმწარმოებელს იროდიონ სონღულაშვილს, ხოლო მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგედ არჩეულ იქნა საზოგადოების მდივანი სერგი გორგაძე (1909 წ. 14 ივნისიდან ა. სარაჯიშვილის დანიშვნამდე იგი ასრულებდა ამ მოვალეობას). 1914 წლის 15 ივნისის წლიურმა კრებამ (იხ. ოქმი № 89) დაადასტურა ეს ფაქტი. 1915 წლის 28 ივნისის წლიურ კრებაზე (იხ. ოქმი № 103) დამტკიცებულ სავარაუდო ანგარიშში შეტანილია ცვლილებები (კერძოდ, გასაყლის მე-მ მუხლში): მდივნისა და საქმისმწარმოებლის ხელფასს მიმატებული აქვს მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგის მეორე თანაშემწის ხელფასი (თვეში ხუთი თუმანი). ამასთან, ე. თაყაიშვილმა კრებას მოახსენა, რომ მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგე ხ. გორგაძე ამ თანამდებობას თავს ანებებდა (დროის უქონლობის გამო) და საბჭომ მის მაგიერ წამოაყენა დავით კარიჭაშვილის კანდიდატურა. დავით კარიჭაშვილმა თანხმობა განაცხადა (წესდების შესაბამისად იგი გათავისუფლდა თავმჯდომარის ამხანაგის მოვალეობისაგან). საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობაზე საბჭომ წარმოადგინა ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე. წლიურმა კრებამ ერთხმად დაამტკიცა საბჭოს წინადადებები და ამგვარად, თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქნა ა. ყიფშიძე, მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგედ (მცველად) — დ. კარიჭაშვილი. კრებამ ნება დართო საბჭოს მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგის მეორე თანაშემწის მოწვევისა (პირველი თანაშემწე იყო ირ. სონღულაშვილი — საქმისმწარმოებელი და ხაზინადარი საზოგადოებისა).

1915 წლის 20 სექტემბერს (იხ. არაჩეულები: იგი საზოგადო კრების ოქმი № 105) საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭოს წევრი ი. ი. აბულაძე დამტკიცდა მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველად იმ ხელფასით, რომელიც წლიურმა კრებამ გამგის მეორე თანაშემწისათვის გადადო (სუთი-თუმანი თვეში).

როგორც ვხედავთ, მუზეუმ-ბიბლიოთეკის საქმიანობა მყარ საფუძველზე იდგა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის სისხლხორცეულ ნაწილს შეადგენდა. თავის მხრივ მუზეუმში ძვირფასი ექსპონატებით, ხოლო ბიბლიოთეკა მნიშვნელოვანი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნებით დიდ ავტორიტეტს უქმნიდა საზოგადოებას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ლინგვისტური განყოფილება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წესდებაში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ „განსაკუთრებულის მეცადინეობისათვის იმ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებში, რომელთა შესწავლა შეადგენს საზოგადოების საგანს, საზოგადოებას აქვს უფლება გამართოს საბჭოს ერთ-ერთის წევრის თავმჯდომარეობით განყოფილებანი: საისტორიო, საარქეოლოგიო, საეთნოგრაფიო, საანთროპოლოგიო, სალინგვისტო, სალიტერატურო, სანუმიზმატიკო და სხვ., რომელთათვის ინსტრუქციას შეიმუშავენს საბჭო და დაამტკიცებს საზოგადო კრება. განყოფილების წევრნი ირჩევენ განყოფილების მდივანს“ (წესდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, § 9, მუხლი 61). ჯერ ერთი წელიც არ იყო გასული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნიდან, რომ დაისვა საკითხი ლინგვისტური განყოფილების დაარსების შესახებ. ამ საქმის ინიციატორი დავით კარიჭაშვილი იყო. მანვე შეადგინა განყოფილების სამოქმედო ინსტრუქცია და წარუდგინა საზოგადოების საბჭოს განსახილველად. საბჭომ თავის მხრივ შესწორება შეიტანა ინსტრუქციაში და დაამტკიცა იგი (იხ. საბჭოს სხდომის ოქმი № 20). ამის შემდეგ საკითხი დაისვა ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე 1908 წლის 14 ივნისს. კრებას ე. თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა. ესწრებოდნენ გარემე საზოგადოება და ნამდვილი წევრები: ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, მ. ჯამბაკურ-ორბელიანი, მ. დემურია,

ა. თუმანიშვილი-წერეთელი, აღ. ჯავახიშვილი, აღ. ყიფშიძე, ი. ზურაბიშვილი, დ. კარიჭაშვილი, ი. მონადირიშვილი, გრ. ნათაძე, პ. მირიანაშვილი, ა. ქუთათელაძე, გრ. ვოლსკი, ნ. გოგიტიძე, ი. მგალობლიშვილი, მ. წერეთელი, გ. იმნაიშვილი, გ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ი. ფერაძე, ა. მდივანი, ს. იაშვილი, ი. რატიშვილი, დ. მულაშაშვილი, ა. მირიანაშვილი, ა. მიქაბერიძე, ლ. ბოცვაძე და ს. გორაძე.

კრებას მოხსენდა საბჭოს დადგენილება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ლინგვისტური განყოფილების დაარსების შესახებ. საკითხის განსილვის შემდეგ კრებამ მიიღო საბჭოს წინადადება და ლინგვისტური განყოფილების თავმჯდომარედ დაამტკიცა დავით კარიჭაშვილი; მოიწონა და დაამტკიცა განყოფილების ინსტრუქცია. მოგვაქვს ამ ინსტრუქციის ტექსტი:

„1. თანახმად საზოგადოების წესდების 61 მუხლისა, არსდება ლინგვისტური განყოფილება, რომლის მიზანი არის მოწყობა შრომისა გამოსაკვლევად და შესასწავლად ქართულისა ენისა და მისი დიალექტებისა.

2. განყოფილებას, წესდების თანახმად, ჰყავს თავისი თავმჯდომარე, რომელიც ირჩევა საბჭოს მიერ თავის წევრთაგან, და მდივანი, რომელსაც ირჩევენ თვით განყოფილების წევრნი.

3. განყოფილების წევრებად ითვლებიან საზოგადოების ის წევრნი, რომელნიც ისურვებენ მის შრომაში მონაწილეობის მიღებას.

4. განყოფილების წევრნი იკრიბებიან თავიანთ დადგენილებისამებრ დრო და დრო და კრებაზე ან თვითთული წევრი გაუზიარებს სხვებს თავის ნაშრომს და შენიშვნას, რომელიც ხდება საერთო განსჯის საგნად, ან ყველანი ერთად მუშაობენ საერთო საქმეზე წინადადეგარკვეულის გეგმით.

5. მდივანი ადგენს ყოველის კრების განაჩენს, რომელშიაც შეაქვს საერთო დასკვნანი განყოფილებისა და განსხვავებული აზრები თვითთულისა.

6. კრებაზე თუ თავმჯდომარე არ დაესწრო, თავმჯდომარეობს ერთ-ერთი წევრი დამსწრე წევრთა არჩევით.

7. განყოფილება თავის წევრთა ნამუშევარს უდგენს საბჭოს დასაბუქდად“⁷³.

⁷³ იხ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1908 წ. ივნისის ჩვეულებრივი საზოგადო კრების ოქმი № 11; „ძველი საქართველო“, II, გვ. 33-34.

ლინგვისტური განყოფილების პირველი (დამფუძნებელი) კრება ვაიმართა 1908 წლის 27 სექტემბერს თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში (ბელინსკის ქ. № 2), თავმჯდომარეობდა დავით კარიჭაშვილი. დაესწრნენ: ე. თაყაიშვილი, ი. აბულაძე, პ. მირიანაშვილი, ი. კარგარეთელი, აბ. იაშვილი, გ. იმნაიშვილი, ვ. ჩიხლაძე, ნ. მახათაძე, გრ. ვოლსკი, ი. მონადირიშვილი, დ. ქადაგიძე, მ. ჯანაშვილი, სარაჯიშვილი, ი. დაკიშვილი და ს. გორგაძე.

თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო განყოფილების ინსტრუქცია (წესდება) და სთხოვა აერჩიათ განყოფილების მდივანი. წინადადებით მიმართეს რამდენიმე წევრს, მაგრამ მოუცლელობის გამო ყველამ უარი განაცხადა. ბოლოს სთხოვეს საზოგადოების მდივანს ს. გორგაძეს, რომ დროებით მას ეტვირთა განყოფილების მდივნობა. ს. გორგაძე დათანხმდა იმ პირობით, რომ ორი-სამი კრების შემდეგ გადაირჩევდნენ მას. შემდეგ დ. კარიჭაშვილმა გააკეთა მოკლე მოხსენება ლინგვისტური განყოფილების მიზნის შესახებ. მან აღნიშნა, რომ განყოფილების ამოცანაა ქართული ენის ყოველმხრივი გამოკვლევა, რომელიც შეერთებული შრომით უნდა წარმოებდეს. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო: შევსება და შესწორება არსებული ლექსიკონებისა (როგორც მწერლობაში ხმარებული, ისე ცოცხალ ენასა და მის კილოკავებში არსებული სიტყვებით); შეგროვება ქართული სიტყვების ფესვებისა; ქართულსა და მის მონათესავე ენებში სხვადასხვა გრამატიკული ფორმისა და თვისების შესწავლა.

დ. კარიჭაშვილმა შეიტანა წინადადება, რომ განყოფილების სხდომები გამართულიყო კვირაში ერთხელ. მისი აზრით, დროებით, ვიდრე ლიტერატურული სექცია დაარსდებოდა, ლინგვისტურ განყოფილებას უნდა ეტვირთა ძველი მწერლობის ნაშთების შესწავლა; განყოფილების ოქმები და გამორჩეული მოხსენებები (გამოკვლევები) უნდა დაბეჭდილიყო საზოგადოების გამოცემებში.

კრებაზე ფართო კამათი გაიშალა და ბოლოს დაადგინეს, რომ განყოფილებას მთავარ საზრუნავად გაეხადათ ლექსიკონისათვის მასალის შეგროვება და სრული ქართული ლექსიკონის შედგენა. ამ სამუშაოს დაწვრილებითი გეგმის შედგენა მიანდეს დ. კარიჭაშვილს და დააეწესა, რომ შემდგომ სხდომაზე წარმოედგინა იგი ⁷⁴.

⁷⁴ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ლინგვისტური განყოფილების 1908 წლის 27 სექტემბრის № 1 ოქმი; დაცულია გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურულ მუზეუმში; ფონდი № 4186-ბ.

ე. თაყაიშვილმა დადგენილების მიღების შემდეგ დასძინა: „საბა ორბელიანის ლექსიკონის ხელნაწერი ვარიანტების შედარებამ დამარწმუნა, რომ დაბეჭდილი ვარიანტი სრული არ არის; საჭიროა ყველა ვარიანტების შედარება, რადგან ამ ვარიანტებში გვხვდება სომხური და სპარსული სიტყვები და აგრეთვე მთელი ფრაზები ოსზულელებიდან, სადაც ესა თუ ის სიტყვა ყოფილა ნახმარი“⁷⁵.

კრებამ დაამტკიცა ლინგვისტური განყოფილების მუდმივი წევრები. აქ შევიდნენ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს ცხრა წევრის გარდა, შემდეგი პირები: აბ. იაშვილი, გ. იმნაიშვილი, ი. დაკიშვილი, პ. მირიანაშვილი, გრ. ვოლსკი, ალ. მირიანაშვილი, კ. დოდაშვილი, მ. ყიფიანი, ზ. ბილანიშვილი, ივ. მაჭავარიანი, ივ. ბუქურაული, ა. ქუთათელაძე, კ. კეკელიძე, გრ. დიასამიძე, გრ. ყიფშიძე, ვ. ლამბაშიძე.

ლინგვისტური განყოფილების მეორე კრება გაიმართა 1908 წლის 21 ოქტომბერს. აქ შეთანხმებისამებრ დ. კარიჭაშვილმა წარმოადგინა მოხსენება: „როგორ უნდა მოეწყოს ქართულის ლექსიკონის შესადგენად საჭირო მასალის შეგროვება?“ მომხსენებელმა ლინგვისტური განყოფილების წევრებს შესთავაზა მოსაზრება, რომ ქართული ლექსიკონისთვის მასალა მოიძებნოს: არსებულ ლექსიკონებში, ძველ მწერლობაში, ახალ მწერლობაში, სხვადასხვა წერილობით დოკუმენტში (სიგელები, გუჯრები, წარწერები და სხვ.), ხალხურ სიტყვიერებაში და ცოცხალ, ხალაპარაკო ენაში. მთელს ამ შრომას საფუძვლად უნდა დასდებოდა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი. თანაც შემოიჩამოთვლილი მასალებიდან უნდა ამოკრებილიყო ყველა ის სიტყვა, რომლებიც ჩუბინაშვილის ლექსიკონში ან სრულებით არ არიან შეტანილი ან სისრულით (და ზოგჯერ სწორად) განმარტებული. ყოველი სიტყვის განმარტება ცალკე ბარათზე უნდა მოთავსებულიყო. განმარტების დასასაბუთებლად უნდა ყოფილიყო მოტანილი ის ფრაზები, რომლებშიც გასამარტავი სიტყვა იქნებოდა ნახმარი. სისრულისათვის ყოველი სიტყვის განმარტებასთან ერთად უნდა მოხსენებულიყო მისი მნიშვნელობა რუსულ და რომელიმე ევროპულ ენაზე. შეგროვილი და ამგვარად განმარტებული სიტყვები უნდა წაეკითხათ განყოფილების კრებაზე და მოწონების შემდეგ გადაეცათ შესაბამისად საზოგადოების ბიბლიოთეკისთვის (აქ მოხდებოდა ანბანზე დალაგება, სათანადოდ აღინიშნებოდა წარმომადგენ-

⁷⁵ ის. იგივე ფონდი.

ლის გვარი და სახელი) ლექსიკონის გამოცემამდე. წინასწარ დაბეჭდვა (სათანადო განმარტებით) შეიძლებოდა იმ ტერმინებისა, რომლებიც სახელმძღვანელოებისთვის იყო საჭირო ⁷⁶.

ლინგვისტური განყოფილების კრებამ იმსჯელა მეგრული, ჭანური და სვანური სიტყვების შეგროვება-განმარტების ორგანიზებაზე. რადგან ამ ენების ლექსიკონები არ არსებობდა, ამიტომ გამოითქვა აზრი, რომ შეგროვილი მასალა დროდადრო დაბეჭდილიყო. ამ შემთხვევაში სიტყვათა შემკრებლებს საშუალება ექნებოდათ შემდეგში მხოლოდ ახალი და დაუბეჭდავი მასალა შეეგროვებინათ.

გადაწყდა, რომ ქართული ლექსიკონისათვის მასალის შეგროვების პარალელურად უნდა შემდგარიყო რუსულ-ქართული ლექსიკონი, რასაც საფუძვლად დაედებოდა დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც შეესებასთან ერთად საჭირო შემთხვევაში შესწორდებოდა კიდევ.

ამავე კრებაზე განყოფილების წევრებმა მოისმინეს ვ. გაბინიანცის მოხსენება „ქართულის ენის კვლევის საგანი სომხურის ლინგვისტიკის განვითარების ისტორიასთან დაკავშირებით“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს ქართული ენისა და მწერლობის კვლევა ევროპული ლინგვისტების დიდ ყურადღებას იქცევს. ბევრგან უმაღლეს სასწავლებლებში ცდილობენ დააარსონ ქართული ენის კათედრა. ბერლინის უნივერსიტეტში იკითხებოდა კიდევ ლექციები ქართული ენის შესახებ (პრივატ-დოცენტი ფინკი). სხვადასხვა მეცნიერი ცდილობს შეისწავლოს ქართული ენა, მაგრამ თვით ქართველები ცოტა მასალას აძლევენ ამისთვის. სრულებით არაფერი იყო გაკეთებული ქართული ენისა და მწერლობის გამოკვლევის მიზნით. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ სომხები თავიანთი ენისა და მწერლობის შესწავლის მხრივ. ამის წყალობით საზღვარგარეთელმა მეცნიერებმა შეისწავლეს სომხური ენა და კიდევ იკვლევდნენ მას ლინგვისტური თვალსაზრისით. ვ. გაბინიანცმა ქართველ მეცნიერებს ურჩია შეესწავლათ სომეხი კოლეგების გამოცდილება, რომ აღარ გაემეორებინათ მათ მიერ დაშვებული შეცდომები.

კრებამ განყოფილების მდივნად ხ. გორგაძის (იგი დროებით იყო არჩეული) ნაცვლად აირჩია ზაქარია ბილანიშვილი ⁷⁷.

⁷⁶ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ლინგვისტური განყოფილების სხდომის ოქმი № 2, გ. ლეონიძის ხას. ლიტერატურის მუზეუმის ფონდი № 4185-ბ.

⁷⁷ იქვე.

ლინგვისტური განყოფილების მიერ გაშლილმა მუშაობამ ხალე-ქსიკონო მასალის შესაგროვებლად გარკვეული გამოხმაურება ჰპოვა. ქართული ლექსიკონის გამოსაცემად ეპოსკოპოსმა კირიონმა შესწირა განყოფილებას ახი მანეთი, გრ. დიასამიძემ — ორმოცდაათი მანეთი.

მ. ყიფიანმა, გრ. დიასამიძემ და სხვებმა კრებაზე (იხ. ლინგვისტუ-რი განყოფილების სხდომის ოქმი № 3) საკითხი დააყენეს, თხოვნით მიემართათ იმ პირებისათვის, ვისაც უკვე შეკრებილი ჰქონდა მასალა ქართული ლექსიკონისათვის, დროულად მოეწოდებინათ იგი განყოფილებისათვის⁷⁸. კრებამ ასევე თხოვნით მიმართა გრიგოლ ყიფშიძეს, მოსე ჯანაშვილს, პეტრე ჭარაიას, ბესარიონ ნიჟარაძეს, სპირიდონ ვაწაძეს, მიხეილ ყიფიანს, კოტე ყიფიანს (საკუთარი შეგროვილი მასალის გარდა, განსვენებული მამის — დიმიტრი ყიფიანისაგანაც ჰქონდა დატოვებული), ილია ალხაზიშვილს, ხარლამპი ღლონტს, თედო და ბაჩანა რაზიკაშვილებს და სოსიკო მერკვილაძეს. როგორც ჩანს, ამ მიმართვას ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა — ინტენსიურად დაიწყო მასალების შეკრება-დამუშავება. რიგი ძალიან საინტერესო ტერმინები სათანადო განმარტებებითურთ დაიბეჭდა კიდევ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემებში.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლინგვისტური განყოფილების მესამე კრებაზე განყოფილების წევრმა იუსტინე აბულაძემ წაიკითხა მოხსენება: „ქართული არსის ნაცვალბრივი ელემენტები (ნაცვალსახელები) და მათი მნიშვნელობა“. მოხსენებაში მოტანილი იყო ზოგადი ცნობები ნაცვალსახელებზე და ნაჩვენები იყო მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართულ ენაში. ი. აბულაძემ დაასაბუთა ნაცვალსახელების დიდი მნიშვნელობა თანამედროვე ქართულში და ასევე მათი დიდი როლი ძველი ქართულის ლინგვისტური ტიპის აღდგენაში. კრებამ დიდი მადლობა გადაუხადა მომხსენებელს. გრ. დიასამიძემ, გრ. ეოლსკიმ, მ. ყიფიანმა და ვ. ლამბაშიძემ მოითხოვეს მოხსენების დაბეჭდვა.

როგორც ვნახეთ, ენათმეცნიერების საკითხების ინტენსიური კვლევა დაიწყო საქართველოში. ეს საკითხები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ უშუალოდ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა. ამიტომ ხშირად პრობლემათა განხილვა, თვით მოხსენებების კითხვაც საზოგადო კრებებზე მიმდინარეობდა.

⁷⁸ ლინგვისტური განყოფილების სხდომის ოქმი № 3 (1908 წ. 7 ნოემბერი), გ. ლენინის სახ. ლიტერატურის მუზეუმის ფონდი № 4125-ს.

ლინგვისტური განყოფილების საქმიანობა რამდენადმე პარალელური საქმე გახდა და ამ სახის დანაყოფის არსებობა თანდათან აღარ შეიქნა აუცილებელი. ამის გამო ეს განყოფილება პრაქტიკულად გაუქმდა, თუმცა ლინგვისტური კვლევები უფრო და უფრო დიდ ინტერესს იწვევდა საზოგადოებაში. აღნიშნული პრობლემა არაერთხელ იყო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მსჯელობის საგანი. არაერთი კერძო თათბირი მიემდგნა მას. აი, ერთი მათგანი.

1912 წლის 25 ივლისს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სამუშეუშო დარბაზში ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა საზოგადოების წევრთა კერძო თათბირი. თათბირს დაესწრნენ: ი. აბულაძე, გომელაური, ს. გორგაძე, გ. იმნაიშვილი, ვ. კარბელაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ა. მირიანაშვილი, პ. მირიანაშვილი, ა. მდივანი და ი. სონღულაშვილი. თათბირის მდივნად აირჩიეს ი. სონღულაშვილი.

განხილულ იქნა სალინგვისტო და სალექსიკონო მასალის შეგროვება-დამუშავების საკითხები. მოხსენება ი. აბულაძემ გააკეთა. იგი მოითხოვდა, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან შექმნილიყო კომისია, რომელიც ითავებდა სალინგვისტო და სალექსიკონო მასალის შეგროვებას და მის სათანადოდ მოწესრიგებას. კრებამ მხედველობაში მიიღო, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფარგლებში უკვე არსებობდა ცალკე სალინგვისტო განყოფილება, რომლის მუშაობა ვერ იყო ნაყოფიერი, ამიტომ დაიხურა და უარი ითქვა ცალკე ორგანოს ხელახლა დაარსებაზე. კრების თითქმის ყველა მონაწილე იმ აზრის იყო, რომ ისევ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო გაძღოლოდა სალინგვისტო და სალექსიკონო მასალების შეგროვება-დამუშავების საქმეს. კრებამ დ. კარიჭაშვილს, პ. მირიანაშვილს და ი. აბულაძეს დაავალა, რომ შეემუშავებინათ ნიშნები ქართული დიალექტებისა და კილოკავების ზოგიერთ ბევრათა გამოსახატავად. ამასთან, უნდა შეედგინათ მოკლე გეგმა (ინსტრუქცია), რომლის მიხედვითაც ყოველი დაინტერესებული ქართველი ინტელიგენტი შეძლებდა სალექსიკონო მასალის შეგროვებას.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება თავისი არსებობის მთელ მანძილზე ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ლექსიკოლოგიისა და ენათმეცნიერების საკითხებს. საზოგადოების ოქმებში შემონახულია ამ საკითხისადმი დიდი ინტერესის

კვალი. საზოგადო კრებებზე ენათმეცნიერების ცალკეულ პრობლემებს არაერთი მოხსენება მიუძღვნეს: იოსებ ყიფშიძემ, აკაკი შანიძემ, ალექსანდრე სახანაშვილმა, მიხეილ ყიფიანმა, იუსტინე აბულაძემ, არნოლდ ჩიქობავამ, ვარლამ თოფურიაშვილმა და სხვებმა.

ამგვარად, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ლინგვისტურმა განყოფილებამ თავისი არსებობის მოკლე მონაკვეთში გარკვეული მუშაობა ჩაატარა ლინგვისტური საკითხების კვლევისა და სალექსიკონო მასალების შეგროვებისათვის საჭირო ღონისძიებების მიხედვით. თუმცა ეს განყოფილება დაისურა, მაგრამ სსენებული პრობლემები ყოველთვის იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დღის წესრიგში. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების წევრთა დიდმა მეცნიერულმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად წასწია საქართველოში ენათმეცნიერებისა და ლექსიკოლოგიის განვითარება (ეს საქმე შემდგომ უფრო წარმატებით გაგრძელდა თბილისის უნივერსიტეტსა და სხვა სამეცნიერო კვლევის ცენტრებში.).

საზოგადოების საქმიანობა საქართველოს სსხპ-ის სახელმძღვანელოში

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენლები. ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ ქუთაისში, გურჯაანში, ბათუმში, ახალციხეში თავისი ჯგუფები შექმნეს. თავის მხრივ საზოგადოებამ გამოყო საგანგებო აგენტები, რომლებიც დიდ მუშაობას ატარებდნენ მოსახლეობაში, იზიდავდნენ წევრებს, კრებდნენ საწევრო გადასახადს, ამასთან აგროვებდნენ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებს. ასეთი აგენტები უკვე 1908 წლიდან საზოგადოებას ჰყავდა: ქუთაისში — იოსებ იოსების ძე ოცხელი, ბათუმში — ილია ივანეს ძე ფერაძე, ართვინში — ნიკოლოზ თომას ძე ერისთავ-შარვაშიძე (ეჭიმე), კავკავში — იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე. 1909 წლიდან ქუთაისში, ი. ოცხელის თხოვნით, საზოგადოების საბჭომ (იხ. ოქმი № 41) აგენტს თანაშემწედ დაუნიშნა რაჟდენ ყარამანის ძე დათუშიძე. ბათუმშიც შეიქცა აგენტი. ეს მოვალეობა მიენდო ტრო-

ფიქსირებული ინფორმაცია. ამასვე წლიდან საზოგადოებამ აგენტებად დაამტკიცა მოსკოვში ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი, ბაქოში — ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილი, უფრო გვიან სიღნაღში — ალექსანდრე ლევანის ძე ჯორჯაძე. როცა საზოგადოებამ მუშაობა ფართოდ გაშალა, საჭირო გახდა თბილისშიც გამოეყოთ აგენტები. ეს საქმე დააიხსრეს იოსებ მერკვილაძეს და ვახტანგ ღამბაშიძეს.

აგენტებს შქონდათ სპეციალური „კეიტანციები“, აფორმებდნენ აკრებილ თანხას და უგზავნიდნენ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ან იყენებდნენ სხვადასხვა დანიშნულებისამებრ საზოგადოების საბჭოს ნებართვით.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება თავის რაგებში აერთიანებდა საქმით დაინტერესებულ პირებს, რომლებიც საწესდებო მოთხოვნილებასთან ერთად სხვა კონკრეტულ დავალებებსაც ასრულებდნენ. ესენი იყვნენ ექიმი ვრიგოლ მუსხაძე ჭიათურაში, მღვდელი და ექიმი სამსონ ლეუავე მცხეთაში, შოსე კალანდარიშვილი კაეკაეში, სამსონ თვალთვაძე წალენჯიხაში, ნიკაილოზ ბაჭერაშვილი საგარეჯოში, პავლე ნიკიტინ-ვინოგრაძე და მხატვარი გიორგი ხმალაძე ბორჯომში, იაკობ ფსაკაძე ერევანში და სხვა.

ფართო მუშაობა იყო გაშლილი ქუთაისში. XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისი ზაერთოდ გამოირჩეოდა თავისი კულტურით, განათლებული ინტელიგენციით. თბილისის შემდეგ სწორედ ქუთაისი იყო, სადაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავისი მუშაობა ფართოდ გაშალა.

1908 წ. სექტემბერში ექვთიმე თაყაიშვილმა წერილი გაუგზავნა იოსებ ოცხელს:

„მის მაღალ-კეთილშობილებას იოსებ იოსების ძეს ოცხელს

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ ამა სექტემბრის 10-ის სხდომაზე დაადგინა მოგანდოს „საზოგადოებას“ აგენტობა ქ. ქუთაისში. გაუწყებთ რა ამას, აქვე გაახლებთ „საზოგადოების“ ქუთათურ წევრთა სიას და გთხოვთ, თქვენს ნაცნობთა შორის ჩვენს საზოგადოებას ახალი წევრები მოუპოოთ (ნამდვილი წევრის წლიური გადასახადია 3 მანეთი, ხოლო დამხმარე წევრისა — 1 მანეთი), ხოლო იმ პირთ, რომელნიც უკვე „საზოგადოებას“ წევრებად ითვლებიან, დააჩქარებინოთ საწევრო ფულის შემოტანა.

დარწმუნებული ვართ, ჩვენი საზოგადოების სიმპატიურს საგანს დახმარებას არ მოაკლვბთ.

საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი⁷⁹.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთათური წევრები იყვნენ: კირილე ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, მელიტონ ჩოგოვაძე, სამსონ ყიფიანი, სვიმონ დოლაბერიძე, სვიმონ ქვარიანი, თევდორე ყორღანი, მოსე ქიქოძე, იაკობ ფანცხავა, იოსებ ივანეს ძე ოცხელი, სვიმონ ივანეს ძე ოცხელი. სილოვან სუნდაძე, თეოფილე ხუსკივაძე, თომა მთავრიშვილი, დავით მდივანი, კონსტანტინე გოცირიძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი, კონსტანტინე ბაქრაძე, დავით ბაქრაძე, ანთიმოზ გიორგაძე, გიორგი ზდანევიჩი, მიხეილ მღვდლიევი, სამსონ დათეშიძე, დავით სელთუფლაშვილი, ეპისკოპოსი გიორგი — სულ 25 კაცი. 1910 წლისათვის საზოგადოებას ქუთაისის კიდევ რამდენიმე მოწინავე ინტელიგენტი შეემატა: ივლიანე აბესაძე, ტრიფონ ჯაფარიძე, მიხეილ ჩინჩალაძე, იონა კობახიძე, გერასიმე ცაგარეიშვილი, სოლომონ მიქელაძე. პეტრე ყიფიანი, სოლომონ წერეთელი, არტემ კვაჭანტირაძე, ივანე ეპიტაშვილი, ვენერა ბერიძე, ნინო ხელთუფლიშვილი, ბარბარე ვოლსკაია, ალექსანდრე გერსამია (მღვდელი), ბენედიქტე მამფორია, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ლონგინოზ ჩიმაკაძე, ნიკოლოზ შარაშიძე, იასონ ნიკოლაიშვილი, სერგი რობაქიძე და დიმიტრი უზნაძე⁸⁰.

ქუთაისში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების იმდენად მძლავრი ბირთვი შეიქმნა, რომ იოსებ ოცხელს საკითხი დაუსვამს ცალკე განყოფილების შექმნის შესახებ. ამ მიზნით საგანგებო წერილი გაუგზავნია ექვთიმე თაყაიშვილისათვის, სადაც განყოფილების შექმნის დასაბუთებასთან ერთად იყო ორი შეკითხვაც: 1. შეესაბამებოდა თუ არა, და ხომ არ დაარღვევდა საწესდებო მოთხოვნებს ეს წინადადება და 2. ხომ არ შეუშლიდა სელს საზოგადოებას განყოფილების დაარსება? ქუთაისის ისტორიულ არქივში დაცულია ი. ოცხელისადმი ე. თაყაიშვილის პასუხი, რომელშიც ვარკვეულადაა ნათქვამი, რომ არსებული წესდების შესაბამისად, თბილისის გარდა, სხვა ქალაქებში საზოგადოების განყოფილების არსებობა არ

⁷⁹ წერალი დაცულია ქუთაისის ისტორიულ არქივში.

⁸⁰ სია ქუთაისელი წევრებისა დადგენილია საწევრო ანარიცხების უწყისის შეხამამისად; შედგენილია 1910 წ. 14 მარტს (ინახება ქუთაისის ისტორიულ არქივში).

შეიძლებოდა. წესდების პირველი მუხლი გვაუწყებს: „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება არსდება ქალაქ თბილისში“, შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი იძლევა განმარტებებს. მისი აზრით, იმხანად განყოფილების დაარსება, საზოგადოებისათვის არა თუ სასარგებლო იქნებოდა, არამედ ხელსაც შეუშლიდა. „...საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება,—წერდა ე. თაყაიშვილი,—ნორჩი საზოგადოებაა; მანამ წელს და ძარღვს არ გაეუმავრებთ ამ საზოგადოებას, ყოვლად მავნებელი იქნება განყოფილების დაარსება. ძალები დაიქსაქსება, სახსარი არც ერთს ექნება და არც მეორეს. განყოფილება მაშინ მოიტანს სარგებლობას, როდესაც დედა საზოგადოება ღონიერი იქნება, ძალა და სახსარი გადამეტებული ექნება და შრომისა და თანხების განაწილება შესაძლებელი იქნება“.

საზოგადოების თავმჯდომარეს დედა საზოგადოების სიძლიერე ისე წარმოედგინა, რომ იმდენი თანხა მაინც კქონოდა, სამი-ოთხი სპეციალისტის მოწვევისა და თანამდებობებზე დანიშვნა შესძლებოდა. ამ სპეციალისტებს სხვა საქმე არაფერი უნდა კქონოდათ გარდა საზოგადოებაში მოღვაწეობისა. სასურველი იყო საზოგადოებას ერთი ორი კრებულის გამოცემაც შესძლებოდა. მხედველობიდან არ უნდა გამოჩენოდათ, რომ საზოგადოებას მიზნად კქონდა მუზეუმის გახსნა (ეს მუზეუმი ქართული კულტურის ნაშთების ჭეშმარიტი სალარო უნდა ყოფილიყო). როცა ყველაფერი მიღწეული იქნებოდა, ე. თაყაიშვილის აზრით, მაშინ არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ აუცილებელი გახდებოდა განყოფილების გახსნა. მეცნიერს მიაჩნდა, რომ ასეთი განყოფილების გახსნა პირველ რიგში სწორედ ქუთაისში იქნებოდა შესაძლებელი. სასურველი იქნებოდა აქვე მუზეუმის დაარსებაც, რომელიც თბილისში საზოგადოების მუზეუმსა და წიგნთსაცავში არსებული ხელნაწერების, ნაბეჭდი წიგნებისა და სურათების დუბლეტებით დაკომპლექტდებოდა.

ექვთიმე თაყაიშვილს ჯერ კიდევ წესდების შედგენისას უფიქრია, რომ განყოფილებების შექმნა თავიდანვე არ შეიძლებოდა. მეცნიერი ითვალისწინებდა სომხეთის მაგალითს. სომხებს დაარსებული კქონდათ საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელსაც განყოფილებებიც კქონდა. მაგრამ არც ძირითადი საზოგადოებისა და არც განყოფილებების საქმიანობა კარგად არ მიდიოდა. სომხებს უფრო სწორად მიაჩნდათ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა და მის გადაღებასაც ცდილობდნენ.

ე. თაყაიშვილი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ შეეგროვებინათ და გადაერჩინათ ის, რისი შეგროვება და გადარჩენაც შეიძლებოდა. ქუთაისში, — წერდა მეცნიერი, — ბევრი შეგნებული და ენერგიული ინტელაგენცია. დარწმუნებული ვარ თუ სურვილი აქვთ, დიდი დასმარების გაწევა შეუძლიათ. ყველას საშუალება ეძლევა ჩვენი საზოგადოების წევრობით ისარგებლოს და ამ საზოგადოების სახელით მოკვდეს, შეკრიბოს ნიეთები, ხელნაწერები, მოგვიპოვოს წევრები, მოკვანოდოს მასალანი და სხვ... სწორედ საერთო მუშაობა მოიტანს ნაყოფიერ შედეგს, დაე ჯერ ერთი იყოს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და როდესაც მოდებოდება, მაშინ იბარტყოს“⁸¹.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელმძღვანელებისა და ქუთაისის აგენტების მიმოწერიდან აშკარად ჩანს, რომ ნაყოფიერი მუშაობა გაიშალა საქართველოს მეორე ქალაქში. ექვთიმე თაყაიშვილი და სერგი გორგაძე ოფიციალური ბარათით ადასტურებენ საზოგადოების ახალი წევრების შემატებას ქუთაისიდან. ესენი არიან: ექამი გიორგი ნიკოლოზის ძე კახიანი, კბილის ექიმი დავით რიყინაშვილი, სერგი დავითის ძე ჯაფარიძე, კალისტრატე ნიკოლოზის ძე ჩიკვაძე, დიდიმ ნიკოლოზის ძე ჩიკვაძე, ილია მანუჩარის ძე ჩაქოვანი და მომრიგებელი მოსამართლე ვლადიმერ ნიკოლოზის ძე აბულაძე.

1912 წელს კვლავ დადგა ქუთაისში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნის საკითხი. შემუშავებულ იქნა წესდება, რომელიც მთავრობამ 1912 წლის 17 ივნისს დაამტკიცა.

1913 წ. 18 თებერვალს გაიმართა საზოგადო კრება, რომელმაც აირჩია გამგეობა 13 კაცის შემადგენლობით: ვიქტორ ასათიანი, ეუკოლ ბერიძე (მდივანი), გრიგოლ დავითის ძე გველესიანი, გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი (მუზეუმის გამგე), რაჟდენ დათეშიძე (მოლარე), ვლადიმერ ვეკუა, სპირიდონ ლეკვეიშვილი, სიმონ ქვარიანი, სამსონ ყიფიანი (თავმჯდომარის ამხანაგი), ვლადიმერ წერეთელი, სილოვან ხუნდაძე, ტრიფონ ჯაფარიძე (თავმჯდომარე) და კონსტანტინე ჯორჯიკია⁸².

⁸¹ წერილი დათარიღებულია 1911 წლას 20 ნოემბრით; დაცულია ქუთაისის ისტორიულ არქივში.

⁸² ანგარიში ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა 1913—1915 წლებში. ქუთ., 1916, გვ. 3.

1913 წ. მეორე ნახევარში გამგეობამ დაბეჭდა წესდება, დაამზადა საკანცელარიო საბუთები, გამოსცა მოწოდება, რომელიც დაარიაგა მოსახლეობაში და შეუდგა წევრების მიღებას.

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავისი მუშაობის ძირითად მიზნად დაისახა ძველი ისტორიული ნივთების მიკვლევა და შექმნა, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალების შეკრება, მუზეუმის მოწყობა, გამოფენების გამართვა, სტიპენდიებისა და ნივთიერი დახმარების მიწოდება სტუდენტებისათვის. ქუთაისის საზოგადოება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მნიშვნელოვან ცენტრად იქცა დასაყვლეთ საქართველოში. იგი მხოლოდ ქუთაისში საქმიანობით არ კმაყოფილდებოდა და დასაყვლეთის მთელ რეგიონს უწყევდა მომსახურებას. სხვადასხვა კუთხეში საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი იყო აგენტების აქტიური მუშაობა ქუთაისში — დავით ავალიანი, ვასილ არდიშვილი, ტისონ ახათიანი, იოსებ ელიგულაშვილი, გალაქტიონ თუთბერიძე, კონსტანტინე კაჭახიძე, ადრიანე კოსტავა, პროკოფი ფანცხავა; ქუთაისის მაზრაში — კირილე მოძუაშვილი; ხონში — გიგლა მეტუკე; ფოთში — იოსებ კობრიძე და ვლადიმერ ხოშტარიანი; ოზურგეთში — გიორგი მუშლაძე; ლანჩხუთში — ეპიფანე ჩხაიძე; ზუგდიდში — კონდრატი ჩაჩიბაძე; სოსოქში — ოლღა დადიანი; შორაპნის მაზრაში — სანდრო აბაშიძე. გრივოლ მიქაშავიძე და ლუკა ტყემალაძე; ჭიათურაში — ალექსანდრე ჩინჩალაძე; რაჭაში — ონისიმე მინდელი, სტრატონ მინდელი და ვალერიან ჯაფარიძე; ლეჩხუმში — ეგნატე ვაბლიანი. ალექსი გელოყანი და იოანე მუსეროძე; სვანეთში — ეგნატე ვაბლიანი და იოსებ გულედიანი ⁸³.

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის დიდი დამსახურებაა მუზეუმის მოწყობა. გამგეობამ მუზეუმისათვის პინის გამოსაყოფად თხოვნით მიმართა ქართულ გიმნაზიას, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, ხათავადაზნაურო ბანკს და თავადაზნაურთა საკრებულოს, მაგრამ სიციწროვას გამო ეს თხოვნა, მიუხედავად დიდი თანაგრძნობისა და სურვალისა, ვერც ერთმა ვერ დააკმაყოფილა. შემდეგ თხოვნით მიმართეს ქალაქის საბჭოს, რომელმაც გამოყო თავისუფალი ოთახები მუზეუმისთვის (ტელეფონის სადგურის შენობაში). აქ გაიმართა მუზეუმი, რომელიც დღითიდღე მდიდრდებოდა ახალი ექსპონატებით.

⁸³ ანგარიში ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა 1913—1915 წლებში, ქუთ., 1916, გვ. 4—5.

ქუთაისის საზოგადოების გამგეობის მატერიალური საშუალებები განიხილვრებოდა საწევრო გადასახადებითა და შემოწირულებებით. მეტი ხასხრების მოზიდვის მიზნით საზოგადოება მართავდა საღამო-წარმოდგენებს.

საზოგადოების ქუთაისელ წევრებს აქტიური საქმიანობა გაუშლიათ. არაერთი საინტერესო ნივთი და ხელნაწერი შეუგროვებიათ და გადაუციათ საზოგადოებისათვის, ბევრიც შეუსყიდიათ. თავის მხრივ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება საკუთარ გამოცემებს („ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“) უგზავნიდა მათ. გარკვეული მუშაობა ჩატარებიათ საზოგადოების ქუთათურ წევრებს სხვადასხვა სიძველეთა ნიმუშების გადმოღებაშიც. 1914 წლის 14 თებერვალს საზოგადოების საბჭომ განიხილა ქუთაისელი მხატვრის გრიგოლ მესხის წერილი. მხატვარს გადმოუღია ჩუქურთმიანი ქვების პირები და აპირებდა კიდევ გაეგრძელებინა ამგვარი მუშაობა რაჭა-ლეჩხუმში. იგი საზოგადოების დახმარებას საჭიროებდა. იმხანად საზოგადოებას დახმარება ვერ აღმოუჩენია საჭირო თანხის უქონლობის გამო, თუმცა იმედი გამოითქვა, რომ რამდენიმე თვეში მოხერხდებოდა ამ საკითხის მოგვარება⁸⁴.

1916 წლისთვის ქუთაისში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების უჯრედი იმდენად მომძლავრდა, რომ შესაძლებელი გახდარა შექმნილიყო განყოფილება, რომლის თავმჯდომარედაც ტრიფონ ჯაფარიძე აურჩევიათ, ამჯერად კიდევ უფრო გაფართოვდა საზოგადოების ქუთაისელ წევრთა საქმიანობა, უფრო მასშტაბური გახდა იგი. ამის ნათელი დასტურია ტრიფონ ჯაფარიძის წერილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი (გამოგზავნილია ქუთაისიდან, დათარიღებულია 1916 წლის 11 მაისით):

„ღრმად პატივცემულო ბ-ნო ექვთიმე!

გამგეობას სურს მიაქციოს თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ ლაზისტანსა და ტრაპიზონში დღეს თუ სვალ დაიწყებს მოგზაურობას ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი შმიდტი, რომელსაც პეტროგრაძის ისტორიული საზოგადოება გზავნის. ვინაიდან იმ ადგილებში ქართველთა ბევრი სიძველე ინახება, ძლიერ საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენის მხრით... გაგზავნილ იქნეს დასახელებულ მსარეში ერთი პირი, რომელსაც... დაევალება ყველაფერი დაათვალიეროს, ახ-

⁸⁴ ანგარიში ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა 1913-1915 წლებში, ქუთ., 1916, გვ. 6-7.

წერილს და რაც მოხერხდება წამოიღოს ჩვენი მუზეუმებისათვის (თუ რამე ვიპოვეთ, იმედია, გაყოფასე არ წაფიქრებთ). ამ პირისათვის, საჭირო იქნება მეფის ნაცვლისაგან ისეთი საბუთი, რომ მის (ან მათ) პიროვნებას არაფერ შეეხოს და ხელი შეუწყონ კიდევ მეცნიერულ კვლევა-ძიებაში. ამისთვის გთხოვთ ამ საგანზე თქვენც მოიფიქროთ და ეს საქმე მოაწყობთ ისე, როგორც სჯობდეს თქვენი შეხედულებით. ჩვენის მხრით გასაგზავნად ვასახელებთ ვუკოლ ბერიძეს, რომელიც თანახმაა ეს საყურადღებო და საჭირო მინდობილობა მიიღოს.

ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი შუამდგომლობა გუბერნატორის წინაშე აღძვრათ, რადგან დასახელებული რაიონი მას არ ექვემდებარება და არც ჩვენი წესდების ფარგალშია. ასე რომ შუამდგომლობა მეფის ნაცვლის წინაშე უნდა აღიძვრას და, თუ ჩვენგან ქაღალდი ან სხვა რამე საჭირო იქნება, გთხოვთ საჩქაროდ გეაცნობოთ. მანამდის კი თუ საჭიროება მოითხოვს, შუამდგომლობის აღძვრაში დახმარებას გავიწყვესთ ჩვენი მარშალი თ-დი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე, რომელსაც, გთხოვთ, შინაარსი ამ წერილისა გააცნოთ.

გამგეობა ეცდება ვუკოლ ბერიძესვე მიენდოს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისაგან ანკეტის მოხდენა დამპყულ ჭანელთა შესახებ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ საჭიროა ესეც აღინიშნოს ქაღალდზე, რათა მას რაიმე დაბრკოლება არ შესხედეს⁸⁵.

ეს წერილი მრავალმხრივია საინტერესო. ჯერ ერთი, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქუთაისის განყოფილების საქმიანობაზე, მის ინტერესებზე, მეორე — აქედან აშკარად ჩანს, რომ ქუთაისში მუშეუმი შეუქმნიათ და მის ექსპონატებზე ზრუნავდნენ. ნიშანდობლივია, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის წევრებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს შესაწირავებით საზოგადოების მომძლავრებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კირილე ლორთქიფანიძემ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქუთაისში (უკვე ასე იწოდება ოფიციალურ დოკუმენტებში) გადასცა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა (უნიკალური წიგნებით). ეს ფაქტი სათანადოდ შეუფასებია ექვთიმე თაყაიშვილს და იგი, უკვე გვიან, გამოხატავს რა მწუსარებას კ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო,

⁸⁵ ეს ბარათი დაწერილია ბლანკზე, რომელსაც მარცხენა ზედა კუთხეში აქვს გრიფი: „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ქ. ქუთაისი“. იგი გატარებულია საზოგადოების ჟურნალში (136) წ. 1916 წ. 15 მაისს. დაცულია საქართველოს სელ. მუზეუმში № 316.

ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოსადმი
მაწერილ სამძიმრის ბარათში აღნიშნავს: „მთელი თავისი სიცოცხლე
საზოგადო საქმეს შესწირა, საზოგადო საქმის პურჯი იყო და საზო-
გადო საქმის ინტერესით ცხოვრობდა, დასასრულ თავისი მდიდარი
და იშვიათი წიგნთსაცავი უკლებლად შეუნასა და გადმოსცა საისტო-
რიო საზოგადოებას ქუთაისში“⁸⁶.

ქუთაისში ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმიანობის შემდგომი გა-
ფართოება აშკარად იგრძნობოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფ-
ლების დამყარებას შემდეგ. ქუთაისს სხვა ქალაქებმა და რაიონულ-
მა ცენტრებმაც მიბაძეს და წარსულის ისტორიისა და სიძველეთა
დაცვის საკითხები გადაიქცა მთელი საქართველოს (საამისოდ სსკა
ხპეციალური დაწესებულებებიც შეიქმნა) ინტელიგენციის საზრუნავ
საქმედ. ყოველივე ამას უკვე სახელმწიფო დაწესებულებებიც თავის
ტონს აძლევდნენ და საქართველოში საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოების ინიციატივით წამოწყებული საქმე მიღავერ სახელმწი-
ფოებრივ ხაფუშველზე დადგა.

⁸⁶ 1919 წ. 16 მაისს წერილი ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგა-
დოების საბჭოსადმი, საქ. ხელოვნების მუზეუმი, 347, საქ. 18 ბ.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება

1917—1920 წწ.

პირველ იმპერიალისტურ ომში გერმანიის წინააღმდეგ რუსეთის ჩაბმამ ამიერკავკასიის გაბატონებული კლასები (მემამულეები, ბურჟუაზია) და მათი ინტერესების დამცველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები დიდად გაააქტიურა¹, რამაც თავისი გამოხატულება იმდროინდელ პრესაშიც კიპოვა. მრავალრიცხოვან წერილბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიათა შორის დომინირებდნენ სომეხი დაშნაკები, აზერბაიჯანელი მუსავატელები და ქართველი მენშევიკები. ისინი ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ცარილისა და ბურჟუაზიის სამსახურში ჩადგნენ. იმპერიალისტური ომი თავდაცვით ომად გამოაცხადეს და ხალხს მონაწილეობისაკენ მოუწოდეს. მოსახლეობის ფართო მასების (პროლეტარიატისა და გლეხობის) ინტერესების ერთადერთა დამცველი ბოლშევიკური პარტია იყო, რომელიც ვ. ი. ლენინის მეთაურობით აშკარააგებდა ომის წამდვილ მიზანს, მის მტაცებლურ ხასიათს.

იმპერიალისტურმა ომმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა რუსეთი — დაახქარა ცარიზმის კრიზისი. განსაკუთრებით რთული მდგომარეობა შეიქმნა ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოში. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა თითქმის მთლიანად მოიშალა. ყოველივე ამან მოსახლეობაში ძლეღვარება გამოაწვია, დააწყია საგაფიცვო მოძრა-

¹ ა. სურგულაძე, პირველი იმპერიალისტური ომი და თებერვლას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში, წაგნმა: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, თბ., 1972, გვ. 353—354.

ობა. 1916 წლის ბოლოს აშკარა ვახდა, რომ ცარიზმს ომის გავრძელების უნარი აღარ ჰქონდა. გაძლიერდა ომის საწინააღმდეგო მოძრაობა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენაში. ამ უაღრესად მძიმე და რთულ პირობებში, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დაქვეითების ხანაში, ბუნებრივია, კულტურულ დაწესებულებათა საქმიანობა შენედა, ნაკლებ ნაყოფიერი გახდა. ეს ბედი ვერ ასცდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასაც. მდგომარეობის არსებითი შეცვლა არც 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას გამოუწვევია... დროებითმა მთავრობამ სპეციალურ ორგანოს — ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომი) დააკისრა ამიერკავკასიის მართვა-გამგებლობა. ამ უკანასკნელმა კი საერთოდ ვერ გაამართლა იმედები — ვერ გადაჭრა ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი და პრაქტიკულად მემამულეებისა და კაპიტალისტების მთავრობას წარმოადგენდა.

საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ მთავრობამაც ვერ მიხედა იმ დადსა და მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც იმდროინდელი ქართული საზოგადოების წინაშე იდგა. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დააფრთხო საქართველოს მენშევიკები და საბოლოოდ ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების გამომსახველად აქცია². დროებითი მთავრობის მმართველობის პირობებში ბევრა სირთულე შეიქმნა ქვეყანაში და ერთხანს კულტურული ხასიათის საქმიანობა შენედა. ეს იგრძნობა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ამ წლებში მოღვაწეობის მაგალითსაც. საზოგადოებას განსაკუთრებით ეკონომიურად გაუჭირდა (ეს თავის მხრივ საერთო ეკონომიკური კრიზისით იყო განპირობებული), შემცირდა საზოგადო კრებების რიცხვი. დღემდე შემონახულ მიმოწერებში (საზოგადოება არაერთგზის მიმართავედა სხვადასხვა ინსტანციას) გარკვევით ჩანს გაჭირვება, რომელშიც იმ დროს საზოგადოება ჩავარდა. აი ერთი ამონაწერი 1918 წლის 15 დეკემბრის წლიური კრების № 128 ოქმიდან: „...წლის განმავლობაში (მხედველობაშია 1917 წ. — რ. მ.) ჩვენმა საზოგადოებამ უჩვეულო სიმღირისა გამოთითქმის სრულიად შეაჩერა გამომცემლობა, რადგან წინათ თუ ერთი დიდი ტომის გამოცემა ქალაქდითურთ ას თუმანზე (1000 მ.) მეტი არ გვიჯდებოდა, დღეს ასეთი ტომისათვის 40 000 მანეთია საჭირო. ჩვე-

² ა. ხუ რ გ უ ლ ა ს ე, პირველი იმპერიალისტური ომი და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VII, თბ., 1972, გვ. 588.

ნი ბიუჯეტი კი ამოდენა ხარჯის გაწევის ნებას არ გეძლევა“. უმთავრესი წყარო, საიდანაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დასმარებას ღებულობდა, თავად-აზნაურობის ფინანსური და სამეურნეო-ეკონომიკური ორგანიზაციები, აგრეთვე საქველმოქმედო დაწესებულებები იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ესენი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებაში გადავიდნენ, საზოგადოება ფაქტიურად უსახსროდ დარჩა, რადგან მთავრობას იმჯერად მისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და არც რაიმე ხარჯი გაუთვალისწინებია. 1918 წლის იანვრიდან საზოგადოება ვალთ საზრდოობდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ საზოგადოება საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში შევიდა და რაიმე საკითხის დასმა უშუალოდ მთავრობასთან დამოუკიდებლად შეუძლებელი გახდა; ეს მხოლოდ განათლების სამინისტროს საშუალებით შეიძლებოდა. ბიუროკრატიულ აპარატებში მიწერ-მოწერა კი ხანგრძლივ დროს მოითხოვდა. მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილ საზოგადოებას დასურვა ემუქრებოდა. და აი, 1918 წლის 19 ივლისს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ რესპუბლიკის განათლების მინისტრს თხოვნა გაუგზავნა. ეს წერილი მრავალმხრივია მნიშვნელოვანი და, ვფიქრობთ, მკითხველისათვის არ იქნება ინტერესმოკლებული:

„საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრს

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ერთადერთი დაწესებულება არის ჩვენში, რომელიც შეძლებისამებრ სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ანხორციელებს საქართველოს კულტურის ნაშთების შეკრებაში, დაცვაში და გამოცემაში. დღემდის ეს დაწესებულება სარგებლობდა პირადის უსახყიდლო მუშაობით თავის წევრებისა, შემთხვევითი შემოწირულობით საზოგადოების წევრთა და იმ სუბსიდიით, რომელსაც აძლევდა თავადაზნაურობა. ესლა უკანასკნელი წყარო სრულიად მოისპო და შემოწირულობამ ძლიერ იკლო გარემოების მიხედვით. ამიტომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო სთხოვს განათლების მინისტრს კეთილ ინებოს და ამ დაწესებულების შესანახად ხარჯი შეიტანოს თავის სარჯთაღრიცხვაში. აქვე ვადგენთ საზოგადოების მოსალოდნელ შემოსავალ-გასავლის ანგარიშს 1918 წლისათვის, რომლიდანაც დაინახეთ, რომ აუცილებელი ხარჯი უდრის 57 600 მანეთს, სოლო მოსა-

ლოდნელი შემოსავალი 17 500 მანეთს. ამგვარად საჭირო არის სასო-
ვადოებს დაენაშნოს საქართველოს რესპუბლიკის ხაზინიდან 40 100
მანეთა. ვთხოვთ ნასევარი ამ თანხისა საჩქაროდ მოგეაწოდოთ, ვინა-
ითგან იანვრიდან სასოვადოება ვალით საზრდოობს.

სასოვადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი
მდივნის მაგიერ სასოვადოების საბჭოს წევრი ირ. სონღულაშვილი³.

განათლების სამინისტრომ საკითხი მინისტრთა საბჭოს წინაშე
დასვა, მაგრამ მთლიანად მისი გადაწყვეტა ვერ მოგვარდა. მთავრობამ
სასოვადოებას მსოლოდ 20050 მანეთი გამოუყო, რითაც მსოლოდ
მიმდინარე ხარჯების დაფარვა მოხერხდა⁴.

მუხეხადვად მძიმე პირობებისა, სასოვადოების მესვეურები, პირა-
დად ექვთიმე თაყაიშვილი და მისი თანამოაზრეები გულგაუტესლად
აგრძელებდნენ მუშაობას. სასოვადოების საბჭოს განზრახული კქონდა
1919 წლისათვის კვლავ განეახლებინა საგამომცემლო საქმიანობა.
ამასთან, მუხეხუმ-ბიბლიოთეკისა და ახლადშემენილი ფოტომოწყობი-
ლობის გასამართავ-ასამოქმედებლად და შემდგომ სამუშაოდ უნდო-
დათ მოეწვიათ ოთხი სპეციალისტი. ისინი ხსევა საქმეებისაგან სრული-
ად თავახუფალი უნდა ყოფილიყვნენ. სავარაუდოდ თვეში 1000—1000
მანეთი უნდა მიედო თითოეულს. ყოველივე ამას დიდი თანსა სჭირ-
დებოდა და ექვთიმე თაყაიშვილმა წლიურ კრებაზე შეიტანა წინადა-
დება, ეთხოვათ მთავრობისთვის 120 000 მანეთი. აქ გათვალისწინე-
ბული იყო სასოვადოებაში ხელფასით მომუშავე პირების მდგომარე-
ობაც. კერძოდ, ფოტოსასელოსნოს გამგე დიმიტრი შევარდნაძე იღებ-
და 500 მანეთს, საზინადარი იროდიონ სონღულაშვილი (იგი ამავე
დროს ასრულებდა საქმისმწარმოებლისა და მუხეხუმ-ბიბლიოთეკის
გამგის თანაშემწის მოვალეობებსაც) — 600 მანეთს. ექვთიმე თაყა-
იშვილი მოითხოვდა, რომ ორივე ამ პირს 700—700 მანეთი დანიშნო-
და. ამის გარდა, სასოვადოების მდივანს სერგი გორგაძეს, რომელმაც
იკისრა მუხეხუმ-ბიბლიოთეკაში მუშაობაც — ეძლეოდა 300 მანეთი
თვიურად. მუხეხუმ-ბიბლიოთეკის გამგეს იუსტინე აბულაძეს (იგი
დროებით იყო მოწყვეული) — 50 მანეთი.

1919 წლის 24 იანვარს სახალხო განათლების მინისტრს გაეგზავ-

³ წერილი დაცულია საქ. ისტორიულ არქივში, ფ. 1935; მისი შავი პირი საქ.
ხელ. მუხეხუმში ინახება (ყ. № 858).

⁴ იხ. 1918 წ. 15 დეკემბრის წლიური კრების № 128 ოქმი.

ნა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1919 წლის ხარჯო-
აღრიცხვა სათანადო განმარტებით და თხოვნით, დაესვათ საკითხი
მთავრობის წინაშე აღნიშნულის დასამტკიცებლად. საზოგადოება
12060 მანეთს მოითხოვდა. ამ თხოვნამ მრავალი ინსტანცია მოიარა
და სათანადო დასკვნების შემდეგ მთავრობამდე მიადგინა. 1919 წლის
3 აპრილს ეს საკითხი განიხილა საქართველოს დემოკრატიული რეს-
პუბლიკის მთავრობამ. აქ საკითხის გადაჭრა სხვაგვარად მოინდომეს.
კერძოდ, განათლების მინისტრს დაავალეს აღმინისტრაციული აპრა-
ტის ხარჯების შემცირების მიზნით შეემუშაებინა და ახლო მომავალში
დამფუძნებელი კრებისათვის წარედგინა საისტორიო და საეთ-
ნოგრაფიო საზოგადოების, ყოფილი კავკასიის მუზეუმის, არქეოგრა-
ფიული კომისიის ქართულ უნივერსიტეტთან გაერთიანების კანონ-
პროექტი. და ამ შემთხვევაში აუცილებელი საჭიროებისათვის
მთავრობა გამოჰყოფდა 50 000 მანეთს.

მთავრობის ამ დადგენილების თანახმად, განათლების მინისტრის
ამხანაგის თავმჯდომარეობით შედგა კომისია, რომელსაც დაუდებუ-
ლი ჰქონდა შეემუშაებინა ზემოთ მითითებული კანონ-პროექტი. კო-
მისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ აღნიშნულ საზოგადოებათა და
უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

კომისიამ აუცილებლად მიიჩნია მომავალში საქართველოს ყველა
მუზეუმის გაერთიანება. ამავე დროს გაითვალისწინა ამ გაერთიანების
შემაფერხებელი მიზეზები: 1. თბილისში იმხანად არ მოიპოვებოდა
ისეთი შენობა, სადაც მოხერხდებოდა ყველა მუზეუმის თავმოყრა;
2. საისტორიო და საეთნოგრაფიო, წერა-კითხვის გამაერთელებელი
საზოგადოებებისა და საეკლესიო მუზეუმები იმუამად წარმოადგენდნენ
ცალკეულ საზოგადოებათა საკუთრებას, რომელთაც თავისი წესდებ-
ებები ჰქონდათ, ამიტომ საჭირო იყო თითოეული საზოგადოების წევ-
რთა საზოგადო კრებების თანხმობა. ახლო მომავალში ესეც მოუხერ-
ხებელი იყო.

კომისიამ აღნიშნა, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგა-
დოებას, უსასსრობის გამო, იმხანად მთლიანად შეჩერებული ჰქონდა
სამეცნიერო მუშაობა. საქმის ინტერესები კი მოითხოვდა მის გაცხო-
ველებას. ყოველივე აქედან გამომდინარე, აღიძრა შუამდგომლობა
მინისტრთა საბჭოს წინაშე. 1919—1920 საბიუჯეტო წლისათვის სა-
ქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გამო-
ყოფოდა 120160 მანეთი. განათლების სამინისტრომ მთლიანად მოიწო-
ნა გადაწყვეტილება და თავის მხრივ იშუამდგომლა, რომ დაემტკიცა-

ბინათ ივი. მთავრობამ კიდევ დიდსანს ვააჭიანურა ეს საქმე და პხოლოდ წლის ბოლოს გამოჰყო თანსა. 1919 წელს წლიურმა კრებამ (ოქმი № 131) მხედველობაში მიიღო „ცხოვრების უჩვეულო ვადვირება, რის გამოც შეუძლებელი სდება თავისუფალ თანამდებობის პირთა გამონასვა მცირე ჯამაგირით და საზოგადოების მუშაობის (გამომცემლობის, ექსკურსიებისა და სხვ.) გაშლა ფართო მასშტაბით, და დაადგინა: „დაევალოს საზოგადოების საბჭოს სამუშეუმო თანსიდან დასესხებული ფულის ერთი ნაწილი გაისტუმროს მთავრობის მიერ მიცემულის 120160 მანეთიდან და რაც კიდევ ფული გადარჩება — გაანაწილოს თავისი შეხედულებით თანამდებობის პირთა ჯამაგირების გასადიდებლად და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“.

შექმნილ ეკონომიკურ ვითარებაში დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების ნაანდერძევი თანსა (800 000 მან.) არ იძლეოდა მუშეუშისათვის შენობის აგების საშუალებას. „დღევანდელ უჩვეულო სიძვირეში, — მიმართავდა წლიური კრების მონაწილეებს ე. თაყაიშვილი, — ამ ფულით რამოდენიმე ოთასიც რომ აშენდეს, დიდი საქმე იქნება; ამგვარი მცირე შენობა კი ჩვენი საზოგადოების სიძველეთათვის სრულიად საკმაო არ იქნება“⁵. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელმოკლეობით უნდა აისხნას ის ფაქტი, რომ 1920 წლის 18 დეკემბრის საზოგადო კრების დადგენილებით (სარევიზიო კომისიის წინადადებით), კათალიკოს კირიონისა და ალ. ყიფშიძის სახელობის თანსა შეტანილ იქნა ძირითად (სახარჯო) თანსაში, აკაკი წერეთლის ძეგლის თანსა კი მიემატა მისივე სახელობის ხალსური სიტყვიერების ფონდს. ნიშანდობლივია, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მომსახურე პერსონალი დიდ გაჭირებებს განიცდიდა და არაერთხელ დაისვა მათთვის ხელფასის მომატების საკითხი. შექმნილ ვითარებაში, როცა ფულის კურსი არსებითად შეიცვალა, საჭირო იყო საწევრო შესატანის ოდენობის ასლებური განსაზღვრა. საზოგადოებამ საგანგებოდ იმსჯელა ამ საკითსზე და დაადგინა: ა) ნამდვილ წევრთა საწევრო გადასასადი განისაზღვროს 100 მანეთით (ერთდროულად 1000 მანეთი); ბ) მზრუნველი წევრისა — 100 000 მანეთით (ერთდროულად)⁶.

⁵ იხ. 1919 წ. 5 ოქტომბრის წლიური კრების ოქმი № 131 (დაცულია საქ. სელოენების მუშეუშში).

⁶ იხ. 1920 წ. 18 დეკემბრის წლიური კრების ოქმი № 146 (იქვე).

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება შეძლებისდაგვარად კვლავ წარმართავდა თავის საქმიანობას — იკითხებოდა სამეცნიერო მოსხვენებები, იმართებოდა ექსკურსიები. 1918 წლის 9 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით გაუქმდა კავკასიის საარქეოგრაფიო კომისია და ყველა მისი აქტი⁷ და საბუთი გადაეცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. მთავრობის დადგენილებით (1918 წ. 11 ნოემბერი), საზოგადოებამ თბილისში მიიღო ყოფილი თავად-აზნაურთა თბილისის სადეპუტატო საკრებულოს არქივი; ქუთაისის საკრებულოს არქივი წილად სვდა ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას⁸.

მართალია, ფართო ზასიათის სამეცნიერო ექსპედიციებს ვეღარ აწყობდნენ, მაგრამ სხვადასხვა გზებით და საშუალებით მაინც ზრუნავდნენ მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობასა და შესწავლაზე. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ 1920 წლის 28 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ლეონიდეს მიმართა წერილით (იხ. საბჭოს ოქმი № 204, 1920, 18 IX), რომელშიც აღნიშნული იყო ის მძიმე მდგომარეობა, რაც გარეჯის მონასტრის უპატრონობით იყო გამოწვეული. საგანგებო კომისიას უნახავს სრულიად დაუცველი ძვირფასი ხელნაწერები. რომელთა დიდი ნაწილი დაუწვავთ, დარჩენილ 28 ხელნაწერსაც იგივე ბედი ელოდა. ადგილობრივი სამღვდელთა სრულებით არ ზრუნავდა მათ დასაცავად. საზოგადოების საბჭო აყენებდა საკითხს დაუყოვნებლივ ჩამოეტანათ ეს ხელნაწერები თბილისში. ამ საქმის მოსაგვარებლად გამოყვეს შალვა ამირანაშვილი. წერილით სთხოვდნენ კათალიკოსს საბჭოს მიერ გამოყოფილი პირისათვის მიეცა სათანადო რწმუნებები (წერილობითი განკარგულება), რომ ამ უკანასკნელს სრულად ჩამოეტანა ხელნაწერები დედაქალაქში.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება მტკიცედ აყენებს საკითხს მთავრობის წინაშე ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ძვირფასი ნივთების შესაძენად სამუზეუმო თანხის დაარსების

⁷ კავკასიის არქეოგრაფიულმა კომისიამ გამოსცა საქართველოს, კავკასიისა და ასლო აღმოსავლეთის ისტორიის შესახებ არსებული დოკუმენტების კრებული („აქტი კავკასიის არსეოგრაფიის კომისიის“), რომელიც 12 ტომისაგან შედგება და თანამედროულად ეძღვნება კავკასიის მთავარმართველებისა და მეფისნაცვლების მოღვაწეობის პერიოდს.

⁸ საქართველოს საისტორიო არქივი, ფ. 1935, საქ. 9.

შესასებ. საქმე ის იყო, რომ ცსოვრების მძიმე პირობების გამო, ბევრი ჰყვიდა საკუთარ ძვირფასეულობას — ისტორიული მნიშვნელობას სხვადასხვა წივით და მათი დაკარგვის საშიშროება აშკარა იყო. ამ მხრივ ნიშანდობლივია ერთი ადგილი განათლების მინისტრის ამხანაგის წერილიდან მინისტრთა საბჭოსადმი (დათარიღებულია 1919 წლის 24 ოქტომბრით): „დღევანდელმა უმაგალითო და საარაკო სიძვირემ იმდენად გაართულა ცსოვრების პირობები, რომ ჩვენი საზოგადოების უმეტესი ნაწილი თავისი ფიზიკური არსებობის შესანახავად იძულებულია ბაზარზე გამოიტანოს ვასასყიდად სანგრძლივი შრომით და შეცადანეობით შექმნილი მთელი თავისი ქონება.

სამინისტროში მიღებული ცნობებით დღეს ბაზარზე ისეთი ძვირფასი ნივთებიც კი მოიპოვება, რომელთაც დიდი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ ჩვენას ცსოვრებისათვის.

ეს ძვირფასი ნივთები უმეტეს ნაწილად არასაიმედო პირთა ხელში გადადის და, რაც უფრო ყველაფერზედ სამწუხაროა, ჩვენის ტერატორიის საზღვრებიდან გააქვთ სხვა ქვეყნებში და ამრიგად სამუდამოდ ხელიდან გვეცლება ეს ჩვენის ცსოვრებისათვის დიდმნიშვნელოვანი ძვირფასი განძი“⁹.

როგორც ჩანს, მთავრობამ გარკვეული ყურადღება დაუთმო სიძველეთა შენახვისა და მოვლა-პატრონობის საქმეს. საქართველოს დამფუძნებელ კრებასთან არსებობდა ხელოვნების კომისია, რომელიც მოწოდებული იყო სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად სურთომოდვრების ძეგლების დაცვაზე ეზრუნა. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ამ კომისიასთანაც ჰქონდა ვარკვეული ურთიერთობა. ჩვენს ხელთ არის დოკუმენტები, რომლებიც მიგვანიშნებენ ისტორიული ძეგლების დაცვისათვის ამ ორი საზოგადოების მიერ გაწეულ შრომაზე. 1920 წლის 22 აპრილს ხელოვნების კომისია საგანგებო წერილით მიმართავს განათლების მინისტრს, რომ ექვთიმე თაყაიშვილისა და არისტო ქუთათელაძის თაოსნობით აღდგენილი და განახლებული ბეთანიის მონასტერი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მონასტერს ასაზრდოებდა 50 დესეტინა მიწა, რომელიც დავით ბარათაშვილმა შესწირა ბეთანიას. იმსანად ეს მამული მონასტერს ჩამოართვეს და იჯარით გასცეს. ბერი, რომელიც შენობას იცავდა, იძულებული გახდა თავი დაენებებინა მონასტრისთვის. ამით ისარგებლეს მწყემსებმა და ეს დიდებული ძეგლი ბოხლად გადააქციეს.

⁹ საქართველოს ისტორიული არქივი, ფ. 1935, საქ. 1444.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო ზომები — მწყემსები მონასტრიდან გაყარეს და ბერი დააბრუნეს. ეს უკანასკნელი, ბუნებრივია, სარჩოს ითხოვდა, ამიტომ ხელოვნების კომისიამ დაადგინა ეშუამდგომლა სახალხო განათლების მინისტრის წინაშე, რათა კულტურის ფონდიდან გამოეყოთ საჭირო თანხა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შეშვეობით მოეხმარებინათ იგი ბეთანიის მონასტრისა და მისი კარ-მიდამოს დაცვისათვის¹⁰.

1917 წლის 16 დეკემბრის საზოგადო კრებამ (ოქმი № 124) საგანგებოდ იმსჯელა (პ. თუმანიშვილის წინადადებით) ერმაკოვისეული მღადარი ფოტოკოლექციის შექმნის შესახებ, რომელსაც წინათ, თურმე, უფრო იაფად ყიდდა ერმაკოვის მეუღლე, იმუამად კი 80 000 მანეთს თხოულობდა. დაისვა საკითხი, რომ ეს კოლექცია სელიდან არ გაეშვათ, მოეხერხებინათ მისი შექმნა; წინააღმდეგ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული კოლექცია უცხოელებთან აღმოჩენილიყო. როგორც ჩანს, კოლექციის შექმნა იმხანად ვერ მოხერხებულა. მიუხედავად მისი ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობისა, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ქართველი ინტელიგენციისათვის მაინც საიმედო დაწესებულებად რჩებოდა. გაჭირვების უამს სწორედ მას მამართავდნენ. ასე იყო, როცა ერმაკოვისეული კოლექციის საკითხი კვლავ დადგა. მეტად საგულისხმო იყო პეტროგრადის ალექსანდრე შესამის სახელობის მუზეუმის სახელოსნოთა ყოფილი გამგის მხატვარ კონსტანტინე ზურაბის ძე ქავთარაძის წერილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისადმი. იგი იტყობინებოდა, რომ განსვენებული ფოტოგრაფის ერმაკოვის ქვრივი ჰყიდიდა ერმაკოვისეულ საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო კოლექციათა სურათების ნეგატივებს შანიმუშო სურათების ალბომებიდან. ასევე ჰყიდიდა ფოტოგრაფიის მოწყობილობას აპარატებით 15 ათასი პორტრეტის ნეგატივით (მათ შორის ბევრი ქართველ და ევროპელ მოღვაწეთა იშვიათი ნეგატივი იყო). კ. ქავთარაძე საზოგადოების ყურადღებას მიაქცევდა, რომ ერმაკოვისეულ ფოტოგრაფიის მოწყობილობაში თავმოყრილი იყო განსვენებული ბარკანოვისა და განსვენებული ალექსანდრე როინაშვილის ძვირფასი კოლექციები, უნიკალური ობიექტივები და აპარატები. „გფიქრობ, — აღნიშნავდა კ. ქავთარაძე, — რომ ქართველ საზოგადოებას სამწუხარო გაკვეთილად ეკმარვის ის აჩქარებული ნაბიჯი, რომელსაც შედეგად მოჰყვა განსვენებულ ალექსანდრე როინაშვილი-

¹⁰ საქართველოს ისტორიული არქივი, ფ. 1935, საქ. 55.

ხეული იშვიათი და ფასდაუღებელი კოლექციისა და ფოტოგრაფიის ანკუნტარის გადასვლა ერმაკოვის ხელში, ოხიცი მუქთად". კ. ქავთარაძე აყენებდა საკითხს ფოტოგრაფიის საქმის ამოქმედება-გაცხოველებას მაზნით საზოგადოებას გადაედგა არსებითი ნაბიჯები. მისი აზრით, მკოდნე და გამოცდილი სელმძღვანელის ხელში ჩვეულებრივი ფოტოგრაფიული საქმის წარმოებასთან ერთად შემოსავალი იმდენი იქნებოდა, რომ რამდენიმე წელიწადში მთლად გაინადლებდა ვალეზულ თანხას; შეიძლებოდა ფოტო-მუზეუმის გახსნაც.

თუკა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება შეიძენდა შემოღასახელებულ კოლექციასა და აპარატურას, მაშინ კ. ქავთარაძე სთავაზობდა თავის სამხახურს -- ცოდნა და გამოცდილება მოესმარებინა ამ საქმისთვის და სათანადო გეგმის შედგენასაც კისრულობდა.

საბოლოოდ მოხერხდა აღნიშნული კოლექციის საქართველოში დატოვება.

ფრიად საინტერესოა გიორგი ოთარის ძე ამილახერის განძის პედიის საკითხი. მას ეკუთვნოდა გორისჯერის ეკლესიის დიდი ჯვარი. კ. ამილახერმა თხოვნით მიმართა მთავრობას შეეძინათ იგი ან უფლება მიეცათ გაეთამაშებინა ლატარიაში. მთავრობამ განძი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცა დასკენისათვის. სასოგადოების საბჭომ შექმნა კომისია ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, გიორგი ჩუბინაშვილისა და დიმიტრი შევარდნაძის შემადგენლობით. კომისიამ შეამოწმა, აღწერა და შეაფასა სხენებული ჯვარი. იგი მოთქროვილი ვერცხლით იყო შეჭვდილი; ვერცხლის ჭვდილობა 17 ფირფიტისგან შედგებოდა. აქედან ერთი (შუაში) ჯვარცმის ქანდაკებას წარმოადგენდა. 14 ფირფიტა შეიცავდა სურათებს წმინდა გიორგის ცხოვრებიდან; ორი ფირფიტა საისტორიო წარწერებით იყო აღჭურვილი. ჯვარს ზურგი ვერცხლითვე აქონდა შეჭვდილი. მხედრული წარწერა მიანიშნებდა, რომ ჯვრის დასადგმელი ფეხი გაუკეთებია გიორგი გივის ძე ამილახვარს 1707 წელს. უფრო ძველი სუცური წარწერა იტყობინებოდა, რომ ჯვარი მოუჭვდია და გორისჯერის ეკლესიაში დაუხვენებია მეფეთ-მეფეს ალექსანდრეს. ამ წარწერის საფუძველზე კომისიამ დაასკენა, რომ ჯვარი შეჭვდილია XV-XVI საუკუნეებში. იგი მხატვრული შესრულებით მეტად საინტერესოა და ნათლად მოწმობს საქართველოში საოქრომჭვდლო ხელოვნების მაღალ დონეს.

კომისიამ დაასკენა, რომ ეს ნივთი ძვირფასი იყო და სამუზეუმო საკუთრება უნდა გამსდარიყო. იგი 200 000 მანეთად შეაფასეს

(ივ. ჯავახიშვილი უფრო მეტით, 300 000 მანეთით განსაზღვრავდა მის ფასს). კომისიის წინადადებით ჯვარი უნდა შეეძინათ ე. წ. ათმილი-ონიანი ფონდიდან ეროვნული მუზეუმისათვის ¹¹.

საკითხის ამგვარ დასმას მსარი დაუჭირა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ¹² და სახელმწიფო კონტროლმა ¹³, ხოლო განათლების სამინისტრომ საგანგებო შუამდგომლობასთან ¹⁴ ერთად დამფუძნებელი კრებას სათანადო დეკრეტის პროექტიც შეიმუშავა ¹⁵. ყოველივე ამის შემდგომ ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ძეგრფასი ნივთების შეზამენად შეიქმნა სამუზეუმო თანხა, რისთვისაც სახელმწიფო ხაზინიდან გაღებულ იქნა 1 000 000 მანეთი (სახალსო განათლების სამინისტროს განკარგულებაში).

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი იყო სავამოფენო საქმიანობა. საზოგადოებამ 1920 წელს მოაწყო ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშების გამოფენა. ეს უაღრესად დიდი მოვლენა იყო ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. მისი მნიშვნელობა გასცილდა ჩვეულებრივი გამოფენის ფარგლებს. ნაჩვენები იქნა ქართული არქიტექტურის ძეგლების გეგმები, ფოტოსურათები; ჩამოსხმული იყო ქანდაკებათა ნიმუშები. გამოფენამ თვალნათლივ წარმოადგინა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარება მეექვსე საუკუნიდან მოკიდებული მეჩვიდმეტე საუკუნემდე; ნაჩვენები იყო, თუ რა სრულყოფას მიაღწია ხუროთმოძღვრების ქართულმა სტილმა ისტორიის ათსაუკუნოვან მანძილზე.

გამოფენა გასსნა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას აუწყა იმ დიდი მნიშვნელობის შესახებ, რაც გამოფენას ჰქონდა როგორც კულტურული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. მან აღნიშნა, რომ სამი წლის წინ მოეწყო ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებში არსებული ფრესკების იშვიათი გამოფენა, ახლა კი უდიდესი მნიშვნელობის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა ნიმუშების გამოფენა ეწყობა. მეცნიერმა ხაზი

¹¹ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წერილი (სულს აწერენ ე. თაყაიშვილი და ს. გორგაძე) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისადმი (1919 წ. 13 სექტემბერი), საქ. ხელ-ოვნებას მუხ. ფონდი. ყ. 858.

¹² საქართველოს ისტორიული არქივი, ფ. 1935, საქ. 8.

¹³ იქვე, საქ. 9.

¹⁴ იქვე, საქ. 10.

¹⁵ იქვე, საქ. 11.

ვაუსვა, რომ წარმოდგენილი იყო ძველი ტაოს, ოლთისის ოლქის, თორთუმისა და ისპირის სეობის ძეგლები; მიუთითა, რომ სამხრეთ საქართველოში არსებული ისტორიული ძეგლები ნათლად მეტყველებენ ქართველი ხალხის მაღალ კულტურასა და დიდ გემოვნებაზე¹⁶. გამოფენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმითაც, რომ მან იმ დროისათვის პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი როლი შეასრულა — აქ ფართოდ იყო წარმოდგენილი საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ე. წ. სამაჰმადიანო საქართველოს უნიკალური ძეგლების ნიმუშები¹⁷. გამოფენისთვის მომზადდა ვრცელი კატალოგები ქართულ და რუსულ ენებზე, რამაც თავის მხრივ კიდევ უფრო გაზარდა გამოფენის მნიშვნელობა და მაღალკულტურული იერი მისცა მას.

ცალკე უნდა შევეხოთ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების როლს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. ამ კუთხით საკითხი ჯერჯერობით არ დასმულა. არ შეიძლება ორი აზრი იყოს 1907 წელს ივანე ჯავახიშვილის უშუალო თაოსნობითა და ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსებული ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მნიშვნელობაზე¹⁸. მან კეთილნაყოფიერი გაელენა მოახდინა რუსეთში, კერძოდ პეტერბურგში. მყოფ ქართველ ახალგაზრდობაზე. ალბათ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რაოდენ დიდი, არსებითი ღვაწლი დასდეს პეტერბურგში მყოფმა ქართველმა მეცნიერებმა ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. სწორედ ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრე-თანამდგომნი არიან ამ საქმის პრაქტიკულად დამაგვირგვინებლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში მძლავრი საუნივერსიტეტო ბაზა იყო უპირველესად სწორედ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახით, რომელიც თავისი შინაარსითა და ოფიციალური აღიარებით ერთადერთი აკა-

¹⁶ ე. თაყაიშვილის სიტყვა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მიერ მოწყობილი, ქართული სუროთმოძღვრების გამოფენის გახსნაზე 1920 წ., საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ე. თაყაიშვილის ფონდი № 989.

¹⁷ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარის წერილი სახალხო განათლების მინისტრისადმი (1920 წ. 24 აპრილი), საქართველოს ისტორიული არქივი, ფ. 1935, საქ. 1321.

¹⁸ ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება, კრებ., თბილისის უნივერსიტეტი (1918—1968), თბ., 1968, გვ. 10—11; რ. მეტრეველი, კვალი განათლებული (ივ. ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი), თბ., 1975, გვ. 27—28.

დემიური დაწესებულება იყო, „ეს იყო მაშინ ჩვენში უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტიც“ (კ. კეკელიძე)¹⁹.

ე. თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ ივ. ჯავახიშვილის თბილისში გადმოსახლება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უფრო წინ წასწევდა, მკვეთრად ჩამოყალიბებული სახალხო უნივერსიტეტის სასესიო მისცემდა²⁰. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ წერილობით მიმართა ივ. ჯავახიშვილს და სთხოვა, რომ გადმოსულიყო თბილისში და დაეწყო ლექციების კითხვა საქართველოს ისტორიაში.

ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდა, როცა უნივერსიტეტის დაარსების ამკარა შესაძლებლობა შეიქმნა²¹. რიგი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების შემდეგ 12 მაისს თბილისში გაიმართა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრება. ამ კრების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წამყვანი ბირთვი: ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ლ. ბოცვაძე, გ. ვეშაპელი, ი. ზურაბიშვილი და სხვ.

კრებას თავმჯდომარეობდა (ივ. ჯავახიშვილის წინადადებით იქნა არჩეული) ე. თაყაიშვილი. მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ გააკეთა ივ. ჯავახიშვილმა²². შეიქმნა კომისია (ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. აფხაზი, ვ. ყიფიანი, ი. ლორთქიფანიძე, გ. ჟურული), რომელსაც დაევალა საჭირო სახსრების გამონახვა-შეგროვება და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ამ კრებაზე შეიქმნა ქართული უნივერსიტეტის განსაკუთრებული საზოგადოება. უნივერსიტეტის ორგანიზების ყველა

¹⁹ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1961, ტ. V, ნაკ. II, გვ. 159.

²⁰ ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

²¹ საქართველოში უმაღლესი სასწავლებლად დაარსების იმედა გააღვივა იმ ფრიად არსებათა მოელენამ, რომ 1914 წელს რუსეთის მთავრობამ იძულებით შეასრულა მისთვის მეტად მძიმე აქტი — ეამოსცა კანონი რუსეთის იმპერიაში არარუსულ ენაზე კერძო სახაითის უმაღლესი სასწავლებლებად დაარსების შესახებ. ეს კანონი ხელ-ფეხს უხსნიდა ივ. ჯავახიშვილსა და ისეა ქართველი მამულიშვილების საქმიანობას უნივერსიტეტის დაარსებისათვის.

²² ივ. ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ, მოხსენება ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე 1917 წ. 12 მაისს თბილისში და 17 მაისს ქუთაისში, თსუ შრომები, XXXI, II, თბ., 1948.

ბ.ქმდვამ ეტაპზე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრება აქტაურად მონაწილეობდნენ. საგულისხმოა, რომ ასლადდარსებული ქართული უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა შორის აყვნენ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრები: ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე და სხვ.

ერთი სიტყვით, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში.

მიუხედავად მენშევიკების ბატონობის პერიოდის სირთულეებისა, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ორგანიზაციულად მტკიცდებოდა, იძენდა ახალ წევრებს მოწინავე ქართველი ინტელიგენციას რიგებიდან. ამ პერიოდში საზოგადოების წევრები გასდნენ: ვაორგი ჩუბინაშვილი, პავლე ინგოროყვა, შალვა ნუკუბიძე, იოსებ გრაშაშვილი, ლადო გუდიაშვილი, ნიკოლოზ ჯანაშია, გიორგი ლეონიძე და სხვ. მართალია 1917—1920 წწ. საზოგადო კრებები შედარებით იშვიათად ტარდებოდა (ისიც ძირითადად საორგანიზაციო საკითსებზე), მაგრამ წაკითხულ მოხსენებათა პრობლემატიკა მნიშვნელოვანი იყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეცნიერული კვლევისა და საქმიანობის ცენტრმა გადაინაცვლა ძირითადად უნივერსიტეტში, სადაც ახლადშექმნილ კათედრებზე საყურადღებო სამეცნიერო მუშაობა წარმოებდა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება

1921—1931 წწ.

ა) მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები

1920 წლიდან საქართველოში გაიზარდა ხალხთა მასების რევოლუციური აქტივობა. მენშევიკური საქართველო მწვავე შინაგან კრიზისს განიცდიდა. საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა ჯერ აზერბეიჯანში, შემდეგ სომხეთში. ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლა მძაფრდებოდა. საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოს მშრომელი მოსახლეობის დარაზმვაში ავანგარდული როლი მუშათა კლასს ეკონდა.

1920 წლის მიწურულში ამიერკავკასიის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება აშკარად მეტყველებდა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გარდუვალობაზე. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კონტრრევოლუციის ბედი საქართველოშიც გადაწყვეტილი იყო. მაგრამ ხანამ საქართველოს ხელისუფლების სათავეში მენშევიკური მთავრობა იყო, მუდმივი საფრთხის ვითარებაში იმყოფებოდა კავკასიის სხვა ქვეყნების მშრომელთა მონაბოვარი. მენშევიკური საქართველო წარმოადგენდა სამსრეო რუსეთის კონტრრევოლუციის საშიშ ბუდეს და იმპერიალისტური ინტერვენციის საიმედო ბაზას¹.

¹ ა. ხ რ გ უ ლ ა ძ ე. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, წიგნმა: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1972, ტ. VI. გვ. 686—687.

რკა (ბ) კავებურომ 1921 წლის დასაწყისში დავალება მისცა საქართველოს კა (ბ) ცენტრალურ კომიტეტს დაუყოვნებლივ მოემსახურებინა შეიარაღებული აჯანყება. იგი დაიწყო 1921 წლის 11 თებერვალს. აჯანყების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი (ფ. მასარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეჭკორა, ბ. კვარკელია, ა. ნაზარეტიანი და სხვ.), რომელიც სათავეში ჩაუდგა აჯანყებას.

აჯანყების კერა თანდათან გაფართოვდა. მთელი საქართველო აჯანყებამ მოიცვა. მე-11 წითელი არმიის ნაწილებიც, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თხოვნით, საქართველოსკენ დაიძრნენ აჯანყებულთა დასასმარებლად. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამიერიდან ახალი ერა დაიწყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ფართო ასპარეზი იშლებოდა ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის.

სამარცხვინოდ დამთავრდა მენშევიკების სამწლიანი ბატონობა. მათ თბილისი მიატოვეს და ბათუმს მიაშურეს, რათა აქედან ზღვით უცხოეთში გაქცეულიყვნენ. მენშევიკურმა მთავრობამ გაქცევის წინ ერთი მძიმე დანაშაულებრივი აქტიც შეასრულა — განკარგულება გასცა მთელი სამუშეუმო ქონება ყუთებში ჩაეწყოთ უცხოეთში გასატანად. სამუშეუმო განძის მეთვალყურედ დამფუძნებელი კრების მიერ დაინიშნა ექვთიმე თაყაიშვილი. მძიმე იყო მეცნიერისთვის სამშობლოს დატოვება, მაგრამ საქართველოს ძვირფასეულობას მეთვალყურე სჭირდებოდა. მას კარგად ესმოდა, რომ თუ არა დიდი ყურადღება, შეიძლებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები სამუდამოდ დაკარგულიყო საქართველოსთვის. 1921 წლის 11 მარტს ექვთიმე თაყაიშვილმა დასტოვა საქართველო და იძულებით კარგა ხანს მოუხდა ემიგრაციაში ყოფნა. იქ, საფრანგეთში მძიმე პირობებში ცხოვრობდა განძის მეთვალყურე. თანაც თვით განძეულობაც საფრთხეში იყო. ამით შეწუსებულმა მეცნიერმა 1928 წელს პარიზში აკაკი შანიძეს და გიორგი ასელებიანს² შესწავლა: „მოახერხეთ როგორმე, ეს სიძველეები დაუბრუნდეს საქართველოს. ეს რომ ასე არ მოხდეს ჩემი მეორე სიკვდილი იქნება“³.

² მეცნიერები 1928 წ. ოქსფორდში (ინგლისში) ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში იღებდნენ მონაწილეობას. ისინი უკან დაბრუნებისას შეჩერდნენ პარიზში.

³ ციტირებას ვასდენტო აკაკი შანიძის მიერ ჩვენი თხოვნით დაწერილი მოვანებადან.

საფრანგეთში გატანილი განძის საკითხზე, ვრცელი ლიტერატურაა შექმნილი⁴ და ამჯერად აქ აღარ შევჩერდებით. აღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დარჩა თავმჯდომარის გარეშე. წესდების შესაბამისად ამ მოვალეობას, საზოგადოების საბჭოს რეკომენდაციით, ერთხანს თავმჯდომარის ამხანაგი დ. კარიჭაშვილი ასრულებდა. ექვთიმე თაყაიშვილისათვის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბოლო კრება, რომელსაც თვითონ თავმჯდომარეობდა, 1920 წლის 26 დეკემბერს (ოქმი № 147) ჩატარდა. 1921 წლის 17 აპრილს (ოქმი № 149) უკვე დ. კარიჭაშვილი თავმჯდომარეობდა საზოგადო კრებას.

1922 წლიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას სათავეში ივანე ჯავახიშვილი ჩაუდგა. ამიერიდან ახალი ძალით დაიწყო საზოგადოების მრავალმხრივი საქმიანობა, გაიზარდა მისი ავტორიტეტი. ასალი მძლავრი მეცნიერული ძალები დღითი დღე ემატებოდა: საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. 1922 წლის 23 მაისს საზოგადოების რიგებში ჩაირიცხნენ შალვა ამირანაშვილი და სიმონ ჯანაშია, ამავე წლის 5 ივნისს — ვარლამ თოფურია, 2 ივლისს — გიორგი ჩიტაია, 1923 წლის 3 ივნისს — ალექსანდრე წერეთელი, 16 ივნისს — ალექსანდრე ჯანელიძე (გეოლოგი) და დამიანე ჯგუშია (საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის აკადემიური წარმომადგენელი რუსეთში); 1924 წლის მარტში — გრიგოლ წერეთელი და მიხეილ პოლიევქტოვი, 1925 წელს — დიმიტრი გულია და ალექსანდრე ბარამიძე, 1926 წელს — ნიკოლოზ ბერძენიშვილი და ვერა ბარდაველიძე 1927 წელს საზოგადოებას შეემატნენ ლევან მუსხელიშვილი, იასე ვინცაძე და ა. შ.⁵

1921 წლის მაისიდან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება გაერთიანდა განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა პროფესიულ კავშირში. აღნიშნული პროფესიული კავშირის გამგეობის არჩევაში მონაწილეობას იღებდა საზოგადოების წარგზავნილი ათი დელეგატი (მიხეილ ზანდუკელი, ვარლამ

⁴ შ. ამირანაშვილი, საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანადა სამუზეუმო განსეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1978. ა. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977, გვ. 190—228; რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1962. აღნიშნულ საკითხზე ძალზე საინტერესო რამდენიმე ლექცია წაიკითხა (დეტალური, სათანადო დოკუმენტების მოტანით) პროფ. გ. უორდანაძემ.

⁵ საზოგადოებას, რასაკვირველია, უფრო დიდი როლენობით ემატებოდა წევრები, მაგრამ ყველას აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ბურჯანაძე, დავით კარიჭაშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, ნანო რცხილაძე, მარიამ რცხილაძე, ვასილ ედილაშვილი, იროდიონ სონღულაშვილი და ხერცი ვორგაძე).

უაღრესად საინტერესო გასდა საზოგადო კრებები, სადაც სდებოდა საზოგადოების წევრთა, გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა მოსხენებების მოხმენა. თითოეული მომსხენებელი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკადებოდა პრობლემას. კრებებზე საქმიანი, მწვავე კამათი იმართებოდა. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ გამოსვლას კქონდა ინფორმაციული ხასიათი ისტორიის ამა თუ იმ დარგის თუ ცალკეული საკითხის შესწავლის მდგომარეობის შესახებ. ერთი სიტყვით, საზოგადოება დიდ საქმეს აკეთებდა როგორც მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენის, ასევე მიღწევათა ფართო საზოგადოებამდე მიტანის საქმეში (კრებებს, საზოგადოების წევრებს გარდა, ფართო საზოგადოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ). საზოგადო კრებებზე სხვადასხვა მეცნიერული პრობლემის გამოტანა იმითაც იყო გამართლებული, რომ ყველა საკითხის შესახებ მოსაზრებათა დაბეჭდვა არ სერსდებოდა. უნდა შევნიშნოთ, რომ დღესდღეობითაც არ არის გამოქვეყნებული რიგ მეცნიერთა მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხზე და საისტორიო და ხაეთნოგრაფიო საზოგადოების კრებათა ოქმები (სელნაწერი სახით) ერთადერთი დოკუმენტებია, სადაც ყველაფერი დეტალურადაა აღნუსხული (ამდენად დიდია ამ საბუთების მნიშვნელობა).

აი თუნდაც ზერელე ჩამოთვლა მეცნიერთა და მათ მიერ საზოგადო კრებებზე წაკითხული ზოგიერთი მოხსენებისა: ივანე ჯავახიშვილი — „ბრძოლა საქართველოს მთლიანობისა და დანაწილების გამო XV—XVI საუკუნეებში“ (1921 წ., აპრილი), „ეფესისტყაოსნის“ კრიტიკული შესწავლის ძირითადი საფუძველი: საკითხი ამპავის სადაურობისა, დროისა და ავტორის პიროვნების შესახებ“ (1922 წ., ივნისი), „საქართველოს შინაური და საგარეო მდგომარეობა მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში“ (1922 წ., ივლისი), „ქართული ანბანის განვითარება ისტორიულ სანაში და მისი წარმოშობის საკითხი“ (1923 წ., ნოემბერი) და სხვ.; კორნელი კეკელიძე — „ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები“ (1923 წ., მარტი) და სხვ.; აკაკი შანიძე — „ქართული ეპიგრაფიკის უძველესი ნიმუშები“ (1922 წ., მაისი), „ასლადადმოჩენილი ხანმეტი მრავალთავი“ (1926 წ., ნოემბერი) და სხვ.; კონსტანტინე გამსახურდია — „იტალიის რენესანსი და მისი მნიშვნელობა დასავლეთ ევროპის ის-

ტორაპი“ (1921 წ., მაისი) და სხვ.; გიორგი ჩუბინაშვილი — „ქართული სელოვნების ისტორიის შესწავლის ამოცანები“ (1924 წ., მარტი) და სხვ.; სიმონ ჯანაშია — „აფსაზური ენის ისტორიიდან“ (1926 წ., იანვარი) და სხვ.; შალვა ამირანაშვილი — „მცხეთის საკათალიკოსო ტაძრის სვეტის კედლის მხატვრობა და მისი დროის სამხატვრო სკოლა (XVII ს.)“ და სხვ.; მოსე ჯანაშვილი — „შოთა რუსთაველი“ (1923 წ., იანვარი) და სხვ.; თედო სახოკია — „მეგრული ქორწილი“ (1926 წ.; აპრილი) და სხვ.; გიორგი ჩიტაია — „გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში“ (1926 წ., იანვარი) და სხვ.; ალექსანდრე ბარამიძე — „შენიშვნები „შას-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ“ (1926 წ., ივნისი) და სხვ.; ნიკოლოზ ბერძენიშვილი — „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წყობილება XVI—XVIII საუკუნეებში“ (1926 წ., იანვარი) და სხვ.; ხარგის კაკაბაძე — „დათარიღება არსენ კათალიკოზის წერილისა „განყოფისათვის ქართლისა“ (1923 წ., ივლისი) და სხვ.; გიორგი ნიორაძე — „მეორედ დამარხვის წესა საქართველოში“ (1927 წ., ოქტომბერი) და სხვ.; მომხსენებელთა შორის იყვნენ: პ. ინგოროყვა, ს. მაკალათია, ლ. მელიქსეთ-ბეგი, გ. ბოჭორიძე, ვ. თოფურია, მ. პოლიეექტოვი, გ. ნათაძე, გ. გოზალიშვილი და სხვ. საგულისხმოა, რომ 1924 წლის 20 დეკემბერს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე მოხსენებით გამოვიდა გერმანელი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი ოტო ფონ ვეზენდონკი, რომელმაც გააშუქა ხეტების პრობლემა იმდროინდელ მეცნიერებაში.

საზოგადოების კრებათა ოქმების მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ მოხსენებათა განხილვაში, ზემოდასახელებულთა გარდა, ძალზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დავით კარიჭაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, სერგი გორგაძე, შალვა ნუცუბიძე, იუსტინე აბულაძე და სხვ.

სამაგალითოდ მოვიტანთ 1926 წლის 3 აპრილის ჩვეულებრივი საზოგადო კრების [მოსმენილ იქნა თედო სახოკიას მოხსენება „მეგრული ქორწილი (სამეგრელოს ეთნოგრაფიიდან)“] № 240 ოქმს:

„კრება ვაიხსნა სადამოს 7 ს. 15 წ. საქართვ. მუზეუმის აუდიტორიუმში. თავმჯდომარეობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი, მდივნობს ს. ჯანაშია. დაესწრნენ წამდვ. წევრნი: ნ. ბერძენიშვილი, ვ. თოფურია, ს. მაკალათია, ვ. ბარდაველიძე, ნ. დგებუაძე, დ. გამრეკელი, გ. ჩაჩანიძე, გ. ბოჭორიძე, მ. სუბუა, გ. ჩიტაია, თ. ლომოური, არნ. ჩიქობავა,

დავ. კარიჭაშვილი, ჩ. შარაშიძე, ალ. ბარამიძე, შ. ჩხეტია, ვ. მოსე-
შვილი, გ. ნიორაძე, ვ. ბერიძე, ს. გორგაძე, კ. თათარიშვილი და გა-
რეშე სასოგადოება.

1926 წლის თებერვლის 20-ს წლიური კრების ოქმის № 239-ის
მოსმენისა და დამტკიცების შემდგომ მოსხენებას კითხულობს თედო
ხასოკია: „მეგრული ქორწილი (სამეგრელოს ეთნოგრაფიიდან)“. სა-
კითხავს ლიტერატურის მიმოხილვის შემდგომ მომხსენებელი აცხა-
დებს, რომ მისი გამოკვლევა უმთავრესად საკუთარს დაკვირვებებს
ემყარება. პირველ რიგში მომხსენებელი არკვევს ნათესაობის ცნებას,
ე. ი. იმ ჩარჩოებს, რომლებშიც, მეგრების შეხედულებით, შესაძლე-
ბელია ქორწინება, — და ნათესაობრივი დამოკიდებულების სხვადასხვა
სახეს (ნათესაობა სისხლისა, ხელოვნური და სხვ.). შემდეგ მომხსენე-
ბელი აღწერს ქორწინების მოტივებს და, იმ მოსაზრებებს, რომლე-
ბითაც სელმძღვანელობს მეგრული ცოლის მოყვანისას: უმთავრესი
ამ მოსაზრებათა შორის, მომხსენებლის აზრით, მატერიალური სასი-
ათისა არიან. მოსხენების ბოლო ნაწილში მომხსენებელი არკვევს
ქორწინების სახეებს: მოტაცებას, მშვიდობიან ქორწილს ანუ სააა-
ტარძლოს გაყიდვას და მათს ელემენტებს. კერძოდ, მშვიდობიანს
ქორწინებაში აღნიშნავს შემდეგს შემადგენელს ნაწილებს: ა) გინო-
ძირაფას ანუ ნახვას, ბ) შანუა-ს ანუ ნიშნობას, გ) ჯვარისწერა-ს, დ)
დიარა-ს ანუ ქორწილს და სხვ. არკვევს ზოგიერთი ტერმინის ეტიმო-
ლოგიას, ესება ზედსიძეობას ანუ ჩასიძეობას და დასასრულ აღწერს
ქორწინებასთან დაკავშირებულ მკითხაობასა და ცრუმორწმუნეობას.
მოსხენებამ ვრცელი კამათი გამოიწვია.

კონდრ. თათარიშვილს შემოაქვს ფაქტიური შესწორებანი მომხსე-
ნებლის ცნობებში: ქორწილში მაყრების მოქცევისა, მზითვის ჩაპა-
რების წესისა, ქორწილში სიძის არგამოჩენის და სხვ. შესახებ. ხაზს
უსვამს, რომ ცოლქმრობა ერთსა და იმავე გვარში აკრძალულია.
ეთანხმება მომხსენებელს, რომ სამეგრელოში ეკლესიის როლს ნაშ-
დვილად მარანი ასრულებს.

ს. მაკალათიას სასიამოვნოდ მიაჩნია მომხსენებლის, როგორც
მეგრული ეთნოგრაფიის ერთი პირველი მკვლევართაგანის, უწყებულ
დარგში ხელასალი გამოჩენა. მოსხენება მეტად მნიშვნელოვანია.
ქორწინების აღნუსხული წესები გვაროვნული წყობილების ნაშთს
წარმოადგენენ. არ იზიარებს მომხსენებლის მიერ მოცემულს ეტიმო-
ლოგიას ტერმინი ოჭყუდურისას, მისი აზრით, ჭყვიდუა ნიშნავს წი-

ლის გაცემას. ფალოსის-შესახებ სასურველია უფრო მთლიანი და სრული ცნობა იყოს შემოტანილი გამოკვლევაში.

არნ. ჩიქობავას განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსხენების აგებულება. მოცემულია არა მარტო ფაქტები, არამედ მათი ინტერპრეტაციაც. შემოაქვს ფაქტიური ცნობა მაყრიონის შესახებ — პატარძლის მაყრიონი ორჯერ სჭარბობს სიძისას. ანალოგიები მოჰყავს აგრეთვე დანიშნის წესში სვანეთსა და ხევსურეთიდან. მოჭყუდე სიტყვის ეტიმოლოგია, მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი, უსათუოდ სწორი უნდა იყოს, იგი წყვეტასთან არის დაკავშირებული. აქ მოტაცების, მოწყვეტის ნაკვალევია. გვარი, თუ მართლაც გავს ძირის სიტყვას, მაშინ ქართული წარმოშობისა უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ეს ეტიმოლოგია ისე ნათელი არ არის. დიარა-ს თავდაპირველი მნიშვნელობა სვანურ დიარ-თან (-პურს) უნდა იყოს დაკავშირებული.

შ. ჩხეტია აგრეთვე არ ეთანხმება მომხსენებელს ფაქტიურ ცნობებში. მაგ. ცნობა ბავშვების დაქორწინების შესახებ გადაჭარბებულად მიაჩნია. მორდილი მორდუსას ორ წელიწადს რჩებოდა მხოლოდ. გონიძირავა დანახვას ჰნიშნავს და არა გახინჯვას.

მოქ. ქაჯაია მომხსენებელს — აწვდის დამატებითს ცნობას მშვიდობიანი ქორწინების ერთი ხასის — „მინოკუმალას“ შესახებ. აღნიშნავს, რომ მშვიდობიანი ქორწილის დროს მხოლოდ ეკლესიაში მსხედება პატარძალს.

ს. ჯანაშიას მომხსენებლის ეტიმოლოგიის — დიარა — ჭამა-ს სასარგებლოდ მოჰყავს ანალოგია აფხაზეთიდან, სადაც აჩარა ჰნიშნავს თავდაპირველად ჭამას, შემდეგ ქორწილ-საც (ა-ჩ-ეს — საჭმელი). ფალოს-ის მეგრულ ძირ ფალუა-სთან დაკავშირება, როგორც ამას მომხსენებელი სჩადის, საეჭვოდ მიაჩნია.

მომხსენებელი უპასუხებს თავის ოპონენტებს, კერძოდ კ. თათარიშვილს, რომ სიძის არ გამოჩენა ქორწილში აფხაზური ჩვეულებაა და არა მეგრული. ერთგვართა ქორწინების შესახებ მას აქვს აღნიშნული, რომ იგი აღკვეთილია, შ. ჩხეტიას შენიშნავს, რომ ყველა ის ფაქტი, რომელსაც უარყოფს ოპონენტი, წესის სახით არსებობდა იმ დროს, როცა მომხსენებელი დაკვირვებას აწარმოებდა.

დასასრულ, თავმჯდომარე ამბობს, რომ მოხსენება, გარეშე იმისა, რომ ასე სრულად და მკვირცხლად იყო დაწერილი, აგებული იყო ისეთი თვალსაზრისით, რომელიც პრინციპულად სადაო უნდა იყოს. მომხსენებელს სურდა სამეგრელოს მთლიანი, საერთო ეთნო-

კრაფაულა სურათის მიცემა, რაც ესლა შეუძლებელია, რადგან ძირითადი ჩვეულებები უკვე დარღვეულია და არც ერთს კუთხეს აღარა აქვს მთლიანი სახე. ამიტომ, უმჯობესია ადგილობრივი, დეტალური აღწერა ვიწროდ შემოფარგლულ არეში. საერთო სურათის შედგენის ცდა უნდა მოსდევდეს ასეთს მუშაობას. შემდეგ საჭიროა აგრეთვე ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისის გამოყენება. ისტორიის მქონე ხალხის ეთნოგრაფია სულ სხვა ნიადაგზე უნდა იყოს დაყარებული. მაგ., მაყარი და მზითევი უცხო ტერმინებია და თვით წესებიც ამიტომ ნაწილობრივ მაინც უცხო ელემენტს უნდა შეიცავდენ. მცირე ყრმათა დაქორწინების შესახებ ცნობა ჩვენ ჯერ კიდევ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერაში მოგვეპოვება. სათუთა მატრიარხატისა და წაგერის წესის უძველესობა. მამამძუძეობის შესახებ მოპყავს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობა და ასკენის, რომ შვილის გაბარება საერთო მოვლენა უნდა ყოფილიყო. იგი შედეგი იყო წესისა, რომლის მიხედვით ცოლი თავისსავე გვარში რჩებოდა. ამგვარად, წაგერა მეორადი მოვლენაა. შემდეგ საფესურად უნდა ურვალობის წესი ჩაითვალოს. — დაბოლოს, თავმჯდომარე მადლობას უხდის მომხსენებელს კრების სასულით მნიშვნელოვანი და საინტერესო მოხსენებისათვის. — უდროობის გამო, მ. სუბუას მიხსენების მოსმენა ვადაილო შემდეგი კრებისათვის.

კრება ისურება დამ.ს 10 ს. 30 წ.

თავმჯდომარე ივ. ჯავახიშვილი

მდივანი ს. ჯანაშია“.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება კვლავაც დიდ ყურადღებას აქცევდა საქსპედიციო საქმიანობას, ანიჭებდა რა მას არსებით მნიშვნელობას ისტორიულ სიძველეთა გამომსეურებისა და შესწავლის საქმეში. ახლა უკვე საზოგადოებას მსარში ედგა სახალხო განათლების კომისარიატი, რომლის აკადემიურ ცენტრთან შეიქმნა მუზეუმთა, სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვის მთავარი სამმართველო. სახელმწიფო ორგანოებმა რეალურად დაიწყეს კრის კულტურაზე ზრუნვა. მათ მოიხიდეს მოწინავე ქართველი მოღვაწეები, რომელთაც არ დააყოვნეს და თავისი მოსაზრებები წარუდგინეს სახალხო განათლების კომისარს სიძველეთა დაცვის შესახებ, თანაც შეიმუშავეს მუზეუმთა და სიძველეთა ძეგლების დამცველი მთავარი სამმართველოს (პირობითი სახელწოდება) დებუ-

ლება. შოგეყავს იე. ჯავასიშვილის, გ. ჩუბინაშვილის, დ. შევარდნაძის, ს. გორგაძის და პ. გრინეცკის მოსხენებითი ბარათი⁶ და დებულების პროექტები:

„სახალხო განათლების კომისარს

სელოვნების და სიძველეთა ძეგლების დაცვაზე ზრუნვა ერთი საპატიო მიზანთაგანია სახელმწიფოსათვის. უკვე მთელი საუკუნეებია, რაც დასავლეთი ევროპა ეწევა ამ მხრივ ფართო მოღვაწეობას. რუსეთში მხოლოდ ამ უკანასკნელ ორ-სამ წელს შეიგნეს და ორგანიზაციულად მოაწყვეს ზევით მოყვანილი მიზნის განხორციელების საქმე. საქართველოში კი აქამდეც არ ავმოქმედებულვართ. საქართველო სურათმოძღვრების ნაშთთა (სახახლეებისა, სიმაგრეებისა, ტაძრებისა, მონასტრებისა და სხვა ამგვარის) სიმრავლით ერთ წილან მუზეუმად არის გადაქცეული და გაცილებით უფრო მდიდარია, ყიდრე სხვა ქვეყნების ნამდვილი მუზეუმები, ამის გამო მთავარი ყურადღება მიმართული უნდა იყოს სწორედ დასახელებულ ნაშთების აღმოჩენასა, აღრიცხვასა, დაცვასა და გამაგრებაზე. ყველა ეს გულისხმობს ჩვენი ქვეყნის მსატერული განსეულობის გამოკვლევის ფართოდ დაყენებას.

სამუზეუმო საგნების თავმოყრაში, წ. კ. გამაერცელებელი საზოგადოებისა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და სამსატერო საზოგადოების საშუალებით, ქართველი ინტელიგენციის მიერ უკვე დიდი საქმეა შესრულებული ამ უკანასკნელი საუკუნის მეოთხედში. მაგრამ მეცნიერული დამუშავება, კლასიფიკაცია და განმარტება, აგრეთვე კოლექციების სისტემაში მოყვანა არა სრულდება შესაფერისი სიფართოვით; მიზეზი ამისი არის შესაფერი სამუზეუმო ბინების უქონლობა და საშუალებათა ნაკლებობა.

გეგმაშეწონილი მოწყობილი შრომის ახალ საფუძველზე დასაყენებლად, მოწოდებულია სახალხო განათლების კომისარიატის აკადემიურ ცენტრთან დაარსებული მუზეუმთა და სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვის მთავარი სამმართველო, რომლის უფლებათა და მოვალეობათა განსამარტავად შემუშავებულია დებულება (პროექტი, აქვე წარმოდგენილი)..

⁶ დაცულია საქართველოს სელოვნების მუზეუმში, ყ. 368, საქ. № 2.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუზეუმთა და სიძველეთა ძეგლების დამცველი მთავარ სამმართველოსი

I. მიზანი

სახალსი განათლების კომისარიატის აკადემიურ ცენტრთან არს-
დება საქართველოს მუზეუმთა, ხელოვნებისა და სიძველეთა ძეგლე-
ბის დაცვის მთავარი სამმართველო, რომლის მიზანია:

1. ა) დააარსოს ადგილობრივი, პროვინციისა და სარაიონო მუ-
ზეუმები.
- ბ) იზრუნოს არსებული მუზეუმების წარმატებისათვის და აქ-
ციოს ტერიტორიის ყველა მუზეუმების მოღვაწეობა მთელ
ერთეულად.
2. ა) აღმოაჩინოს და შეისწავლოს ხელოვნების ყველა სახე საქარ-
თველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მოაწყოს მეცნი-
ერულ-მხატვრული ექსპედიციები.
- ბ) შეიმუშაოს ისტორიულისა და სუროთ-მოძღვრების ძეგლთა
დაცვისა და გამაგრების ზომები.

II. მოღვაწეობა

3. ჩამოთვლილი მიზნების სისრულეში მოსაყვანად მთავარსამმარ-
თველოს უფლება აქვს:
 - ა) აღრიცხოს არსებული მუზეუმები და შეამოწმოს მათი ინვენ-
ტარი;
 - ბ) შეიმუშაოს მუზეუმის ქსელი და მათი შტატები;
 - გ) აღწესდეს კერძო კოლექციები და ნივთების კრებულები და
ამოირჩიოს შესაძენად სასურველი საგნები;
 - დ) შექმნას ეროვნული მუზეუმის ქონებრივი ფონდი, მუზეუმთა
შორის გასანაწილებლად.
 - ე) აღწესდეს სუროთმოძღვრების ძეგლები, სახელდობრ: სასახლე-
ები, სიმაგრეები, ეკლესიები, მონასტრები და სხვა, იქ შენახუ-
ლი ინვენტარიტურთ.
 - ვ) მოაწყოს პერიოდულად ანგარიშმომცემი გამოფენები.
 - ზ) მოაწყოს ყველგან მოსხენებანი და ლექციები.

III. ო რ გ ა ნ ო ე ბ ი

1. მთავარსამმართველოს კონსტრუქცია შესდგება უაღრესად გამოცდილი სპეციალისტების კოლეგიის სამი წევრისაგან — თავმჯდომარე, მოადგილე და პასუხისმგებელი მდივანი.
5. კოლეგიასთან იკრიბება საბჭო-მუხეუმთა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან.
6. სპეციალური საკითხების გასარჩევად სამმართველოს აქვს უფლება მოიწვიოს კონსულტანტები.
7. სიძველეთა ძეგლების და ხელოვნების დაცვის განყოფილებასთან არსებობს კომიტეტი, შემდგარი სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერების და მსატერული ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.
8. სუროთმოძღვრებისა და სხვა სიძველეთა აღსანუსხავად მთავარსამართველობას ჰყავს ემისარები.
9. სამმართველოს აქვს თავისი ბეჭედი.

IV. ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი

10. მთავარსამმართველოს საშუალებანი შესდგება განსაკუთრებული ფონდისაგან, რომლის ზომა ისაზღვრება კოლეგიის მიერ და მტკიცდება სახალხო განათლების კომისარიატისაგან და ნაწილდება საჭიროებისამებრ სამმართველოს მიერ განსაზღვრული მიზნების განსასორციელებლად.

ი. ჯავახიშვილი

გ. ჩუბინაშვილი

დ. შვეარდნაძე

ს. გორგაძე

პ. გრინუესკი

18. I. 22 წ."

სწორედ განათლების სახალხო კომისარიატის შესაბამის სამმართველოსთან ერთად უსდებოდა საქმიანობა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას; ზრუნვა — სიძველეთა მოწესრიგების, მათი დაცვისა და შესწავლისათვის. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწეოდა შალვა ამირანაშვილი. ჩვენს ხელთ არის ივანე

ჯავახიშვილის წერილი ქუთათელი მიტროპოლიტისადმი, რომ მან აღმოუჩინოს დასმარება გელათის ექსპედიციას:

„მის მაღალყოვლადუსამღვდელესობას ქუთათელ მიტროპოლიტს ნაზარის, წევრს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისას.

„საისტორიო საზოგადოება“ ამ დღეებში გზავნის გელათს სამეცნიერო-ექსპედიციას ორი წევრისაგან: სასელმწიფო უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვებულის შალვა ამირანაშვილისა და მხატვარ-ფოტოგრაფ თედო კიუნეხაგან. ექსპედიციას დაეალებული აქვს გელათის ფრესკებისა და სხვა მხატვრობის პირების გადმოღება.

„საზოგადოებას“ იმედი აქვს, თქვენი მეუფება ყოველგვარ დასმარებას გაუწევს ამ კეთილ წამოწყებას, სათანადო განკარგულების მოსდენით მონასტრის გამგეთა სახელზე.

საზოგადოების თავმჯდომარის მაგიერ ივ. ჯავახიშვილი⁷.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ მასზე დაკისრებული მისია — ერის საგანძურის გადარჩენისა — პირნათლად შეესრულებინა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, როცა საამისო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. განსაკუთრებით გამოჩნდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების როლი მაშინ, როცა ანტირელიგიური პროპაგანდის პირობებში (განსაკუთრებით ფართო ხასიათი რელიგიის საწინააღმდეგო მოძრაობამ 1923—1924 წწ. მიიღო) საქართველოს ზოგიერთ რაიონში სწორად ვერ გაიგეს ამ ღონისძიების არსი და მატერიალური კულტურის ძეგლების განადგურება დაიწყეს. იღუპებოდა ხელოვნების ის ძველი ნიმუშები, რომლებიც ეკლესია-მონასტრებში ინახებოდა⁸.

არაერთი შემაშფოთებელი ცნობა მიიღო საქართველოს მთავრობამ როგორც ცალკეული კერძო პირების, ისე ოფიციალური დაწესებულებებისაგან, სხვადასხვა ისტორიულ ძეგლთა იავარყოფის შესახებ. მთავრობა დიდი გულისყურით მოეკიდა შექმნილ მდგომარე-

7 საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდი ყ. № 816 (დაწერილია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბლანკზე 1922 წლის 11 აგვისტოს).

⁸ იხ. რ. მეტრეველი, კვალი განათლებული (ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი), თბ., 1975, გვ. 91—96.

ობას. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ საგანგებო დადგენილება მიიღო საეკლესიო განსჯეულობის გამოყენების წესის შესახებ.

ხელმძღვანელი ორგანოებისა და მოწინავე საზოგადოებრიობის მცდელობამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო. განათლების სახალხო კომისარიატმა ისტორიული ძეგლების გადასარჩენად სახწრაფოდ შეადგინა ბრიგადები და მიაღწინა სხვადასხვა რაიონში. აღნიშნულ საქმიანობაში ფართოდ ჩაებნენ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრები.

1924 წლის აპრილში ვანსაკუთრებით დიდი მუშაობა გაწიეს გურიის სოფლებში (აქ განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში იყო ისტორიული ძეგლები) აკაკი შანიძემ და შალვა ამირანაშვილმა. მათ არაერთი მატერიალური კულტურის ძეგლი (სხვადასხვა ნივთი, ხელნაწერი) გადაარჩინეს დაღუპვას და დიდი ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარეს მოსახლეობაში ისტორიულ ძეგლთა დაცვა-პატრონობის მიზნით. ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით შეგროვდა და გადაირჩა ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები. ყველა საისტორიო მნიშვნელობის ნივთი გადავიდა გლეხთა სამაზრო კომიტეტის განკარგულებაში. აკაკი შანიძეს ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება მიუქცევია იმ დაუდევრობა-უვიცობაზე, რამაც ძეგლების დაღუპვა-განადგურება გამოიწვია. მისივე ინიციატივით ოზურგეთში დაარსდა გურიის საეთნოგრაფიო მუზეუმი.

თბილისში დაბრუნების შემდეგ (მეცნიერებმა გადარჩენილი ისტორიული ნივთების დიდი ნაწილი თბილისში ჩამოიტანეს, ნაწილი ოზურგეთის მუზეუმში დატოვეს) აკაკი შანიძე და შალვა ამირანაშვილი ჩამოტანილი ნივთების აღწერას შეუდგნენ. შეამოწმეს და შეუჯერეს იმ ცნობებს, რაც გურიის სიძველეთა შესახებ მოიპოვებოდა. მათი დამსახურებაა ისიც, რომ გადარჩენილის აღწერასთან ერთად შესძლეს ყველა დაღუპული ნივთის დადგენა.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში (ყუთი № 368, საქ. № 23) დაცულია პროფესორ აკაკი შანიძისა და შალვა ამირანაშვილის მოხსენება სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტისადმი (უთარილოა), რომელშიც გადმოცემულია გურიაში ისტორიული ძეგლების დაცვაში შექმნილი ვითარება და მეცნიერთა მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიში. მოხსენებას თან ერთვის წამოღებული ნივთების სია და აღწერილობანი.

ამავე ფონდში ინახება შალვა ამირანაშვილის მოსხენება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისადმი. დათარიღებულია 1925 წ. 6 მაისით. ფაქტიურად აქაც იგივე მოგზაურობასა და საქმიანობაზეა ლაპარაკი. თანაც უფრო გამოკვეთილადაა მოცემული აკაკი შანიძის დამხასურება გურიის სიძველეთა გადარჩენაში. დამატებით მოცემულია ცნობა შ. ამირანაშვილისა და დ. გორდეკევის მოგზაურობაზე სენაკში და ჩხარიდან გადარჩენილი ნიეთების თბილისში ჩამოტანის (შ. ამირანაშვილის მიერ) შესახებ.

ფუიქრობთ, მოსხენებები საინტერესო იქნება ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის და ამიტომ ერთ მათგანს ვაქვეყნებთ კიდევ.

„სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტს
პროფ. ა. შანიძისა და შ. ამირანაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

თანახმად დავალებისა, ჩვენ გავემგზავრებით გურიაში იქაური სიძველეების გამო პირველ აპრილს 1924 წ. ვიყავით (ორნივე): ოზურგეთში, შემოქმედში, ლიხაურში, ჯუმათში, ბაილეთში (მარტო შ. ამირანაშვილი) ვანისქედში, ასკანაში, მეწიეთში, ხიდისთავში, ჩოსტაურსა და ერკეთში და ადგილობრივი ხელისუფლების თანხლებით და დახმარებით გადავარჩიეთ და შევაგროვეთ ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები, რომლებიც ჩვენი გურიაში ჩასვლისას თითქმის ყველაფერი უკვე გატანილი იყო ეკლესია-მონასტრებიდან და იმყოფებოდა ოზურგეთის სამაზრო გლეხთა კომიტეტის განკარგულებაში (ქ. ოზურგეთში), ან და ადგილობრივი რაიონების აღმასრულებელი კომიტეტის ბინაზე. გამოირკვა, რომ ბევრი უაღრესად ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი დაღუპულა ანტირელიგიური ბრძოლის პროცესში, ანდა გადაუდენიან ოზურგეთში ჩატანის შემდეგ, მათი ნივთიერი ღირებულების გამოყენების მიზნით. განსაკუთრებული მწუხარებით უნდა იქნეს აღნიშნული შემოქმედის ზოგიერთი განთქმული ხელოვნების ძეგლის დაღუპვა და აგრეთვე თითქმის სრული განადგურება ლიხაურის სიძველეებისა, რომელთაგანაც აღარაფერია გადარჩენილი, გარდა ერთი ეტრატის ხელნაწერისა.

რათა მერმისში მაინც სიძველეთა დაცვის საქმე გურიაში მოწყობილ იქნეს, ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილე-

ობით ოზურგეთში დაარსდა „გურიის საეთნოგრაფიო მუზეუმი“, რომელმაც ეთნოგრაფიული მასალების შეკრებასთან ერთად უნდა იზრუნოს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა ადგილობრივ მოვლა-პატრონობისათვის.

ამასთანავე წარმოადგენთ:

1. მუზეუმში დასაცველად ტფილისს წამოღებული ნივთების სიას.

2. სიას დადუქული ნივთებისას და

3. ჩაპარების საბუთებს.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებულნი:

ა. შანიძე

შ. ამირანაშვილი".

აკაკი შანიძისა და შალვა ამირანაშვილის დიდი ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე როგორც მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვის, ისე მისი ღრმა მეცნიერული შესწავლის საქმეში, დღესდღეობით საყოველთაოდ აღიარებულია. დოკუმენტები ერთხელ კიდევ მიგვანიშნებენ, რომ ეს ორი მეცნიერი ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის ოცინანი წლების დასაწყისიდან (აკაკი შანიძე უფრო ადრეც) მედგრად ედგნენ დარაჯად ქართულ კულტურას, ზრუნავდნენ მის მომავალზე: არ დაიშურეს თავიანთი შრომა, რომ ქართველი ერის მაღალი კულტურული მიღწევები ფარსო საერთაშორისო ასპარეზზე გაეტანათ, მთელი მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება სისტემატურად იძენდა სხვადასხვა ისტორიულ ნივთს, რომელთაც სამუზეუმო დანიშნულება ჰქონდათ. ამ საქმეში საზოგადოებას დიდ დახმარებას უწევდა მუზეუმთა და სიძველეთა დაცვის სამმართველო. სახალხო განათლების კომისარიატმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გაუხსნა კრედიტი 10 მილიონი მანეთის ოდენობით. შეიქმნა ისტორიული ნივთების შემფასებელი კომისია (ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, ი. სონღულაშვილი), რომლის დასტურისა და ნივთის ფასის განსაზღვრის შემდეგ წყდებოდა ამა თუ იმ ექსპონატის შეძენა-არშეძენის საკითხი.

არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული ამ კომისიის ოქმები (მოვიტანო მსოლოდ ორ მათგანს):

„1923 წელსა, აპრილის 19-სა დღესა ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერთ, გავსინჯეთ მოქალაქის ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ერისთავის მიერ წარმოდგენილი, მისი კუთვნილი, ქართული საქალო კაზის ნაწილები: ოქრომკვდითა და ფერადი ძაფებით ნაქარგი წითელი ატლასის გულისპირი, სახელოები და წვრილი სარტყელი, რომელთაც აპტრონი აფასებდა ას ოქროს მანეთად. ეს ნივთი მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნაწარმოები უნდა იყოს. საყურადღებო საეთნოგრაფიო ნიმუშს წარმოადგენს და სასურველია მისი შექენა ჩვენი მუზეუმისათვის. კომისია მას აფასებხ ოცდაათ მილიონ მანეთად ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით (30 000 000 მან.).

შემფასებელი კომისიის წევრები:

- ივ. ჯავახიშვილი
- ა. შანიძე
- კ. კეკელიძე
- ს. გორგაძე
- ირ. სონდულაშვილი⁹

ოქმს მიწერილი აქვს:

„თანახმა ვარ აქ დასასელებული სამი ნივთი (გულისპირი, სახელოები და სარტყელი) დავუთმო მუზეუმს ოცდაათ მილიონ მანეთად ა/კ ბონებით.

ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ერისთავი“

ოქმს აქვს რეზოლუცია: „შეძენილ იქნას. მთავარმმართველობის გამგე

ვუკ. ბერიძე“.

აი ერთი ოქმიც:

„1923 წელსა, ივნისის 2-სა ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერთ, განვიხალეთ 1807 წელს შეჭვიდილი ხატი, მოქროვილი ვერცხლისა, რომლის ვერცხლი იწონის დაახლოებით 200 მისხალს. ხატი ეკუთ-

⁹ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდი, ყ. 910, ხაქ. № 6.

ენის საალ ბარათაშვილს. უკანა მხარეზე აქვს თარიღიანი მხედრული წარწერა.

რადგან მარტო ვერცხლი დღევანდელი ფასით უდრის ოცდაათ მილიონ მანეთს ამიერკავკასიის ნიშნებით, ჩვენ ვაფასებთ ამ ხატს სამოც მილიონ მანეთად (60 000 000 მან.) ა/კ ფულის ნიშნებით.

კომისიის წევრები:

ა. კეკელიძე
დ. კარიჭაშვილი
ხ. გორგაძე
ირ. სონდულაშვილი
ა. შანიძე¹⁰.

ოქმზე მინაწერი გვაუწყებს, რომ ხატის პატრონი არ დათანხმდა ამ შეფასებას და ნიეთი უკან წაუღია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მრავალი ძვირფასი ისტორიული ნიეთი გადაარჩინა და მისივე წყალობით დღემდეც შემონახა.

• • •

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, მისი საბჭო დიდ ორგანიზაციულ მუშაობას ატარებდნენ. საზოგადოებას წევრები ყველა მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებაში იღებდნენ მონაწილეობას. საზოგადოების საბჭო მცდელობას არ აკლებდა, რომ გამოცემები განეხსლებინათ. დროდადრო იხმენდნენ საკითხს მუზეუმ-ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ, დიდ ყურადღებას უთმობდნენ საარქივო საქმის მოწესრიგებას (საზოგადოების განკარგულებაში იყო ყოფილი სადებუტატო საკრებულოს არქივი და კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის საქმეები) და ა. შ.

საზოგადოებამ ფართო მუშაობა გაშალა საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. საჭიროდ ჩაითვალა დაარსებულიყო საარქეოლოგიო სექცია. საკითხის სათანადოდ მომზადების შემდეგ 1924 წლის 2 თებერვალს (იხ. ოქმი № 187) წლიურმა კრებამ მიიღო დადგენილება საზოგადოების წესდების (5 61) შესაბამისად

¹⁰ საქართველოს სელონების მუზეუმის ფონდი, გ. 910, საქ. № 6.

დაარსებულიყო საარქეოლოგიო სექცია (აღნიშნული სექციის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით). ამ კრებაზე კვლავ დაისვა საწევრო ვადასახადების საკითხი. საზოგადოების წევრებს უფლება შეეცაოთ ეს შესატანი გადაესადათ არა მთლიანად, არამედ ნაწილ-ნაწილ მთელა წლას განმავლობაში. ამასთან, საჭიროდ ჩათვალეს გადაესინჯათ საზოგადოების წევრთა შინა და მათზე ემსჯელათ არა მხოლოდ საწევრო-ანარიცხების შეტანის მიხედვით, არამედ გაეთვალისწინებინათ თითოეულის პირადი მეცნიერული დვაწლი, თანამშრომლობა, შემომწირველობა და სსვ. როგორც ჩანს, დღის წესრიგში იდგა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხარასსობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხი. ვაიზარდან (ცხრიდან ცამეტამდე) საბჭოს წევრთა რიცხვი.

1924 წლის 2 თებერვლის წლიურ კრებას¹¹ ავადმყოფობის გამწვევრ დაესწრო ივანე ჯავახიშვილი. ამავე მიზეზით მეცნიერს უარი უთქვამს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეობაზე. კრებამ არ მიიღო ივ. ჯავახიშვილის თხოვნა და ერთსმად აირჩია იგი საზოგადოების თავმჯდომარედ, თანაც გამოჰყო საგანგებო დეპუტაცია (დ. კარიჭაშვილი, ი. ლორთქიფანიძე, ი. ელიაშვილი), რომელსაც უნდა ეცნობებინა მეცნიერისთვის საზოგადოების წლიური კრების გადაწყვეტილება და ეთხოვა, სანამ შესძლებდა, გასძღოლოდა საზოგადოებას. თავმჯდომარის ამსანაგად არჩეული იქნა დავით კარიჭაშვილი, მდივნად — მუზეუმის გამგე (მცველი) სერგო გორგაძე, მოლარედ (საზინადარად) — იროდიონ სონდულაშვილი; წევრებად — კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, სარგის კაკაბაძე, შალვა ამირანაშვილი, სიმონ ჯანაშია, სიმონ ყაუხჩიშვილი, იოსებ ჭეიშვილი, გიორგი ბოჭორიძე; წევრობას კანდიდატებად: გიგო ნათაძე, თედო სასოკია, გიორგი ჯაკობია;

¹¹ კრება: დანიშნული იყო 26 იანვარს, მაგრამ საზოგადოების წევრთა სათანადო რაოდენობის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. 2 თებერვალს (კრება შედგა ცენტრალური არქივის დარბაზში ყოფილი ოლღას ქ. № 2), დაესწრნენ: ა. შანიძე, დ. გორგაძე, ი. ჭეიშვილი, მ. ლობჯანიძე, შ. ამირანაშვილი, ირ. სონდულაშვილი, ე. თოფურია, თ. სასოკია, ხ. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, დ. კარიჭაშვილი, ს. გორგაძე, გ. ასვლედიანი, გ. ჩუბინაშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ი. აბულაძე, თ. ლომოური, ხ. ყაუხჩიშვილი, ხ. ჯანაშია, ი. ელიაშვილი, ი. ლორთქიფანიძე, ე. ბურჯანაძე (თანმიმდევრობა ასოგეაქვის კრებაზე წევრთა მიერ ხელმოწერათა რიცვის შესაბამისად).

სარევიზიო კომისიის წევრებად—იასონ ლორთქიფანიძე, კონსტანტინე მაყაშვილი, მიხეილ ლობჯანიძე. იმავე კრებაზე არჩეულ იქნა საარქეოლოგიო სექციაც (ს. კაკაბაძე, გ. ჩუბინაშვილი, ა. შანიძე, შ. ამირანაშვილი, ს. ჯანაშია, ვ. თოფურია, თ. სასოკია, ი. ჭეიშვილი, გ. ბოჭორიძე).

1925 წლის 27 ივნისს არაჩვეულებრივ (საგანგებო) საზოგადო კრებაზე (იხ. ოქმი № 219) საზოგადოების მდივანმა ს. გორგაძემ ითხოვა ვათავისუფლება. კრებამ სთხოვა ს. გორგაძეს დარჩენილიყო თანამდებობაზე, მაგრამ ამ უკანასკნელმა კატეგორიულად მოითხოვა მდივნობიდან განთავისუფლება. მაშინ კრებამ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. ამასთან, აღნიშნა ს. გორგაძის ფასდაუდებელი დედაწლი საზოგადოების წინაშე, რომელსაც ის ემსახურებოდა დღიდან მისი დაარსებისა, და გამოთქვა თავისი სინანული ს. გორგაძის უარის გამო. კრებამ დაადგინა: „უღრმესი მადლობა გამოეცხადოს სერგი გორგაძეს მისი დაუღალავი მუშაობისა და ფასდაუდებელი დედაწლის გამო „საზოგადოების“ წინაშე“ (იხ. ოქმი № 219).

კრებამ საზოგადოების მდივანად ერთხმად აირჩია სიმონ ჯანაშია.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების არსებობის ოცი წლისთავს მიემდგნა მორიგი კრება 1927 წლის 3 ოქტომბერს. კრება შედგა საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში. თავმჯდომარეობდა ივანე ჯავახიშვილი, მდივანობდა ს. ჯანაშია. დავესწრნენ ნამდვილი წევრები: მ. ლობჯანიძე, არნ. ჩიქობავა, ირ. სონღულაშვილი, ს. ყაუხჩიაშვილი, გ. ნაორაძე, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, თ. ლომოური, მ. სუბუა, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯიქია, გ. წერეთელი, დ. ხოშტარია, ალ. ბარამიძე, ს. მაკალათია, ვ. ბარდაველიძე, გ. ჩაბია, შ. ამირანაშვილი, ათ. ჯვარშიაშვილი, ქრ. შარაშიძე, ალ. წერეთელი, ი. ცინცაძე, გ. ჯავახიშვილი, ვ. თოფურია, გ. ბოჭორიძე და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები.

საზოგადოებას ოცი წლის მოღვაწეობის შესახებ მოსხენება გააკეთა ს. გორგაძემ. მან მოუთხრო დამსწრეთ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების ინიციატორთა ვინაობისა და პირველი ნაბიჯების შესახებ, გადმოსცა საზოგადოების ისტორია, მუზეუმ-წიგნოსაცავის ორგანიზაციისა და განვითარების შესახებ, მიმოიხილა საზოგადოების დედაწლი მეცნიერული კვლევისა და გამოცემლობის სფეროში; ყურადღება გაამახვილა ქონებრივ საშუალებებზე, მათ თავდაპირველ ზრდასა და შემდგომ ბედზე. კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ივ. ჯავახიშვილმა. მან ხაზგასმით აღნიშნა

იმ პირველი სამეცნიერო საზოგადოების დამაარსებელთა და ძველი მუშაკების დეაწლი, რომელთაც შეაგროვეს უძვირფასესი განხულობა და ამით გადაარჩინეს ის სამუდამო დაღუპვას. ივ. ჯავახიშვილმა ილაპარაკა საზოგადოების პერსპექტივებზე და მიუთითა, რომ მომავალში უთუოდ საჭირო იყო საზოგადოების საქმიანობაში არსებული ნაკლის (ეთნოგრაფიული კვლევის თითქმის არარსებობა) გამოსწორება. მასალის შეკრებასთან ერთად, მეცნიერის აზრით, საქართველოს ეთნოგრაფიულ კვლევას უნდა მიქცეოდა განსაკუთრებული ყურადღება და ამ საქმიანობის ცენტრად უნდა ქცეულიყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. მიუხედავად სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების არსებობისა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, მაინც აუცილებელი იყო ეთნოგრაფიულ კვლევაში რაც შეიძლება მეტი ხალხის (განსაკუთრებით მასწავლებლობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის) ჩაბმა. ეს შესაძლებელი იქნებოდა მხარეთმცოდნეობის საზოგადოებებთან კავშირის დამყარებით. ივ. ჯავახიშვილმა საზოგადოებას მიზნად დაუსახა გაეფართოებინა ნიეთიერი კულტურის ნაშთების შესწავლა, აუცილებლად მიიჩნია კვლევის არის გაფართოება. იგი თვლიდა, რომ ქართველ მეცნიერთა კვლევის თვალსაწიერში საქართველოს გარდა, მთელი კავკასია და მახლობელი აღმოსავლეთიც უნდა შესულიყო.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ოცი წელი მიულოცეს მომე საზოგადოებებმა. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სახელით გამოვიდა მისი თავმჯდომარე პროფესორი ალექსანდრე ჯავახიშვილი. მან მისალმებასთან ერთად მოიგონა (იგი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების რწმუნებული იყო მოსკოვში) ეპიზოდები საზოგადოების წარსულიდან (იგი საზოგადოების დავალებით დასწრებია მოსკოვში მუზეუმის მუშაკთა ყრილობას; ასევე საზოგადოების დავალებით მონაწილეობა მიუღია რუსეთის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა ყრილობის მუშაობაში 1913 წელს თბილისში). ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებას საბჭოს სახელით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მიესალმა არნოლდ ჩიქობავა.

საგულაუხსმოა, რომ იმავე კრებაზე მოხმენილ იქნა აკაკი შანიძის მოხსენება „შუსართისეული ხანმეტი ხელნაწერების შესახებ“.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობდა, სათანადო ინსტრუქციებსა და მითითებებს

უგზავნიდა ცალკეულ რაიონებში არსებულ საზოგადოების განყოფილებებს. ბევრგან რაიონის ხელმძღვანელთა დაინტერესებისა და ადგილობრივი ინტელიგენციის აქტივობის წყალობით საინტერესო მუშაობაც გაიშალა. სხვადასხვა კუთხეში დიდ მუშაობას ეწეოდა საარქეოლოგიო სექცია.

ბ) საარქეოლოგიო საქმის

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1924 წლის 2 თებერვლის წლიური კრების (ოქმი № 187) გადაწყვეტილების შესაბამისად, იმავე წლის 20 თებერვალს შეიკრიბნენ სექციის უკვე არსებული წევრები (შ. ამირანაშვილი, ვ. თოფურია, თ. სახოკია, შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, ი. ჭეიშვილი, ს. ჯანაშია) და დაიწყეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. კერძოდ, თავმჯდომარის წინადადებით კოოპტაციის წესით¹² სექციის საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ლეონ მელიქსეთბეგი¹³.

სექციამ სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში აირჩია თავისი რწმუნებულები: ქუთაისში — ტრ. ჯაფარიძე, ზუგდიდში — აკ. ჭანტურია, თელავში — ზ. ჩხაკვაძე, გურჯაანში — დ. კარბელაშვილი (შემდეგ იგი შეცვალა რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მირიანაშვილმა), ცაგერში — დ. ჩარკვიანი და ა. ლოლაძე, კიცხში — ს. აბულაძე, ოზურგეთში — მ. სიმეულიძე, გორში — ა. მარუტოვა, საჯავახოში — ბ. შანიძე, ახალციხეში — ი. ღვინიაშვილი.

საარქეოლოგიო სექციის პირველივე სხდომაზე დაისვა საკითხი ზემო აეჭალის ჰიდროელექტროსადგურისათვის არსის გაყვანისას აღმოჩენილი უძველესი საფლავის შესწავლის შესახებ (ზაქესის ადმინისტრაცია არ იყო წინააღმდეგი საპეციალური გათხრისა, მუშების

¹² საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებამ საარქეოლოგიო სექციას ინსტრუქციის განსაღვინის, ს. კაკაბაძის წინადადებით, 5-ში შეიტანა დამატება: „სექციას უფლება აქვს კოოპტაციის წესით მიიღოს ახალი წევრები საზოგადოებას წევრთაგან, თვითიურ შემთხვევაში საბჭოს თანხმობით“ (ოქმი № 187).

¹³ ეს საკითხი, კრებაზეც იდგა სექციის არჩევისას, მაგრამ მაშინ თვით ლ. მელიქსეთბეგის თხოვნით (მოუცვლელობას ვაში) არ ვატარდა. ამჯერად კი ს. კაკაბაძე დაჟინებით ითხოვდა და სექციამ მიიღო დადგენილება ეთხოვა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოსათვის განსაკუთრებული მიმართებით მოეწვიათ ლ. მელიქსეთბეგი (საარქეოლოგიო სექციის სხდომის ოქმი № 1).

მიცემასაც კი კპირდებოდა). ასალი გათსრების ჩატარება მიენდო
კ. ჩუბინაშვილს (ხელმძღვანელი), გ. ბოჭორიძესა და შ. ამირანა-
შვილს.

სექციას გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული აფხა-
ზეთისა და აჭარის ინტელიგენციასთან. პირველი რიგის ამოცანად
დაიხაზეს ზედამხედველობის გარეშე დატოვებული აღუნუსხავი სი-
ძველენი მოეყვანათ წესრიგში. ს. ჯანაშიას ცნობით, უპატრონოდ
იყო მიტოვებული ქართლის სიძველეები (სამთავისი, ქვემოჭალა და
სსვ.). სექციამ ქართლში მოაფლინა გ. ბოჭორიძე, რომელმაც დიდი
მუშაობა გასწავა სხვადასხვა ნიეთის თბილისში ჩამოტანისათვის.
სექციისთვის ცნობილი გახდა, რომ ბოდბის მონასტერში წვიმა ჩა-
დიოდა და ზიანდებოდა ფრესკები, ასევე შეკეთება ესაჭიროებოდა
უბისას მონასტერს; გადასახურავი იყო ჭულის მონასტერი (წვიმი-
საგან ზიანდებოდა ის კედელი, რომელზეც ათაბაგთა ფრესკები იყო
გამოსახული). სექციამ მთავრობას სთხოვა სათანადო რაოდენობის
თანხის გამოყოფა ბოდბისა და უბისის ეკლესიების შესაკეთებლად;
ახალციხის სამაზრო და ადგილობრივ აღმასკომებს სთხოვა ჭულის
მონასტრის მოვლა-პატრონობა. ზარზმის მონასტრის დარაჯს (იმხა-
ნად თავისი ნებით უსასყიდლოდ ასრულებდა ამ მოვალეობას ვინმე
თურმანიძე) სექციამ ხელფასი დაუნიშნა (თვეში 2 მანეთი); ახალ-
ციხის აღმასკომს ეთხოვა (გ. ჩუბინაშვილის წინადადებით) ზომების
მიღება საფარის (იქ მაშინ ბერები ცხოვრობდნენ) სიძველეთა დასა-
ცავად.

ერთი სიტყვით, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
არქეოლოგიური სექციის ყურადღების არეში აღმოჩნდა ჩვენში არ-
სებულნი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი.

ბევრი ისტორიული ძეგლი (წალენჯიხა, სორი და სსვ.), ადგი-
ლობრივმა ორგანოებმა რომ გადაკეთება-დანგრევა გადაუწყვიტეს,
საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა დიდმა მცდე-
ლობამ გადაარჩინა. მთელ საქართველოს მოეფინენ საზოგადოების
საარქეოლოგიო სექციის კომისიები. სამხრეთ ოსეთი, შორაპნის
მაზრა, ოკრიბა, ქართლი, კასეთი... ყველა კუთხის ძეგლებს მოვლა-
პატრონობა სჭირდებოდა. გ. ახვლედიანი, გ. ბოჭორიძე, ს. იორდა-
ნიშვილი, დ. გორდევი, ა. შანიძე, შ. ამირანაშვილი (ამ ორი უკა-
ნასკნელის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი) და კიდევ საზო-
გადოების სხვა წევრები დიდ სასარგებლო მუშაობას აწარმოებდნენ.
დაიხვა ქართლის სიძველეთა დასაცავად ქ. გორში მუზეუმის შექ-

მნის საკითხი. დიდი მნიშვნელობა აქონდა გ. ჩუბინაშვილის მოგზაურობას ოჩამჩირესა და ილორში (ილორის ტაძარი 1924 წ. თებერვალში ყაჩაღებს გაუძარცვათ). მეცნიერმა აღნუსხა, მოაწესრიგა და შეისწავლა საეკლესიო სიძველეები.

სიძველეთა დაცვას ადგილებზე შექმნილი საარქეოლოგიო განყოფილებებიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ. სამაგალითოდ მოვიტანთ გურჯაანის საარქეოლოგიო საზოგადოების (ასე უწოდებდნენ მას) საქმიანობას. ეს ერთ-ერთი პირველი რაიონული ცენტრი იყო, სადაც საარქეოლოგიო საზოგადოება შეიქმნა. თავმჯდომარედ დ. კარბელაშვილი აირჩიეს, მდივნად — ს. ნატროშვილი. ამ საზოგადოების წევრს თვეში აბაზი (20 კაპ.) უნდა გადაესადა. თანხა ადგილობრივ კოოპერატივში უნდა შეეტანათ. იმთავითვე დაიწყეს ზრუნვა წევრების მოსაზიდად. 1924 წლის 25 თებერვლის სხდომის ოქმის მიხედვით, გურჯაანის „საარქეოლოგიო საზოგადოებაში“ უკვე ირიცხებოდა 21 წევრი (ს. ნატროშვილი, დ. კარბელაშვილი, გ. ჩხეიძე, გ. რცხილაძე, აღ. ჯავშანაშვილი, გ. ნათაძე, ვ. ჭყონია, კ. ჯანიაშვილი, დ. ზარდიაშვილი, დ. ოდიშელიძე, ვ. თელია, გ. შალუქაშვილი, გ. ციბოლაშვილი, ს. დარჩიაშვილი, გ. მაჭავარიანი, მ. ფურცელაძე, ნ. კარბელაშვილი, ვ. ჯოხაძე, ელ. პეტრუსაშვილი, ა. ანდრონიკაშვილი, ა. ზარდიაშვილი). საზოგადოების საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა და ყოველმხრივ მხარს უჭერდა გურჯაანის რაიონმასკომის თავმჯდომარე ალექსი მირიანაშვილი. ეს მხედველობიდან არ გამოპარვია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების არქეოლოგიურ სექციას და 1924 წლის 4 მარტს საგანგებო მაღლობის ბარათი გაუგზავნეს ა. მირიანაშვილს, თანაც სთხოვეს მასვე ეკისრა რაიონში არქეოლოგიური სექციის რწმუნებულობა¹⁴. ა. მირიანაშვილმა მიიღო ეს წინადადება. საზოგადოების წევრებმა მისი თავკაცობით მრავალი საინტერესო საქმე მოაგეარეს, ძირითადად კი მიხედეს ისტორიული სიძველეების დაცვასა და შესწავლას.

თავის მხრივ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საარქეოლოგიო სექციას მჭიდრო კონტაქტი აქონდა მასრების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სამაზრო განათლების განყოფილებებთან (ესენი ფაქტიურად ხელმძღვანელობდნენ რაიონში სიძველეთა დაცვასა და შესაბამისი საარქეოლოგიო სექციების მუ-

¹⁴ საქართველოს სელოვნების მუზეუმის ფონდი. ყ. 368, სექ. № 11.

მაიას. 1924 წლის 26 მარტს საარქეოლოგიო სექციამ საგანგებო წერილთ მიმართა საქართველოს ყველა სამაზრო აღმასკომის განათლების განყოფილებებს¹⁵.

„ამ დღეებში საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საარქეოლოგიო საბჭოს წევრები ფინანსთა სახალხო კომისარიატის ოქრო-ვერცხლეულობის მალაზიაში ტფილისში წააწყდნენ ... სადნობად ვამზადებულ ძველ საეკლესიო შემკულობის ნატეხებს (ხატების და სხვ.), ამ ნატეხებს შორის აღმოჩნდა რამდენიმე ისტორიული და ხელოვნების თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი საგნები, მათ შორის მე-12 საუკ. საუცხოვო ხელობის ხატის მოჭედილობის ერთი ნატეხი, რომელიც გურიიდან ყოფილა ჩამოტანილი. საარქეოლოგიო სექციამ ეს ნატეხი, ისე როგორც სხვა ისტორიულ ღირებულობის ნივთები, დაუყოვნებლივ გადაიტანა მუზეუმში. საარქეოლოგიო სექცია დიდის მწუსხარებით აღნიშნავს, რომ როგორც ზემოთ ნახსენებ ხატის ერთი ნატეხიდან სჩანს, იმ ხატის მოსპობით მსოფლიო მეცნიერებამ და ქართველმა ხალხმა დაკარგა ერთი ძვირფასი საუნჯეთაგანი, რომელიც დაამშვენებდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის მუზეუმებს, არამედ ვროპის მუზეუმებსაც.

როგორც თქვენც მოგეხსენებათ, უკანასკნელ წლებში ჩვენმა მეცნიერებამ ამ მხრივ კბოვა აუნაზღაურებელი ზარალი. მრავალი ძეგლები ძველი ქართული მდიდარი ხელოვნებისა განსაკუთრებით საეკლესიო დარგის დაიღუბნენ., ისინი მოსპობილ იქნენ, ანდა დამტვრეულ და განადგურებულ, ნაცვლად იმისა, რომ ეს ფასდაუდებელი, ზოგ შემთხვევაში მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლები, გადატანილი ყოფილიყო მუზეუმში და იქ დაცული ჩვენი მშრომელი ხალხის სასახელოდ. შეუგნებლობა და ჩვენი უკულტურობა, რომ არის მიზეზი პირველხარისხოვანი ძეგლებისადმი ასეთი მოპყრობისა, ვერ ამხუბუქებს ... ძეგლების მოსპობით ჩადენილ დანაშაულს.

საარქეოლოგიო სექცია, სანამდის ჩვენში ჯეროვნად მოეწყობოდეს ფართო მასშტაბით სიძველეთა დაცვის საქმე, რის შესახებ საკითხი დასმულია სახალხო კომისარია საბჭოში, გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები და გასცეთ მაზრაში თქვენს ხელქვეით მყოფი ორგანოების მიმართ სასტიკი განკარგულება, რათა ისტორიული

¹⁵ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წერილი ყველა მაზრის აღმასკომისა და სამაზრო განყოფილებათა გამგეებისადმი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდი, ყ. 368, საქ. № 1.

ღირებულების ძეგლები და ნივთები სელუსებლად და ფაქიზად დაცულ იქმნენ და ამით გაამაგროთ საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობა იმ ფრონტზედაც და აგეაცდინოთ წარუხოცველ სირცხვილს მეცნიერებისა და ცივილიზაციის წინაშე. სექცია მუშაობს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სიძველეთა დაცვის კომიტეტთან შეთანხმებით. კომიტეტში, როგორც თქვენც მოგეხსენებათ შედიან სახალხო კომისარები: ამხ. ა. გეგეჭკორი, ამხ. დ. კანდელაკი და ამხ. ი. ვარძიელი.

გთხოვთ მიიღოთ სასტიკი ზომები, რათა ეკლესიებიდან გამოტანილი, თუ სხვა გზით აღმასკომების განკარგულებაში მყოფი ისტორიული ხასიათის ნივთები დაკარგვისაგან უზრუნველყოფილი იქნას და აგრეთვე გამოყოფა ისტორიული ხასიათის ნივთებისა და მათი გადარჩევა უბრალო მატერიალურ ღირებულობის ნივთებისაგან ადგილობრივი გადაწყვეტილებით არ ხდებოდეს, არამედ ამისთვის ყოველ კერძო შემთხვევაში მოითხოვოთ ჩვენგან სპეციალისტის ან სპეციალისტთა კომისიის გამოგზავნა.

ვინაიდან საქართველოს, როგორც მდიდარი ძველი კულტურის მქონე ქვეყნის, ისტორიული ნივთები (საეკლესიო მონასტრების ძველი ნივთები და სხვ.), აგრეთვე დიდი ნაწილი ისტორიული შენობებისა (ძველი ეკლესია-მონასტრები, ციხე-კოშკები და სხვ.) კარგადაა ცნობილი სპეციალურ ლიტერატურაში (ევროპულ ენებზე და რუსულადაც), ამიტომ არც ერთი დაკარგული ისტორიული ნივთი არ დარჩება მეცნიერების შეუმჩნეველი.

სექცია ამასთანავე გაცნობებთ, რომ ისტორიულ ნივთების დაკარგვისთვის, ან ისტორიულ შენობის დანგრევისათვის, ისე ყოველს კერძო შემთხვევაში აღძრავს მთავრობისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობას დამნაშავე პირთა სახალხო სამართალში მიცემის შესახებ.

შედეგი მიღებულ ზომებისა გეაცნობეთ, რითაც დიდად დაგვაფალებთ.

საარქეოლოგიო სექციის
თ ა ვ მ ჯ ლ ო მ ა რ ე ს. კაკაბაძე
სექციის მ დ ი ვ ა ნ ი ი. ჭეიშვილი.

ერთი სიტყვით, საარქეოლოგიო სექციის მუშაობა ფრიად მნიშვნელოვანი და სახარგებლო იყო. სამწუხაროდ გარკვეული დროის შემდეგ უთანხმოება შეიქმნა საარქეოლოგიო სექციასა და საზოგად-

დოების საბჭოს შორის. უთანხმოების აღსაკვეთად 1925 წლის 20 ივნისს დავით კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით შედგა საგანგებო კრება. სიტყვით გამოვიდა ირ. ტატიშვილი. კრებაზე გაიმართა ცხარე კამათი, რომლის შემდეგაც, გ. ჯაკობიას წინადადებით (კენჭისყრის შემდეგ კი ხმის უმრავლესობით), ს. კაკაბაძე გათავისუფლებულ იქნა საარქეოლოგიო სექციის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

არნოლდ ჩიქობავამ შეიტანა წინადადება, რომ იმავე კრებაზე არჩეულიყო საარქეოლოგიო სექციის ახალი თავმჯდომარე და დაასახელა გიორგი ჩუბინაშვილის კანდიდატურა. კენჭისყრის შემდეგ ხმის უმრავლესობით გ. ჩუბინაშვილი არჩეულ იქნა საარქეოლოგიო სექციის თავმჯდომარედ.

საარქეოლოგიო სექციამ თავისი აქტიურობითა და მის წინაშე დასმული საკითხების გადაჭრით უაღრესად დიდი როლი შეასრულა ამდროინდელი (XX ს. 20-იანი წწ.) საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში:

საგაგოცემლო საქმიანობა

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებისთანავე დაიწყო გამოცემათა თადარიგი. დაარსდა ორი სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. პირველ მათგანში იბეჭდებოდა რეფერატები, გამოკვლევები, სხვადასხვა საისტორიო, სალიტერატურო, საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო მასალა; მეორეში — სიგელ-გუჯრები, ისტორიული წერილები და სხვა ძეგლები.

„ძველი საქართველო“. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ 1907 წლის 25 ოქტომბერს მიიღო დადგენილება „ძველი საქართველოს“ გამოცემის შესახებ. 1907 წლის მწიგნობარს ეს საკითსი საზოგადო კრებამაც (არაჩვეულებრივმა) განასილა. თავმჯდომარეობდა ე. თაყაიშვილი. ესწრებოდნენ: პ. თუმანიშვილი, გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძე, დ.ე. კარიჭაშვილი, პ. კარბელაშვილი, ალ. მდივანი. იუსტ. აბულაძე. ალ. სარაჯიშვილი, ი. ფერაძე. გრ. დიასამიძე, ივ. აფხაზი. გ. იმნაიშვილი და ს. გორგაძე. კრებამ დაწვრილებით განიხილა კრებულის მიზანი, სტრუქტურა-შედგენილობა და დაამტკიცა იგი. 1909 წელს თბილისში გამოიცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულს „ძველი საქართველო“ პირველი ტომი, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. წინასიტყვაობაში ე. თაყაიშვილი მკითხველს აუწყებს კრებულის გამოცემის მიზანსა და ამოცანებს, აცნობს შინაარსს; მიუთითებს, რომ „ძველი საქართველო“ გამოვა დროგამოშვებით. ამასთან, კრებულში მოთავსებული მასალა (რეფერატები,

სამეცნიერო გამოკვლევები, საქართველოს ეთნოგრაფიისა და ისტორიის სხვა მასალები) წინასწარ ყოფილა განსილული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს სხდომებზე.

ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს საზოგადოებისათვის ხალხის ფართო მასების (და არა მხოლოდ სპეციალისტების) მსარის დაჭერას საჭაროების აუცილებლობას. მეცნიერი სასიამოვნოდ მიიჩნევს, რომ საზოგადოებას მოსდის სხვადასხვა სახის შემოწირულებანი: ხაარქეოლოგიო ნივთები, ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები, ფული. „ყოველ შევნებულ ქართველს,—წერს ე. თაყაიშვილი,—შეუძლია დიდა დახმარება ამოუჩინოს ჩვენს საზოგადოებას. ვის არ შეუძლია, მაგალითად, შეკრიბოს და მოგვაწოდოს ძველი სელნაწერები, სიგელ-გუჯრები, ძველი იარაღები, ძველი სამკაულები, ძველი ჭურჭლები, ძველი ტანისამოსები, ძველი ნაქსოვები, ძველი ფულები და სხვა მრავალი არქეოლოგიური ნივთები“. საისტორიო—საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ამოცანად დაუსახა ცალკეულ სპეციალისტებსა და ფართო საზოგადოებრიობას შეეკრიბათ და მოეწოდებინათ ცნობები ძველ ეკლესიებზე, მონასტრებზე, ციხეებზე, კოშკებზე, დარბაზებსა და სხვა ძველ ნაშთებზე; მოუწოდებდა ყველას ჩაეწერათ ხალხური ზღაპრები, სიმღერები, გადმოცემები, არაკები, თქმულებები, შელოცვები, გამოცანები; აეწერათ სხვადასხვა კუთხის ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი: ქორწილი, ტირილი, დღეობა, ხატობა, სხვადასხვა გართობა, მგლოვიარობა, მიცვალებულის პატივისცემა-სამსასური და სხვ., შეეკრიბათ სიტყვები, რომელიც დამახასიათებელი იყო ამა თუ იმ კუთხისთვის და ლექსიკონებში არ მოიპოვებოდა; ექვთიმე თაყაიშვილი კონკრეტულად მიმართავდა განათლებულ სამეგრელოს მკვიდრს შეედგინა ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული ლექსიკონი; განათლებულ სვანს—ქართულ-სვანური და სვანურ-ქართული ლექსიკონი. ერთი სიტყვით, კრებულის წინასიტყვაობა ნათლად გვიჩვენებს იმ დიდ პრობლემებს, რასაც ხელი მოჰქიდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ¹.

„ძველი საქართველოს“ პირველი ტომი ხუთი განყოფილებიდან შედგება. პირველ განყოფილებაში მოთავსებულია გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მეცნიერთა ალექსანდრე ოქროპირიძის, ნიკოლოზ ხიზანაშვილისა და ალექსანდრე ჭყონიას ნეკროლოგები.

¹ ძველი საქართველო, ტ. I, თბ., 1909, გვ. 144-V.

ალექსანდრე ოქროპირიძე (1824—1907 წწ.) ყაზანის სასული-
ერო აკადემიის კურსის დამთავრების შემდეგ საქართველოში დაბ-
რუნდა და მსახურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ქართლ-
ში, იმერეთში, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში — ჯერ მასწავ-
ლებლად, შემდეგ იღუმენად, არქიმანდრიტად და ბოლოს მღვდელ-
მთავრად. ა. ოქროპირიძემ საკუთარი ქონების დიდი ნაწილი მოახმა-
რა ეკლესია-მონასტრების (შიო-მღვიმის, ზედაზნის, ჯერის, დავით
გარეჯის და სხვ.) განახლებას, საკუთარი ფულით დაასტამბინა
ჩვენი სიტყვიერების ძვირფასი საუნჯე სულხან-საბა ორბელიანის
„ქართული ლექსიკონი“, ანტონ პირველის „მზამეტყველება“, ამბრო-
სი ნეკრესელის „სიტყვანი და მოძღვრებანი“, შიო-მღვიმის მონას-
ტრის ისტორიული საბუთები (სიგელ-გუჯრები) და სხვ. ძველი
ხელნაწერების გამოცემის მიზნით მან შესწირა საეკლესიო მუზეუმს
2200 მანეთი. ამ თანხით გამოიცა 1074 წლის ათონის ხელნაწერის
ტიქსტი „ცხოვრება იოანესი და ეფთუმესი“².

ნიკოლოზ სიზანაშვილი-ურბნელი (1851—1906 წწ.) გამოჩენილი
საზოგადო მოღვაწე და საქართველოს ისტორიის ნიჭიერი მკვლევა-
რა იყო. ოდესის უნივერსიტეტის დამთავრების (1876 წ.) შემდეგ
მოღვაწეობდა ზანგეზურის მაზრაში, ცხინვალში, სურამში, ბოლოს
თბილისში. თანამშრომლობა „დროებაში“ დაიწყო (1879 წ.); შეკრიბა
ფშავერი და ხევსურული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები
(უპირატესად ლექსები) და „ივერიაში“ დაბეჭდა (1887 წ.). საყუ-
რადღებოა ნ. სიზანაშვილი-ურბნელის ისტორიული და იურიდიული
კამოკვლევები: „ათაბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი“,
„გიორგი ბრწყინვალე“ (ორთავე ჯერ „ივერიაში“ დაიბეჭდა, შემდეგ,
ცალკე წიგნაკებად გამოიცა), „დავით აღმაშენებელი და მისი დრო“
(დაიბეჭდა „მოამბეში“ 1894 წ.) და „ჩვენი საეკლესიო ისტორიიდან—
სამართალი კათალიკოსისა“ („მოამბე“, 1898 წ.)³.

ალექსანდრე ჭყონია (1855—1907 წწ.) გამოჩენილი საზოგადო
მოღვაწე და მეცნიერი იყო. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით (1875 წ.). არ
ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ქართული საქმე ალექ-
სანდრე ჭყონიას მსურველ მონაწილეობისა და წვლილის გარეშე.
იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-

² „ძველი საქართველო“, I, გვ. 5.

³ იქვე, გვ. 10.

ვადლებას გამგეობის წევრი, რამდენიმე წელს ამ საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგად მუშაობდა. დიდი გულშემატკივარი და დამხმარე იყო ბანკის, იურიდიული საზოგადოების, სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებისა. ალ. ჭყონიამ თარგმნა არქანჯელო ლამბერტის „საქართველოს აღწერა“ (იბეჭდებოდა „მოამბეში“, შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა), პიეტრო დე ლა ვალეს მოხსენება საქართველოს შესახებ 1627 წ. და სხვ. 1894-დან 1905 წლამდე რედაქტორობდა უურნალ „მოამბეს“ (1893 წ. ალ. ჯაბაძარის, ექვთ. თაყაიშვილასა და ი. ბაქრაძის თაოსნობით ქართველ გამომცემელ საზოგადოებასთან დაარსდა წრე, რომელმაც გამოსცა ყოველთვიური უურნალი „მოამბე“ ნ. დოდობერიძის რედაქტორობით). უურნალთან ერთად რედაქტორობდა გაზეთ „ცნობის ფურცელს“ (1903 წლამდე)⁴.

მეორე განყოფილებაში დაბეჭდილია ამბროსი ხელაიას მიერ მიკვლეული და შესწავლილი „ქართლის მოქცევის“ ჭელიშური ვარიანტი (ცალკე მოხსენებად წაკითხული იქნა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საზოგადო კრებაზე 1907 წლის 28 დეკემბერს) კომენტართურთ. ეს ძეგლი ა. ხელაიას 1902-1903 წლებში რაჭაში მოგზაურობის დროს აღმოუჩინდა. ჭელიში ნიკორწმინდის მახლობლად მდებარეობს, მაგრამ სრულიად შეუსწავლელი ყოფილა. ნაკარწმინდას ტაძრის შემსწავლელ-აღმწერელთ მ. ბროსეს, ნ. კოპდაკოვისა და დ. ბაქრაძის, გრაფინია უვაროვას ჭელიშისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. სწორედ აქ ხელნაწერებში აღმოჩნდა „ქართლის მოქცევის“ მეტად მნიშვნელოვანი ვარიანტი. კომენტარებში ნაჩვენებია ამ ვარიანტის განსხვავება შატბერდულისაგან და მისი მნიშვნელობა.

აქვეა დაბეჭდილი დავით კარიჭაშვილის ორი ნარკვევი „დავით კუროპალატის გენეალოგია“ და „ვინ უნდა იყოს „სუმბატის ქრონიკის“ ავტორი?“ იკვლევს რა დავით კუროპალატის გენეალოგიას (მოხსენებად წაუკითხავს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საზოგადო კრებაზე 1907 წლის 20 ნოემბერს) დ. კარიჭაშვილი ჩერდება „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტებსა და სხვადასხვა მკვლევართა (ვახუშტი ბაგრატიონი, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე) მოსაზრებებზე, მეცნიერი დაასკვნის, რომ დავით კუროპალატი ყოფილა შვილი ადარნასე კუროპალატისა; მას უყოლია ძმა ბაგრატი ერისთავთერისთავა, რომელსაც დაუკავებია მამის სამფლობელო 961 წელზე ადრე.

⁴ იქვე. გვ. 12-13.

ბაგრატი გარდაცვლილა 966 წელს და მისი ადგილი დაუჭერია დავითს, რომელსაც შემდგომში მიაღია კუროპალატობა, არა უგვიანეს 978 წლისა.

მეორე ნარკვევები (მოსხენებად წაუკითხავს 1907 წლის 20 ნოემბერს) მეცნიერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „სუმბატის ქრონიკის“ ავტორს უნდა ეცხოვრა XI საუკუნეში, ჩამომავლობით უნდა ყოფილიყო ბაგრატიონი, კერძოდ შვილი დავითისა („დავით მცირისა“), რომელიც იყო ძე ადარნახე კუროპალატისა, ბაგრატი III-ის პაპის ძმისა.

სერგა გორგაძის წერილში „მეფე ადერკი და, ეგრეთ წოდებული, ორმეფობა ძველ ივერიაში“ მოცემულია დასკვნა, რომ მთელი ის პერიოდი, რომელსაც „ორმეფობას“ უწოდებდნენ ნამდვილად არაერთად ორმეფობას არ წარმოადგენდა. 30—140 წწ. შორის (ისე როგორც მანამდე და შემდეგაც) ივერიაში ერთსა და იმავე დროს მეფობდა მსოლოდ თითო მეფე (მოსხენებად საზოგადო კრებაზე წარდგენილი იყო 1907 წ. 8 ნოემბერს).

ამავე განყოფილებაში დაბეჭდილია იუსტინე აბულაძის გამოცემა „XII საუკუნის ქართული საერო მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (წაკითხულ იქნა საზოგადო კრებაზე 1908 წ. 21 თებერვალს), რომელშიც ნაჩვენებია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული მწერლობის უბადლო ნიმუშია. რუსთაველა, როგორც თავისი წრისა და ეპოქის შვილი, უნდა დაინტერესებულიყო „უცხოთა სელმწიფეთა“ ამბებით; „პარველ ზნენი და საქმენი. ქებანი მათ მეფეთანი“ შეიქმნა იმ ქარვად, რომელშიც გადმოიცა დროის მიმართულება და პოეტის ღრმა ხელის მოძრაობა: „ამბად ნათქვამი“ გარდაიქმნა „წყობილ მარგალიტად“. მეცნიერმა განიხილა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსისა და გარეგნული ფორმის საკითხი. პოემა შეადარა „ბარამიანსა“ და „ეისრამიანს“, აჩვენა ფილოსოფიურ მიმართულებათა გავლენა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზე. აქვე დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი.

მესამე განყოფილებას „საისტორიო და სალიტერატურო მასალებანი“ ეწოდება. იგი იხსნება თხზულებით „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, რომელიც კომენტარითურთ გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა. ესაა უცნობი ავტორის მიერ შედგენილი ცნობები XII—XIX სს. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შესახებ. მასალა ე. თაყაიშვილს მოუპოვებია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცა-

ვიდან (კრებული № 3677). მეცნიერმა დაადგინა, რომ შინაარსის მისედვით „უწყება“ დაწერილია 1822—1927 წლებს შორის, თანაც გამოთქვა მოსაზრება, რომ ავტორი უნდა იყოს თეიმურაზ ბატონიშვილი, გიორგი XII-ის ძე. ე. თაყაიშვილმა აქვე გამოაქვეყნა „ყანჩაეთის ტყავის სახარება და მისი მინაწერები“. ამ სახარების შესახებ ცნობები მოცემული აქვს თ. ჟორდანიას (ის. ქრონიკები, II, გვ. 172). მას მინაწერებიდან მსოლოდ სამიოდე აღუნიშნავს (ზოგ შემთხვევაში შეცდომით). ე. თაყაიშვილმა აღწერა სახარება და დაადგინა, რომ ხელის მიხედვით იგი დაწერილია არა უადრეს XII საუკუნისა და არა უგვიანეს XIII ს. ძველად ეს სახარება ეკუთვნოდა კაბენის ეკლესიას და ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ თავისუფალი ფურცლები და არეები ხავესეა მინაწერებით (XV—XIX სს.). ეს მინაწერები ფაქტიურად კაბენის ეკლესიის გუჯართა კრებულია (აქ მოცემულია ის შეწირულებანი, რაც კაბენის ეკლესიისთვის მიუციათ).

კრებულში გამოქვეყნებულია მოსე ჯანაშვილის მიერ მომზადებული „კორიდეთის ოთხთავი და მისი ქართული წარწერები“. მეცნიერი გვამცნობს, რომ „ოთხთავი“ დაწერილია ბერძნული ასომთავრულით მაგარ ეტრატზე. წიგნის კაზმი განახლებულია XI ს.-ში. ხელნაწერის არშიებზე არის ბერძნული და ქართული მინაწერები, რომელთა მიხედვითაც ხელნაწერის ადგილსამყოფელი სოფელი კორიდეთია. მინაწერთა ავტორები არიან ტაო-კლარჯეთის ერისთავთერისთავები (შემდეგში ათაბაგები) ჭიასძენი და სხვ. ამ სახარების წარწერთა წაკითხვა სცადა მ. ბროსემ. მ. ჯანაშვილმა საფუძვლად შეისწავლა დოკუმენტი და დაასკვნა, რომ იგი გადაწერილია არა უგვიანეს VIII საუკუნისა (მეოცე წარწერაში პირველადაა ნახმარი უძველესი ქართული თარიღი „მა“ — 821).

კრებულის მეოთხე განყოფილებაში ეთნოგრაფიული მასალებია მოთავსებული, კერძოდ, სევასტი გაჩეჩილაძის მიერ ზემო იმერეთში შეკრებილი ხალხური ზღაპრები და ლექსები. მესუთე განყოფილებაში დაბეჭდილია ილია გიორგის ძე კარგარეთელის მიერ ჩაწერილი ხალხური სიმღერები ნოტებითურთ („გარადო“, „მრავალუამიერ“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „მოკლეს ილია“, „მუშური.“ და სხვ.).

მეექვსე განყოფილება დათმობილი აქვს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებათა ოქმებს (№ № 1—18), აქვეა დაბეჭდილი საზოგადოების წევრთა სია 1909 წლის 1 იანვრისათვის.

„ქველი საქართველოს“ მეორე ტომი 1913 წელს გამოვიდა. პირველი განყოფილება დათმობილი აქვს მიქელ თამარაშვილის, დავით სარაჯიშვილისა და ნიკოლოზ დოღობერიძის ნეკროლოგებს.

მიქელ თამარაშვილი (1858—1911 წწ.) ევროპული განათლების მქონე ნიჭიერი მკვლევარი იყო. მისი ფუნდამენტური გამოკვლევა „ისტორიის კათოლიკობისა საქართველოში“ 1903 წელს დაიბეჭდა. 1904 წელს დაიბეჭდა მ. თამარაშვილის „ასუსხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველ კათოლიკობას“. 1910 წელს გამოცა მეცნიერის მიერ ფრანგულად დაწერილი „საქართველოს ეკლესიის ისტორია“. მ. თამარაშვილი ტრაგიკულად დაიღუპა იტალიაში. 1979 წელს ჩამოახვეწეს თბილისში და დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

დავით სარაჯიშვილი (1848—1911 წწ.) ცნობილი ქართველი მრეწველი-კაპიტალისტი და ქველმოქმედი იყო. იგი გერმანიისა და საფრანგეთის უნივერსიტეტებში დაეუფლა ბუნებისმეტყველებას, სოფლის მეურნეობას და პოლიტიკურ ეკონომიას. კავკაზში არყის ქარხანა შეიძინა, რასაც მოჰყვა ლიქიორისა და კონიაკის წარმოება. ეს საქმიანობა პირველად რუსეთის იმპერიაში სწორედ დ. სარაჯიშვილმა შემოიღო. იგი ფართოდ უმართავდა ხელს ყველა მნიშვნელოვან საქმეს საქართველოში, შემწევობას არ აკლებდა სხვადასხვა დაწესებულებას თუ ცალკეულ პირებს. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაც დიდად მადლიერი იყო მისი. დ. სარაჯიშვილმა დატოვა ანდერძი, რომ გაყიდულიყო მისი ექვსი მამული და ამ თანხიდან ნახევარი სტიპენდიების ფონდად გადადებულყო, ნახევარი კი მუზეუმის აშენებას მოხმარებოდა.

ნიკოლოზ დოღობერიძე (1838—1911 წწ.) გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იყო. მან დიპლომატიის ბაქრაძესთან, სტეფანე მელიქიშვილსა და დავით თულაშვილთან ერთად თბილისში დააარსა ქართული სტამბა. სოფ. რგანში ამუშავებდა შავ ქვას (მარგანცეს) და გზავნიდა საზღვარგარეთ. შექმნილი ფული უანდერძა წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. მარი ბროსეს გარდაცვალების შემდეგ ნ. დოღობერიძემ გამოსთხოვა მის შვილს ლავრენტის „საქართველოს ისტორიის“ ხელნაწერი, ათარგმნა მის ძმას სიმონ დოღობერიძეს ქართულად და თავისი ხარჯით გამოსცა ორ წიგნად. მთელი გამოცემა მან შესწირა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

კრებულის მეორე განყოფილებაში რეფერატები და გამოკვლევები

ბა დაბეჭდილია. აქაა მოთავსებული ს. გორგაძის „წერილები საქართველოს ისტორიიდან“. პირველი მონაკვეთი ეძღვნება საქართველოს ძველი ისტორიას კვლევას მკვფე ადერკიდან პირიანამდე. ნარკვევის დასკვნები ასეთია:

II საუკუნეში კოლხეთის ზოგიერთი პროვინცია იბერიის მეფის სელში გადავიდა. საკუთრივ კოლხეთში რამდენიმე პატარა სამეფო იყო: ლაზების, აფსილების, აბაზგებისა და სვანების. ალბანიაში (ტირითორიულად საქართველოში შედიოდა) II საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილი იყო ქალაქები: ტელაბა, საბალა, ველდა, თიანა და თილბის. ს. გორგაძის აზრით, ამ სახელებში თავს უნდა იფარავდეს დღევანდელი ქალაქებისა და სოფლების სახელები: თელავი, ქაბალი, შილდა, თიანეთი, თბილისი.

ს. გორგაძის დაკვირვებით, უწინდელ თავისუფალ გვართა შორის II საუკუნიდან უკვე ცხადად იჩინეს თავი ე. წ. წარჩინებულმა გვარებმა („აზნაურობამ“), ქართული საზოგადოება ორ უთანასწორო კლასად გაიყო—წარჩინებულად და უჩინოდ, ანუ აზნაურად და უაზნაოდ. საერთაშორისო პოლიტიკურმა ვითარებამ ნიადაგი მოუშალა შემდგომში ახალი სარწმუნოების (ქრისტიანობის) გავრცელებას.

ს. გორგაძე ცალკე განიხილავს IV-V საუკუნეების საქართველოს ისტორიას, სვანებზე ყურადღებას უთმობს ეკლესიისა და სამეფო სელასუფლების ურთიერთობას. ამასთან, მოგვითხრობს ქართლას სამეფოს საგარეო პოლიტიკაზე.

კრებულში დაბეჭდილია თავისუფალი სვანის „მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა“ და მისივე შეკრებილი ანდაზები და გამოცანები. აქვეა ვ. კარბელაშვილის „ამილასვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები“.

„ძველი საქართველოს“ ამ ტომის მესამე განყოფილებაში მოთავსებულია სალექსიკონო და საისტორიო მასალები. აქაა ეპისკოპოს კირიონის მიერ დამუშავებული სალექსიკონო მასალა. ე. თაყაიშვილი აქვეყნებს საისტორიო ნარკვევებს: „რას შეიცავდა ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატი მეფისა, რომლითაც უსარგებლნია აერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარქთა ისტორიაში“, „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან და შენიშვნები ამ ცნობების შესახებ“. „უამ-გულანი № 381 „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და ისტორიული მინაწერები მისი კვინკლოსისა“, „უამ-გულანი № 342, „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და ის-

ტორიული მინაწერები მისი კვინკლოსისა“. აქვეა დაბეჭდილი ე. თა-
ყაიშვილის შესწავლილი „მეფის გიორგის ძის დავით ბატონიშვილის
ხელით დაწერილი ქრონოლოგიური ნუსხა“.

მეოთხე განყოფილება დათმობილი აქვს ეთნოგრაფიული ხასი-
ათის წერილებს. დაბეჭდილია ნ. ჩიმაკაძის „თავისუფალი სვანეთი“,
სადაც დაწერილებითაა მოცემული სვანეთის გეოგრაფიისა და ანთ-
როპოლოგიის საკითხები, ყოფა-ცხოვრება (სახლი, ავეჯი, ტანსაც-
მელი, ზნე-ჩვეულებანი. ზეპირსიტყვიერების ნიმუშები). დაბეჭდი-
ლია თ. მაგმაძის მიერ ჩაწერილი „ზეპირსიტყვიერების იმერეთის
მეფის სოლომონ დიდის დროიდან“ („ხრესილის თმი, რუსის თმი),
კ. მაღალაშვილის „სალხური გადმოცემა თამარ მეფის დროიდან“
(შუქურვარსკვლავის შეპყრობა, თამარ მეფის საფლავი). ამავე გან-
ყოფილებაშია გამოქვეყნებული მ. ჯანაშვილის „საინგილო“, სადაც
აღწერილია ინგილოების ყოფა-ცხოვრება (ადგილ-მდებარეობა, ზნე-
ჩვეულებანი, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები) და ისტორია. ნარკვევს
დართული აქვს ინგილოურ-ქართული ლექსიკონი. განსაკუთრებული
მნიშვნელობისაა აქვე დაბეჭდილი ეაუა-ფშაველას ეთნოგრაფიული
ნარკვევი „ფშაველი და მისი წუთისოფელი“, რომელშიაც გადმოცე-
მულია ფშაველების ცხოვრება (მეურნეობა, ნადირობა, ნიშნობა,
ქალის გატაცება, გატაცებულის დაბრუნება, ქორწილი, ავადმყო-
ფობასა და სიკვდილთან დაკავშირებული ჩვევები). ცალკე აქვს მო-
ცემული ფშავეური სიმღერები და ანდაზები.

კრებულის მეხუთე განყოფილებაში დაბეჭდილია ივანე ბუქურა-
ულის მიერ შეკრებილი თუშური ლექსები, ზ. ბილანიშვილის მიერ
1883—1887 წწ. სოფ. პატარბეულში შეკრებილი ლექსები და ანდა-
ზები; აფრასიონ ჯაფარიძის მიერ ჩაწერილი ზემორაჭული ლექსები
და სიმღერები, ვინმე მესხის ივანე გვარამაძის მიერ მესხეთში შეკ-
რებილი სალხური ლექსები. აქვეა მოთავსებული ალ. სარაჯიშვი-
ლის მიერ ჩაწერილი „ავარული სიმღერა კახეთის დარბევაზე“.
კრებული მთავრდება თუშურ ლექსებში ნახმარი სიტყვების განმარ-
ტებებით (დ. კარიჭაშვილი, ივ. ბუქურაული).

„ქველი საქართველოს“ მესამე ტომის პირველ განყოფილებაში
დაბეჭდილია ექვთიმე თაყაიშვილის „არსეოლოგიური მოგზაურო-
ბიდან სამეგრელოში“, სადაც მიმოხილულია სამეგრელოს სხვადა-
სხვა სოფლის (ტყვირი, გულეკარი, სუჯუნა, აბაშა, კადარი, ონ-
ტოფო, სობი, ცაიში, სეფიეთი, ბანძა, მარტვილი და სხვ.) ეკლესია-
მონასტრები, წარწერები, სატები, ფრესკები (სადაც არის). აღნიშ-

ნული ნარკვევი მეტად საინტერესოა მეცნიერული თვალსაზრისით და დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამ ნარკვევში მოსხენიებულია (შემდეგ მეცნიერს ცალკე დაუბეჭდია) მარტვილის მონასტერში დაცული XI საუკუნის ხელნაწერი: შესავალი ეფრემ მცირის შრომისა „თარგმანებაჲ ფხალმუნთა წიგნისაჲ“. ამავე განყოფილებაშია მოთავსებული ექვთიმე თაყაიშვილის „ხონის ეკლესია და მისი სიძველენი“ და „სოფელ საზანის ხატის წარწერა“.

კრებულის მეორე განყოფილებაში მოთავსებულია ეთნოგრაფიული მასალები: თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლსა და კახეთში შეკრებილი ხალხური ლექსები (საგმირო, სასულიერო, აფორიზმები, ეპიტაფიები, შაირები, დალოცვა და სხვ.); ია კარგარეთელისა და ვანძე მესხის მიერ ჩაწერილი ლექსები, ანდაზები, აფორიზმები, გამოცანები და სხვ.; კონსტანტინე გვარამაძის მიერ შეკრებილი ანდაზები და გამოცანები.

„ძველი საქართველოს“ მესამე განყოფილება მკითხველს აწვდის საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებათა ოქმებს, წლიურ ანგარიშებს, სარევიზიო კომისიის აქტებს, სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას, შემომწირველთა სიებს და ამასთან საზოგადოების წევრთა სრულ სიას 1913 წლის 1 იანვრისათვის.

„ძველი საქართველოს“ მეოთხე ტომი (კრებულის გამოცემა ტიტულზე დათარიღებულია 1914—1915 წწ.) მიძღვნილია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამფუძნებელი წევრას, პირველი საზინადრის, მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგის ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილის ხსოვნისადმი. კრებული იხსენება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაწერილი წინასიტყვაობით (რუსულ და ფრანგულ ენებზე), სადაც მეცნიერი მოგვითხრობს ალ. სარაჯიშვილის (1851—1914 წწ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, აღწერს იმ წვლილს, რომელიც მას მიუძღოდა გაზეთების „დროებისა“ და „ივერიას“ გამოცემაში, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ კვლევაში და სხვ. კრებულში დაბეჭდილია ალ. სარაჯიშვილის „არტანუჯის ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა“, სადაც იგი დაასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არტანუჯის ვარიანტი არის გ. თუმანიშვილის ნაწარმოები. ეს ვარიანტი არც სტილით, არც შინაარსით და მართლწერით არ მოგვაგონებს რუსთაველის ენასა და პოეზიას. სტილი ცრუკლასიკური და გაბერილია. არსებითად არტანუჯის ვარიანტმა არაფერი შესძინა პოემის შინაარსს.

აქვე დაბეჭდილია ალ. სარაჯიშვილის „ერთი გლეხკაცის ოჯახის

ზედი მეთვრამეტე საუკუნეში“ (წაკითხული იყო საზოგადოების კრებაზე 1913 წ. 3 იანვარს), სადაც აღწერილია ფარსადან ფანასკერტელ-ციციშვილის მიერ ერთაწმინდის წმინდა ესტატეს მონასტრისათვის შეწირული საბია ხახანაშვილის ოჯახის სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და მათი ისტორია 1784 წლიდან (შეწირვიდან) IX საუკუნემდე. კრებულში მოთავსებულია ერთი თავი აღ. სარაჯიშვილის შრომიდან „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები“ (ამ გამოკვლევების ძირითადი ნაწილი უფროსად „მოამბის“ 1895—1898 წლების სხვადასხვა ნაშრომში დაიბეჭდა).

„ძველი საქართველო“ საგანგებო ადგილს უთმობს ს. გორგაძის ნარკვევს „ქართული სადასიტიყვაობას“ (წაკითხული იყო საზოგადოების 1915 წლის 12 მარტის სხდომაზე), სადაც მეცნიერი ასკენის — თანამედროვე ქართულის სადასიტიყვაობის საკონსტრუქციო ძირითადი კანონი ასეთია: წინადადებაში შემასმენელი ბოლოში დაისმის, ხოლო მასზე დამოკიდებული დამატებანი, გარემოებითი სიტყვები და ქვემდებარე შემასმენლის უახლოეს ადგილს იკავებენ ლოგიკური უპირატესობის მიხედვით. რაც შეეხება წინადადების დანარჩენ ნაწილებს, ისინი ამ სიტყვების გვერდით (უფრო ხშირად წინ, იშვიათად უკან) დაისმიან, რომელთაც ვკუთვნიან და განმარტავენ („ქართული სადასიტიყვაობა“, გვ. 93—94).

კრებულში დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის „დაეთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წელს“. ეს დოკუმენტი აღმოჩნდა ეპისკოპოს კირიონის მიერ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისთვის შეწირულ ხელნაწერებში და სათანადო კომენტარით გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა.

ცალკეა დაბეჭდილი ეთნოგრაფიული მასალა. აქაა ს. გაჩეჩილაძისა და კ. კალანაძის მიერ შეკრებილი ხალხური ზღაპრები. ცალკეა დაბეჭდილი კახეთში „გაქირელი ქალის“ მიერ შეკრებილი ზღაპრები.

კრებულს დართული აქვს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1913 წლის კრებათა ოქმები, წლიური ანგარიში, სავარაუდო სარჯთაღრიცხვა და სარევიზიო კომისიის აქტი.

„ძველი საქართველოს“ პოპულარობაზე მიგვანიშნებს იოსებ გრიშაშვილის (მაშინ ახალგაზრდა მეოსნის) 1914 წლის 20 თებერვლს წერილი ე. თაყაიშვილისადმი, მის მიერ შეკრებილი „ყარა-

ჩაღული სიტყვების“ საზოგადოების კრებულში დაბეჭდვის თაობაზე 1914 წლის 3 აპრალს საზოგადოების საბჭომ დაადგინა (ოქმი № 92), რომ მასალა დაბეჭდილიყო და ი. კრიშაშვილისთვის გაეგზავნათ თათი ცალი საზოგადოების გამოცემებისა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული დოკუმენტური მასალის (სიგელ-გუჯრების) გამოცემას, რომელიც განსორციელდა კრებულების „საქართველოს სიმეფლენის“ სახით. საზოგადოება თავის გადაუდებელ და აუცილებელ საწესდებო მოთხოვნისადაც თვლიდა საქართველოს ისტორიის მასალების შეკრევებს, მოვლა-პატრონობასა და გამოქვეყნებას.

„საქართველოს სიმეფლენის“ პირველი ტომი ე. თაყაიშვილმა ჯერ კიდევ საზოგადოების დაარსებამდე (1899 წ.) გამოცვა, შემდეგ 1920 წ. იგივე ტომი მეორედ გამოიცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გრიფით (ე. თაყაიშვილის რედაქტირობით). მეორე ტომი 1909 წელს გამოვიდა, მესამე — 1910 წ. მეოთხე ტომი 1911 წ. უნდა გამოსულიყო. ერთი თაბახი დაიბეჭდა კიდევ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ტომის ბეჭდვა შეწყდა. ეს დაბეჭდული თაბახი საფუძვლად დაედო შემდგომ მესამე ტომის დამატების სახით გამოსულ კრებულს, რომელიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს დადგენილებით 1926 წელს გამოვიდა. ოთხივე ტომში დაიბეჭდა 1600-ზე მეტი სიგელ-გუჯარი, რომლებიც XI საუკუნიდან დაწყებული XIX საუკუნემდე პერიოდს მოიცავს. ამასთან, დაბეჭდილი დოკუმენტური მასალა ეხება საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროს. აღნიშნულმა კრებულებმა ეს მასალა შემოგვინახა და დიდი როლი შეასრულა შემდგომი გამომცემლებისათვის სხვადასხვა ცალკეული დოკუმენტის გამოცემისას, მათი შემოწმების თუ შეჯერების თვალსაზრისით.

ასე რომ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობამ დიდი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის შესწავლისა და შემდგომში კვლევის საქმეს, შემოგვინახა საღისური სიტყვიერების არაერთი მნიშვნელოვანი ნიმუში და ამასთან, საშუალება მოგვცა ნათელი წარმოდგენა გვერდობდა თვით საზოგადოების საქმიანობის ყველა მხარეზე. კრებულში გამოქვეყნებული საზოგადოებას ოქმების, ანგარიშების, წევრთა სიების პუბლიკაციები ძვირფასი მასალაა ამ საზოგადოების ისტორიის შესწავლისათვის.

ძარითადა გამოცემების გარდა, საისტორიო და საეთნოგრაფიო

საზოგადოებამ ცალკე წიგნებად გამოსცა 1916 წელს „ძველი ქართული მწერლობის“ პირველი ტომი, რომელშიც შევიდა შამ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები (ტექსტი შამ-ნამეა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ, დაიბეჭდა მ. ციციშვილის სტამბაში „ქართლი“); 1909 წელს — „პალეოგრაფიული ალბომის“ პირველი რეეული (ბაგრატ IV-ის გუჯარი, დავით IV-ის სიგელი, დაიბეჭდა სტამბაში „ძმობა“); 1920 წელს — „პალეოგრაფიული ალბომის“ მეორე რეეული (გამოვიდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმის გრიფით, რექტორი ე. თაყაიშვილი); 1918 წელს — „ხალხური სიტყვიერების“ მეორე წიგნი (რექტორი ე. თაყაიშვილი). საზოგადოებამ გამოსცა აკაკი წერეთლის ცალკეული თხზულებები და სხვ. უსახსრობის გამო „ძველი საქართველოს“ გამოცემა ერთხანს შეჩერდა. მის ნაცვლად, საგანგებო დადგენილებით (1925 წ. 9 დეკემბრის სხდომის ოქმი № 243). 1926 წელს გამოვიდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო „მიმომხილველი“. სახელის შეცვლასთან ერთად თვით მისი პროგრამა და აგებულებაც შეიცვალა. კრებულს უფრო ფართო ხასიათი უნდა მიეღო. მისი ასპარეზი ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია და ფილოლოგია უნდა გამსდარიყო. სოლო დაკვირვების არე საქართველოს გარდა მეზობელ და მოძმე ერებსაც უნდა მისწოდებოდა. „მიმომხილველს“ შინაარსობრივად პროგრამის გაფართოება იმდროინდელი ქართული სამეცნიერო აზრისა და კვლევა-ძიების თვალსაჩინო ზრდამ და გაღრმავებამ გამოაწვია. როგორც გამოცემის წინასიტყვაობაში აღინიშნა, ქართველთმცოდნეობისათვის განკუთვნილი ორგანოს გვერდით კავკასიათმცოდნეობითი სპეციალური მეცნიერული ორგანოს არსებობის აუცილებლობა სრულიად მომწიფებული იყო. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას თანხები არ გააჩნდა ორი ასეთი გამოცემის განსახარციელებლად. ამიტომ ერთმა კრებულმა იტვირთა ყველა ამ მნიშვნელოვანი საკითხის შეძლებისდაგვარად გაშუქება. „მიმომხილველის“ თვალსაწიერს არ უნდა გამოჰპარვოდა მეცნიერული მიღწევები და დროდადრო უნდა გამოექვეყნებინა მის შესახებ.

„მიმომხილველის“ I ტომში დაიბეჭდა გამოკვლევები: კ. კეკელიძის „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“, ს. ყაუხჩიშვილის „გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ“, ივ. ჯავახიშვილის „ქართული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები“, ნ. ბერძენიშვილის „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო

საო წესწყობილება“, ს. მაკალათიას „ფალოსის კულტი საქართველოში“, რობერტ ბლევის „ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან“, ს. გორგაძის „იონანე დამასკელის მთავარი თხზულება“ („წყაროჲ ცოდნისა“) ქართულ მწერლობაში“, გ. ახვლედიანის „მასალები აფხაზურ ბგერათა ფიზიოლოგიისათვის“ და „შენიშვნები ქართულ თანხმოვანთა განდასებისათვის“, ვ. თოფურიას „ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა ქართველურ ენებში“, ა. შანიძის „იონანე მტბევეარის ვინაობისათვის“, „კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ“, „არადეთის წარწერები“ და „კრიბტოგრაფიული მასალები“.

კრებულში (რუბრიკა — ლიტერატურული მიმოსილვა) მოთავსებულია გ. ჩიტაიას სტატია „ქართული ეთნოლოგია (1917—1926)“, კ. კეკელიძის „სანმეტი და ჰემეტი ტექსტები“. ცალკეა კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება, სადაც მიმოსილული და შეფასებულია პ. გუსენის, კ. ლაკის, რ. ბლევის, ს. კაკაბაძის, პ. პეტერსის, ნ. მარის ნაშრომები. განყოფილებაში „სამეცნიერო ქრონიკა“ მოთხრობილია ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ოცდასუთი წლისთავის აღნიშვნის შესახებ (გამოვიდა მისდამი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული „არილი“); უბისის ექსპედიციის, მცხეთის არქეოლოგიური გათხრების, კახეთის არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ. აქვეა ცნობა 1923 წლის 18 თებერვალს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების დაარსების შესახებ (1925 წ. თებერვალში გამოვიდა საზოგადოების ბეჭდვითი ორგანო „წელიწადული“), მიმოსილულია ქართველთმეტყველების მდგომარეობა ევროპასა და ამერიკაში.

„მიმომსილველში“ დაბეჭდილია ვრცელი ნეკროლოგები იოსებ ყიფშიძის (ავტორი ს. გორგაძე), დავით ყიფშიძისა და სილიბისტრო ლომიას შესახებ (ავტორი გ. ჩიტაია). როგორც ესედავთ, ეს კრებული მეცნიერული თვალსაზრისით მეტად სოლიდური იყო, მიზნებიც მნიშვნელოვანი ჰქონდა, მაგრამ ერთ ტომზე მეტის გამოცემა საზოგადოებამ ვერ მოახერხა. ე. თაყაიშვილი ანიჭებდა რა უდიდეს მნიშვნელობას საგამომცემლო საქმიანობას⁵, მიიჩნევდა რომ საქიროა

⁵ 1911 წლის 13 ნოემბერს წლიურ კრებაზე (ოქმი № 52) დამტკიცდა საბჭოთა მოსხენება (ოქმი № 63, მუხლი 7) გამომცემელთა შრომის ანაზღაურების შესახებ. საზოგადოების გამოცემათა რედაქტორი ყოველ ნაბეჭდ გვერდზე სუთ შაურს მიიღებდა, კორექტორი — იმდენივეს. განიხილავდა დოკუმენტის გადამწერის სახლურიც. ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს საზოგადოების დიდ მოწადინებაზე სისტემური სასიათი მიეცა თავისი გამოცემებისათვის.

აქო ბეჭდვის უკეთ ორგანიზება და სვამლა საკითხს რამდენიმე საზოგადოებისათვის საერთო სტამბის მოწყობის შესახებ.

როგორც ჩანს, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთი უმნიშვნელოვანეს მიზანთაგანი — ერისათვის (მისი კულტურისა და ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე) სასარგებლო საგამომცემლო საქმიანობა, იმდროინდელი მძიმე და რთული მდგომარეობის მიუხედავად, მაინც სორციელდებოდა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და ქართველი საზოგადო მოღვაწეები

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დიდ ავტორიტეტს, მისი საქმიანობის მიზანსწრაფულ მიმართულებასა და ღრმა ეროვნულ თუ მეცნიერულ შინაარსს მნიშვნელოვნად განაპირობებდნენ გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც დაარსების დღიდან მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდნენ საზოგადოებაში. ექვთიმე თაყაიშვილს იმთავითვე ამოუდგნენ მსარსი იყანე ჯაფახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, კიტა აბაშიძე, მოსე ჯანაშვილი, ნიკო მარი, პეტრე მელიქიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი არაყიშვილი, თედო უორდანი, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ვასილ ბარნოვი, ეკატერინე გაბაშვილი, დაეით კლდიაშვილი და მრავალი სხვა.

თუ გადავავლებთ თვალს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა სიას, თვალნათლივ დავინახავთ, რომ 456 წევრიდან (მხედველობაში გვაქვს 1909 წლის 1 იანვრის მონაცემები) ნახევარი მაინც იმსახურებს ცალკე ყურადღებას.

ზოგიერთზე ბევრი დაიწერა, ზოგის კი (შეიძლება ითქვას უმრავლესობის) ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა მომავლის საქმედ რჩება. მოგვყავს ცნობები საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში ზოგიერთი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საქმიანობის შესახებ.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავის პირველ საპატიო წევრად (ასეთი შემდგომში კიდევ სამი იყო) 1908 წლის 5 დეკემბერს აირჩია აკაკი წერეთელი¹. ეს აკაკის იუბილის დღეებში მოხდა. ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმი გაუმართა სასიქადულო პოეტს. იუბილე საყოველთაო ეროვნულ ზეიმად იქცა. საქართველო ამ ზეიმში თავის პოტენციურ ძალას აჩვენებდა, ილიას მკვლელობისთვისაც ასწორებდა აზვარიშს. ქართველი ხალხი აჩვენებდა, რომ მიუხედავად პოლიტიკური და ეკონომიკური სიდუხჭირისა, მზად იყო ებრძოლა ეროვნული მწერლობის, ენისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

მთელმა საქართველომ იზეიმა აკაკის იუბილე. ქართველი ხალხის სახარული გაიზიარეს ყველა ჩაგრული მოძმე ერის პროგრესულმა წარმომადგენლებმა. ამიტომ სრულიად არ ყოფილა შემთხვევითი, რომ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი მგოსანი თავის საპატიო წევრად აირჩია. საზოგადოება ზწორედ იმ საქმეს ემსახურებოდა, რასაც აკაკიმ მთელი სიცოცხლე ანაცვალა. აი როგორი ადრესით მიმართა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ აკაკი წერეთელს:

„ღ ი დ ე ბ უ ლ ო ი მ გ ო ხ ა ნ ო !“

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება წრფელას გულით გილოცავს შენი ბრწყინვალე მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის შესრულებას!

ჩვენს ისტორიას, ჩვენს ეთნოგრაფიას, ჩვენს ენას დიდი ამაგი დასდო შენმა ზეგარდმოცხებულმა ნიჭმა;

შენის მადლიანი კალმის მეოხებით ჩვენი ენა დღეს წმინდაა და მსუბუქი, ტკბილია და მომხიბლავი;

შენის ძლიერბ პოეტური ნიჭით შენ შეიგენი, თუ რა უღვეელი ზღვაა პოეზიისა ხალხური სიტყვიერება, და შეუღექი მისი მარგალიტების გამოქვეყნებას;

¹ იხ. არაჩეულებრივი საზოგადო კრების ოქმი № 18, ძველი საქართველო, I, თბ., 1909, გვ. 45. მანამდე ა. წერეთელი საზოგადოების ნამდვილი წევრი იყო.

შენის საისტორიო პოემებით და დრამებით შეაყვარე ქართველ ერს მისი მივიწყებული წარსული;

ამ წარსულის სიყვარულმა მოამზადა ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა თვით ჩვენი ნორჩი „საზოგადოება“.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდად აფასებს ამ თვალსაჩინო დეაწლს, — და, ნიშნად მადლობისა და პატივისცემისა, ერთხმად აგირჩია თავის საპატიო წევრად.

ვისურვებთ, მგოსანო, ხანგრძლივ სიცოცხლეს, რომ შენმა მადლიანმა ჩანვმა კიდევ დიდხანს იუღეროს სამშობლო პოეზიის დიდებულ ტაძარში უწინდებურის აღტაცებით და მომხიბლავის მშვენიერებით!

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების

თავმჯდომარე — ე. თაყაიშვილი
საბჭოს წევრები — დ. კარიჭაშვილი
მ. ჯანაშვილი
აღ. სარაჯიშვილი
ი. აბულაძე

მღიანი —

ს. გორგაძე“ 2.

აკაკი წერეთელი უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით ეკიდებოდა და დიდად აფასებდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობას და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გვერდით აყენებდა მას. მგოსანმა თავისი ქონებაც ამ ორ საზოგადოებას უანდერძა, იგივე ანდერძით ლიტერატურული მემკვიდრეობა (ნაწარმოებთა გამოცემის უფლება) საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა (უნდა შექმნილიყო ხალხური სიტყვიერების ფონდი და მოგვარებულიყო გამოცემა). აი ერთი ადგილი აკაკი წერეთლის მიერ 1912 წლის 7 ნოემბერს გაცემული (ქუთაისის ნოტარიუსის დამოწმებული) ანდერძიდან: „მე თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი, რომელიც ვარ სრულ ჭკუასა და მტკიცე მესხიერებაზე, საჭიროდ ვთვლი სიკვდილის შემდეგ დაეტოვო შემდეგი ანდერძი... სამოსახლო ადგილს შენობებით და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში, შორაპნის მაზრაში, საკუთრებად ვუტოვებ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ

² ძველი საქართველო, I, გვ. 45—46. ადრესის პირები (შავი) დაცულაა გ. ლენინის სახ. ლიტერატურულ მუზეუმში და საქართველოს სელოვნების მუზეუმში (გ. 347, ხაქ. 18 ა).

საზოგადოებას, რომ აქ გაიხსნას დედათა სკოლა ჩემი სახელობისა; ვენახსა და დანარჩენს ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქართული ზღაპრებისა, არაქებისა და საერთოდ ზეპირ თქმულებათა შესაკრებად და გამოსაცემად. უფლება ჩემი ნაწერების გამოცემისა უნდა მიეცეს შემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას აღნიშნულ მიზნისათვის...“³.

აკაკი წერეთელი ერთი პერიოდი უადრესად ხელმოკლედ ცხოვრობდა. იგი ხშირად იძულებული იყო მამულიც კი დაეგირაეებინა. იყო პერიოდი, მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როცა ცოლშვილი უსახსრობას შესჩიოდა პეტროგრადიდან და დახმარებას სთხოვდა, თითონ კი საშუალება არ ჰქონდა, ფული ვერ ეშოვნა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის დასახმარებლად⁴.

აკაკის ანდერძი ფრიად დიდი მოვლენა იყო და ერთხელ კიდევ მაგვანიშნებს დიდი პოეტის დამოკიდებულებაზე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან. როცა აკაკის წაუკითხავს „ძველი საქართველოს“ პირველ და მეორე ტომებში დაბეჭდილი ხალხური ლექსები და ზღაპრები, აღფრთოვანებულია, უსაზღვროდ გახარებულია. ზიკვდილის წინა დღეებში დიდი მგოსნისთვის ე. თაყაიშვილს მესამე ტომიც მიუწოდებია. აქ ხალხური სიტყვიერების დიდძალი მასალაა მოთავსებული. მომაკვდავ პოეტს ლექსების წაკითხვა მოუთხოვია, შემდეგ კი უთქვამს, „ქართველი ერი არ გაქრება, თუ მისი სახალხო პოეზია არ დაიკარგაო“.

სულ მალე აკაკის გარდაცვალებიდან 1915 წლის 6 ივლისს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება შეკითხვით მიმართავს ნაფიც ვეკილს ილია ზურაბიშვილს საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ ნაანდერძეთან.

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ საბჭო-უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ შრომა, მოიწვიოთ რამოდენიმე იურისტი და გვიბოძოთ, რამდენადაც კი შესაძლო იქნება მოკლედ როში, წერილობითი დასკვნა შემდეგი საკითხის შესახებ: ჩვენმა

³ აკაკის ანდერძი, ა. წერეთელი, თხზულებათა ტ. XI, თბ., 1961, გვ. 589.

⁴ ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1965, გვ. 496-497. ამ მსრივ ნიშანდობლივია ა. წერეთლის კერძო წერილები, რომლებიც თხზულებათა XV ტომში დაბეჭდა 1963 წ. გ. აზნაიანის წინასიტყვაობითა და რედაქციით.

საზოგადოებამ რომ ასლავე ჩაიბაროს აკაკი წერეთლის მიერ ნაანდერძევი ადგილ-მამული (რასაკვირველია, უკეთუ მისი ცოლშვილი ნაანდერძევ უფლებასე უარს განაცხადებს) და შემდეგ აღმოჩნდეს, რომ აკაკის ვალები აღემატება ამ ადგილ-მამულის ღირებულებას, ასეთს შემთხვევაში „საზოგადოება“ მოვალეობის წინაშე პასუხს აგებს პარტო ნაანდერძევით (მამულითა და ნაწერების შემოსავლით), თუ თავისი საკუთარის თანსებითაც, როგორც მემკვიდრე განსვენებულის მგოსნისა?

საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი
მდივანი ს. გორგაძე⁵.

პასუხმაც არ დააყოვნა. მ იელისს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეს მიუვიდა ასეთი პასუხი:

„პატივი გვაქვს მოგახსენოთ პასუხად თქვენს შეკითხვაზედ, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება უნდა ჩაითვალოს ჩვეულებრავე მემკვიდრედ და ამიტომ პასუხისმგებელი იქნება ყველა ვალებისა, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს.

რა თქმა უნდა, რომ ასეთი პასუხისმგებლობა გაუჩნდება საზოგადოებას იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეობას მიიღებს.

ვექილები: ივანე ზურაბიშვილი
გრ. რცხილაძე
ირ. გუნცაძე“.

მართლაც, განსვენებული მგოსნის მამულების ნაწილი და ლიტერატურული მემკვიდრეობა (გამოცემის უფლებით) საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ერგო. აკაკის ანდერძის იურიდიულ დასაბუთებას იმთავითვე ყურადღება მიაქცია ექვთიმე თაყაიშვილმა, კავშირი დაამყარა მგოსნის უკანასკნელი ნების აღმსრულებლებთან კოტე აბდუშელიშვილთან, იაკობ ფანცხვასთან, ივანე ელიაშვილთან და გრიგოლ დიასამიძესთან. მისივე დავალებით და საზოგადოებისაგან მატერიალური ხელისგამართვით (სათანადო თანხა იქნა გადაებული) კოტე აბდუშელიშვილმა მოლაპარაკება გამართა ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარესთან სოლომონ მიქელაძესთან აკაკის ანდერძის საბოლოოდ დასამტკიცებლად. ამის შემდეგ კი 1915 წლის 19 ივნისს საგანგებო თხოვნით მიმართა სა-

⁵ საქ. ხელ. მუზეუმის ფონდი, ყ. 251, საქ. 24.

ქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. აი ეს დოკუმენტიც:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას განსვენებულის მგოსნის თ-დ. აკაკი როსტომის ძის წერეთლის ანდერძის აღმასრულებელის კონსტანტინე იოსების ძის აბდუშელიშვილის

თ ხ ო ვ ნ ა

ამასთან ერთად წარმოგიდგენთ დამტკიცებულ ანდერძის პირს. უმორჩილესათ გთხოვთ კეთილინებოთ და დანიშნოთ ერთი თქვენი საზოგადოების წარმომადგენელი, რომელიც უნდა მობრძანდეს დაბა საჩხერეში განსვენებული მგოსნის აკაკის დანატოეარ ოჯახში და დაწერილებით გამოარკვიოს ყოველივე, თუ რა უანდერძა თქვენ საზოგადოებას განსვენებულმა მგოსანმა. რა არის შემოსავალი ნაანდერძევი ქონების და რა იქნება საჭირო სარჯი მის მოვლა შენახვისათვის. აგრეთვე უმორჩილესათ გთხოვთ კეთილინებოთ და მიბოძოთ ის სარჯი რაც მე ნაღდ ფულით დამეხარჯა მისვლა მოსვლაში (მხოლოდ ანდერძის დამტკიცების დროს) საბუთების გამოტანაში და ღერბის სარჯში.

კონსტანტინე იოსების ძე აბდუშელიშვილი⁶.

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ არ გაითვალისწინა კ. აბდუშელიშვილის თხოვნა თანხის გაღების თაობაზე, რადგან საბოლოოდ აკაკი წერეთლის უძრავი ქონების შემკვიდრედ საზოგადოება იურიდიულად ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული. როგორც ჩანს, ეს ცოტა გვიან მოხდა⁷. 1915 წლის 20 სექტემბერს საზოგადოების კრებამ (იხ. ოქმი № 105) საგანგებოდ განიხილა აკაკის ანდერძის საკითხი. ე. თაყაიშვილმა კრებას აცნობა, რომ ანდერძი დამტკიცდა. ამასთან, მამულს ბანკის ვალი დარჩა 700 მანეთი, გადასახდელი იყო ანდერძის დამტკიცების სარჯები, მამულის სხვადასხვა გადასახადი და კერძო ვალები, სულ 400 მანეთამდე. მანვე გააცნო კრებას საბჭოს 7 სექტემბრის გადაწყვეტილება (ოქმი № 121, მუხლი № 4): „შემკვიდრეობა მიღებულ იქნას და მფლობელობაში შევიდეთ, როცა

⁶ საქ. ხელ. მუხ. ფონდი, ყ. 251, საქ. 24.

⁷ ე. თაყაიშვილი, აკაკის ანდერძის გამო, კრებ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი“, თბ., 1966, გვ. 205-207.

დროებითი მემკვიდრენი უარს იტყვიან თავის მემკვიდრეობაზე. ამ თავით გაწეული იქნას ხარჯები აკაკის ფონდიდან, სასკოლო აკაკის მსახურის ვალის (200 მან.) გადასახდელად, სახელმწიფო გადასახადები და ანდერძის დამტკიცების ხარჯები“. კრებამ დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება. თანაც საბჭოს დაავალა შემუშავება ფორმისა, რომლის მისედვითაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან ერთად საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მფლობელობაში შესვლას განსაზღვრავდა. ნაანდერძების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაწეულიყო აკაკის ფონდიდან სესხის სახით. აკაკი წერეთლის უკანასკნელი ნების აღმსრულებლებიც შეუდგნენ საქმის სათანადოდ მოწესრიგებას, რადგან რიგი საკითხებისა ჯერ კიდევ მოსაგვარებელი იყო. სულ მალე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო წერილი, სადაც ანდერძთან დაკავშირებული და აუცილებლად მოსაგვარებელი საკითხები იყო მოცემული:

„1915 წლის 4 მკათათვეს შევიკრიბებით მგოსან აკაკი წერეთლის უკანასკნელი ნების აღმსრულებელნი გ. დიასამიძე, ი. ფანცხავა, კ. აბდუშელიშვილი და ი. ელიაშვილი და დავადგინეთ შემდეგი: 1. აკაკის ანდერძი უკვე დამტკიცებულია ქუთაისის საოლქო სასამართლოსაგან და ანდერძის პირი ჩაბარებული აქვთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და ქართ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა გამგეობებს. 2. ეთხოვოს აკაკის პირდაპირ მემკვიდრეთ კნ. ნატალია პეტრეს ასულს და თ-დ. ალექსი აკაკის ძე წერეთლებს დაუთმონ თავისი უფლება სიცოცხლეში სარგებლობისა აკაკისაგან ნაანდერძე უძრავ ქონებათა შემოსხენებულ საზოგადოებათ, რათა წ. კ. საზოგადოება ამ თავითვე შეუდგეს შკოლის დაარსების ზრუნვას. 3. წერა-კითხვის საზოგადოებისათვის ნაანდერძე სახლსა და ეზოსთან ერთს მთლიანს შეადგენს ზედ-მობმული ვენახი და სახნავე მიწა. ეს უკანასკნელი ნაკვეთი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მომავალ შკოლისთვის. ამიტომ ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უსასყიდლოდ დაუთმოს ეს ნაკვეთი წ. კ. საზოგადოებას. 4. აკაკის უკვე გამოქვეყნებულს კერძო ანდერძში აღწერულია მისი მოვალეების სია და ეალის რაოდენობა და მასთან სურვილი ვარდაცვალებულისა, ეს ვალი გადახდილ იქმნას მემკვიდრეთაგან. ამ ხანად აკაკის მამულის შემოსავალი ფრიად მცირეა. ამ შემოსავლით ვალების გასტუმრება შეუძ-

ლებელია. ამიტომ ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას იკისროს ამ ვალების დაუყოვნებლივ გადახდა. ვალის რაოდენობა უდრის 2.180 მანეთს. 5. აკაკის გარდაცვალების შემდეგ თბილისის სახაზინო ბანკში აღმოჩნდა ასი თუმნის ვექსილი კოტე აბდუშელიშვილის, რომლის ბადალიც აკაკის მიერ ხელმოწერილი, აღმოჩნდა კოტე აბდუშელიშვილთან. ეს ვალიც დაუყოვნებლივ გადასახდელია. ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ამ ვალის გასტუმრებაც. 6. დროებითი მემკვიდრენი, აკაკის ცოლშვილი, არც უფლიან და არც სარგებლობენ მამულით. ხოლო მამულის მოვლა-პატრონობა ჩვენს მიერ დავალებული აქვს კოტე აბდუშელიშვილს, რომელიც დღიდან აკაკის გარდაცვალებისა ეწევა მიმდინარე ხარჯებს. ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გაუძღვეს ამ ხარჯებსაც დღიდან აკაკის გარდაცვალებისა, ვიდრე ნაანდერძევის განაწილებამდე საეთნოგრაფიო და საისტ. საზოგადოებასა და წ. კ. საზოგადოებას შორის, თუ კი დროებითი მემკვიდრენი უარს განაცხადებენ თვის უფლებაზე. 7. მიენდოს ივანე ელიაშვილს აცნობოს დროებით მემკვიდრეებს ეს დადგენილებანი მით უმეტეს, რომ ეს დადგენილებანი დამყარებულია კნ. ნატალია და თ-დ. ალექსი წერეთლების მიერ გამოთქმულ სურვილზე თავისი უფლების უარყოფის შესახებ. 8. ყველა აქ მოხსენებული დადგენილებანი გამოძინარეობენ აუცილებლობისაგან და მათი სისრულეში მოყვანა ევალება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, როგორადაც აკაკის მთელ ნაანდერძევე ღირებულებათა ნაშდვილ მემკვიდრეს. ხოლო თუ ეს დადგენილებანი შეუსრულებელი დარჩებიან, იმ შემთხვევაში ჩვენ, ნების აღმსრულებელნი, ყოველივე პასუხისმგებლობაზე ხელს ვიღებთ იმ მხრივ, თუ საიდანმე სახიფათო რამ გამოუჩნდა ნაანდერძევე ღირებულებას. 9. ამ დადგენილებათა პირის გაგზავნა წერა-კითხვისა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა გამგეობათადმი მიენდოს ივანე ელიაშვილს. 10. ეთხოვოს ზემოხსენებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ზემოაღნიშნულ მუხლების პასუხი ნების აღმსრულებელთ აცნობოს ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილის სახელზე არა უგვიანეს ერთის თვისა ამ ოქმის პირის მიღებიდან.

ნებას აღმარულებელნი: კოტე აბდუშელიშვილი
 იაკობ ფანცხავა
 ივანე ელიაშვილი
 გრიგოლ ღიასამიძე⁸.

⁸ ხელ. მუშ. ფონდი, ყ. 251, ხაქ. 24.

კოტე აბდუშელიშვილი შემდგომშიც აგრძელებდა ზრუნვას აკაკი წერეთლის მიერ ნაანდერძევი უძრავი ქონების საზოგადოებრივად მართვის გადაცემისათვის. საქმე ისაა, რომ განსვენებული მგოსნისაგან ნაანდერძევი ტყიანი ადგილი, სახელდობრ „საფალაევანდიშვილო“, აკაკის სიცოცხლეში იჯარით ჰქონდა მიცემული საზღვარგარეთელ კომპანიას (დ. დიტრიხს). ნოტარიალური პირობა ხის მოჭრას ითვალისწინებდა მხოლოდ. ხელშეკრულების ვადა 1918 წლის 11 თებერვალს გავიდა. ამ პირობით მოიჯარადრეს უფლება ჰქონდა ვადის გასვლიდან 3 თვის განმავლობაში დაემთავრებინა ყოველგვარი საქმიანობა (გაეტანა დამზადებული მასალა, დაეშალა შენობები, გაეყვანა მანქანები და სხვ.). სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ კ. აბდუშელიშვილი ადგილობრივ კომისართან ერთად ეწვია მამულს („საფალაევანდიშვილოს“) და მოიჯარადრის წარმომადგენელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესრულება მოსთხოვა. უკანასკნელმა მსოფლიო ომისგან გამოსწეული დაბრკოლებები მოიმიზეზა და ითხოვა ვადის გაგრძელება რამდენიმე თვით. აკაკის ნების აღმსრულებელმა არ მისცა თანხმობა ამ მოთხოვნაზე და კეთილსაიმედო პირთა თანდასწრებით შეუდგა ქონების აღწერას და სრული სურათი აცნობა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას 1918 წლის 29-მაისს (წერილი დაცულია საქ. ხელ. მუზეუმის ფონდში. ყ. 251, საქ. 24).

ვიდრე აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემაზე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების უფლებებსა და მოღვაწეობას შევეხებოდეთ, გვინდა შევჩერდეთ ერთ მომენტზე, იმ დიდ მწუხარებაზე, რომელიც მთელ ქართველ ხალხთან ერთად საზოგადოების წევრებმაც გამოხატეს დიდი მგოსნის გარდაცვალების გამო. 1915 წლის 27 იანვარს შეიკრიბა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობდა ე. თაყაიშვილი; ესწრებოდნენ: დ. კარიჭაშვილი, დ. კილოსანიძე, ი. აბულაძე, შ. ქარუმიძე, კ. კეკელიძე, ი. სონღულაშვილი და ს. გორგაძე (მდივანი). თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების საპატიო წევრი, დიდებული პოეტი, თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი და საჭიროა ჯეროვანი პატივი ვცეთ მის ხსოვნასო. საბჭომ დაადგინა, ვიდრე საგანგებო კრება მოხდებოდეს, იმის თაობაზე, თუ როგორ აღინიშნოს განსვენებულის დაუფასებელი დეაწლი სამშობლოს წინაშე, ჯერჯერობით: ა) 28 იანვარს გადახდით იქნას პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად და მთელი საბჭო დაესწროს მის დასაფლავებას; ბ) იმ კომისიაში, რომელიც შეიმუშა-

ვებს და დაიცავს დასაფლავების წესრიგს, საზოგადოების წარმომადგენლობა დაევალოს საზოგადოების საბჭოს წევრს შალვა ქარუმიძეს; გ) გადაიდოს ოცდაათი თუმანი იმ ფონდისათვის, რომელიც შედგება საზოგადოებასთან სახალხო სიტყვიერების გამოსაცემად, როგორც აწ განსვენებულს სურვილი იყო, გვირგვინის სამაგიეროდ გაღებული თანხიდან; დ) ეთხოვოს საზოგადოების დამფუძნებელ წევრს გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძეს და საბჭოს წევრს იუსტინე აბულაძეს დაესწრონ საზოგადოების სახელით განსვენებულის გვამის გადმოსვენებას საჩხერიდან (იხ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭოს სსდომის ოქმი № 106, 1915 წ. 27 იანვარი).

მეტად. საგულისხმოა დიდი მგოსნის დანაბარები, მისთვის განკუთვნილი გვირგვინების თანხა ხალხური სიტყვიერების გამოცემას მოსმარებოდა. „გთხოვთ დამასაფლავოთ უბრალოდ, უგვირგვინოდ. გვირგვინის მსურველს ეთხოვ, გვირგვინის ფასი გადასცეს... საეთნოგრაფიო საზოგადოებას!“⁹. ანდერძი აღსრულდა: მთელმა საქართველომ მუხლმოყრით გააცვილა აკაკი თავის უკანასკნელ გზაზე. დაკრძალვას ასი ათასზე მეტი კაცი დაესწრო. მსგავსი პროცესია არ ენახა საქართველოს დედაქალაქს. დიდი მგოსნის კუბოს წინ მიუძღოდა ერთადერთი, სადა და უბრალო გვირგვინი, რომელსაც საქართველოს სულიერი მეფის საკადრისი წარწერა ჰქონდა: „აკაკის—საქართველო“.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამოკიდებულება უკვდავი მგოსნისადმი კარგად გადმოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა, აკაკის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავ პანაშვილზე:

„... საქართველო გლოვობს თავის საუკეთესო შვილს. ყველას სურს სიტყვით თუ კალმით გამოხატოს მისი დეაწლი სამშობლოსადმი, გაგვითვალისწინოს მისი სამსახური, სავსებით დაგვიხატოს მისი სურათი. მაგრამ ამოდ! ყველა გრძნობს, რომ ვერ უთქვამს ის, რისი თქმაც უნდოდა; ოდნავადაც ვერ დაუხატავს ის, რისიც დახატვა სურდა. ხოლო, როდესაც ჩვენი მგოსნის სახელს ვახსენებთ ხოლმე, მის სპეტაკ სახელთან ერთად თვალწინ გვეშლება დიდებული სურათი... ამ სურათში ჩაქსოვილია მთელი საქართველოს ნახევარი საუკუნის

⁹ აკაკის ანდერძი, ა. წერეთელი, იხზ., ტ. XIV, გვ. 590.

ისტორია, მისი თვითშეგნების განვითარება, ერთობის ქადაგება, მამულის სიყვარული, საუცხოო პოეზია და დიდებული ენა. საუცხოვოა ეს სურათი, რომელსაც ყველა გრძნობს, ყველას თვალწინ უძევს, მაგრამ არაყოს ძალუძს სიტყვით გადმოგვცეს, კალმით დაგვიხატოს. ასეთია ზაიდუმლოება ხალხის სულმნათისა, ხოლო ორი რამ თვალსაჩინოდ სჭარბობს ამ სურათში: სიმშვენიერე პოეზიისა და სიკვლეუცე ენისა...

აკაკის სწორედ ჯავრად ჩაჰყვა სამარეში, ვაი თუ ქართული ზეპირსიტყვაობა დაიკარგოსო. რომ ეს არ მოხდეს ამიტომ ჩვენს საზოგადოებას ანდერძით დაგვიტოვა ამის შესახებ ზრუნვა და თავისი ავლადადება ამ საქმის განსახორციელებლად გვიანდერძა, როგორც ჩვენს საზოგადოებას, ისე მთელ ქართველ ერს ვალად აქვს პირნათლად შეასრულოს ეს ანდერძი“.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი გულმოდგინებით მოჰკიდა ხელი აკაკის ანდერძის შესრულებას. 1915 წლის 25 თებერვალს საგანგებო სხდომა მიეძღვნა აღნიშნულ საკითხს. ექვთიმე თაყაიშვილი ვრცლად შეეხო აკაკი წერეთლის უკანასკნელ სურვილს ზალხური სიტყვიერების მასალების შესაკრებად, შესასწავლად და დასაბეჭდად განსაკუთრებული თანხის დაარსებისა და თვით მისი თხზულებების გამოცემის შესახებ. კრებამ დაადგინა, რომ ყველა ღონე იხმაროს ქართული ზალხური სიტყვიერების ფონდის გასაძლიერებლად და გამოცემის უზრუნველსაყოფად. ეს თანხა იმდენად უნდა გაზრდილიყო, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ყოველგვარი ხარჯის დაფარვა იმ დიდი შრომის გასაწევად, რომელიც ზალხური სიტყვიერების მასალების შეკრების, შესწავლისა და გამოქვეყნებისათვის იყო საჭირო. საზოგადოების კრებამ დიდი ყურადღება დაუთმო აკაკი წერეთლის თხზულებათა ჯეროვანი გამოცემის საქმეს. მიიჩნიეს, რომ აკაკის თხზულებათა გამოცემას ორი უმთავრესი მიზანი უნდა ჰქონოდა: მგოსნის შემოქმედების პოპულარიზაცია, მისი ნაწარმოებების ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მიწოდება და გარკვეული შემოსავლის მიღება, რომლითაც გაძლიერდებოდა ზალხური ზეპირსიტყვიერების ფონდი. გამოცემა ორგვარი უნდა ყოფილიყო: ერთი — ზალხისათვის მისაწვდომი, იაფფასიანი; მეორე — სამეცნიერო. დაადგინეს, რომ მიმართონ ზალხს, ვისაც კი რაიმე ხელნაწერი მოეპოვებოდა, საზოგადოებისათვის მოეწოდებინათ, ამასთან, აკაკის ახლობლებს სთხოვდნენ გადმოეცათ მოგონებანი მგოსანზე,

რა ვითარებაში იწერებოდა და ვისდამი იყო მიძღვნილი ცალკეული ლექსები.

აი ამგვარი თხოვნით მიმართა ქართველ საზოგადოებას საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ ვაზუთ „სახალხო ფურცლის“ საშუალებით:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო უმორჩილესად სთხოვს განსვენებულის მგოსნის აკაკი როსტომის ძის წერეთლის ნათესავ-ნაცნობებსა და მისი ხსოვნის პატივისცემელთ მოაწოდონ „საზოგადოებას“ მუზეუმში დასაცვენლად განსვენებულის მგოსნის ყოველგვარი მიწერ-მოწერა, მისი ნაქონი ნივთი, კერძო ალბომებში მოთავსებული მისი ლექსები ან კერძო პირთათვის შედგენილი ეპიტაფიები (საფლავის ქვაზე წახაწერი); აგრეთვე ყოველგვარი ცნობა, რომელიც მგოსნის ბიოგრაფიის (ცხოვრების აღწერის) შესადგენად გამოდგება, და დასასრულ ვისაც მოეპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ მგოსნის რომელი ნაწარმოებები როდის და რა შემთხვევის გამო (ან რომელი პირის შესახებ) არის დაწერილი და სად არის დაბეჭდილი. ამ მასალას საბჭო დაიცავს საზოგადოების მუზეუმში აკაკის სახელობის მომავალი დარბაზისათვის, ხოლო მის ნაწილს გამოიყენებს ახლავე განსვენებულის მგოსნის თხზულებათა გამოცემისათვის.

ესთხოვთ სხვა ურნალ-ვაზეთების რედაქციებს ეს წერილი გადაბეჭდონ თავის გამოცემებში“.

ამას გარდა, საზოგადოების კრებამ შეარჩია რამდენიმე ქართველი მოღვაწე, რომელთაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აკაკისთან (კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე, დავით ბაქრაძე, სერგო ბახტაძე, პეტრე წულუკიძე, ნიკო ლომოური, იონა მეუნარგია, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ორბელიანი, ტასო მაჩაბელი, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, დავით მიქელაძე. გრიგოლ დიასამიძე, ვახტანგ ღამბაშიძე, ივანე ელიაშვილი, კონსტანტინე აბდუშელიშვილი, ზოსიკო მერკვილაძე და სხვა) და პირადად სთხოვა, მგოსნის შესახებ მათ ხელთ არსებული მასალების მოწოდება.

გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის ფონდში (2468-6) დაცულია საზოგადოების მიმართვა (დათარიღებულია 1915

წლის 30 აპრილით) იოსებ (სოსიკო) მერკვილაძისადმი (ანალოგიური ბარათები დაეგზავნათ სხვა პირებსაც):

„ბ-ნს იოსებ მერკვილაძეს
მ ო წ ყ ა ლ ე ო ზ ე ლ მ წ ი ფ ე ო !

საქართველოს სიამაყის, განსვენებულის მგოსნის აკაკი როსტომის ძის წერეთლის ანდერძის თანახმად, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო უკვე შეუდგა განსვენებულის თხზულებათა გამოცემის თადარიგს. ამასთანავე საბჭო აგროვებს ყოველგვარს წივთს, რომელიც აკაკის საკუთრებას შეადგენდა, აკაკის წერილებს ნაცნობ-ნათესავთადმი და მეგობრებისადმი და ამათს წერილებს აკაკისადმი, მგოსნის თხზულებათა ავტოგრაფებს და ყოველგვარს ცნობას, რომელიც მგოსნის ბიოგრაფიისათვის გამოდგება. თხზულებათა გამოცემისათვის დიდი მნიშვნელობა ექმნება ცნობას, თუ როდის, რა შემთხვევის გამო, დაუწერია მგოსანს ესაოუ ის ლექსი ან სტატია, მოთხრობა ან პოემა, ან კიდევ რომელი თანამედროვე პირი ჰყავს ავტორს ნაგულისხმები ამა თუ იმ ნაწარმოებში.

გაუწყებთ რა ამას, საზოგადოების საბჭო მოგმართავს თქვენ, როგორც განსვენებულის მგოსნის გულითადს მეგობარს და დაასლოებულს პირს, და გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი მოგონებანი განსვენებულის შესახებ, აგრეთვე თუ რამ მისი ნაწერი ან კერძო წერილი და ნაქონი წივთი მოგეპოვებათ. თქვენც დაგვეთანხმებით, რომ უკეთესი მასალები ამ მოკლე დროში არ იქნა შეკრებილი, რაც დრო გავა, თანდათან გაიფანტება, დაეიწყებას მიეცემა და სამუდამოდ დაიკარგება. ყოველი წივთი, წერილი ან ავტოგრაფი, რომელთაც „საზოგადოებას“ მოაწვდით, დაცულ იქნება საზოგადოების მუზეუმში აკაკის სახელობის მომავალის დარბაზისათვის.

საზოგადოების თავმჯდომარე — ე. თაყაიშვილი
მღივანი — ს. გორგაძე

საგულისხმოა, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებებს იმავე 1915 წლის 25 თებერვლის კრებაზე ს. გორგაძემ წაიკითხა მოხსენება „აკაკი წერეთელი და ჩვენი ხალხური პოეზია“. მომხსენებელმა მოკლედ გააცნო დამსწრე საზოგადოებას დიდი მგოსნის აზრი ხალხური პოეზიის შესახებ; ნათლად აჩვენა, რომ ა. წერეთელი ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინ შეუდგა ხალხური სიტყვი-

ურების შეკრებას, ხოლო ოციოდე წლის წინ კიდეც დაიწყო მისი ზეჭდვა თავის „კრებულში“. მომხსენებელმა წარმოადგინა პოეტის მიერ შეკრებილი ხალხური ზიტყვიერების ნიმუშები და ცხადყო ის აზრი, რომ ქართული ხალხური პოეზია, როგორც ფორმის სიმშვენიერით და გრძნობის სიმღიერე-სიფაქიზით, ისე ენის მუსიკალობით იმ დონემდე განვითარებულა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პირველხარისხოვანი პოეტების ქმნილებებსაც კი უსწრებს წინ. ამიტომ ხრულიად არ იყო გასაკვირი, რომ აკაკი წერეთელმა ესოდენ დიდი ყურადღება მიაქცია ხალხურ შემოქმედებას. იგი ხმამაღლა აცხადებს, რომ „უმაღლეს წერტილამდე იყო აყვანილი ჩვენი სახალხო პოეზიაო“ იგი „უტყუარი სარკეა გადასული ცხოვრებისა და ისტორიის მტკიცე საძირკველიაო“ („კრებული“, 1897, № 1, გვ. 72).

აკაკი წერეთლის წლისთავზე ექვთიმე თაყაიშვილმა დამსწრეთ გააცნო საისტორიო და ზაფხულოვანი საზოგადოების მიერ გაწეული დიდი მუშაობა განსვენებული მგოსნის ანდერძის აღსრულებისათვის: „გვირგვინების ნაცვლად, თანახმად განსვენებულის სურვილისა, დაარსდა სახალხო პოეზიის ფონდი, რომლისთვისაც დღემდის შეგროვდა ხუთმეტი ათას მანეთზე ცოტა მეტი... დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოვა... ყველა ის ლექსები, იგავ-არაკები, სიმღერები, ზიტყვის მასალანი, რომელიც ჩვენი საზოგადოების გამოცემაში იბეჭდებოდა, ცალკე გამოვა აგრეთვე იქვე დაბეჭდილი ხალხური ზღაპრები“... ექვთიმე თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ საზოგადოების მიერ არჩეული კომისია შეუდგა აკაკის ნაწარმოებთა გამოცემას და „გამოსცემს ჯეროვნად, როდესაც დღევანდელი პირობები შეიცვლება, ე. ი. როდესაც შესაძლებელი იქნება ქალაქის შოვნა და ბეჭდვის მოწყობა“. ამასთან დაამატა, რომ ამ კერძო ანდერძის გარდა, ქართველ ერს დიდმა მგოსანმა უფრო დიდი ანდერძი დაუტოვა: ესაა „...თვითგანწირული ზრუნვა ქართველი ერის კეთილდღეობისათვის, მისდაში სიყვარული, მისდაში თავგანწირვა, მისი კულტურის დაცვა, ტერიტორიის შერჩენა, ენის და ლიტერატურის განვითარება, ეროვნული თვითშეგნება, დემოკრატიული მისწრაფება და თავისუფლების მოპოვება“¹⁰. მართლაც დიდი და მნიშვნელოვანი დანაბარებია. დიდი ილიაც ამ აზრის იყო. ეს იყო ნიკო ნიკოლაძის, დიმიტრი ყიფიანის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვა მამულიშვილების დიდი სურვილი.

¹⁰ ე. თაყაიშვილის პირადი არქივი საქ. № 1107, ის. აგრეთვე ა. ხურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი თბ., 1977, გვ. 148-152.

როცა დადგა საკითხი განსვენებული აკაკი წერეთლის საფლავის შეკეთების, გამშვენებისა და მოვლა-პატრონობის შესახებ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ქმედითი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. საზოგადოების კრებამ საგანგებოდ იმსჯელა ამ საკითხზე 1916 წლის 20 თებერვალს. ე. თაყაიშვილმა სხდომას მოახსენა, რომ ა. წერეთლის საფლავი უხერხულ ალაგას იყო მოთავსებული, ისეთი კლდის ძირში, რომელსაც არაერთიანი სიმაგრე არა აქვს და ყოველი ნიაღვრის დროს იშლება. ამის გამო, მგოსნის საფლავი მუდამ განსაცდელშია, გაწმენდა და ხშირი მოვლა სჭირდებოდა. ჯერ კიდევ 1916 წლის ზაფხულში საზოგადოების წევრმა იოსებ მერკვილაძემ საბჭოს სთხოვა გაედო ხარჯები კლდის გასამაგრებლად და საფლავის გასამშვენიერებლად. საბჭო დათანხმდა თანხის ვადებას, თანაც გამოიყო კომისია ი. მერკვილაძის, ირ. სონდულაშვილისა და ნ. კალანდაძის შემადგენლობით. ამის შემდეგ ი. მერკვილაძემ ახალი მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საბჭოს, სადაც ხარჯების სავარაუდო რაოდენობას 2400 მანეთით განსაზღვრავდა. საზოგადოების საბჭომ ასეთი დიდი თანხის ვადება კრების დაუკითხავად ვერ გაბედა. თანხა უნდა ვაცემულიყო აკაკის ფონდიდან (სხვა თავისუფალი თანხა საზოგადოებას არ გააჩნდა), რომლის პირდაპირი დანიშნულება ხალხური სიტყვიერების შეკრება და გამოცემა იყო. ამას გარდა, საბჭო არ იყო დარწმუნებული ამ ხარჯის გაწევის შემდეგ საბოლოოდ ეშველებოდა თუ არა საქმეს. ზოგიერთმა ის აზრიც კი გამოთქვა, რომ დიდი მგოსანი გადაესვენებინათ უფრო მტიკიცე და ბუნების სტიქიისაგან უსაფრთხო განსახვენებელ ადგილზე იქვე, მთაწმინდაზე, ან დიდუბის „ქართულ პანთეონში“. ცხარე კამათის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აკაკის ცხედარი იქვე უნდა დარჩენილიყო და გაემაგრებინათ საფლავი. გამოიყო კომისია (კ. ცინცაძე, ნ. თალაკვაძე, გრ. დიასამიძე, ი. მერკვილაძე, ი. ზედგენიძე, შ. ქარუმიძე, სვ. კლდიაშვილი, ლ. დიასამიძე, ა. კალგინი, გ. ქურდიანი, ივ. ყიფშიძე), რომელსაც დაევალა საკითხის შესწავლა და წინადადების წარმოდგენა (იხ. საზოგადოების წლიური კრების ოქმი № 118). მის შემდეგ, როგორც ჩანს, საზოგადოებამ ქმედითი მონაწილეობა მიიღო მთაწმინდაზე ა. წერეთლის საფლავის გამაგრება-გამშვენიერებასა და მოვლა-პატრონობაში.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი ამაგი დასდო აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოსაცემად მომზადების საქმეს. საზოგადოების საბჭომ 1915 წლის 9 მაისს (ოქმი

№ 113) დაამტკიცა აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის დაწერილებითი გეგმის შემმუშავებელი კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ს. გორგაძე, ი. ყიფშიძე, დ. კილასონიძე, ირ. სონდულაშვილი და გ. ქიქოძე. კომისიის საქმიანობა ექვთიმე თაყაიშვილის შეუნელებელი ყურადღებით იყო მოხილი. 1915 წლის 24 ივნისისათვის კომისიამ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წარუდგინა თავისი წინადადება სათანადო დასკვნით.

ეს გამოცემა უნდა ყოფილიყო პირველი სრული, ყველასთვის (როგორც ჩვეულებრივი მკითხველისთვის, ისე მკვლევართათვის) გამოსადეგი, ყველასათვის (როგორც მდიდართა, ისე ხელმოკლეთათვის) ხელმისაწვდომი და იმავე დროს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის ნიუთიერად ხელსაყრელი გამოცემა. მის შემოსავალს, აკაკისავე ანდერძის თანახმად, უნდა გაეზარდა ხალხური ხატყვიერების ფონდი. ამიტომ გამოცემა არ უნდა ყოფილიყო მდიდრული და მხატვრულ-სურათებიანი. ერთადერთი სამკაული, რომელიც მის ყოველ ტომს დასჭირდება, იქნებოდა გარეკანისა და პირველი გვერდის (ტექსტის დასაწყისში) ორნამენტი: ამახ გარდა, კომისიას ხასურველად მიაჩნდა პატარა ორნამენტი (საბოლოო) ყოველი ტომის ბოლოში, ტექსტის დასასრულს მოთავსებულიყო. სამკაული ქართული ხასიათისა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი პროექტის მახედვით, გამოცემაში უნდა შეეტანათ როგორც ქართული, ისე რუსული (როგორც ორიგინალური, ისე ნაიარგმნი), როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული თხზულებანი (მიწერ-მოწერთურთ); ყოველი ნაწარმოები უნდა დაბეჭდილიყო მთლიანად. ნაწარმოების ტექსტიდან ცალკე ნაწყვეტის ამოღება და დაბეჭდვა არ უნდა მომხდარიყო. გამოცემაში აკაკის თხზულებათა ტექსტი უნდა დადგენილიყო და ორთოგრაფიულად შესწორებულიყო (უკიდურეს შემთხვევებში) უმეტესად თვით ავტორისავე უკანასკნელი დროის ავტოგრაფების მიხედვით. ყოველი ნაწარმოების შესახებ (შემდგენისდაგვირად) უნდა მოცემულიყო ცნობა, თუ სად და როდის არის დაწერილი ან დაბეჭდილი, ან რომელი პირისა და შემთხვევის გამოა შედგენილი ესა თუ ის ნაწარმოები (ეს ცნობები უნდა მოთავსებულიყო ტომის ბოლოში).

მთელი გამოსაცემი მასალა უნდა დალაგებულიყო შემდეგ ჯგუფებად: ა) ლექსები; ბ) იგავ-არაკები; გ) პოემები და გალექსილი ზღაპარ-ლეგენდები; დ) სცენები და დრამატიული ნაწერები (როგორც გალექსილნი, ისე გაულექსავნი); ე) მოთხრობები და ზღაპრები; ვ) წერილ-წერილი ამბები და ნაკვესები; ზ) პუბლიცისტური ხასი-

ათის ნაწერები („ცხელ-ცხელი ამბები“, „ნადუდი“, და მისთანანი); კრიტიკული წერილები და საბიბლიოგრაფიო შენიშვნანი; თ) ჰიტყვები; ი) კერძო წერილები და საზოგადოდ აკაკის მიწერ-მოწერა; კ) რუსული ნაწერები. ყოველი ჯგუფის ნაწერები ტომებში უნდა დაწყო-ბილიყო ქრონოლოგიურ რიგზე (მათი დაწერისა და დაბეჭდვის თა-რიდის მიხედვით).

პირველ ტომში ლექსების წინ უნდა მოთავსებულიყო აკაკის „ჩე-მი თავგადასავალი“; შემდეგ კი ლექსები ქრონოლოგიური რიგით. ტომს უნდა დართოდა აკაკის, მისი მშობლების, დის, ცოლ-შვილისა და მამა-პაპეული კარ-მიდამოს სურათები.

კომისიამ წარმოადგინა დეტალური წინადადებები ქაღალდის, შრიფტების, ფორმატის, ბეჭდვის წესისა და საბიბლიოგრაფიო ცნო-ბების შესახებ. გამოცემას (პროექტით გათვალისწინებული ქაღალ-დისა და შრიფტის მიხედვით 20 ტომამდე უნდა ყოფილიყო) ბოლოს ცალკე დამატებად უნდა დართოდა სრული ანბანური საძიებელი. მოცემული იყო სრული ხარჯთაღრიცხვა¹¹.

ამგვარი სახით აკაკის თხზულებათა გამოცემა, რასაკვირველია, მისასაღმებელი იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ამ საქმის სის-რულეში მოყვანა გაჭირდა. ამგვარად ვრცელი (სრული) გამოცემა იმ-დროისათვის ვითარების ზირთულისა და უსახსრობის გამო ვერ გან-ხორციელდებოდა. 1917 წლის 12 იანვრის აკაკის თხზულებათა გამო-ცემის გეგმის შემმუშავებელი კომისია კვლავ შეიკრიბა. სხდომას დაესწრნენ ს. გორგაძე, გ. ქიქოძე და დ. ყიფშიძე. ამ კომისიას საბჭო-საგან დავალებული ჰქონდა აკაკის თხზულებათა გამოცემის ადრე შემუშავებული დაწერილებითი გეგმის გამარტივება. კომისიის წევრი პავლე ინგოროყვა მოუცლელობის გამო ვერ დაესწრო სხდომას, თა-ვისი აზრი კი წერილობით წარმოადგინა. ვფიქრობთ, მკითხველისათ-ვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ხელოვნების მუზეუმში და-ცული (ყ. 876, საქ. 27) ეს წერილი:

„დიდად პატივცემულო ბ-ნო სერგო!¹²

სწორედ დღეს ხალხმოს დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელე-ბელი საზოგადოების საგამომცემლო სექციის კრება, რომელზედაც უნდა განიხილონ ჩემ მიერ შედგენილი გეოგრაფიული ლექსიკონი.

¹¹ კომისიის ანგარიში დაცულია ხელ. მუზ. ფონდში, ყ. 847, საქ. № 27.

¹² მიმართავს ს. გორგაძეს.

ამ კრებაზე ჩემი წაუსვლელობა ყოვლად მოუხერხებელი იქნება და ძალიან ვწუხვარ — რომ თქვენი კომისიის სხდომას ვერ დავესწრები. მაინცა და მაინც ჩემს შეხედულებას აკაკის გამოცემის შესახებ დათიკო¹³ გაგაცნობსთ მოკლედ — ჩემი აზრი ასეთია: გამოცემა უნდა იყოს სრული და უსათუოდ კრიტიკული. ჰონორარის გულისათვის საქმეს ნუ შევაფერხებთ.

თქვენი პაულ ინგოროყვა“.

კომისიამ გაითვალისწინა საზოგადოების საბჭოს მითითებები, ის საშუალებები, რაც აღნიშნული საქმის განხორციელებისათვის საბჭოს გააჩნდა და ასეთი დადგენილება მიიღო:

„1. ამჟამად გადაიდოს აკაკის თხზულებათა სრული გამოცემა დამის ნაცვლად გამოიტყოს მხოლოდ რჩეული ნაწერები.

2. გამოცემა უსათუოდ უნდა იყოს კრიტიკული.

3. სპეციალისტ-მკვლევართათვის ამ გამოცემას ცალკე დამატებად დაერთოს აკაკის სრული ბიბლიოგრაფია“¹⁴.

კომისია თვლიდა, რომ ასეთი გამოცემა შესამჩნევად შეამცირებდა გამოცემლობის ხარჯებს. ამგვარად შერჩეული გამოცემა 5—6 ტომით განისაზღვრებოდა (ნაცვლად 20 ტომისა). ეს მკითხველისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა, რადგან ამ ტომების ფასი 20 მანეთს არ აღემატებოდა, ნაცვლად წინანდელი 60 მანეთისა.

კომისიის სხდომის ოქმში ცალკეა შეტანილი კერძო აზრი დ. ყიფშიძისა, რომელსაც სასურველად შიაჩნია დაიბეჭდოს აკაკის ის ნაწერები, რომლებიც მანამდე გამოქვეყნებული იყო.

როცა ცალკეული თხზულებების გამოცემაზე მიდგა ჯერი, აღმოჩნდა, რომ აკაკი წერეთელს რამდენიმე ნაწარმოებზე გამოცემის უფლება გაყიდული ჰქონდა. ჩვენს ხელთ არის საგანგებოდ ნოტარიალურად დამოწმებული ხელშეკრულების პირი, რომელიც გვაუწყებს, რომ ისტორიული რომანი „ბაში-აჩუკი“, ისტორიული პოემები: „ნათელა“, „იკოლას ნამბობი“ და „ბაგრატ დიდი“ აკაკი წერეთელმა სამუდამოდ გამოცემის უფლებით მიჰყიდა იოსებ მერკვილაძეს. „...За продажу эту я князь Церетели выговорил себе одну тысячу пятьсот рублей, которые сполна и получил и

¹³ მხედველობაშია დავით ყიფშიძე.

¹⁴ ხელ. მუხუშუმის ფონდი, ყ. 876, საქ. 27.

ია სიმ კ нему Иосифу Мерквиладзе и преемникам его переходит право издания и продажи оказанных произведений навсегда¹⁵. ეს ხელშეკრულება 1913 წლის აპრილშია გაფორმებული. ი. მერკვილაძე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი იყო და, როგორც ჩანს, აკაკის გარდაცვალების შემდეგ, მისი ანდერძის განხორციელებას (საზოგადოების მიერ ა. წერეთლის თხზულებათა გამოცემისა და ხალხური სიტყვიერების ფონდის შექმნის შესახებ) მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს. მან უსახყიდლოდ დაუთმო გამოცემად აკაკის თხზულებები საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას (მერკვილაძის გაცხადება დაცულია ხელ. მუზეუმის ფონდში, ყ. 876, საქ. № 27).

„ქართული ეთნოგრაფიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს
ბ. ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილს
ამავე საზოგადოების მუდმივი წევრის
იოსებ ნიკოლოზის ძის მერკვილაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

განსვენებული ჩვენი სასიქადულო და უკვდავი მგონის აკაკის ანდერძით მისი ნაწარმოების საავტორო უფლება გადადის ქართული ეთნოგრაფიული საზოგადოების ხელში. ამის გამო და აგრეთვე ასაცილებლათ ყოველგვარი გაუგებრობისა ან მითქმა-მოთქმისა მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს გაცნობით თქვენ როგორც ხსენებული საზოგადოების თავმჯდომარეს და წარმომადგენელს შემდეგი:

განსვენებული აკაკისგან ნოტარიუსთან დადებული ხელშეკრულობით შექმნილი მაქვს სრულ და სამუდამო საკუთრებათ ოთხი მისი ნაწარმოები სახელდობრ:

1. ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ და ისტორიული პოემები 2) „ნათელა“ 3) „კიკოლას ნამბობი“ და 4) „ბაგრატი დიდი“, გარდა ამისა, მისგანვე შინაური ბარათით შექმნილი მაქვს ერთი გამოცემის უფლება ისტორიული დრამისა „პატარა კახი“. ეს ბარათი მოცემულია 1913 წ. 7 აპრილს. გაცნობებთ რა ზემოხსენებულს, პატივი მაქვს გაგიცხადოთ, რომ მე ვისარგებლებ კანონიერი უფლებებით და გთხოვთ იქონიოთ ეს ჩემი გაცხადება მხედველობაში.

აქვე დავსძენ: როცა საზოგადოება შეუდგება აკაკის ნაწერების

¹⁵ ხელ. მუზეუმის ფონდი, გ. 876, საქ. 27.

ტომებათ სრულს აკადემიურ გამოცემას, მე ჩემი მხრით სავალდებულოთ მივიჩნევ არ შეეუშალო. ხელი ასეთ სასარგებლო საქმეს აკაკის რომელიმე ნაწარმოების გამოკლებით და „საზოგადოებას“ უსასყიდლოდ ნებას დაერთამ მოათავსოს იმ გამოცემაში ჩემ მიერ შექმნილი თხზულებებიც სხვა მის ნაწერებთან ერთად მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს თხზულებები არ იქნეს გამოცემული ცალკე ტომათ; ან თითვეული მათგანი ცალ-ცალკე.

ამასთანავე წარმოგიდგენთ ზემოსხენებული საბუთების ასლებს:

1) ტფ. ნოტარიუსის მიტკევიჩის მიერ შემოწმებული ხელშეკრულებისა 1913 წლის 9 აპრილს (რუსულ ენაზე) და 2) ჩემ მიერ შემოწმებულს შინაური ბარათის ასლს (7 აპრილი 1913 წლისა).

უღრმესი პატივისცემით საზოგადოების მუღმივი წევრი
იოსებ ნიკოლოზის ძე მერკეილაძე“.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება იწყებს ზრუნვას აკაკი წერეთლის თხზულებათა შეძლებისდაგვარად (ძირითად გამარტივებული გეგმით) გამოცემისათვის. გამომცემლად შერჩეული იქნა „თ. მთავრიშვილის ამხანაგობა“. ამ ამხანაგობის წარმომადგენლის თომა აბრამის ძე მთავრიშვილის მიერ წამოყენებული პირობები აკმაყოფილებდა საზოგადოებას. 1919 წლის 2 აგვისტოს აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის შესახებ გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება (საზოგადოების სახელით ხელს აწერდა მისი თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი) უთმობდა დიდი მგოსნის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემის უფლებას „თ. მთავრიშვილის ამხანაგობას“ — შემდეგი პირობებით: გამოცემა უნდა განხორციელებულიყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით; გამომცემელს უნდა ეკისრა ყოველგვარი შრომა და (სარედაქციო, კორექტურა და სხვ.) ხარჯი; გამომცემელს უფლება ეძლეოდა გამოეცა ცალკე წიგნებად (ბროშურებად) აკაკის ყოველი ნაწარმოები, რომელსაც თვითონ მოისურვებდა, გარდა იმ თხზულებებისა, რომელთა გამოცემის უფლება თვით საზოგადოებას არ ჰქონდა; გამომცემელს უფლება ეძლეოდა განეხორციელებინა გამოცემა ხელშეკრულების დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში; საზოგადოებას უფლება არ ჰქონდა „მთავრიშვილის ამხანაგობის“ მიერ გამოცემული აკაკის თხზულება, ორი წლის განმავლობაში დღიდან მისი დაბეჭდვისა, თვითონ გამოეცა, ან სხვისთვის გადაეცა გამოსა-

ცემად; თითოეული წიგნის ტირაჟი უნდა ყოფილიყო არა უმეტეს 5000-ისა. გამოცემულ ცალთა რაოდენობა ყოველთვის გამოცემულს უნდა ეცნობებინა საზოგადოების საბჭოსათვის; საზოგადოებას უნდა მისცემოდა ყოველ დაბეჭდილ ცალზე ნომინალური ფასის 15%. ამასთან, გამომცემელს უფლება არ ჰქონდა წიგნის ნომინალური ფასი გაედიდებინა (გამოცემის შემდეგ) საზოგადოების საბჭოსთან შეუთანხმებლად; გამომცემელს კუთვნილი თანხა უნდა ჩაებარებინა საზოგადოების საბჭოსათვის ერთი წლის განმავლობაში დღიდან წიგნის გასაქიდად გამოსვლისა; საზოგადოება იტოვებდა უფლებას აკაკის თხზულებები გამოეცა ტომებად, როცა მოისურვებდა.

ასე დაიწყო დიდი საქმიანობა აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოსაცემად. 1919—1920 წწ. ქართველმა მკითხველმა მიიღო ცალ-ცალკე წიგნებად გამოცემული „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“, „თამარ-ცბიერი“ და „გამზრდელი“. აქედან ჩაეყარა საფუძველი ამ დიდ საქმეს. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ოცნებას — განხორციელებულიყო აკაკის თხზულებათა სრული და კრიტიკული გამოცემა—ფრთები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეესხა. საზოგადოების მიერ გაწეული დიდი საქმიანობა იყო საფუძველი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდი მგოსნის თხზულებათა გამოცემის მეცნიერულ რელსებზე დაყენების საქმეში.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან დაახლოვა ამ უკანასკნელმა ფრიად მნიშვნელოვანმა, კონკრეტულმა და სასარგებლო ეროვნულმა საქმიანობამ და ისტორიისა და ხალხური შემოქმედების დიდმა სიყვარულმა. საზოგადოებაც ფართოდ უღებდა კარს საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეებს, რომელთა გვირგვინიც თვით მისი საპატიო წევრი საქართველოს უგვირგვინო მეფე აკაკი წერეთელი იყო.

ა) მათა-შაპავლა

1907 წლის 8 ნოემბერს არაჩვეულებრივი (საგანგებო) საზოგადო კრების (ოქმი № 3) დადგენილების შესამე მუსხლში აღნიშნულია, რომ წესდების § 16-ის შესაბამისად გრიგოლ დიასამიძისა და სერგი გორგაძის წინადადებით, არჩეულ იქნენ საზოგადოების ნამ-

დვილი წევრები. ოქმში ჩამოთვლილი არიან ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები, პროფესორები და დოცენტები; და ბოლოს, არის ასეთი კატეგორიაც „სხვადასხვა მდგომარეობისა და პროფესიისანი“. სწორედ ამ დანაყოფში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში მიღებულ სხვა წევრთა შორის დასახელებულია რაზიკაშვილი ლუკა პაეღეს ძე. დიას, ვაჟა-ფშაველა სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა გვერდით საზოგადოების დაარსების პირველი დღეებიდანვე ჩაუჭოთ დიდსა და სასარგებლო საქმიანობაში. პოეტს განსაკუთრებით იტაცებდა ხალხური ადამ-ჩვევების აღწერა და კვლევა. იგი დიდი გატაცებით კრებდა და სწავლობდა ხალხურ პოეზიას¹⁶. ეს საკითხები უშუალოდ შედიოდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობის ინტერესებში. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში საერთოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ეთნოგრაფიულმა წერილებმა¹⁷. ზრულიად არ არის შემთხვევითი, რომ ვაჟამ თავისი ნაშრომი (ეთნოგრაფიული მოთხრობა) — „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ დაბეჭდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „ძველი საქართველო“ (ტ. II, 1913 წ., გვ. 277—349). აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია ფშაველის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მომენტი და დამახასიათებელი თვისება დაქორწინებიდან გარდაცვალებამდე (საგულისხმოა, რომ ეთნოგრაფიული მოთხრობა ავადმყოფობა-გარდაცვალებით იწყება). აღბათ ზედმეტია იმაზე მსჯელობა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფშავეის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შესწავლას. აქ მოცემული იყო ქართველი ხალხის უძველესი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია, თანაც არა ექსპონატის სახით, არამედ ცოცხლად, ცხოვრებისეულად. ფშავ-ხევსურეთი თავისი განკერძოებული გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, მაინც განიცდიდა ბარის საქართველოდან მომავალ მძლავრ კულტურულ მიმდინარეობათა გავლენას. ამიტომ, ბუნებრივია, ფშავეის პირველყოფილმა (გვაროვნულმა) წყობილებამ (თემურბ მიწისმფლობელობა, კლასობრივი დიფერენციაციის უქონლობა, ჩვეულებითი სამართალი, ანიმიზმი) გარკვეულად ტრანსფორმირებული სახით მოაღწია. მიუხედავად ამისა, ვაჟა-ფშაველას მიერ

¹⁶ ის. მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, თბ., 1956; ქ. სისარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბ., 1956, გვ. 186—237.

¹⁷ ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, გ. ქიქოძის რედაქციით, თბ., 1937; მისივე, თხზულებანი, ტ. V (პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები), თბ., 1961.

მოცემული ფშაველთა ადამ-ჩვევები (ავადმყოფობა, სიკვდილი, ხულის მკითხავიან, ფშაველის შეურნეობა, ნადირობა, ხალარჯაობა და რიგი, ნიშნობა, ქალის გატაცება, გატაცებულის დაბრუნება, ქორწილი, ფშავეური სიმღერები და ანდაზები) ძვირფასი მასალაა ჩვენი ხალხის წარსულის შესწავლისათვის.

განუზომელია პოეტის დეაწლი ქართული ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლის საქმეში¹⁸. მან გამოაქვეყნა ბევრი საინტერესო წერილი თუშ-ფშავე-სევესურების ცხოვრებიდან. მათში უზეადაა გამოყენებული ფოლკლორული მასალა (მაგ. „ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი (ფშაური პოეზიის გამოსატულებით)“, „კობალა და იახსარი — დევების მებრძოლნი“, „გმირის იდეალი“, „ლაშარობა“, „აფსუშობა“ და სხვ.). საგულისხმოა, რომ ვაჟა-ფშაველას როლი მსოლოდ მასალების შეკრებით არ განისაზღვრება. მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხური ტექსტის უცვლელად ჩაწერას. ვაჟა ხალხური შემოქმედების მკვლევარი-თეორეტიკოსია¹⁹. მის წერილებში მოცემულია ხალხურ ნაწარმოებთა რეალური საფუძვლის დადგენის ცდა. მწერლის კვლევის მეთოდი შედარებით ისტორიულია. მისი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევების საფუძველია დებულება — მხატვრული შემოქმედება საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლია. წერილში „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოსატულებით“ საგმირო ლექსები განხილულია სოციალური გარემოს ფონზე. გმირობასა და ვაჟკაცობას მწერალი ქართველი ხალხის დამასახათებელ თვისებად თვლის. მისი აზრით, ამგვარ ლექსებში მთელი სისრულით გამოვლინდა ხალხის სული. ვაჟა-ფშაველამ ბევრი ხალხური ლექსი ჩაიწერა ვაჟკაცობაზე, სიყვარულზე, წაწლობაზე და სხვ.²⁰

¹⁸ ხალხური შემოქმედების არაერთი ნიმუში შეკრება ვაჟა-ფშაველას ძმამ თელო რაზიკაშვილმაც (ისიც ხაისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების აქტიური წევრი იყო). „ქველი საქართველო“ მე-3 ტომში დაიბეჭდა თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში შეკრებილი სხეადსხეა ხალხური ლექსი (ისტორიული, საგმირო, ეპიტაფიება, სასულიერო, საქაო და საიქიო ცხოვრების შესასებ, სიკვდილ-სიცოცსლეზე, დედინაცვალსა და გერზე, მამასასლისზე, თეაღზე, აზნაურზე და სხვ.), სიმღერა (იანანა, ჭონა, მეტიეური, საქორწილო და სხვ.), ლოცვა, დალოცვა და სხვ.

¹⁹ ქს. ხ. ხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბ., 1956, გვ. 188.

²⁰ იხ. გ. ბარნოვი, ხალხური სიტყვიერების შემკრები და მკვლევარი, კრებ., ლიტერატურული ძიებანი, XII, თბ., 1959, გვ. 281—297.

ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „სალხური სიტყვიერება“ დაბეჭდა ვაჟა-ფშაველას მიერ შეკრებილი 49 ლექსი და 167 ანდაზა.

გეინდა აღენიშნოთ ვაჟა-ფშაველას დიდი დეაწლის შესახებ ჩვენი მატერიალური ძეგლების დაცვის საქმეში. ამ მხრივ საინტერესოა მწერლის მიერ გამოქვეყნებული დია წერილი „თამარის საფლავის გამო“²¹; სადაც იგი ეხმაურება „სასალხო ფურცელში“ (1915 წ. № 257) გამოქვეყნებულ ფ. სხვიტორელის წერილს „თამარის საფლავი“. ვაჟა მიიჩნევდა, რომ თამარ მეფე დაკრძალული იყო ფშავეში და არა გელათში. ამასთან, წერილის მახვილი მიმართულია სხვა ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემისადმი — ხელოვნების ძველი ნიმუშების დაცვისადმი.

მღვდელს ფარნაოზ სამბახიძეს აღმოუჩენია სამი ჯვარი (ლაშა-გიორგის შეწირული, ე. წ. ლაშარის ჯვარი, თამარ მეფის ჯვარი და თავწყაროს ჯვარი). ლაშარის ჯვარი ვაჟას პირადად უნახავს მდაროსკარში ოქრომჭედელ დავით ჯანაშვილთან, სადაც ბერმონაზონ ილარიონს მიეტანა მოტეხილი ტარის გასაკეთებლად. აღმოფთვებული მწერალი წერს: „უნდა მამა ილარიონს შევნიშნოთ, რომ მან ამ ჯვარის აქეთ-იქით ხურჯინით ზიდვაზე რომ ხელი აიღოს, ურიგო არ იქნება. სწორედ ამ ხურჯინის ბრალია, რომ ჯვარს ტარი მოსტყდა და გასდა მჭედლების საკეთებელ მასალად“²².

ვაჟას სხვა ცნობებიც ჰქონია ჯვარის აქეთ-იქით ტარების შესახებ და ამით შეწუხებული წერს: „მე კარგად ვიცი, რომ ამ ერთი კვირის წინათ ეს ჯვარი ბერმა ილარიონმა ჩამოიტანა ქალაქში ეპისკოპოს ანტონთან. მე ასე ვფიქრობ, რომ ჯვარი თავის ადგილას უნდა იყოს და ვისაც იმის ნახვა ჰხურს, მიბრძანდეს და ადგილობრივი ინახულოს. მამა ილარიონს შეიძლება მოსკოვიდან და პეტროგრადიდანაც მოუვიდეს რუსის ეპისკოპოსების და არქიელების ბრძანება, ლაშარის ჯვარი წამოიღე და თვალთ გვიჩვენეთ. მამ იქაც უნდა გააქანოს?“²³. ვაჟა მტკიცედ მოითხოვს ამ ისტორიული ნივთის საიძედოდ დაცვას: „მე როგორც შვილი იმ თემისა, რომელსაც ჯვარი ეკუთვნის და, მამასადამე სრული უფლების მქონებული, მოვითხოვ, რომ ბერმა ილარიონმა ლაშარის ჯვარი თავის ადგილას მიიტანოს

²¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. V, თბ., 1961, გვ. 322—323.

²² იქვე, გვ. 322.

²³ იქვე, გვ. 322—323.

და დაახვეწოს და აქეთ-იქით საჩვენებლად არ ატაროს, რადგან ამის-
თანა ნივთის მატარებელს ხიფათი თან დასდევს“²⁴.

ვაჟა-ფშაველას დიდ პოეტურ გენიას, მის ნათელ შემოქმედებას
ამკობს მოღვაწეობა ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლასა და
ისტორიულ სიძველეთა დაცვის საქმეში. მწერლის, როგორც საქარ-
თველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრის, საქ-
მიანობა ნათელი ფურცელია მის უაღრესად ლამაზ პიოგრაფიაში.

ბ) საპატიო წმინდე

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას
ჰყავდა ოთხი საპატიო წევრი: აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ცაგარ-
ელი, კირიონი და ნიკო მარი.

წესდების მე-8 პარაგრაფის შესაბამისად, საპატიო წევრად შესაძ-
ლებელი იყო იმ პირის არჩევა, ვინც თავისი მნიშვნელოვანი სამეც-
ნიერო გამოკვლევებით ან სხვა სამსახურით გამოიჩინდა თავს. პირ-
ველი საპატიო წევრი იყო აკაკი წერეთელი, რომლის შესახებ ზემოთ
უკვე იყო საუბარი, ამიტომ ამჯერად დანარჩენ სამ წევრზე შევიჩრ-
დებით.

1909 წლის 14 ივნისს საბჭოს წინადადებით საისტორიო და სა-
ეთნოგრაფიო საზოგადოების საპატიო წევრად ერთხმად იქნა არჩე-
ული პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი (არაჩვეულებრივი საზო-
გადო კრების ოქმი № 24). მხედველობაში იქნა მიღებული „მისი
ხანგრძლივი სამეცნიერო მუშაობა ჩვენი წარსულისა, მწერლობისა
და ენის შესწავლის საქმეში (ხელნაწერების შესწავლა, დოკუმენტე-
ბის ბეჭდვა და მეგრული კილოკავის გამოკვლევა)“.

ალექსანდრე ცაგარელი (1844—1929 წწ.) მართლაც ფართო მას-
შტაბის მკვლევარი იყო²⁵. იგი პეტერბურგში ათეული წლების მან-
ძილზე მედგრად იკვლევდა საქართველოს ისტორიისა და მწერლო-
ბის სხვადასხვა საკითხს. აღ. ცაგარელმა შეცვალა დავით ჩუბი-
ნაშვილი და პეტერბურგის ქართველოლოგიურ სკოლას სათავეში
ჩაუდგა. მან მთელი თავისი ძალა ქართული მწერლობის და საქარ-
თველოს ისტორიის შესწავლასა და პოპულარიზაციას მოანდომა. იგი

²⁴ ვაჟა-ფშაველა, ტ. IV, თბ., 1961, გვ. 323.

²⁵ აღ. ცაგარელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. კ. კინწურაშვილი,
ალექსანდრე ცაგარელი, თბ., 1974.

თავგამოდებით იბრძოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული სიტყვიერების კათედრის კანონიერ უფლებებში დამკვიდრებისათვის. ალ. ცაგარელი რისხვით ილაშქრებდა საქართველოს ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ. იგი გაურბოდა უნაყოფო პოლემიკას, მაგრამ, როცა გრძნობდა, რომ უსამართლო გამოსვლოებით მეცნიერების ინტერესები ილახებოდა, იგი ამბობდა: „ასეთ დროს გაჩუმება საქმის ღალატს უდრისო“.

მეცნიერული კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ალ. ცაგარელმა ის „მკვლევარები“, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საქართველოს ისტორიული წარსულის ამსახველი ძეგლების კრიტიკით. პროფ. სენკოვსკის ეჭვი შეჰქონდა საქართველოს ისტორიის ისეთ საკითხებშიც კი, რომლებიც ჯეროვნად იყო გამოკვლეული და მათი ჭეშმარიტება უცილობელი იყო. მისი შემკვიდრე-მიმბაძველები იყვნენ ი. შოპენი და ქ. პატკანიანი, რომლებიც ქართული ისტორიული წყაროების მეცნიერულ მნიშვნელობას უბოდიშოდ უარყოფდნენ.

ალ. ცაგარელმა გამოაშკარაა ამ ვაიმეცნიერთა ნამდვილი განზრახვა—შეეფერხებინათ ქართველოლოგიურ მეცნიერებათა განვითარება. თუნდაც ის ფაქტი, რომ არც ერთმა მათგანმა ქართული ენა არ იცოდა და ისე მსჯელობდნენ საქართველოს ისტორიის წყაროებზე, ნათელს ხდის მათი გამოკვლევის ნამდვილ ღირებულებას. „პროფ. პატკანოვის „გამოკვლევა“,—წერდა ალ. ცაგარელი,—სხვა არა არის რა, თუ არა სიტყვა-სიტყვით ან ოდნავ შეცვლილი სახით უარყოფითი აზრების კრებული, რომელიც ოდესმე გამოუთქვამთ მის წინამორბედებს ან თანამედროვეებს ქართული ისტორიული კრებულის „ქართლის ცხოვრების“ შესახებ“.

ალ. ცაგარელი ქართულ სიძველეთა თვალსაჩინო მკვლევარი იყო. იგი გაეცნო იმ ქვეყნების წიგნთსაცავებსა და არქივებს, რომლებთანაც საქართველოს ისტორიულად ჰქონდა კავშირი. მოსკოვის არქივის; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკისა და სიონის ტაძრის საეკლესიო მუზეუმში დაცული საბუთების შესწავლის შემდეგ მეცნიერი რომში, ვენეციასა და კრაკოვში ეცნობა ქართულ სიძველეებს²⁶. რომში ალ. ცაგარელმა გაიცნო მიქელ თამარაშვილი²⁷. მეცნიერის ყურადღებას არ გამოჰ-

²⁶ კ. კინწურაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

²⁷ შ. ლომსაძე, მისიელ თამარაშვილი, თბ., 1964, გვ. 105.

პარტია პეტერბურგში მოსწავლე ქართველები, ყოველნაირად ზრუნავდა იგი ახალგაზრდებზე, ახალისებდა მათ. უდიდესი აღფრთოვანებით შესვდა ალ. ცაგარელი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებას საქართველოში. ბერლინიდან საგანგებო წერილი გამოუგზავნა ე. თაყაიშვილს, მოუწონა ქართული მუზეუმისათვის საკუთარი შენობის აგების გადაწყვეტა. ალ. ცაგარელი თვლიდა, რომ ეს საქმე ყველა ქართველისთვის მახლობელი იყო და თვითონაც გამოთქვამდა აზრს, რომ მუზეუმი გარეუბანში არ აეშენებიათ. სასურველი იყო მუზეუმის ქალაქის ცენტრში მოთავსება, რომ ადვილად მისადგომი ყოფილიყო დამთვალეირებლებისათვის. მეცნიერი თვლიდა, რომ მუზეუმი ქართულ სტილში უნდა აგებულიყო. ასახელებდა ლიტერატურას (დიუბუას მოგზაურობის ატლასი, პროფ. გრიმის ქართული ეკლესიების აღწერილობა, გაგარინის პარიზში გამოცემული ალბომი, გრაფინია უვაროვას ფოტოგრაფიული ალბომი), რათა არქიტექტორებს შეესწავლათ საუკეთესო ნიმუშები²⁸. ალ. ცაგარელი წერდა ე. თაყაიშვილს, რომ ჩემის მხრივ მუზეუმს შემწეობას არ მოვაკლებო, თანაც თხოვდა დაწერილებით შეეტყობინებინა საქმის მიმდინარეობა.

ალ. ცაგარელი ქართველი საზოგადოების უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა. მას განსაკუთრებით აფასებდა ივანე ჯავახიშვილი, რომლის ინიციატივითაც თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ 1920 წლის 8 მაისს ალ. ცაგარელი დამსახურებულ პროფესორად აირჩია და ლექციების წასაკითხად მოიწვია. მეცნიერი დათანხმდა ამ საპატიო მოწვევას და დაიწყო თბილისის უნივერსიტეტში ლექციების კითხვა ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიაში.

ქართველოლოგიის კვლევაში ალ. ცაგარელის დიდი დამსახურების შესახებ აღინიშნა 1922 წელს მისი მოღვაწეობის 50-ე წლისთავის იუბილზე. „აღექსანდრე ცაგარელი და ივანე ჯავახიშვილი! — გამოაცალეთ ეს სახელები ჩვენი დროის ანალებს და ხელში შეგრჩებათ სიცარიელე... — წერდა კონსტანტინე გამსახურდია გაზეთ „ლომისში“ (1922 წ., № 9), — ალ. ცაგარელს ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ იგი მუდამ ფიქრობდა თავის პატარა საქართველოზე. 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს დღეს სწორედ ამ დიდი სიყვარულისათვის აკოცებს საქართველო თავისი შვილის ნოჭებიან შუბლს“.

²⁸ კ. კინწურაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

„მეცნიერება არ არის რაიმე გარეგანი სამკაული, არამედ ნამდვილი სულის ძალაა,“ — თქვა ალ. ცაგარელმა და მთელი თავისი ძლიერი სული სწორედ ერისა და ეროვნული მეცნიერების კვლევას შესწირა მსხვერპლად.

1913 წლის 2 ივლისის წლიური კრების № 74 ოქმი გვაუწყებს: „საბჭოს წინადადების თანახმად კრებამ ერთხმად აირჩია ყოვლად სამღვდელთ ეპისკოპოსი კირიონი საზოგადოების საპატიო წევრად“. კირიონი (1855—1918 წწ.), კირიონ II-დ წოდებული (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1917—1918 წწ.) საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი იყო. წერდა „ივერიელისა“ და „ნიქოზელის“ ფხევდონიმებით. 1896 წელს, ძეუღლისა და შვილების გარდაცვალების შემდეგ, ბერად აღიკვეცა და ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი გახდა. 1898 წლიდან იყო ალავერდის, ხოლო 1901 წლიდან გორის ეპისკოპოსი. კირიონი თავგამოდებით იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. 1902 წლიდან მოღვაწეობდა რუსეთის სხვადასხვა ეპარქიაში. კირიონი ავტორია ისტორიული, არქეოლოგიური და ფილოლოგიური ხასიათის გამოკვლევებისა. მან მიაკვლია არაერთ უნიკალურ ძეგლს (პაველე მოციქულის ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანი, „კორიდეთის ოთხთავი“), შეკრიბა ძველი ქართული ხელნაწერები, ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ძველი მონეტები. კირიონის ინიციატივით პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსდა აღმოსავლეთის ეკლესიათა ისტორიის კათედრა, რომელიც ქართული ეკლესიის ისტორიასაც სწავლობდა; დიდად ზრუნავდა ახალგაზრდობაზე, მის ხარჯზე 15 ქართველმა სტუდენტმა მიიღო უმაღლესი განათლება რუსეთსა და საზღვარგარეთ, ფართო პოპულარიზაციას უწევდა საქართველოს ისტორიას და კულტურას. კირიონი თავისა მდიდარა არქივი 1911 წელს გადასცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

1913 წლის 20 სექტემბერს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საპატიო წევრად არჩეულ იქნა გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე და ლინგვისტი აკადემიკოსი ნიკო მარი (1865—1934 წწ.). ნ. მარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მნიშვნელოვანი ლიტერატურაა შექმნილი. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართული და სომხური ფილოლოგიის შესწავლაში; მიაკვლია და გამოაქვეყნა არაერთი ძველი ქართული და სომხური დოკუმენტი; ნ. მარმა დაარსა სერია „Тексты и разыскания по армяно-грузинской фило-

ლოგნი“ (1—13, გამოვიდა 1900—1913 წწ.). იგი დიდი წარმატებით სწავლობდა კავკასიის (ქართველურ, აფხაზურ) ენებს, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას.

ნ. მარმა ქართველოლოგიაში საინტერესო გამოკვლევები გამოაქვეყნა: „ორი სურათი ანისში: წმინდა ნინო და თამარ მეფე“, ცნობის ფურცელი, 1905, № 2884; „История Грузии (культурно-исторический набросок). По поводу слова проф. И. Восторгова о грузинском народе“ СПб, 1906; „რა წილი აქვს ქართულს ენის შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში“, ტფ., 1930; „ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით“, მნათობი, 1925, № 4 და სხვ.

ნ. მარმა 1902 წლის აპრილ-სექტემბერში ივანე ჯავახიშვილთან ერთად იმოგზაურა სინას მთაზე ქართული ხელნაწერების მიკვლევისა და შესწავლის მიზნით²⁹. აქ მათ მოიპოვეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ხელნაწერი, გამოავლინეს ბევრი საინტერესო ძეგლი, რომელთა ერთი ნაწილი ფოტოგრაფიულად იქნა გადმოღებული, ზოგი კი გადმოიწერა.

ნ. მარს ქართული უნივერსიტეტის დაარსება-საქმიანობა თავისებურად ჰქონდა წარმოდგენილი და, როგორც ჩანს, გარკვეულ დრომდე არ უყურებდა ამ საქმეს პერსპექტიულად, რასაც უნივერსიტეტის მესვეურთა უკმაყოფილება გამოუწვევია და ერთხანს უსიამოვნებაც ჩამოვარდნილა. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება დიდხანს არ გაგრძელებულა. ივ. ჯავახიშვილი დიდი პატივისცემით ეკიდებოდა ნ. მარის მეცნიერულ ნაღვალს, უზიარებდა თავის მოსაზრებას სხვადასხვა საკითხზე. არც ნ. მარი იყო გულგრილი საქართველოსა და ქართველი მეცნიერების მიმართ. იგი 1928 წ. 20 ნოემბერს ლაიფციგიდან წერდა ივ. ჯავახიშვილს: „სიბერის დღეს ნამეტარი ზიძმძიმე დამეჭრა თავზე, ერთი აღმოჩენა მეორეს მოსდევს, რომ ყველა მოგწერო თქვენც არ დაიჯერებთ მგონი, იმდენად ჩემთვისაც მოულოდნელი გამოჩნდნენ ყველანი ერთად და თითო ცალკე სხვაგვრივ, ვიდრე ადრე, გამოშუქებით. ბევრი უწინდელი უნდა უკუვაგდო, არათუ როგორც აღმოჩენილი ფაქტი, არამედ როგორც მთლიან აღმშენებლობის ნაწილი“³⁰. ნ. მარი თბილისის უნივერსიტეტში მიუწვევიათ

²⁹ რ. მეტრეველი, კვალი განათლებული, ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1958, გვ. 152—156.

³⁰ ნიკო მარის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, ცსა (თბ.), ფონ. რ. — 471, საქ. 74, ფურ. 179, საისტორიო მოამბე, 21—22, 1967, გვ. 484—485.

ლექციების წასაკითხად, ისიც საგანგებოდ მომზადებულია ამ საქმიანობის. ნ. მარი საქართველოს დიდი მოყვარული იყო. ამას მოწმობს ისი წერილები და სტატიები, რომლებშიც მეცნიერულ ხილრმესთან ერთად, ნათლადაა გადმოცემული მისი დამოკიდებულება საქართველოსადმი, ამაზე მეტყველებს მისი დიდი ზრუნვა საქართველოს სიძველეთა დაცვისადმი (განსაკუთრებით 30-იანი წლების დასაწყისში).

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საპატიო წევრებმა ჭეშმარიტად დიდი წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინსვლაში, ფასდაუდებელი ამაგი (მატერიალური თუ მორალური) დასდეს თვით საზოგადოებას.



საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მრავალრიცხოვან წევრთა შორის ბევრმა გამოიჩინა თავი მამულიშვილური საქმეებით. ბევრი მათგანი ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროს ემსახურებოდა და მის წინსვლას ახმარდა ძალასა და ენერგიას. საზოგადოების არაერთი წევრი სამუდამოდ შევიდა დიდ ქართველ მოღვაწეთა რიგებში და ნათელი შარავანდელით შეიმოსა. აქვე შევნიშნავთ, რომ იყვნენ ისეთი მოღვაწეებიც, რომლებიც მუდამ ტრიალებდნენ საზოგადოებაში და ორგანიზებულად აგვარებდნენ მის საქმიანობას. სწორედ ასეთმა მოღვაწეებმა, მათმა თავდადებულმა, გულმოდგინე შრომამ შემოგვინახა დღემდე საოცრად მოწესრიგებული არაერთი დოკუმენტი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ დიდ საქმეებზე, საზოგადოება რომ ეწეოდა. აქ არ შევჩერდებით იმ განუზომელ ღვაწლზე, ექვთიმე თაყაიშვილსა და ივანე ჯავახიშვილს რომ მიუძღოდნენ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებასა თუ მის შემდგომ მოღვაწეობაში. არაერთი ნაშრომი მიეძღვნა ამ ღირსეულ მამულიშვილებს, მათ ცხოვრება-მოღვაწეობას, ბევრიც მომავალში დაიწერება: ვინც ამ ბუმბერაზი მოღვაწეების გვერდით საქმიანობდნენ, მათ შორის უნდა დავასახელოთ სერგი გორგაძე და იროდიონ სონღულაშვილი. მათი მოკრძალებული თანამდებობების დასახელება, ვერ იტევს იმ დიდ შრომას, რომელსაც ეს ორი ადამიანი ეწეოდა. სწორედ ასეთი, ჩუმი და კეთილსინდისიერი ხალხი ზჭირდებოდა დიდი საქმეების პრაქტიკულ განხორციელებას, ორგანიზაციულ

მოგვარებას. ს. გორგაძისა და ი. სონღულაშვილის ძალიან მოკლედ დასახასიათებლად მოვიტანთ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის არქივში დაცულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ცნობას, გაცემულს განათლების სახალხო კომისარიატისადმი საზოგადოების მუზეუმის უმაღლესი კვალიფიკაციის თანამშრომელთა შესახებ (1923 წ. 10 მარტი):

„სახალხო განათლების კომისარიატს³¹.

თანახმად კომისარიატის მიწერილობისა ა. წ. 9 მარტის თარიღით № 49/3903 პატივი მაქვს წარმოგიდგინოთ ქვემოაღწუსებული ცნობები საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის უმაღლესი კვალიფიკაციის თანამშრომელთა შესახებ:

1. მუზეუმის მცველი — სერგო რომანოზის ძე გორგაძე; ცენზი — უმაღლესი განათლება; სპეციალობით — ისტორიკოსი; სტაჟი — პედაგოგიური — 22 წელი, მუზეუმში — 12 წელი. აქვს ნაშრომები:

ა) ფილოსოფია და მისი პროგრესი („მოამბე“, 1901 წ. 11 და 12).

ბ) საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი (იქვე, 1905 წ. 3, 4, 5).

გ) წერილები საქართველოს ისტორიიდან. ნაწ. I (იქვე, 1905 წ. 9, 10, 11, 12), ნაწ. II („ძველი საქართველო“, ტომ. I და II, ტფ., 1908–10 წ.).

დ) ბაგრატიის ტაძარი. ტფილ. 1911 წ.

ე) ქართული წყობილსიტყვაობა („გრდემლი“, I, 1912 წ.).

ვ) ბესიკი, ტფილისი, 1912 წ.

ზ) ნემესიოს ემესელი: „ბუნებისათვის კაცისა“. ტფილ., 1914 წ.

ც) ქართული სადასიტყვაობა. ტფილ., 1915 წ.

თ) ქართული მართლწერა. ქუთ., 1916 წ.

ი) ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში. 1916 წ. (ხელნაწერად).

ია) იაკობ ხუცესი: „წამება წმ. შუშანიკისი“. ქუთ., 1917 წ.

იბ) აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა სრული ბიბლიოგრაფია, 1915 წ. (ხელნაწერად).

³¹ დოკუმენტი ხელით არის დაწერილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბლანკზე.

იგ) ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა („პრომეთე“, 1918 წ. № 2. მეორედ დაიბეჭდა 1922 წელს).

იდ) საქართველოს ძველი ისტორია, ქუთ., 1920 წ.

ივ) ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან (1850–1920 წწ.).

1920 წ. (ხელნაწერად) და მრავალნი სხვანი, სულ 100-ზე მეტი სახელწოდება (დაწვრილებითი სია იხ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმეებში).

2. მუზეუმის მცველის თანაშემწე — ი რო დ ი ო ნ თ ო მ ა ხ ძ ე ს ო ნ დ უ ლ ა შ ვ ი ლ ი; ცენზი.— უმაღლესი განათლება; სპეციალობით — ბუნებისმეტყველი; სტაჟი — მუზეუმში 13 წელიწადი. ნაშრომები: ბელეტრისტული ნაწარმოებნი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში 1914 წლიდან დღემდე.

მუზეუმის მცველი და „საზოგადოების“ მდივანი
ს. გორგაძე“.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არაფერია ცნობილი საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგის, ფრიად განათლებული საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე (ალიოშა) სვანიძის შესახებ. იგი კარგად ფლობდა უცხო ენებს, განსაკუთრებით გერმანულს და ამ ცოდნას ფართოდ იყენებდა სხვადასხვა ისტორიული პრობლემის კვლევისას. ალ. სვანიძე დაინტერესებული იყო საქართველოს უძველესი ხანის ისტორიის საკითხებით. მან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებებს კრებებზე მეტად საინტერესო მოხსენებები წაიკითხა, რასაც დამსწრე საზოგადოების ცხოველი ინტერესი და ცხარე კამათი მოჰყვა. მოხსენებათა პრობლემები ასეთი იყო: „ძველი თქმულებანი ამაზონებზე და არგონავტებზე და მათი ისტორიული ზარჩული“ (1913 წლის 5 მარტი), „ასურული ლურსმული წარწერანი ქართველ ტომთა შესახებ და მათი განმარტება“, „ქართული ისტორიის ერთი პრობლემის გამო“ (აქ განხილული იქნა ივერია II იბერია სახელწოდების საკითხი). ეს ბოლო ორი მოხსენება 1913 წლის 15 მაისს იქნა წაკითხული.

ცნობილია ალ. სვანიძის დიდი დამსახურება ქართული სიძველეების რევეაკუაციის საქმეში, კერძოდ ის დახმარება, რაც მან გაუწია შ. ამირანაშვილს ზოგიერთი ძვირფასი კოლექციის უკლებლივ საქართველოში დაბრუნებისთვის. ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხი

იყო, რომ მის გადაჭრაში აუცილებელი გასდა ი. ბ. სტალინის (აღ. სვანიძე მისი ახლო ნათესავი იყო) ჩარევა³².

პროფ. ს. ჯორბენაძემ გაგვაცნო. აღ. სვანიძის რამდენიმე წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი. აღ. სვანიძე აღშფოთებას გამოთქვამს დიდი მეცნიერის დარბევა-შერისხვის გამო და თანაგრძნობას უცხადებს მას. ვფიქრობთ, სწორედ აღ. სვანიძემ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი ივ. ჯავახიშვილის კვლავ აღზევებასა და მისი ღვაწლის სათანადოდ დაფასებაში.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბევრი წევრი მეტ ყურადღებას იმსახურებს მეცნიერთა მსრიდან. მათი კეთილი და სასარგებლო საქმეები უსათუოდ უნდა გახდეს ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის.



ჩვენი საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევარი საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში ახალი წარმატებების ხანაა. მთელი ძალით მიმდინარეობს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია. განვითარების გრანდიოზული პერსპექტივა დასახა პირველმა ხუთწლიანმა გეგმამ. რესპუბლიკის მტკიცე ეკონომიკური ბაზის შექმნისათვის დიდი მუშაობა გაიშალა. ახალი ამოცანები დაისახა მეცნიერების წინაშეც. ის ფუნქცია, რომელსაც წლების მანძილზე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ასრულებდა სხვადასხვა დაწესებულებაზე განაწილდა. ეს სრულიად ბუნებრივად მოხდა, ყოველგვარი ოფიციალური აქციის გატარების გარეშე. თბილისის უნივერსიტეტის სათანადო კათედრები და სხვადასხვა საზოგადოება (ენათმეცნიერების, გეოგრაფიული და სხვ.) თვითონ აწარმოებენ ცალკეული, მათთვის საინტერესო პრობლემების კვლევას. მართალია, კვლავ ტარდებოდა საისტორიო და საეთნოგრაფიო კრებები, რომლებზეც სხვადასხვა მოხსენებას იმენდნენ და სხვა ხასიათის სამუშაოებიც მიმდინარეობდა, მაგრამ არა ძველებური ინტენსივობით. იკლო თვით საზოგადოების წევრთა რიცხვმაც. 1926 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „საანგარიშო წლის (ე. ი. 1926 წ.) დამდევს საზოგადოებას ჰყავდა: 2 მზრუნველი, 2 საპატიო და 562 ნამდვილი,

³² გ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუშეოში განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1978.

სულ 566 წერი, წლის განმავლობაში გარდაიცვალა 6 ნამდვილი წერი, საწევრო გადასახადის შემოუტანლობის გამო მექანიკურად გამოაკლდა 411 წერი, შეემატა 4 წერი; წლის დამლევს ირიცხებოდა — 2 მზრუნველი, 2 საპატიო და 155 ნამდვილი, სულ 159 წერი“. მიუხედავად ამისა, საინტერესო მუშაობა (სალექციო, საქსპედიციო და სხვ.) მაინც მიმდინარეობდა 1930 წლის საფხვულამდე. ამ დროიდან კი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობა რამდენადმე შეფერხდა. საქმე ისაა, რომ 1930 წლის გაზაფხულის სექსტრის შემდეგ მოხდა უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და მის ბაზაზე რამდენიმე სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტი შეიქმნა. ასეთი იყო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელმაც უნივერსიტეტის შენობის მეორე და მესამე სართულები დაიკავა. ინსტიტუტისთვის განკუთვნილ ფართობში აღმოჩნდა უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი. სამუზეუმო ფონდების კონცენტრაციის შესახებ განსაკვირვებულ საფუძველზე ინსტიტუტის დირექტორის ი. ვაშაყმაძის განკარგულებით, ორივე ეს დაწესებულება შეუერთდა საქართველოს მუზეუმს³³. 1930 წლიდან საქართველოს მუზეუმში ჩამოყალიბდა პალეოგრაფიული, ანუ ხელნაწერთა განყოფილება, რომლის გამგედ პ. ინგოროყვა დაინიშნა. ამ განყოფილებაში გაერთიანდა ხელნაწერთა ოთხი კოლექცია: საეკლესიო მუზეუმის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის ფონდები; რომელთაც დაემატა საქართველოს მუზეუმის საკუთარი ფონდი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის მდიდარმა ეთნოგრაფიულმა მასალებმა საფუძველი დაუდო საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებას³⁴.

როგორც ვნახეთ, 1930 წლის მეორე ნახევრიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გამოეყო თავისი საბაზო მუზეუმი.

1931 წლის დასაწყისში მიმდინარეობდა ე. წ. „კონდრატეევში-

³³ ესარგებლობთ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წერიის აღ. ბარამიძის (იგი დ. კარიჭაშვილის შემდეგ, 1927 წლიდან იყო საუნივერსიტეტო სიძველეთსაცავის სწავლული-მცველი) მიერ ჩვენი თხოვნით დაწერილი მოკონსპიტი. იხ. აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთაზე, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX—A და XXI—B, თბ., 1957, კვ.

³⁴ იქვე.

ნის“ წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია. ამ დროს ზოგიერთი ხელ-
მძღვანელი ორგანოს მემარცხენეული ხასიათის შეცდომების შედე-
გად ივანე ჯავახიშვილი გაათავისუფლეს პროფესორის თანამდებო-
ბიდან. ამავე წლის 8 იანვარს მეცნიერმა საქართველოს საისტორიო
და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს მიმართა განცხადებით,
რომელშიც იუწყებოდა, რომ „...ავადმყოფობისა და სხვა საპატიო
მიზეზის გამო თავს ანებებს საზოგადოებისა და საბჭოს თავმჯდომა-
რეობასა და საბჭოს წევრობას“³⁵.

საბჭომ (თავმჯდომარეობდა ს. ყაუხჩიშვილი, დაესწრნენ: კ. კე-
კელიძე, გ. ჩუბინაშვილი, აკ. შანიძე, შ. ამირანაშვილი, გ. ბოჭორიძე,
ირ. სონღულაშვილი; მდივანი — ს. ჯანაშია) დაადგინა: „ეინაიდან
პროფ. ი. ჯავახიშვილს წინათაც არაერთგზის მრუმართავს საბჭო-
სათვის ანალოგიური, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი განცხა-
დებით, განთავისუფლებულ იქნას იგი აღნიშნულ მოვალეობათა შეს-
რულებებისაგან, თანასმად საკუთარი თხოვნისა. დაევალოს თავმჯდო-
მარის ამხანაგს გადასცეს მას საბჭოს სახელით უდრმესი მადლობა
მის მიერ საზოგადოებისათვის გაწეული ამაგისათვის. თავმჯდომარის
მოვალეობის შესრულებამ დაევალოს, საბჭოს ასალ არჩევნებამდე,
თავმჯდომარის ამხანაგს ს. ყაუხჩიშვილს“³⁶. ამრიგად, 1931 წლის
11 თებერვლიდან ივ. ჯავახიშვილი განთავისუფლებულ იქნა საქ-
ართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და მისი
საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან და დროებით (ასალ არჩევ-
ნებამდე) ამ მოვალეობის შესრულება დაეკისრა ს. ყაუხჩიშვილს.

საზოგადოების საბჭოს იმავე სსდომაზე მიღებულია დადგენილე-
ბა, რომ განათლების სახალხო კომისარიატის მომართვის შესაბამი-
სად გადაემუშაებინათ საზოგადოების წესდება, სოციალისტურ მშე-
ნებლობასთან დაკავშირებისა და კვლევის სფეროში დიალექტიკური
მატერიალიზმის გამოყენების ვათვალისწინებით.

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, საბჭოს სსდომები და საზოგადო
კრებები ძალზე იშვიათად ტარდებოდა. საქართველოს ხელოვნების
მუზეუმში შემორჩენილია ერთი უთარილო და უნომრო ოქმი (რო-
გორც ჩანს, ერთ-ერთი ბოლო სსდომის), რომელშიც დამტკიცებუ-
ლია ნაკოლოზ ბერძენიშვილის ექსპედიციის მარშრუტი და გეგმა,

³⁵ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭოს 1931 წ. 11 თებერვლას
სსდომის ოქმი № 262, საქართველოს ხელოვნების სასელმწ. მუზეუმა, ყ. 358.

³⁶ იქვე.

1932 წლის აგვისტოსათვის (სამი კვირით). მართლაც, 1932 წლის 8 აგვისტოდან საქართველოს გზების ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლას მიზნით ნ. ბერპენიშვილმა იმოგზაურა ქართლსა და იმერეთში. მისი დღიურიდან ვიგებთ, რომ ამ მიზნის განსახორციელებლად სათანადო ხარჯებისთვის ჯერ საქართველოს მუზეუმისთვის მიუძღრათავს, შემდეგ გეოგრაფიული საზოგადოებისთვის, მაგრამ არაფერი გამოხვლია. „ისევე საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების მცირე დანაშუხი გამოვიტანეთ. იროდიონ სონღულაშვილმა გვიშველა“³⁷. ამგვარად, ნათელია, რომ 1932 წლის ქართლ-იმერეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია დაფინანსებული იყო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ.

შემდგომი პერიოდის საბუთები არ არსებობს. როგორც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილ წევრებს ა. შანიძეს, ხ. ყაუხჩიშვილს, გ. ჩიტაიას, ალ. ბარამიძეს ახსოვთ, ამ დროიდან (1931—1932 წწ.) საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ პრაქტიკული საქმიანობა შეწყვიტა. საზოგადოების ოფიციალური ლიკვიდაციის შესახებ კი ცნობა არ მოიპოვება.

თუ ყოველივე ზემოთქმულს ერთიანად გადავავლებთ თვალს, გადაუჭარბებლად უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავისი არსებობის მთელ მანძილზე უდიდესი როლი შეასრულა ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში. იგი წლების მანძილზე აკადემიის ტიპის ერთადერთი დაწესებულება იყო საქართველოში. განუზომელია საზოგადოების როლი ისტორიული სიძველეების დაცვის საქმეში. სწორედ მისი უდიდესი დამსახურებაა, რომ სხვადასხვა სახის ისტორიული ნივთი თუ მატერიალური კულტურის (კერძოდ ხუროთმოძღვრების) არაერთი ძეგლი გადარჩა განადგურებას. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ შემოიკრიბა იმდროინდელი მთელი მოწინავე სამეცნიერო და კულტურული ინტელიგენცია, რომელთათვისაც თვითონ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. რაოდენი სითბოა ჩაღვრილი საზოგადოების წევრის სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის მოგონებაში: „ვმონაწილეობდი ამ პერიოდის თითქმის ყველა ექსპედიციაში, რომლებიც მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის მიზნით ეწყობოდა. ეს იყო ჩემი უმაღ-

³⁷ ნ. ბერპენიშვილი, ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია 1932 წელს (დღიური), საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 1.

ლესა სასწავლებელი“ (ლ. გუდააშვილი, მოგონებების წიგნი, თბ., 1979, გვ. 7). დიას, დიდი ეროვნული საქმიანობა, რომელსაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ეწეოდა ჭეშმარიტი სასწავლებელი იყო მრავალთათვის.

თავისი მეცნიერული მოხსენებებით, საექსპედიციო საქმიანობით, მუსეუმისა და წიგნთსაცავის გამართვით, საგამომცემლო მოღვაწეობით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული კულტურის ისტორიაში. და რაოდენ სასიხარულოა, რომ ათეული წლების შემდეგ ამ ოცი წლას წინ მას. გაუჩნდა ღირსეული მემკვიდრე საქართველოს საისტორიო (აღრე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის) საზოგადოების სახით, რომელიც უდიდეს სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა და შესანიშნავად აგრძელებს თავისი წინაპრის ტრადიციებს.

მ ა ს ა ლ ე ბ ი

საძართხელის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
ისტორიისათვის

მკითხველს ვთავაზობთ მასალებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ. ამ დოკუმენტებს უპირველესად ისტორიული ნარკვევის რამდენადმე შევსების დანიშნულება აქვს. აქ მოცემულია საზოგადოების ცალკეულ პირებთან თუ დაწესებულებებთან მიმოწერის მასალები, საზოგადო კრებათა და სალინგვისტო განყოფილების სხდომების რამდენიმე ოქმი, შემოწირულებათა ერთ-ერთი (1911—1912 წწ.) სია, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა სია 1909 წლის პირველი იანვრისა და 1913 წლის პირველი იანვრისათვის. წარმოდგენილი მასალები დაცულია საქართველოს ისტორიულ არქივში (სხვადასხვა ხასიათის მიმოწერა, ანგარიშები და სხვ.), საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (საზოგადო კრებათა ოქმები და სხვ.), საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (მიმოწერა მუზეუმის მშენებლობასთან დაკავშირებით, სხვა დოკუმენტები), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის არქივში (სხვადასხვა ხასიათის მიმოწერა და სხვ.), ქუთაისის ისტორიულ არქივში (მიმოწერა საზოგადოებასა და ქუთაისის აგენტებს შორის და სხვ.) და გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში (სალინგვისტო განყოფილების ოქმები და სხვ.). ამ მასალების ერთი ნაწილი (საზოგადო კრებათა № 5, № 52 და № 57 ოქმები, შემოწირულებათა და საზოგადოების წევრთა სია) გამოქვეყნებული იყო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულის „ძველი საქართველოს“ I და III ტომებში, მაგრამ, ერთი მხრივ, მასალისადმი დიდი ინტერესის, მეორე მხრივ კი, ამ გამოცემათა ბიბლი-

ოგრაფიული იშვიათობის და სელმეუწეუნლობის გამო, საჭიროდ მაყინაიეთ მათი ხელახალი გამოქვეყნება (თანაც ოქმები შევეუ-
დარეთ დედნებს), ასევე ვებჭდაეთ ადრე ჩვენ მიერ გამოქვეყ-
ნებულ („სკოლა და ცხოვრება“, 1974, № 10, გვ. 84—89) რამდე-
ნამე დოკუმენტს (№ XII—XVIII). დანარჩენი საბუთები პირველად
ქვეყნდება.

მასალები დალაგებულია ქრონოლოგიურად, შემდეგი თანამიმ-
დევრობით: ა) საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზო-
გადოების სსვადასსვა სასიათის მიმოწერა დაწესებულებებსა და
ცალკეულ პირებთან; ბ) საზოგადოების მიმართვები სამეცნიერო
დაწესებულებათა მთავარი სამმართველოსადმი (ეს საბუთები იმი-
თაა მნიშვნელოვანი, რომ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს საზო-
გადოების მეცნიერულ საქმიანობაზე, მეცნიერთა ფართო წრის მო-
ნაწილეობაზე მის მუშაობაში); გ) საზოგადო კრებათა ოქმები,
დ) სალინგვისტო განყოფილების სსდომათა ოქმები, ე) შემოწირუ-
ლებათა სია, ვ) საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზო-
გადოების წევრთა სია.

თათოეული საბუთის წინ მინიშნებულია მისი რაობა, დოკუმენტს
ერთეის ზოგიერთი ცნობა (თარიღი და სხე.), მითითებულია, თუ
სადაა დაცული აღნიშნული საბუთი. ეს საბუთები მხოლოდ უმცი-
რესი ნაწილია საზოგადოების შესახებ არსებული დოკუმენტებისა
(მხოლოდ ხელოვნების მუზეუმში სხვა საბუთებთან ერთად საზოგა-
დო კრებების სამასამდე ოქმია დაცული).

ფიქრობთ, მოცემული დოკუმენტები ნათელ წარმოდგენას შე-
უქმნის მკითხველს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოების მრავალმხრივი სასარგებლო საქმიანობის შესახებ.

I

სამართმელოს საისტორიო და სამეთნოგრაფიო სახოგალოების წერილი გრიგოლ მოზლოქელისაღვა!

მოწყალეო ხელმწიფევე, ბ-ნო გრიგოლ ვასილის ძევე!

კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ტურფა, პატარა საქართველო წარსულში ბრწყინავდა თვისი მამაცობა-ვაჟაკობით, სწავლა-განათლებლით, სამშობლოს სიყვარულით, ქრისტეს სარწმუნოებით და მრავალი სხვა სასახელო ღირსება-ქველობით. ეს იყო მიზეზი, რომ ამ პატარა ქვეყანამ შეინახა თვისი სახელი. მრავლისაგან მრავალმა მტერმა ვერა დააკლო-რა, ვერ გასტესა და ძირს ვერ დასცა. დაღესტანმა, ოსმალომ და სპარსელმა ვერ მოახერხა საქართველოს მოსახობა, წაბილწვა და შემუსვრა და ვერ აღმოფხვრა ჩვენის გულიდან ქრისტეს სიყვარული. მტრისაგან შეწუსებულმა საქართველომ ამ ასი წლის წინათ შეუერთა თვისი პედი ძლიერს ერთმორწმუნე რუსეთს და მას აქეთ ჩვენს სამშობლოს აღარ მოეღის შიში გარეშე მტრისაგან.

რაკი მშვიდობიანობა ჩამოეარდა, შესაძლებელი გახდა საქართველო წარსული ცსოვრება შეგვესწავლა. ყველა, დიდი და პატარა, მოვალე ვართ ვიცოდეთ, თუ როგორი იყო ძველად საქართველო, რას ჰფიქრობდენ და რას აკეთებდენ მისი საუკეთესო შვილნი, ვინ შესწირა სამშობლოს სიკეთეს თვისი პირადი კეთილდღეობა, ქონება და თვით სიცოცხლეც, ვინ გაადიდა საქართველოს სახელი შინ თუ გარეთ, ვინ ააგო ის მშვენიერი ეკლესია-მონასტრები და ციხე-დარ-

ბაზნა, რომელთა ხილვით სწავლული ევროპელები გაოცებულნი რჩებოდნენ. ჩვენს ქვეყანაში მრავლადაა გაბნეული ყოველგვარი კულტურული ნაშთები, წარწერები, რომელთაც ძველი იარაღები, ძველი ფულები, ძველი ფარჩეულობა; ჯვარები, სატეპი, ოქროს ქსოვილები და სხვა რომელთაც შეკრება, შესწავლა და დაბეჭდვა ესაჭიროება. ნაწილი ამ ძვირფასი განძისა უკვე შეკრებილია ქ. ტფილისში და უფრო ბევრი კიდევ მოსაგროვებელია. ეს ნივთები დიდებულ ეროვნულ განძს შეადგენს და ფულით დაფასებაზე რომ მიდგეს საქმე, ადამიანი ფასს ვერ დასდებს.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას საგნად აქვს შეისწავლოს წარსული ცხოვრება საქართველოსი ამ ნაშთებისა და ხელნაწერების შემწვობით და ამით ქართველს დიდებული სახელი მოჰფინოს ევროპასა და რუსეთს. დაე იმათაც სიძევან, რომ ქართველებიც კაცნი ყოფილან ქვეყანაზე და ქუდი მსურებიათ. სადარდელი და სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ არ მოგვეპოვება შესაფერი ბინა მოსათავსებლად აუარებელის ხელნაწერებისა და ძველად ნაბეჭდი წიგნებისა, ძველის-ძველი ნივთებისა, საეკლესიო შესამოსლისა, ძველებური ტანისამოსისა, ძველის დროის სპილენძისა, ვერცხლისა და ოქროს ფულისა, ძველებური ხელსაწყოებისა, სამუშაო და საომარი იარაღებისა და სხვათა. მუდამაქამ იმას შაშვი. ვართ, ვაი თუ შესაფერი ბინის უქონლობის გამო ეს ნივთები ცეცხლმა იმსხვერპლოს და გადაგვიწვას. ეს უბედურება რომ მოსდეს, სრულიად ამოვარდება საქართველოს სახელი. რადგან აღარ გვექნება საშუალება წარსულის შესასწავლად.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება იმის ზრუნვაშია, რომ როგორმე შეაგროვოს რიგიანი თანხა და ააშენოს ისეთი სასლი (მუზეუმი), რომელსაც ცეცხლი ვერას დააკლემს. მცირედი თანხა კადეც შეაგროვა. მაგრამ არა კმარა. სეირიან მუზეუმს ესაჭიროება არა ნაკლებ 60 000 მანეთისა.

მთელმა საქართველომ იცის, რომ განსვენებულს თქვენს ძმას იოსებს ზურვილი ქონდა თვისი საცხოვრებლის ნაწილი შეეწირა რომელიმე კეთილი საქმისათვის საბედნიეროდ სამშობლოსა და სადიდებლად თვისის სახელისა და გვარის. მოულოდნელმა სიკვდილმა ხელი შეუშალა განხორციელებინა თავისი სურვილი; მან ანდერძის დაწერაც კი ვერ მოახწრო. მაგრამ რა საჭიროა ქალღმრთელ დაწერილი ანდერძი, როდესაც ღვიძლი ძმა დარჩა, რომელსაც შეუძ-

ლიან ძმის სურვილიც აასრულოს და თვისი ხასელიც უკედავ-პყოს შთამომავლობის ხსოვნაში.

უპირველესი საჭიროება ჩვენთვის დღეს მუზეუმის აშენებაა. ამის გამო „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ მოგმართავეთ თქვენ, დიდად პატივცემულ გრიგოლ ვასილის ძევე, შემოსწიროთ ჩვენს საზოგადოებას, მისი თანხების გასაძლიერებლად და უპირველესად კი მუზეუმის ასაგებად, 40.000 მანეთი, განსადიდებლად თქვენის სასელისა და გასაპატიოსნებლად თქვენის ძმის, განსვენებული იოსების, ხსონისა. მუზეუმს თვალსაჩინო ადგილი ექნება წარწერილი თითბერის ან მარმარილოს ფიცარზე, რომ აღშენებულია ძმათა გრიგოლ და იოსებ ვასილის ძეთა მოზდოკელთა ღვაწლითა და სიფასითა და ამასთანავე თქვენ არჩეულ იქნებით საპატიო წევრად ჩვენი ხამეცნიერო საზოგადოებისა.

პასუს ველით მოუთმენლად. უკეთუ საჭირო იყოს თქვენთვის რაიმე ცნობის მიღება მუზეუმის აგებისა, ან ფულის შემოწირვის შესასებ, გთხოვთ გულახდილათ შეგვატყობინოთ ყველაფერი. აგრეთვე, თუ საჭიროა ტფილისიდან კაცის ხლება, გვაცნობეთ და გაახლებთ საქმის მოსაწყობად „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ საბჭოს წევრს ბ-ნს ალექსანდრე ყიფშიძეს.

ამასთანავე გაუწყებთ, რომ „საზოგადოებამ“ მიმდინარე წლას ივნისის 14-ის კრებაზე ამთავითვე თქვენ ავირჩიათ თაეის ნამდვილ წევრად. და გაახლებთ საზოგადოების წესდებას:

საზოგადოებას თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი
მდივანი ს. ვორგაძე.

ჩვენი საზოგადოების აღრესი: Типаиъ. Дворянское депутатское собрание (ул. Белинского № 2). Грузинскому Обществу Истории и Этнографии.

II

ა. თაყაიშვილის წერილი იოსებ ოცხალასადმი²

09.XI.2.

პატივცემულო ბ-რო იოსებ!

თქვენი წერილი და გამოვბაენალი ფული მივიღეთ. სამსონ დთე-შიძეს სთხოვეთ ჩემ მაგიერ აეასროს თქვენთან ერთი ჩვენი საზოგადოების აკენტობა. გიგზაენით ოცდაათ ცალს ახალს ჩვენს გამო-

² დაცულა ქუთაისის ისტორიულ არქივში.

ცემას „ძველ საქართველოს“ და გთხოვთ მალე დაურიგოთ ვინც
საწვერო ფული შემოიტანა, ან შემოიტანოს. თუ გადაგრჩეთ, თომა
მთავრიშვილს გადაეცით წიგნის მალაზიისათვის გასასყიდათ. ჩვენ
სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენ და სამსონ დათეშიძე მსნედ შეუდ-
გებით ფულის მოკრეფას, წევრებზე შოვნას და ყოველგვარ დასმა-
რებას ასეთი სასარგებლო საზოგადოებისათვის.

თქვენი მარადი ე. თაყაიშვილი

III

ს. ლათევიძის წერილი საქართველოს საისტორიო და
სამეთნობრაწიო საზოგადოებისადმი 3

24. დეკ. 1909 წ.

საქართველოს საისტორიო და სამეთნობრაწიო საზოგადოებას

თქვენგან გამოგზავნილი წიგნები „ძველი საქართველოს“ 30 ცა-
ლი მივიღეთ. აქედგან 16 ცალი დაურიგდა 1908 წ. წევრებს. სოლო
წინანდელს, თქვენს წერილებში აღნიშნულია 3 წევრი ქუთაისიდან,
რომლებსაც ფული გადახდილი აქვთ: (ალ. ლორთქიფანიძე, მოსე
ქაქოძე და ებ. გიორგი) არ ვიცით, თქვენ გამოგზავნით მათ წიგ-
ნებს, თუ ჩვენ მივსცეთ. 10 ცალი მთავრიშვილის მალაზიას გადაე-
ცით თანახმად თქვენის წერილისა. მეორე წიგნიც რომ მალე გამო-
გეიგზავნოთ, საჭირო იქნება: არა ნაკლებ 50 ცალისა. აქაურ საზო-
გადოებიდან წევრების ჩაწერას შევუდგეით ეს არის. ჯერ ფულის
გროვება არ დაგვიწყია, რადგან ახლა ცუდი დროა დღესასწაულების
კამო. იანერიდან შევუდგებით ფულის მოგროვებასაც.

ს. ლათევიძე

IV

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამ-
გროვის თანაშემწეობის გ. ყაზაგის მიმართვა საქართველოს საისტორიო
და სამეთნობრაწიო საზოგადოების საბჭოსადმი 4

საქართველოს საისტორიო და სამეთნობრაწიო საზოგადოების საბჭოს

1909 წლის დეკემბრის 20 წ. კ. საზოგადოების საზოგადო კრებაში
განიხილა გამგეობის მოსხენება მუზეუმის ახლანდელი მდგომარე-
ობისა და სამუზეუმო შენობის აგების შესახებ და დაადგინა: „კრება

3 წერილი დაცულია ქუთაისის ისტორიულ არქივში.

4 წერილი დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, დათარიღებულია
1909 წ. 24 დეკემბერი.

საჭიროდ სცნობს, რომ ახლავე აშენდეს სამუშეუმი შენობა. ამ მიზნის მისაღწევად შეუერთდეს დროებით მუშეუშის თანხას თანხები ილია ჭავჭავაძისა, რ. ერისთავისა, სასტამბო და ძველი წიგნების ბეჭდვისა. მიემართოთ საზოგადოებას მოწოდებით და თხოვნით, შემოგეწაროს ფული მუშეუშის ასაგებად, მიემართოთ აგრეთვე სხვა და სხვა დაწესებულებას... ამ აზრის განსახორციელებლად ავირჩიოთ ცალკე კომისია (თანახმად წესდების მე-15 წ-ისა). კომისიაში საზოგადო კრება აირჩევს ხუთ წევრს, ხოლო მათ გარდა ამ კომისიაში მონაწილეობას იღებენ წევრის უფლებით სამი წარმომადგენელი წ. კ. საზოგადოების გამგეობისა და სამი წევრი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წარმომადგენელი, რომელნიც ამასთანავე უნდა იყვნენ წ. კ. საზოგადოების წევრნი“.

გაუწყებთ რა ამას, უმორჩილესადაა გთხოვთ, დაგვისახელოთ სამი წევრი, რომელნიც იქნებიან თქვენი წარმომადგენლნი ხსენებულ სამუშეუმი კომისიისა.

გამგეობას თაქედომარე გ. ყაზბეგი
მდივანი ს. შირცხალავა

V

ა. თაყაიშვილის წერილი იოსებ ოცხლისაძმი⁶

დიდათ პატიეცემულო ბატონო იოსებ!

თქვენი წერილი მივიღე. მეკითხებით: 1) შესაძლებელია თუ არა წესდების ძალით განყოფილება ჩვენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა გაიხსნას ქუთაისში?

2) ხომ არ შეუშლის ხელს ჩვენს საზოგადოებას განყოფილების დაარსება?

პირველ კითხვაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ წესდების ძალით არა გვაქვს ნება განყოფილება გექონდეს სხვა ქალაქში. პირველი მუსლი წესდებისა ამბობს: „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება არსდება ქალაქს თბილისში“, და არსად მოხსენებული არ არის რომ განყოფილება ვიქონიოთ რომელიმე ქალაქში. მეორე კითხვაზე ჩემი აზრი ასეთია: მე დარწმუნებული ვარ განყოფილების დაარსება არა თუ ამ უამად არ გააძაღდება ჩვენ საზოგადოებას, არამედ ძლიერ შეუშლის ხელს. ჩვენი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა დაარსებას.

⁶ წერილი დაცულია ქუთაისის ისტორიულ არქივში.

ტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ნორჩი საზოგადოებაა, მანამ წელს და ძარღვს არ გაუმაგრებთ ამ საზოგადოებას, ყოველად მავნებელი იქნება განყოფილების დაარსება. ძალები დაიქსაქსება, სახსარი არც ერთს ექნება და არც მეორეს. განყოფილება მაშინ მოიტანს სარგებლობას, როდესაც დედა საზოგადოება ღონიერი იქნება, ძალა და სახსარი ვადამეტებული ექნება და შრომის განაწილება და თანხებისა შესაძლებელი იქნება. ღონიერობა დედა საზოგადოებისა მე ასე მაქვს წარმოდგენილი: საზოგადოებამ უნდა გაიჩინოს იმდენი თანხა, რომ სამი ოთხი კაცის რჩენა შეეძლოს და სპეციალისტები დააყენოს სათავეში, ასე რომ ამ სპეციალისტებს სხვა არაფერი საქმე არ ჰქონდეს, გარდა საზოგადოებაში მოღვაწეობისა და იმდენი შეძლება ჰქონდეს კიდევ, რომ ერთი ორი კარგი კრებულის გამოცემა თანხის სარგებლათ უზრუნველყოფილი იყოს. ამასთან საზოგადოებამ უნდა მოაწყოს და ვახსნას მუშეუმი და ეს მუშეუმი ჭეშმარიტი სალარო უნდა იყოს ქართული კულტურის ნაშთებისა. როდესაც ამას მივაღწევთ, მაშინ არა თუ შესაძლო, პირიქით აუცილებელიც გასდება განყოფილების ვახსნა. მაშინ შეგვეძლება ქუთაისშიც განყოფილება ვავსხნათ, მუშეუმიც დავაარსოთ და აქ მოგროვილი დუბლები სელთნაწერთა, ნაბეჭდ წიგნებთა და სურათებთა მანდ გამოვგზავნოთ, აგრეთვე ესლა თანდათან ფოტოგრაფია ისეთ განვითარებას განიცდის, რომ დიდი დრო აღარ გაივლის, შესაძლებელი გახდება ძლიერ იაფად ფოტოგრაფიის საშუალებით გადაიღოთ კომპიები ყველა თვალ-საჩინო და საყურადღებო ხელნაწერთა და ფერადებიანი ფოტოგრაფიით გადაიღოთ კომპიები სურათებთა. გამოცემის მოწყობაც ადვილი საქმე იქნება.

როდესაც მე ჩვენი საზოგადოების წესდებას ვადგენდი, საკითხი განყოფილებათა შესახებ თვალწინ მედგა, ბევრი ვიფიქრე ამაზე და რაკი დავრწმუნდი, რომ განყოფილება პირველ ხანად სარგებლობას არ მოგვიტანდა, განზრახ არ შევიტანე წესდებაში. როდესაც გავღონიერდებით, მაშინ მაგის ნების გამოტანაც ადვილი იქნება. მაგალითიც გვაქვს. სომხებს აქვთ ეგრეთ წოდებული საეთნოგრაფიო საზოგადოება, მათ განყოფილებებიც აქვთ, მაგრამ არც დედა საზოგადოების საქმე მიდის კარგად და არც განყოფილების. ისინი ჩვენ შამოგენატრიან, ჩვენი გამოცემის გეგმას იღებენ და განყოფილებათა დაარსებას ნანობენ. ჩვენი საზოგადოების საქმე ყოველ მხრით უკეთ მიდის, ვიდრე მათი. ვისაც რა შეუძლია ამჟამად ჩვენ მოგვეხმაროს, ჯერ ერთ ადგილს დავდგეთ ფეხზედ, ზურგი გავიმავროთ. ჯერჯე-

რობით ჩვენ ჩვენს გეგმას მტკიცედ ვადგაყარო. ოთხი წელიწადია რაც საზოგადოება არსებობს და ათიათასი მანეთი ხელუსლებელი ფონდი გვაქვს. ჩვენი დიდი ხნის ცდის შედეგი იყო განსვენებული დავით სარაჯიშვილის ანდერძი მუზეუმის შესახებ. იმედი გვაქვს მუზეუმის შენობის აგება უსრუნველყოფილი იქნება სხვა ანდერძითაც. უკვე მოვაგროვეთ იმდენი ნივთები, სურათები და ხელნაწერები, რომ ესლაც გვარიანი ბიბლიოთეკა და მუზეუმი გვაქვს. ამ დღეებში შევავერთებთ წერა-კითხვის და ჩვენს ბიბლიოთეკა-მუზეუმს და ერთი კარგი ქართული მუზეუმი გაიძარტება, მაგრამ რასაკვირველია, ეს არ კმარა, უნდა ვეცადოთ შევავროვოთ და გადაეარჩინოთ ის, რისიც შეგროვება და გადარჩენა შეიძლება. და რომ შეიძლება ამაში ყოველ დღეს ვრწმუნდები. მარტო ამ ზაფხულის მოგზაურობამ სამასი ხელნაწერი შეგვძინა, სხვა აურაცხელი ნივთები, სურათები და სიგელ-გუჯრები. ქუთაისში ბევრი შეგნებული და ენერგიული ინტელიგენცია. დარწმუნებული ვარ, თუ სურვილი აქვთ, დიდი დასმარებას გაწევა შეუძლიათ. ყველას საშეალება ეძლევა ჩვენი საზოგადოების წევრობით ისარგებლოს და ამ საზოგადოების სახელით იმოგზაუროს, შეკრიბოს ნივთები, ხელნაწერები, მოგვიპოვოს წევრები, მოგვაწოდოს მასალანი და სხვა. თქვენ თვითონ ბრძანებთ, თქვენთან ერთად გვინდა ვიმუშაოთო, სწორეთ საერთო მუშაობა გეიშველის და მოიტანს ნაყოფიერ შედეგს, დაე ჯერ ერთი იყოს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და როდესაც მოდელდება, მაშინ იბარტყოს.

თქვენი მარადის ერთგული და პატარასმცემელი ე. თაყაიშვილი

20 ნოემბერს
1911 წელს

VI

სამარიონელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
წერილი იოსებ ოცხალისაძის⁶

ბ-ნს იოსებ იოსების ძეს ოცხელს.

„საზოგადოების“ საბჭო გთხოვთ თქვენ მიერ შეგროვილის საწევრო ფულიდან გადახცეთ ბ-ნს რაჟდენ დათუმიძეს 20 მანეთი — ხვი-

⁶ წერილი დაცულია ქუთაისის ისტორიულ არქივში.

მონ ქუთათელის თეფშის სასყიდლად, ზოლო საბჭოს წარმოუდგინათ დათეშიძის ბარათი.



ამასთანავე საბჭოს პატივი აქვს გაუწყოს, რომ „საზოგადოებამ“ ქუთაისში შეიძინა კიდევ შემდეგი შეიდი ნამდვილი წევრი, რომელთაც უკვე ვაგვზავნათ საუწყებელი ბარათები და წესდება:

1. ექიმი გიორგი ნიკოლოზის ძე კახიანი, 2. კბილის ექიმი დავით რიჟინაშვილი, 3. სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე, 4. კალისტრატე ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძე, 5. დიდიმ ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძე, 6. ილია მანუჩარის ძე ჩაქაიანი და 7. მომრიგებელი მოსამართლე ვლადიმერ ნიკოლოზის ძე აბულაძე.

საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი
მდივანი ს. გორგაძე

VII

საპარტიზოს საისტორიო და სამეთვრავიო საზოგადოების
წერილი იოსებ ოცხლისაძვი?

ბ-ნს იოსებ იოსების ძეს ოცხელს.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ, 10 ნოემბრის სხდომაზე, დაადგინა: მოეთხოვოს ყველა წევრ-აგენტს — წარმოადგინონ საკვიტანციო წიგნები და შეკრებილა ფულის ანგარიში. ეს საჭიროა საზოგადოების თანხების მიმდინარე მდგომარეობის შესამოწმებლად.

გაცნობებთ ამას და გთხოვთ: საკვიტანციო წიგნაკი და ანგარიში ამ თვის ბოლომდის წაჭრმოადგინოთ საზოგადოების თავმჯდომარის სასელზე ან საზინადარისა.

თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი
მდივანი ს. გორგაძე

⁷ წერილი დაცულია ქუთაისის ისტორიულ არქივში.

VIII

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
(მ. თაყაიშვილის) წერილი ღამით კარიჭაშილისადმი *

1915 წ. 8 ივლისი.

ბ-ნს ღამით გიორგის ქეს კარიჭაშიელს

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოების თავმჯდომარისაჲს

ვინაიდან თქვენ უარი განაცხადეთ მუზეუმ-ბიბლიოთეკის ჩაბარებაზე და ს. რ. გორგაძემ თანხმობა გამოაცხადა დარჩეს დროებით მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგედ და უკან დაიბრუნა მუზეუმ-ბიბლიოთეკის გასაღებები და ამასთანავე ახლად არჩეულმა თავმჯდომარის ამხანაგმაც ალ. ი. ყიფშიძემ გადაჭრილი უარი განაცხადა თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობაზე, ამიტომ გთხოვთ დარჩეთ მომავალ წლიურ კრებამდე თავმჯდომარის ამხანაგად და ვინაიდან მე მივემგზავრები თბილისიდან, გთხოვთ დღეიდან ჩემ დაბრუნებამდე ასრულოთ ჩემი თანამდებობა.

საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი *

IX

პ. ინგოროყვას თხოვნა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოების სააჭოსადმი

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
სააჭოს

სასადით ავადმყოფობის დროს დიდძალი ვალები დამედო (4.000 მანეთზე მეტი) და ამჟამად დიდ გაჭირვებას განვიცდი. ვთხოვ საბჭოს აღმომიჩინოს ერთდროული დახმარება და ამით ცოტათი მაინც შემიმსუბუქოს დღევანდელი ჩემი მეტად შევიწროებული მდგომარეობა.

პაულე ინგოროყვა
7 აპრილი, 1918 წელი
ქ. ტფილისი *

* წერილი დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის ფონდში, № 4297-ს.

* საქართველოს სელონების მუზეუმის ფონდი, ყ. 858. გატარებულია საბჭოს სსლომაზე 1919 წ. 13 აპრილს (ოქმი № 183).

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
მიმართვა სასალსო პანათლუაის მინისტრისადმი 1919 წ.
24 იანვარს.

სასალსო პანათლუაის მინისტრს

გაახლებთ რა ამასთან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხარჯთაღრიცხვას 1919 წლისათვის და მის განმარტებას, საზოგადოების საბჭო ვთხოვთ ეს ხარჯთაღრიცხვა შეიტანოთ თქვენს ბიუჯეტში და წარუდგინოთ პარლამენტს დასამტკიცებლად შემწეობის სასიით ჩვენის საზოგადოებისათვის.

საზოგადოების თემჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი
მდივანი ს. გორვაძე.¹⁰

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
სარეგისტრაციო განმარტება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება თხოვლობს მთავრობისაგან ხარჯთაღრიცხვით ახოცათას ახ სამოც (120160) მანეთს დახმარებას 1919 წლისათვის. პირველის შეხედვით ეს ხარჯთაღრიცხვა ყველას დიდად მოეჩვენება. ნამეტნავად იმას ვინც იცის, რომ ამ სამიოდე წლის წინად საზოგადოების ხარჯთაღრიცხვა არ აღემატებოდა თხუთმეტათას (15000) მანეთს. მაგრამ არსებითად ეს ხარჯთაღრიცხვის ფასების და ცხოვრების გაძვირების მისედვით ეს თანხა ბევრად ნაკლებია იმ ღირებულებასზე, რომელსაც ამ სამი წლის წინად შეიცავდა თხუთმეტიათასი (15000) მანეთი. ამის დამტკიცება ადვილია. წინათ არც ერთ ჩვენ მოხელეს და მოსამსახურეს არა ჰქონია ჯამაგირი თხუთმეტ თუმანზე მეტი თვიურად, ესლა იძულებული ვართ თხუთმეტი თუმანის მაგიერ ვაძლიოთ ათასი მანეთი, ვინაითგან ნაკლები საფასით ესლა ცხოვრება აღარ შეიძლება და ნაკლებ ფასებში ჯეროვან პირებს ვერ ვიშოვით. გამოცემა სამეცნიერო წიგნებისა, ისეთებისა, როგორც არის სერია „საქარ-

¹⁰ საქართველოს ისტორიული არქივი, ფ. 1935, საქ. 1321. მიმართვა დაწერილია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბლანკზე (ს. გორვაძის ხელით). თან ერთვის ხარჯთაღრიცხვის განმარტება. მიმართვა აქვს წაწერილი რეზოლუცია „დაუყოვნებლივ უნდა იქნას წარდგენილი მინისტრთა საბჭოში. აღ. მდივანი“. ზემოთ მარცხენა კუთხეში არის წარწერა „შესრულებულია“.

თველოს სიძველენის“ და „ძველი საქართველოსი“ გვიჩვენებდა არა უმეტეს ათასი მანეთისა და თითოეული წიგნი შეიცავდა არა ნაკლებ ორმოცი ფორმისა. ესლანდელი ფასებით ამგვარი ტომის გამოცემა ჯდება 40 ათას მანეთზე მეტი. მეცნიერნი მუშაკნი და მკვლევარნი წინად უმეტეს შემთხვევაში უფასოდ მუშაობდნენ და არავითარ გასამჯელოს არ ითხოვდნენ შრომისათვის და თუ ითხოვდნენ სულ მცირე ხარჯს. ესლა რაკი ცხოვრება გაძვირდა ყველაიძულებულია რაიმე ფასიანი სამუშაო იშოვოს, რომ შიშხილით არ მოკვდეს. და ისინი უგასამრჯელოდ მუშაობას ვეღარ კისრულობენ. ამან გამოიწვია სარჯი მეცნიერ მკვლევართათვის და მუშაკისათვის. ცხოვრების გაძვირებამ მობილიზაცია მოახდინა ძველი საარქეოლოგიო და საისტორიო-საეთნოგრაფიო ნივთებისა. ყველას უჭირს ცხოვრება, მეტადრე ისეთ პირებს, რომელთაც ასეთი ნივთები მოეპოვება და ამგვარი ნივთები გამოდის დღეს ბაზარზე. შეუძლებელია ისეთი ნივთების ხელიდან გაშვება, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისათვის. ამიტომ ნივთების შესაძენად და წიგნთსაცავ-მუზეუმის შესავსებად ნაფარაუდევია ოცი ათასი (20 000) მანეთი. ეს ესლანდელის თვალსაზრისით ძლიერ ცოტაა. გასულს წელს ზოგჯერ კერძო პირების დახმარებით ამაზე მეტი ფასის ნივთები შევიძინეთ. ამას გარდა გასულ წელს ჩვენ სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად შევიძინეთ ოთხმოცდათხუთმეტათას (95000) მანეთად კოლექცია ერმაკოვის ფოტოგრაფიის ნეგატივებისა და ალბომებისა. აგრეთვე შევიძინეთ უძრავი მამული წყნეთის ქუჩაზედ ასი ათას (100 000) მანეთად. ამათი სასყიდელი ფული ორასი ათასი (200 000) მანეთი ვისესხეთ 4%-ზე სამუზეუმო თანსიდან წელიწადში % % მოსდის რვა ათასი (8 000) მანეთი, ხოლო მამული ჩვენ გვამღვს შემოსავალს, როგორც ხარჯთაღრიცხვაშია მოხსენებული, ათი ათასს (10000) მანეთს, ისე რომ საზოგადოებას რჩება მხოლოდ ორიათასი (2000) მან.

საექსკურსიოდ ვთხოულობთ ათიათას (10 000) მანეთს, ეს ესლანდელ პირობებში ბევრი არ არის. მეტადრე თუ მივიღებთ მხედველობაში ხუროთმოძღვრების გასამრჯელოს, ფოტოგრაფიის მასალას და დამზადებას ექსკურსიის დროს შეგროვილ მასალისას. ამ დარგში შარშანწინ თხუთმეტიათას (15 000) მანეთზე მეტი დაგვეხარჯა.

უსახსრობის გამო უკანასკნელ წლებში ჩვენი კულტურული და მეცნიერული მუშაობა ძლიერ დაქვეითდა. გამოცემა შესწყდა. აუარე-

ბელი დამზადებული და გამოსაცემი მასალები ფუჭად ძევს, ვერ გამოცემა ვერც აკაკის თხზულებანი, ვერც დიდძალი მასალა სახალხო პოეზიისა, ვერც მორიგი ტომი „საქართველოს სიძველენისა“ და „ძველი საქართველოსი“. ვეფხისტყაოსნის ყველა ვარიანტებით გამოცემა, რომლის პირველი ფორმა დაბეჭდილია, შეჩერებულია. შეჩერებულია საქართველოს სიძველენის პირველი ტომის მე-2 გამოცემა (13 ფორმა ამ გამოცემისა უკვე დაბეჭდილია) და ამავე ხერხის მე-IV ტომი, რომლის პირველი ფორმა უკვე დაბეჭდილია. ყოვლად შეუძლებელია ასე გაგრძელდეს კვლავაც. ეს იქნება დანაშაულობა ჩვენი კულტურის ზრდის წინაშე და ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ ეს ჩვენი სარჯთაღრიცხვა დაკმაყოფილებული იქნება.

საზოგადოების თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილია
მდივანი ს. გორგაძე

XI

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარის ე. თაყაიშვილის მიმართვა სასალსო განათლების მინისტრისადმი

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარისადმი

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მოაწყო გამოფენა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებისა. ამ გამოფენას აქვს ორგვარი მნიშვნელობა: ერთი საკულტურო, რომელიც ცხადყოფს, თუ როგორ განვითარდა მეექვსე საუკუნიდან მეჩვიდმეტე საუკუნემდის საქართველოში ხუროთმოძღვრება და რა უადრეს სიმშვენიერემდის მიაღწია ქართულმა რიგმა (სტილმა). მეორე — პოლიტიკური მნიშვნელობა მომენტისათვის, ვინაიდან აქ არის განსაკუთრებით წარმოდგენილი შესანიშნავი ძეგლების ნიმუშები სამაჰმადიანო საქართველოსა, იმ საქართველოსა, რომელიც დღეს ოსმალების... ხელშია და რომელიც სავანე იყო ჩვენი კულტურისა. ჩვენს უფლებას ამ მხარეებზე ყველაზედ უფრო მჭერმეტყველად ეს ძეგლები ამტკიცებენ. ასეთ გამოფენას ვრცელი კატალოგები დასჭირდა ქართულს და რუსულს ენაზედ. დიდი ფული დაჯდა დამზადება გეგმებისა, სურათებისა და ქანდაკებათა ნიმუშების ჩამოსხმა. ამიტომ გთხოვთ დასაფარავად ამ ხარჯების ნაწილისა

საკულტურო თანხიდან დაგვინიშნოთ ორმოცდაათი ათასი (50.000) მანეთი. ხოლო გვეგების და აწერილობის გამოცემის შესახებ ცალკე გვექნება თქვენთან მოხსენება და ეს იქნება საგანი მომავალი ბიუჯეტისა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ექვთიმე თაყაიშვილი

1920 წ. აპრილის 24.¹¹

XII

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიმართვა პანათლუპის სახალსო კომისარიატისადმი (1921 წ. 8 ივლისი).

სახალსო პანათლუპის კომისარიატს ¹²

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა რკინიგზის ადმინისტრაციის წინაშე, რათა ჩვენ მიერ წარგზავნილს ქუთაისის და ტფილისის გუბერნიაში სამეცნიერო მიზნით შალვა იასონის ძე ამირანაშვილს მიეცეს ნებართვა რიგს გარეშე მატარებლის ბილეთის აღებისა და განსაკუთრებულ მინდობილობათა ვაგონში მოთავსებისა ¹³.

საზოგადოების თავმჯდომარე დ. კარიჭაშვილი (ხელმოწერა)
მდივანი ს. გორგაძე (ხელმოწერა) ¹⁴

¹¹ საქართველოს ისტორიული არქივი, ფ. 1935, საქ. 1321, ფ. 45.

¹² მიმართვა დაწერილია ხელით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბლანკზე 1921 წლის 8 ივლისს (№ 39). დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში რკინიგზით მოგზაურობა სირთულეს წარმოადგენდა.

¹³ შალვა ამირანაშვილს სპირი მოგზაურობა უსდებოდა საქართველოს სსედა-ხსეა კუთხეში, საიდანაც ჩამოქონდა დედაქალაქში სელოვნების ძვირფასი ქვებები. ამდენად მისი განსაკუთრებულ მინდობილობათა ვაგონში მოთავსება აუცილებელი იყო (წამოღებული ძვირფასეულობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით).

¹⁴ დოკუმენტს აქვს რეზოლუცია: „აღიძრას შუამდგომლობა რკინიგზის მმართველობის წინაშე მიეცეს შალ. ამირანაშვილს ერთი ბილეთი რიგის გარეშე. 14. VII. 1921 წ.“ ხელმოწერა გაურკვეველია.

• №XII—XVII საბუთები დაცულია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიას არქივში.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიმართ
განათლების სახალხო კომისარიატისადმი (1921 წ. 12 ივლისი)

სახალხო განათლების კომისარიატის
აადგიური ცენტრს¹⁵

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს პატივი აქვს მოგახსენოთ, რომ საზოგადოებას, სახალხო განათლებას კომისარიატის დადგენილებით, საკუთრებად გადმოცემული აქვს საზოგადოების ყოფილი თავმჯდომარის ე. თაყაიშვილის ბიბლიოთეკა (ოლღას ქ. სასლი № 40, ბინა 1, ოთასები №№ 1 და 7), რომელიც ამჟამად დაკეტილია¹⁶ და ბეჭედდასმული განათლების კომისარიატის კლუბ-ბიბლიოთეკათა ქვეგანყოფილების მიერ, რადგან ქალაქის საბინაო განყოფილება, თავისი აგენტების არასწორი ცნობების წყალობით აპირებდა ამ ბიბლიოთეკის ოთასებში ჩასახლება მოეხდინა.

ერთი სიტყვით, „საზოგადოებას“ აქვს საშუალება ამ დიდ მნიშვნელოვანი საისტორიო ბიბლიოთეკით ისარგებლოს, მუზეუმის შენობაში კი მისი გადატანა ამჟამად შეუძლებელია უჩვეულო სიძვირისა გამო. აუცილებლად საჭიროა ბიბლიოთეკა გაისხნას, მაგრამ იმავე ბინაზე კი დარჩება, თანაც ეს ბინა უნდა უზრუნველყოფილი იქნას ყოველგვარი პრეტენზიებისა და ჩასახლებისაგან.

ამას გარდა საზოგადოებას არ აქვს შესაფერისი ბინა საზოგადო კოებათა და საბჭოს სხდომისათვის. სხენებული ბიბლიოთეკის გვერდით, ამავე სართულში, ყოფილა ერთი საკმაოდ დიდი ოთასი (№ 2, ბ-ნის ე. თაყაიშვილის ყოფილი ბინა მისივე ავეჯულობით, სადაც კრებები წინათაც ხდებოდა სოლმე), რომელიც დღეს უჭირავს სრულიად უკანონოდ ჩასახლებულ მე-2 და მე-13 რაიონების კომუნდანტს.

მოგახსენებთ რა ამას, გთხოვთ გვიშუამდგომლოთ საბინაო განყოფილების წინაშე, რათა მან ერთი მხრით უზრუნველყოს ზემო-

¹⁵ დოკუმენტი დაწერილია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბლანკზე, რომელსაც მარცხენა ზედა კუთხეში აქვს ვრიფი: „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“. აქვე აღნიშნულია ნომერი (ან 42), საბუთის გავზავნის თარიღი (1921 წ. 12 ივლისი) და საზოგადოების ადგილმდებარეობა (თბილისი).

¹⁶ ექვთიმე თაყაიშვილი ამ დროს ემიგრაციაში (საფრანგეთში) იმყოფებოდა.

სსენებული ბიბლიოთეკის ორი ოთახი (№№ 1 და 7) ყოველგვარი პრეტენზიებისა და ჩასახლებულისაგან, ხოლო მეორე მხრით, მათი გვერდით მდებარე დარბაზი (№ 2) გაათავისუფლოს დღევანდელი მდგომარეობისაგან და მთელი ავეჯეულობით გადმოსცეს ჩენს საზოგადოებას საზოგადო კრებებისა და საბჭოს სსდომებისათვის. როცა ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება, მაშინ ნება გვიბოძეთ თვით ბიბლიოთეკასაც ბეჭედი ავსხნათ.

ამასთანავე წარმოგიდგენთ მანდატებს ამ ბიბლიოთეკის შესახებ, განათლების კომისარიატისაგან მოცემულს, № 1739 17.

საზოგადოების თავმჯდომარე დ. კარიჭაშვილი (ხელმოწერა)
მდივანი ს. გორგაძე (ხელმოწერა)¹⁶.

XIV

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მიმართვა
განათლების სასაღსო კომისარიატისადმი (1921 წ. 30 ივლისი)

სასაღსო განათლების კომისარიატის აპაღმმირ ცენტრს¹⁷.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადმოსცეს ქალაქის ლომბარდის ბილეთები, № 36692 და 37768, საიდანაც ხჩანს, რომ მართა ზაქარიას ასულს ჭავჭავაძისას მიბარებული პქონია ქალაქის ლომბარდში სამი ხალიჩა და ექვსი ფარდაგი და ერთი ყუთი. პატრონის დამოწმებით ხალიჩები და ფარდაგები ყოფილა ჩინებული სამუშეუმო ეგზემპლარები და ყუთი კიდევ ხავესეა იარაღების კოლექციით. საზოგადოების საბჭო, წარმოგიდგენთ რა

¹⁷ დოკუმენტის გვერდზე. არეზე ხელათ არას ასეთი მინაწერი: „აქ აღნიშნული მანდატი № 1739 მიცემულია სასაღსო განათლებას კომისარიატის მიერ ჩენა საზოგადოებას სახელზე მ.კ.ა.ე 1922/21 წ.“ ხელს აწერს საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საზინადარი იროდიონ სონღუ-ლაშვილი.

¹⁸ მოლიანად ეს საბუთი დაწერაღაა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მდივნის ს. გორგაძის ხელით. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტს პირველ კვერდზე აქვს შემდეგი რეზოლუცია: „აღიძრას შუამდგომლობა ცენტრალური აბინათ კომიტეტის წინაშე. აღძრული შუამდგომლობა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებისა დაკმაყოფილებულ იქნას, 15/VII. 1921 წ.“

¹⁹ დოკუმენტი დაწერიღია სელით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბლანკზე 1921 წლას 30 ივლისს (№ 45).

ზეგით დასახელებულ პილეთებს მართა ზაქარიას ასულის ჭავჭავაძის სურვილის თანახმად, გთხოვთ შუამდგომლობა გაუწიოთ და მიწეროთ ქალაქის ლომბარდის სალიკვიდაციო კომისიას, დაუთმოს საზოგადოების მუზეუმს აღნიშნული ხალიჩები, ფარდაგები და ყუთი.

საზოგადოების თავმჯდომარე დ. კარიჭაშვილი (სელმოწერა)
მდივანი ს. გორგაძე (სელმოწერა)²⁰.

XV

შ. ი. ამირანაშვილის თხოვნა საქართველოს საისტორიო და
სამეთნოგრაფიო საზოგადოების საპროსადგო

საქართველოს საისტორიო და სამეთნოგრაფიო საზოგადოების საპროსადგო

შალვა იასონის ძის
ამირანაშვილისა

თ ხ ო ვ ნ ა

მიმდინარე თვის ბოლო რიცხვებში განზრახული მაქვს უცხოეთში გამგზავრება სწავლის გასაგრძელებლად. აზრად მაქვს შეეისწავლო სამუზეუმო საქმე (კოლექციების მოვლა, დაცვა და დაწყობა და სხვ.). ამისთვის ვთხოვ საზოგადოების საპროსადგო აღძრას შუამდგომლობა განათლების სახალხო კომისრის წინაშე ერთდროული დახმარების — ოცდახუთი მილიონ მან. (25.000 000) შესახებ.

მოსიონელი
შ. ი. ამირანაშვილი
ტფილისი 1922 წ.
19. ენკენისთე²¹

²⁰ საბუთს აქვს რეზოლუცია: „მიეწეროს ქალაქის ლომბარდის სალიკვიდაციო კომისიის დაეთარხ საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმს მართა ზაქარიას ასული ჭავჭავაძის მიერ მობარებული სალიჩები, ფარდაგები და იარაღი. ეს ბარგი ჩაბარებულია № № 36, 692 და 37768. 30/VII-1921 წ.“ სელმოწერა გაურკვეველია.

²¹ საქართველოს სელოენების მუზეუმის ფონდი, ყ. 858. თხოვნა გატარებულია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საპროსადგო სსდომაზე (ოქმი № 214) 1922 წ. 18. IX. ს. და აღძრულია შუამდგომლობა.

საისტორიო და სამეთვრამეო საზოგადოების მოსხვედრით
ბარათი განათლების სასაღსო კომისიარიატისაღმ (1924 წ. 8 მარტი).

სასაღსო განათლების კომისიარიატს. სამეცნიერო ლაწმხეაუწაათა
მთაარსამმართველსუ.

მთაარსამმართველს გამგის სიტყვეერი წინადადების თანახმად,
პატეი აქვს „საზოგადოების“ საბჭოს მოგახსენოთ შემდეგი:

1917 წლის 11 ნოემბრიდან „საზოგადოებას“ ქ. ტფილისში, წყნე-
თის ქუჩაზე, შექნილი ქქონდა გუბერნიის თაგადაზნაურობისაგან
ახაათას მანეთად (100.000 მან.) უქრავი ქონება. სახელდობრ მიწის
ნაჭერი, დაახლოებით 1600 კვადრატული საუენი, ყველა მისი შენო-
ბებიოა და შრამელებით. გასაბჭოების წინ ეს მამული იჯარით ქქონ-
დათ აღებული ხხვადახხვა მოიჯარეებს, რომელთაც წყნეთის ქუჩის
პირზე ამ მამულზე ააგეს კიდევ ახალი სადუქნე შენობები; ხოლო
შიგნივ თვითონ ეზოში გამართული იყო საავტომობილო გარაჟი და
სამჭკადური, აგრეთვე შემახს საწყობი და საცხოვრებელი ბი-
ნები.

ყველა ეს შენობები და საერთოდ მთელი იჯარით გაცემული მა-
მული აძლევდა „საზოგადოებას“, გასაბჭოების წინ, თვალსაჩინო თან-
ხას, რომლითაც საზოგადოება უძღვებოდა მრავალს თავის მოთხოვ-
ნილებას.

დღეს ეს მამული „საზოგადოებას“ ჩამორთმეული აქვს და ქალა-
ქის სელში იმყოფება: დუქნების უდიდესი ნაწილი წყნეთის ქუჩის
პირზე დაკეტილია, თითქმის მთელ მამულზე მოთავსებულია „სამ-
სედრო უმავთულო ტელეგრაფი“, რომელსაც გამართული აქვს თავი-
სი სამჭედლო, სადურგლო და თაგლა ცხენებისათვის და ბინები თა-
ვისი მოსამსახურეებისათვის. ამის გარდა ერთი ოთახი უჭირავს
მოქანდაკე ნიკოლაძის ატელიეს და ორი ოთახიც ძველ მოიჯარეს
სულიაშვილს საცხოვრებელ ბინად.

22 მოსხვენებითი ბარათი დაწერილია (ჩენი აზრით) ს. გორგაძის სელით საის-
ტორიო და საეანოგრაფიო საზოგადოების პლანსუ (1924 წ. 8 მარტი, № 27).

უფრო დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რა შემოსავალს აძლევს ქალაქს ამჟამად ეს მამული, „საზოგადოების“ საბჭოს არ მოეპოვება.

მამული წყნეთის ქუჩის მხრივ აღნიშნულია № 16-ით.

საზოგადოებას თავმჯდომარე ივ. ჯავახიშვილი (სელმოწერა)

მღივანი ს. გორგაძე (სელმოწერა)

მოლარე ირ. სუნდუხაშვილი (სელმოწერა)²³.

XVII

ა მ ო ნ ა წ ე რ ი 21

საზოგადოების სსდომის № 224(3) ჟურნალიდან (6 თებერვალი 1924 წ.).

სსდომა დაიწყო დილის 11^{1/2} საათზე. თავმჯდომარეობდა ივ. ჯავახიშვილი. დაესწრნენ: დ. კარიჭაშვილი, კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე, ირ. სონდუღაშვილი, ს. ჯანაშია, ს. ყაუსჩიაშვილი, შ. ამირანაშვილი, ს. გორგაძე, ვ. ჩუბინაშვილი.

მუხ. 12. მოისმინეს: გიორგი ამირეჯიბის წერილობითი განცხადება, 1924, II, 5 თარიღით, მის მიერ მუზეუმში შესაძენად წარმოდგენილის ორი ნივთის შესახებ: 1) ვასტანგ პატონიშვილისეული ზარნიშნიანი თოფისა, რომელსაც აფასებს ექვს ჩერგონეცად. 2) ორპირიანი ნაჯახისა („სეკირისა“), რომელსაც აფასებს ოთხ ჩერგონეცად.

დაადგინეს: ორივე ნივთი ერთად შეფასებულ იქნას ექვს ჩერგონეცად.

საზოგადოების მღივანი ს. გორგაძე²⁵.

1924 წ. 17 II 26.

²³ მოსხენებით ბრასზე დაღებულია რუსოლუცია: „ეღალცევს დეკრეტის გამოცემაზე სამეცნიერო დაწესებულებათათვის მიწის ნაჭერსა და შენობათა დაბრუნების საკითხი“. ზემოთ წარწერაა „საქმე № 162“.

²⁴ საბუთი დაწერილია სელით ხაზიან ქაღალდზე (არა ბლანკზე), რომელზედაც ზემო მარცხენა კუთხეში დაბეჭდილია „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“. ეტყობა ამგვარ ფურცლებზე აკეთებდნენ ოქმების ამონაწერებს.

²⁵ ამონაწერს ბოლოს დასმული აქვს საზოგადოების მრევალი ბეჭედი. როგორც ჩანს, ეს საბუთი გამიზნული იყო ვანათლების სახალხო კომისარიატში გასაცხადნად (საზი უნდა გავუხვით, რომ მსოლოდ მე-12 მუსლის ამონაწერია გაკეთებული და შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ მის არქივში აღმოჩნდა).

²⁶ ეს ამონაწერის გაკეთების თარიღია (სსდომა 1924 წ. 6 თებერვალს ჩატარებულა).

XVIII

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შუამდგომლობა
განათლების სახალსო კომისარიატისადმი (1924 წ. 7 მარტი).

განათლების კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ
სამმართველოს გამგას შ.

კვირაობით მუშაობა მუზეუმში²⁸ საჭიროდ ხდის, ძირს, უნივერ-
სიტეტის შემოსავალ კარებთან, საიმედო დარაჯის ყოლას. უნივერ-
სიტეტის დარაჯები თანახმანი არიან მორიგეობით იტვირთონ ეს
ზედმეტი მუშაობა, მსოლოდ თხოულობენ მცირეოდენს გასამრჯე-
ლოს. საბჭომ დაადგინა მიეცეს დარაჯებს ყოველ თვეში ხუთი მანეთი
ჩერვონეცი, ამა წლის პირველი მარტიდან.

მოგასხენებთ რა ამას, გთხოვთ იშუამდგომლოთ განათლების კო-
მისრას წინაშე გადადებულ იქნას ჩვენი მუზეუმის განკარგულებაში
ყოველთვიურად ხუთ-ხუთი მანეთი საკვირაო დარაჯების გასამრჯე-
ლოდ.

მუზეუმის გამგე და საზოგადოებას მდივანი ს. გორგაძე შ.

XIX

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თამაჯლომარის
იანგე ჯაფარისძის წერილი საზოგადოების თამაჯლომარის
აუსანაგის დამით კარიჭაშვილისადმი შ.

ტიფლისი 1927. II. VI.

ღრმად პატივცემულო ბატონო დავით!

ამასთანავე გაახლებთ ჩემ განცხადებას საქართველოს საისტ.-
ხეთნ. საზოგადოების თამაჯდომარეობისაგან აქ აღნიშნული სააა-
ტრო მიზეზების გამო გადადგომის შესახებ, გთხოვთ იგი საბჭოსა და

²⁷ იმ პერიოდში განათლების სახალსო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებუ-
ლებათა მთავარი სამმართველო გამგე აყო ცნობილი მეცნიერი ეუკოლ ბერაძე.

²⁸ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი იმსანად უნივერსა-
ტეტის შენობაში იყო მოთავსებული.

²⁹ შუამდგომლობა დაწერილია ს. გორგაძის ხელით საისტორიო და საეთნო-
გრაფიო საზოგადოების ბლანკზე (1924 წ. 7 მარტი, № 24).

³⁰ ვ. ლეონიძის ხასელობის საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ფონდი,
№ 4486-ხ.

საზოგადოების მორიგ სხდომას მოასხენოთ და წესდების ძალით თავმჯდომარეობას შეუდგეთ. გულითად მადლობას მოგასხენებთ თქვენც პირადად და საბჭოს ყველა წევრსაც სათითაოდ საერთო თანხმობრივი მუშაობისათვის. გადადგომის შემდგომაც მომავალშიც მზადა ვარ. რითაც კი შემოძლიან, საზოგადოებას დახმარება გაეუწიოთ და ვემსახურო.

მარად თქვენი კულწრფელი პატივისცემელი ივ. ჯავახიშვილი.

სამართველოს საისტორიო და სამეცნიერო საზოგადოების
მიმართვივი სამეცნიერო ღაწმამაწმამათა მითამარი
სამმართველოსადგიუ

I

სამეცნიერო დაწესებულებათა გამგეს

შაბათს, იანვრას 23-ს საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში, ად. 7 ს. დანიშნულია საზოგადოების ჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელზედაც ნიკოლოზ ბერძენიშვილი წაიკითხავს მოსხენებას: დასავლეთ-საქართველოს საეკლესიო წესწყობილება“. კრებაზე დასრება გარეშეთაც შეუძლიათ.

საზოგადოების მდივანი ს. ჯანაშია³²

II

სამეცნიერო ღაწმამაწმამათა მითამარი სამმართველოს გამგეს

შაბათს, ივნისის 4-ს, საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის ედიტორიაში (კალოუნის ქ. № 1) დანიშნულია საზოგადოების კრება კრება. კრების საგანია: 1) მ. ჯანაშილის მოსხენება: კიმრები და ქართველები — „სახლი თარგამოსისა დასასრულისაგან რდილოისა“, 2) კამათი პრ. ივ. ჯავახიშვილის მოსხენების — „ქარ-

³¹ დაკულია საქართველოს ხელუენების მუზეუმში. ყველა მიმართიას აქვს რე-
ლუცია „ნება დაერთოს“.

³² დათარიღებულია 1925 წ. 20 იანვრით.

თული და კავკასიის ენების ნათესაობის პრობლემის“, გამო და 3) ასალ წევრთა არჩევა. კრება საჯაროა.

გთხოვთ ნებართვას.

საზოგადოების მდივანი ხ. ჯანაშია³³

III

სამმართველო დაწესებულებათა პაპებს

შაბათს, ღვინობისთვის 24-ს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუსეუმის აუდიტორიაში (კალოუბნის ქ., № 1) დანიშნულია საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც დოცენტი ნ. ქოიავა წაიკითხავს: „საქართველოს სახელმწიფო ფინანსები“.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ ნებართვას.

საზ-ბის მდივანი ხ. ჯანაშია³⁴

IV

სამმართველო დაწესებულებათა პაპებს

შაბათს, ღვინობისთვის 31-ს, საქართველო. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივ კრებაზე (საქართველოს მუსეუმის აუდიტორიუმში) წაიკითხავს მოხსენებას დავით კარიჭაშვილი: „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან (რუსეთში დაბეჭდილი წიგნები მე-XVIII ს-ში)“.

დასაწყისი საღამოს 7 ს.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ ნებართვას.

საზოგადოების მდივანი ხ. ჯანაშია³⁵

³³ დათარიღებულია 1925 წ. 2 ივნისით.

³⁴ დათარიღებულია 1925 წ. 21 ოქტომბრით.

³⁵ დათარიღებულია 1925 წ. 28 ოქტომბრით.

V

სამეცნიერო ღონისძიებებისათვის გაგზავნა

შაბათს, გიორგობისთვის 4-ს, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში დანიშნულია საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც მოხსენიებას წაიკითხავს ანნა ამირანაშვილი: ³⁶ „ოლვიისა და პანტიკაპეის განათხართა ნიუარები“, დჰსაწყ. საღამოს 7 ს.

გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ ნებართვას.

სას-ბის მდივანი ს. ჯანაშია ³⁷

VI

სასაღსო განათლებას კომისიარიატის სამეცნიერო ღონისძიებებისათვის მთავარ სამმართველოს გაგზავნა

შაბათს, იანვრის 16-ს, საღამოს, 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (კალოუბნის ქუჩა, № 1) მოხდება საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც წაიკითხავენ მოხსენებებს: 1) პროფ. ივ. ჯავახიშვილი — „პალეოგრაფიულად მნიშვნელოვანი ძეგლების დათარიღება“, და 2) გ. ჩიტაია — „გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში“.

კრება საჯარო იქნება.

გაუწყებთ, რა ამას, გთხოვთ ნებართვას.

მდივანი ს. ჯანაშია ³⁸

VII

სამეცნიერო ღონისძიებებისათვის გაგზავნა

შაბათს, მაისის 29-ს, დანიშნულია სას-ბის ჩვეულებრივი კრება (საქართველოს მუზეუმის შენობაში). კრების საგანია ს. მაკალათიას

³⁶ ა. ამირანაშვილი ცნობილი არქეოლოგია, სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილია ბოლტუნოვას გვარით, ამჟამად პენსიაზეა.

³⁷ დათარიღებულია 1925 წ. 12 ნოემბრით.

³⁸ დათარიღებულია 1926 წ. 13 იანვრით.

მოსხენება: „არქეოლოგიურ-ეთნოლოგიური მოგზაურობა ზემო სვანეთში“. კრება საჯაროა. დასაწყისი საღამოს 7 ს.

გთხოვთ ნებართვას.

საზ-ბის მდივანი ს. ჯანაშია³⁹

VIII

სამეცნიერო ღონისძიებებისათვის გაგზავნა

პარასკევს, ნოემბრის 12-ს, 1926 წ., საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში დანიშნულია საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც დავ. კარიჭაშვილი წაიკითხავს მოსხენებას: „ვინ არის „კალმასობის“ ანუ „სუმარსწავლად“ წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორი“. დასაწყისი საღ. 7 ს, კრება საჯაროა. გთხოვთ ნებართვას.

საზ-ბის მდივანი ს. ჯანაშია⁴⁰

IX

სამეცნიერო ღონისძიებებისათვის გაგზავნა

შაბათს, იანვრის 15-ს, საღ. 7 ს., საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში დანიშნულია საზ-ბის ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც პავლე ინგოროყვა წაიკითხავს: „ორს ეტიუდს პალეოგრაფიიდან: ა) კავკასიის ალვანთა დაკარგული ანბანი და ბ) ქართულ-ალვანურ-სესურ ანბანთა წარმოშობა“. კრება საჯაროა.

გთხოვთ ნებართვას.

საზ-ბის მდივანი ს. ჯანაშია⁴¹

X

სამეცნიერო ღონისძიებებისათვის გაგზავნა

პარასკევს, 28-I-ს, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში დანიშნულია საზ-ბის ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც პავლე ინ-

³⁹ დათარიღებულია 1926 წ. 28 მაისით.

⁴⁰ დათარიღებულია 1926 წ. 10 ნოემბრით.

⁴¹ დათარიღებულია 1927 წ. 19 იანვრით.

ვოროყვა წაიკითხავს მოხსენებას: „ქართულ, სომხურ და ალვანურ ანბანთა წარმოშობა“. კრება ხაჯაროა, დასაწყისი საღ. 7 საათზე.

გთხოვთ ნებართვას.

მღიანი ხ. ჯანაშია⁴²

XI

სამეცნიერო დაწესებულებათა პაემუს

პარასკევს, თებერვლის 11-ს, 1922 წ. საზ-ბის ჩვეულებრივ კრებაზე (საქართველოს აუდიტორიუმი, ფურცელაძის ქ. № 1) მოხსენებას წაიკითხავს პროფ. კ. კეკელიძე: „იერარქიული წესწყობილება ძველ საქართველოში“ კრება ხაჯაროა.

გთხოვთ ნებართვას.

მღიანი ხ. ჯანაშია⁴³

XII

სამეცნიერო დაწესებულებათა პაემუს

პარასკევს 11/III-ს, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში დანიშნულია საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც გიორგი ბოჭორიძე წაიკითხავს მოხსენებას: „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში“. კრება ხაჯაროა, დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

გთხოვთ ნებართვას.

მღიანი ხ. ჯანაშია⁴⁴

⁴² დათარიღებულია 1927 წ. 25 იანვრით.

⁴³ დათარიღებულია 1927 წლის 8 თებერვლით.

⁴⁴ დათარიღებულია 1927 წ. 8 მარტით.

XIII

სამმართველო დაწესებულებათა ბაზა

ოქტომბრის 3-ს შესდგება საზოგადოების ჩვეულებრივა კრება (საქართვე. მუზეუმი, სად. 7 ს.) საზოგადოების არსებობის თცა წლის-თავის აღსანიშნავად. კრების საგანი: 1) სერგი გორგაძის შოკლეკ მიმოსილეა საზ-ბის საქმიანობისა და 2) აკ. შანიძის წინასწარი მოხ-სენება შუსართისეული სანმეტი ხელთნაწერის შესახებ.
კრება საჯაროა.

გთხოვთ ნებართვას.

მდივანი ხ. ჯანაშია ⁴⁵

XIV

სამმართველო დაწესებულებათა ბაზა

პარასკევს, 28-ს, სად. 7 ს. საქართველოს მუზეუმის აუდიტორია-უმში დანიშნულია საზ-ბის ჩვეულებრ. კრება, რომელზედაც მოხსენ-ებებს წაიკითხავს გ. ნიორაძე: „მეორედ დამარხვის წესი ძველ საქართველოში“.

კრება საჯაროა.

გთხოვთ ნებართვას.

საზ-ბის მდივანი ხ. ჯანაშია ⁴⁶

XV

სამმართველო დაწესებულებათა ბაზა

პარასკევს, 17/II-ს, სად. 7 ს. დანიშნულია საზოგადოების ჩვე-ულებრივი კრება, რომელზედაც მოხსენებებს წაიკითხავენ: 1) ნ. ბერ-ძენიშვილი — „ათონის აღაპთა დათარიღებისათვის“ და 2) პროფ. ივ. ჯავახიშვილი — „აღაპების შედგენის წესები“. კრება შესდგება სად. 7 ს. საქართველოს მუზეუმში და საჯაროა.

გთხოვთ ნებართვას.

მდივანი ხ. ჯანაშია ⁴⁷

⁴⁵ დათარიღებულია 1927 წლის 29 ხექტემბრით.

⁴⁶ დათარიღებულია 1927 წ. 25 ოქტომბრით.

⁴⁷ დათარიღებულია 1928 წ. 15 თებერვლით.

XVI

სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მმართველს

პარასკევს, 19/IV-ს, ხად. 7 ს., საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში, დანიშნულია საზ-ბის წლიური კრება. დღის წესრიგი ივ. ჯავახიშვილის მოხსენება: „საქართველოს მთავრობის ფინანსური პოლიტიკა XIII ს-ში“, წლიური ანგარიშები, სარევიზიო კომისიის აქტი.

გთხოვთ ნებართვას.

საზ-ბის მდივანი ს. ჯანაშია⁴⁸

XVII

სამეცნიერო დაწესებულებათა გამგავს

პარასკევს, იენისის 1-ს, ხად. 7 ს. საქართველოს მუზეუმში დანიშნულია საზ-ბის ჩვეულებრივი კრება, რომელსედაც მოხსენებას წაიკითხავს ალ. ბარამიძე: „როსტომიანის ქართული თარგმანისათვის“.

კრება საჯაროა.

გთხოვთ ნებართვას.

მდივანი ს. ჯანაშია⁴⁹

საზოგადო კრებათა ოქმები.

№ 5

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1912 წელს, მარტის, 5-ს.⁵⁰

კრება გაიხსნა ხადამოს მ საათზე თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში ექვთიმე სვ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრენ საზოგადოების წევრები: არისტ. ქუთათელაძე,

⁴⁸ დათარიღებულია 1928 წ. 18 აპრილით.

⁴⁹ დათარიღებულია 1928 წ. 29 მაისი.

⁵⁰ დაბეჭდილია კრებულში „ქველი საქართველო“, I, თბ., 1909, გვ. 15-16.

პეტრე მირიანაშვილი, მღვდ. კალ. ცინცაძე, დავ. კარიჭაშვილი, მღვდ. პოლ. კარბელაშვილი; დეკანოზი ნ. ბალაკვაძე, მღვდ. ვას. კარბელაშვილი, არქიმანდრიტი ამბროსი, მღვდ. მაჭარაშვილი, ათან. ჯვარიანიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, გ. ჯავახიშვილი, ხ. გორგაძე და გარეშე მსმენელნი.

I. პირველათ ბ-ნმა თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას ვაცნო ვრცელი გეგმა დიდებულის ბანის ეკლესიისა (ტაოში), რომელიც აშენებულია ადარნასე კუროპალატის დროს (888—923 წ.); იგი წარმოადგენს მრგვალი მოყვანილობის სამ-სართულიან შენობას, რომელიც სივრცით თითქმის ყველა ტაძრებს აღემატება ამიერკავკასიაში.

II. შემდეგ საზოგადოებამ მოისმინა არქიმანდრიტის ამბროსის (სელაია) მოხსენება „ჭელიშის ვარიანტი ქართლის მოქცევისა“. ვარიანტი იძლევა ფრიად საინტერესო ცნობას ქრონიკის ავტორის შესახებ, სახელდობრ იგი ამბობს, რომ „ქართლის-მოქცევა“ შედგენილი იყო გრიგოლ დიაკონის აგანაო. — ვარიანტში მოთავსებულია ასალი ცნობა ვარაზ-ბაკურის დროის შესახებ: ვარიანტი ამ მეფეს მიაწერს წმ. გიორგის სახელობაზე ეკლესიის აშენებას. მომხსენებლის აზრით, ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი მოწმობს, რომ წმ. გიორგის პატივისცემა ქართველებში მე-IV საუკუნეშივე გაერთიანებულია. რით აიხსნება ეს ფაქტი, თუ არა მით, რომ წმ. გიორგი კაბადოკიელი ქართველი უნდა ყოფილიყო, ან ქართველთ-განძანათლებელის მონათესავე?! ამითვე უნდა აიხსნებოდეს ის გარემოებაც, რომ არც ერთს ხალხში წმ. გიორგის ისე პატივს არა სცემენ, როგორც ქართველებში, ხადაც მას 300-ზე მეტი ტაძარი აქვს აგებული. მომხსენებლის აზრით, ქრონიკის ჭელიშის ვარიანტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საისტორიო მეცნიერებისათვის.

მოსხენებამ ცხოველი აზრთა განიარება გამოიწვია.

მღვდ. პოლ. კარბელაშვილი: საყურადღებოდ მიმაჩნია მამა ამბროსის აზრი წმ. გიორგის ქართველობის შესახებ. ეს აზრი გვსდება როგორც მწერლობაში, ისე ჩვენი მთიულების რწმენასა-სქმულებაში. მაგალითად, სვანეთში დღემდე ცნობილია „ეიბლიანების“ საგვარეულო, რომელსაც დაცული აქვს ილორის ხატის პირი და რომელსაც ყველა სვანი დიდის მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობა; ამ საგვარეულოში დაცულია გარდამოცემა, რომელიც მოგვითხრობს, ვითომც კიბლიანები ჭანეთიდან (კაბადოკიის მეზობ-

ლად) ყოფილადიონ შოსული და დასახლებული პირველათ ილორში და შემდეგ ილორიდან სვანეთში. წმ. გიორგის ის ხატი, რომელიც დღეს ილორში ასვენია, ამ საგვარეულოს თან მოუტანია თავისი ძველა საშობლოდან; ვიბლიანებს სჯერათ, რომ წმ. გიორგი მათი წინაპრების ნათესავი იყო.

პეტრე მირიანაშვილი: ყურადღებით ვისმენდი მამა არქიმანდრიტის მიერ წაკითხულს ვარიანტის ზოგიერთს ადგილებს, ცაკვარდებოდა მათს ენას და უნდა შევნიშნო, რომ ამ ენის ზოგიერთი თვალება ცხადად ამტიკიებს მის სიძველეს. — ეჭვ-დაუდებლათ ძამაჩნა, როგორც ნანოსი, ისე წმიდა გიორგისა და 13 სირიელ ძამათა ქართველობა. — ამას გარდა მამა არქიმანდრიტი შეესო საქართველოში „ურიების“ ანუ ებრაელების გადმოსახლებას, რაც ქრ. ი. ნაკაშიაც ყოფილა მოსხენებული. ვეთანსმები იმ აზრს, რომ ებრაელების გადმოსახლება ჩვენში სხვა და სხვა დროს უნდა მოქმდა-რაყოს. ჩემის ფიქრით ასეთს გადმოსახლებას ადგილი უნდა პქონებოდა ურართუს ეპოქაშიც, როცა ქართველობა ვან-არარატის მიდამოებში ცხოვრობდა.

ექვთ. ჭვ. თაყაიშვილი: ზრულიად ვეთანსმები მამა არქიმანდრიტს, რომ ჭეღისის ვარიანტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის. ამ ვარიანტით ერთსელ კიდევ მტიციდება ის მოსაზრება, რომელიც ჩვენ ამ ქრონიკის შატბერდისეული ვარიანტის გამოცემის დროს გამოთქვით მისი პირველი ნახევრის დაწერის შესახებ. ჩვენის აზრით ქრონიკოს პირველი ნაწილი (სახელდაობრ სტეფანოს მე-II-ის გარდაცვალებამდე 663 წ.) ცალკეა შედგენილი, მე-VII საუკუნეში (იხ. ჩვენი „სამი ისტ. ქრონიკა“ XCIV—XCXV). ხოლო ამის მომდევნო ერისთავთა და კათალიკოზთა სია (იხ. „სამი ისტ. ქრონ.“ გვ. 37—39) შემდეგს დროებში უნდა იყოს შედგენილი და მინაწერი. „შესაძლოაო, — ვამბობდით ჩვენ ამ 17 წლის წინათ, — ეს სია მარტო ჩვენს ვარიანტში იყოს და სხვებში არ აღმოჩნდესო“ (იქვე გვ. XCV). მართლაც, ჭეღისის ვარიანტში, როგორც მამა არქიმანდრიტმა ბრძანა, მოსხენებული არ ყოფილა 18 კათალიკოზი, რომელნიც შატბერდის ვარიანტში არიან ჩამოთვლილნი (იხ. „სამი ისტ. ქრ.“ გვ. 39). ამგვართ დამტიციდა ის აზრი, რომ „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის პირველი ნაწილი (სტეფანოს მე-II-მდე) ცალკე ყოფილა შედგენილი და მე-XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე მოყვანილი.

სალამოს 11 საათზე კრება დაისურა.

კრება გაიხსნა დილის 11 საათზე, ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2).

დაესწრნენ ნამდვილი წევრები: გენერალი გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, დავ. კარიჭაშვილი, ალ. ივ. სარაჯიშვილი, ალ. თ. ყიფშიძე, მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი, იუსტ. ირ. აბულაძე, დეკანოზი კარნ. კეკელიძე, ს. რ. გორგაძე, გერ. იმნაიშვილი, შალვა ამირეჯიბი, ალ. ქვლივიძე, ტარასი რცხილაძე, ივანე თიკანაძე, ათ. ჯვარიშვილი, ეგნატე სრამელაშვილი, მირონ ჯინორიძე, ვლ. ელიავა, გრ. ბურჭულაძე, აბ. იაშვილი, არჩ. ავალიშვილი, ლ. ბოცვაძე, პ. იზაშვილი, დავ. ჯორჯაძე, იოსებ მერკვილაძე, მიტროფ. ლალიძე, ირაკლი რამიშვილი, ალ. მიქაბერიძე, მღვდ. ვასილ კარბელაშვილი, გრ. ყიფშიძე და გარეშე საზოგადოება.

I. პირველად, თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ ზეზე ადგომით პატივი სცა საზოგადოების ახლად გარდაცვალებული წევრის ნიკოლოზ ცხვედაძის ხსოვნას.

II. შემდეგ კრებამ მოიხმინა 20 სექტემბრის კრებათა ოქმები და უცვლელად დაამტკიცა.

III. მერე კრებას მოსხენდა: 1) 1910 წლის საზოგადოების მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, 2) შემომწირველთა სია, 3) 1911 წლის საგარაუდო ანგარიში და 4) სარევიზიო კომისიის აქტი შემდეგი შინაარსისა:

„1911 წელსა. ოქტომბრის 30-სა დღესა, ჩვენ ქვემოთ ხელას მომწერთა, სარევიზიო კომისიის წევრებმა, საზოგადოების საბჭოს მოწვევით განვიხილეთ:

1. საზოგადოების 1910 წლის მოქმედების ანგარიში,
2. შემოსავალ-გასავლის ანგარიში იმავე წლისა,
3. შემოსავალ-გასავლის წიგნები, საბუთები და თანხები,
4. 1911 წლის საგარაუდო აღრიცხვა შემოსავლისა და ხარჯებისა,

⁵² დაბეჭდილია კრებულში „ქველი საქართველო“, III, თბ., 1914, გვ. 104-106.

5. წავთხარე და მისი ორი კატალოგი (სელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნებისა),

6. მუზეუმის კატალოგი და საარქეოლოგიო ნივთები,

7. გამოცემათა საწყობი და თვით გამოცემანი,—და ყ პ ო ე ე თ:

1. საანგარიშო წიგნები წესიერათ ნაწარმოები,

2. თანხები სრულიად დაცულნი,

3. სავარაუდო აღრიცხვა წესიერათ შედგენილი,

4. საარქეოლოგიო ნივთები და წიგნები წესიერათ აღნუსუსულ-დაცულნი,

5. საზოგადოების გამოცემათა რაოდენობაც სრულიად დაცული, იმ ცალების გამოკლებით, რომელნიც ხაზოგადოების საბჭოს გაუყადნია ან წევრთათვის და აგენტებისათვის დაურიგებია“.

სარევიზო კომისიის წევრები: კ. მაყაშვილი, გრ. ყიფშიძე.

1910 წლის ანგარიშები კრებამ მოიწონა და დაამტკიცა. — დაამტკიცა, აგრეთვე, 1911 წლის სავარაუდო ანგარიშიც. ამ უკანასკნელთან ერთად კრებამ განიხილა საბჭოს მოსხენება (საბჭოს ყურნალი № 63, მუხლი 7); დაინიშნოს სასყიდელი საზოგადოების გამოცემათა რედაქტორობისა ყოველ ნაბეჭდ გვერდზე (ჩვენი გამოცემის ფორმატისა) — ხუთი შაური, კორექტურისა — იმავე ანგარიშით იმდენივე და სელნაწერთა გადმოწერისა იმავე ანგარიშით იმდენივე; აგრეთვე საზოგადოების მდივანს თვეში ოცდასუთი მანათი და მის თანაშემწეს, ე. ი. საქმის მწარმოებელს — ოცდასუთი მანათი.

კრებამ საბჭოს მოსხენებაც მიიღო და დაამტკიცა დაე. კარიჭაშილას განმარტებით, სახელდობრ: სასყიდელი რედაქტორობისა, გადმოწერისა და კორექტურისა ხუთ-ხუთი შაური მარტო maximum-ად იყოს მიღებული; მაგრამ დაევალოს საბჭოს, სადაც შესაძლო იქნეს და მოსერსდებოდეს, რედაქტორ-გადამწერ-კორექტორთან, წინასწარი შეთანხმებით ნაკლები ხარჯი გაიღოს სოლმე.

IV. დასასრულ, კრებამ მოისმინა მოსე გიორგის ძის ჯანაშვილის მოსხენება „ქართული „დაბადების“ შეხახება“. მთელი მოსხენება ხუთ თავად იყო გაყოფილი: 1-ლ თავში რეფერენტმა საზოგადოებას გააცნო ქართული „დაბადების“ სელნაწერები; მე-2 თავში მოკლეთ შეეხო ქართული „დაბადების“ დაბეჭდვის ისტორიას, შედარებით დიდხანს შეჩერდა მოსკოვის გამოცემაზე (1743 წლისა); მე-3 თავში მრავლად უჩვენა განსსვაგებანი „დაბადების“ ალექსანდრიულის, ბერძნულის, რუსულის, სომხურის და ქართულის ტექსტები

სა; მე-4 თავში მომხსენებელი შეეცადა კრებისათვის გაეცნო ის მიზეზები, რომელთაც ხელი შეუწყევს „დაბადებას“ მრავალგვარის (თითქმის 400-მდე) ვარიანტის წარმოშობას და მე-5 თავში გამოსთქვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ საიდან, რომელი ენიდან, უთარგმნაით ქართული „დაბადება“. რეფერენტის აზრით, ადრეა ჯერ იმისა მტკიცება, ვითომც ქართული დაბადება სომხურიდან ეთარგმნოს; მისი აზრით ქართული „დაბადება“ ბერძნულის ღვიძლი შვილია.

მომხსენებელი კრებამ ტაშით დააჯილდოვა.

ნაშუაღლევის 2 საათზე წლიურა კრება დაასურა და მის ნაცვლათ თავქუდო-მარემ გამოაცხადა არაჩვეულებრივი კრება.

№ 57.

ნმუღუბერიძე სასოგადო კრება.
1912 წელს, მარტის, 5-ს.53

კრება დაიწყო საღამოს 8 $\frac{1}{2}$ საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ შემდეგი წევრნი: გენერალი გიორგი ნიკ. ყაზბეგი, ა. ბ. მდივანი, სპ. ბაქრაძე, დ. კარიჭაშვილი, ალ. ი. სარაჯიშვილი, ათ. ჯვარიშვილი, მის. გიორგაძე, ვრ. ყიფშიძე, პ. მირიანაშვილი, ი. აბულაძე, ს. გორგაძე, ალ. მიქაბერიძე, ნიკ. ავალიშვილი, ალ. მირიანაშვილი, გიორგი დაფქვიანაშვილი, ალ. ყიფშიძე, არჩ. ავალიშვილი, ს. კაკაბაძე და გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ კრებამ მოისმინა წინა კრებათა ოქმები (№ 55 და 56) და დაამტკიცა რამოდენისამე შევსებითა და შესწორებით (ის. მე-55 ოქმის სხოლიოებში).

II. შემდეგ კრებას მოხსენდა დავ. გ. კარიჭაშვილის რეფერატი: „საქართველოს წარმართი ღმერთები ჩვენს მატიაში“. ავტორის მთავარი დასკვნანი ასეთი იყო: წარმართობის დროს საქართველოში სამგვარი კულტი ყოფილა: ა) საბერძნეთიდან შემოტანილი კულტი აფროდიტისი, ბ) ზოროასტრიზა ანუ მაზდაიანობა და გ) ასურულ-ბაბილონურის ჩამომავლობის ღმერთთა თაყვანისცემა. კერძოთ მაზდაიანობის ნაშთებს წარმოადგენს ჩვენი მატიაანის ცნობა: არმასა, ზადენსა, გაცისა და. გაიმზე; არმაზი — ეს იგივე აურმაზდი ანუ აპურამაზდაა; ზადენი — საღეთა

⁵³ დაბეჭდილია კრებულში „ქველი საქართველო“, III, გვ. 111-115.

წაგნა „ზენდი“, რომელსაც თვით მასდაიანებიც ისე უცქეროდენ, როგორც ღვთაებას; გაცი — ზენდის ერთ-ერთი საგალობელია, სასულდობრ „ვათა“; გაიმი — მასდაიანობის კულტის ერთ-ერთი საღვთო ნივთიერება (სასმელი) — „ჰაომა“, რომელსაც ღვთისმსახურების დროს ხმარობდენ. — რაც შეეხება მატიანეთა „აინინა-დანანას“, ამასში რეფერენტი პოეზებს სამის ასურ-ბაბილონური ღვთაების დამახინჯებულ სასელს. ეს ღვთაებანია: ა=აი, ნინა და ნანა*).

რეფერატი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია.

ბ. მირიანაშვილი. საჭირო იყო პატივცემული რეფერენტი სხვა ქართულ ღმერთებსაც შეჰხებოდა: „ამირანსა“ და „ბოჩის“. პარველი, ჩემის ფიქრით, ებონიშია ერთ-ერთი ქართველი ტომისა: იმერისა=ივერისა=ურისა. ბოჩი კი მოგვაგონებს ინდოურს ღმერთს ვაჩეს; მას რომ შვადი ხელი ჰქონია, ეს სიმბოლურს გაშოხატულებს წარმოადგენს მთელი მაშინდელი კავკასიის შვიდის ტომისას; დღეს, ხალხის წარმოდგენაში, ის „ბოჩო“ ქცეულა ბოროტ სულად „ოჩო-პენტრედ“, რომელიც ტყეში დახეტიალობს. — კერძოთ რეფერენტის შესახებ ბ-ნი მირიანაშვილი შენიშნავს, რომ დღევანდელს რეფერატი ბევრი ისეთი ახალი აზრი გამოითქვა, რომელთაც ამიერიდან ჩვენმა ისტორიკოსებმა ანგარიში უნდა გაუწიონ.

ი. აბულაძე ამტკიცებს, რომ ნიკ. მარრის აზრი ამავე საგნის შესახებ უფრო დასაბუთებულია და მისაღები, ვინემ რეფერენტისათ. ბ-ნ რეფერენტს ავიწყდება, რომ მარრს ძალიან მკვიდრი საფუძველი აქვს, როდესაც იგი სთვლის ქართველ საწარმართო ღმერთების სასულეებს მწიგნობრულის საშუალებებით შემოსულად ჩვენს მატიანეში. მთელი მისი თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ „ქართლის ცხოვრებას“ პირველ ნაწილში ყველაფერი წასესხებია. ეს სრული ჭეშმარიტებაა. აიღეთ თუნდ აფრიდონ, რომელმაც მიაბა გველთა უფალი ბევრასფი დემავენდს; იგივე ითქმის ღმერთების შესახებაც, რომელნიც სპარსთა პანთეონიდან არიან შემოტანილი. ბ-ნ კარიჭაშვილის რეფერატის პირველი და თითქმის უმეტესი ნაწილი ბ-ნ მარრის აზრის განმეორებას და გადასხვაფერებას წარმოადგენს; მხოლოდ მეორე ნაწილში აუღია და ასურო-ბაბილონური ღმერთები: აი, ნინა და ნანა პირწმინდად მიუღია ქართველ საწარმართო ღმერთებად. საზოგადოდ რეფერენტს არ აქვს არავითარი ფილოლოგიური და ისტორიული საფუძველი.

* აღნიშნული რეფერატი შემდეგ ავტორმა დაბეჭდა გაზ., „თემში“, 1912 წელს.

ს. კაკაბაძე. დღევანდელს რეფერატს შემდეგი სუსტი მხარეები აქვს: ა) მომხსენებელი არ იცნობს თუ საჭიროდ არა სცნობს ანგარიში გაუწიოს იმ კრიტიკულს ლიტერატურას, რომელიც უკვე არსებობს ჩვენი საისტორიო წყაროების შესახებ და კერძოთ იმ წყაროთა შესახებ, რომელთაგანაც რეფერენტს თავისი ცნობები ამოუკრებია ძველ ქართულ ღმერთებზე. როგორც კრიტიკამ გამოარკვია, ეს წყაროები („ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისა“) შედგენილია პირველი არა უადრეს მე-XI საუკუნის მეორე ნახევრისა, სოლო მეორე არა უადრეს მე-X საუკუნისა, და, მაშასადამე. ყოვლად შეუძლებელია მე-X—XI საუკუნის ქართველ მწერალს რაიმე რეალური სარწმუნო ცნობა ჰქონოდას ხელთ ძველი ქართული წარმართობის შესახებ. რეფერენტი კი იმ „ცნობებს“ უკრიტიკოთ ემყარება. ბ) ამას გარდა რეფერენტი სპეციალისტი არაა, მან არ იცის არც ერთი აღმოსავლური ენა (გარდა ქართულისა); კერძოთ, იგი არ იცნობს სპარსულსა და ძველ ზენდურს; ამიტომ ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნია მის ფილოლოგიურს მოსაზრებებს ვერწმუნო და მარნის გამოკვლევა ამავე საგნის შესახებ უარეპყო. რეფერენტთან. რადგან მან აღმოსავლური ენები არ იცის, მე ამ საგნის შესახებ კამათიც კი შეუძლებლად მიმაჩნიაო.

ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი — არ ეთანხმება კაკაბაძეს, ვითომც ქართული წყაროები იმდენათ საფუძვლიანათ იყოს შესწავლილი, რომ შეიძლებაოდეს გადაჭრით დადგენა მათის შედგენის თარიღისა. როცა სტუდენტად ვიყავი, მეც ბევრი რამ მჯეროდა იმ მკვლევართა, რომელნიც „ქართლის ცხოვრებას“ თითქმის მე-18 საუკუნის ნაწარმოებად სთვლიდენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც მარიამ დედოფლის ვარიანტი, „ქართლის მოქცევა“ და სხვა წყაროები აღმოჩნდა, ჩემთვის ცხადი შეაქნა, რომ ჩვენი მატრიანის შემდგენელს ხელთ ბევრი სხვა უუძველესი წყარო ჰქონია; გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იმ ძველი წყაროების შემდგენელთ კიდევ უფრო ძველი წყაროები ექნებოდათ. მართალია, „ქართლის ცხოვრების“ პირველ ნაწილში მრავალი ნახესხები ზღაპარი და თქმულება მოიპოება (მაგალ. ფარნაეაზისა და ვახტანგ გორგასლანის შესახებ და სხვანი), მაგრამ თქმა იმისა, ვითომც იქ ყველაფერი მწიგნობრულათ ნახესხები ან ზღაპარი იყოს და არავითარი რეალური ცნობა არ მოიპოებოდეს, ჯერჯერობით მე ძლიერ აჩქარებულ აზრად მიმაჩნია. პირიქით, ჩემის აზრით, იქ ზღაპართან ერთათ რეალური ცნობებიც თავს იფარავს და ჩვენი მოვალეობაა ამგვარი ცნობების გამოკვლევას ხელი შევეწყოთ. დღე-

ვანდელა რეფერატი სწორეთ ამ საქმეს ემსახურება და რამოდენათმე მაზანსაც აღწევს. — მართალია ბ-ნი რეფერენტი წყაროებს კრიტიკულად არ შეესო, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ თითქოს მას საჭიროდ არ მიაჩნდეს წყაროთა კრიტიკა ამგვარი კვლევის დროს. ან თითქოს არ იცნობდეს არსებულს კრიტიკას, არამედ მსოლოდ იმას, რომ რეფერენტს თავისი განსაზღვრული შესედულება აქვს ამ წყაროთა ღირებულებისა და მნიშვნელობის შესახებ, და ეს შესედულება ბევრს შემთხვევაში არ ეთანხმება ჩვენი საისტორიო წყაროების კრიტიკოსთა შესედულებას.

დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი: ა) მართალია, ჩემი რეფერატისათვის წინ არ წამიძღვანებია ჩვენი საისტორიო წყაროების ისეთი კრიტიკა; როგორსაც ბ-ნი კაკაბაძე თხოულობს; მაგრამ განა შესაძლებელია და საჭიროა, ყოველს პატარა მოხსენებას წინ მუდამ იმ სივრძე კრიტიკა წყაროებისა წარუძღვანოთ სოლმე, როგორიც დღეს ჩემმა ობონენტმა წარმოგვიდგინა?! ამას არ სჩადის არც ჩემი ობონენტის მასწავლებელი ნიკ. მარრი თავის პატარა გამოკვლევაში ამავე საგნის შესახებ („Бог и языческий Грехи“), რომელსაც დღეს ესარჩლება ბ-ნი კაკაბაძე; მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, ვითომც ბ-ნს მარრს საჭიროდ არ მიაჩნდეს წყაროების კრიტიკა, ან მათ შესახებ თავისი განსაზღვრული შესედულება არა კქონდეს... კერძოთ; ჩვენი წყაროების შესახებ იმ აზრისა გასლავართ, რომ ყოველად შეუძლებელია მემატიაწეს ფაქტები და სასელები განგებ შეეთხზას: უაჭველია მას ხელთ ექნებოდა უფრო ძველი მწერლობითი წყარო ან ვადმოცემა, ხალსში დარჩენილი. ჩემთვის სულ ერთია, როდესაც უნდა ჩაეწერათ ეს გარდამოცემა. შეიძლება იგი მე-X საუკუნეშიაც ჩასწერეს (და კი არ შესთხზეს, როგორც ჩემს ობონენტსა ჰგონია); მაგრამ ამით ჩვენ საფუძველი არ გვესპობა იმ გარდამოცემათა რეალური ისტორიული მნიშვნელობა ვადიაროთ. მარრსა ჰგონია, წარმართი ღმერთების სასელები ჩვენს წყაროებში მწიგნობრულათ იყოშ შემოტანილი უცხო ენებიდან; ჩვენ კი გვგონია, რომ იგინი ჩვენი ზალსის რეალურ გარდამოცემიდანაა შემოტანილი მემატიაწის მიერ. და მეცნიერულის მხრით, ბ-ნი მარრის „მგონიაობა“ (პიპოტეზა) სრულებითაც არაა ჩემს „მგონიაობაზე“ (პიპოტეზაზე) უკეთ დასაბუთებული. ბ) მართალია, მე სპეციალისტი არა ვარ და არც როდის მიწოდებია ჩემი თავისთვის „სპეციალისტი“, მართალია, არც სპარსული ენა ვიცი, სწორეთ ისე, როგორც არ იცის იგი არც ჩემმა მოკამათემ; მაგრამ ხელში მაქვს ძველი სპარსული და

ქართული რამოდენიმე საღვთისმეტყველო ტერმინი და შემიძლია მათს ფილოლოგიურს მსგავსებაზე ვიქონიო მსჯელობა. აქ ენების დიდი ცოდნა არ არის საჭირო: საკმაოა შედარების ნიჭი და ლოდიკურ ხასწორით მსჯელობა. კერძოთ, ამ საკითხის კვლევაში, ფილოლოგიურ შედარებათა დროს, მე იოტის ოდნავადაც არ მიღალატნია იმავე მეთოდოსათვის, რომელსაც ადგა თავის გამოკვლევაში ჩემი მოკამათის მასწავლებელი ბ-ნი მარტი. ამიტომ არ ვიცით, რად დასჭირდა ჩემს მოკამათეს ის მედიდური და შეურაცხმყოფელი კილო, რომლითაც თავისი საომონენტო სიტყვა დაათავა!..

კამათის დახარულს თავმჯდომარემ რეფერენტს მადლობა გადაუსადა მისი თავსებურა და საინტერესო მოსხენებასათვის და ღამას 11 საათზე ჩვეულებრივ კრება დასურა.

№ 107

არამეზუმბრივი საზოგადო კრება
1915 წელს 21 ოქტომბერს. 54

კრება მოხდა ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და იმავე ნამდვილ წევრთა დასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენიებულნი⁵⁵.

კრებამ მოისმინა თავმჯდომარის მოხსენება რომ დაარსდა ახალი „კავშირი კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართველთა კულტურულ-განმანათლებელის საზოგადოებისა“, საჭიროა ამ კავშირის წევრად ჩვენი საზოგადოებაც ჩაეწეროს და აირჩიოს სამი წარმომადგენელი „კავშირის“ საზოგადო კრებაში მონაწილეობის მისაღებად.

კრებამ დაადგინა: „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება შევიდეს წევრად ახლად დაარსებულს „კავკასიის სამე-

⁵⁴ ეს საზოგადო კრებათა ხსენა ქვემოთაღნიშნული ოქმები № 114, 118, 124, 127, 143, 166, 172, 202, 230, 239, 252-254, 260, 265 დაუღლია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

⁵⁵ ესენი არიან: ე. თაყაიშვილი, (თავმჯდომარე), ალ. ყიფშიძე, ივ. შაჭავარიანი, გ. მრეველიშვილი, კ. ყიფიანი, ლ. ევაძე, ა. კახანაძე, ტ. რცხილაძე, ივ. ტრატისვალი, ს. დადიანი, ი. აბულაძე, ვ. იმნაიშვილი, ლ. მელიქსეთბეგი, ავ. აბესაძე, ნ. თალაქვაძე, კ. არეღლაძე, პ. ინგოროყვა, ალ. მიქაბერიძე, არ. ახანდულაშვილი, ს. ვორგაძე და ვარუჟ საზოგადოება (ის ჩვეულებრივი საზოგადო კრების ოქმი № 106.

ფაქსნაცვლის ქართველთა კულტურულ-ვანმანათლებელ საზოგადოებათა კავშირში“ და თავის წარმომადგენლებად აირჩია: თავმჯდომარე ექვთ. ს. თაყაიშვილი, აღ. თ. ყიფშიძე და ს. რ. გორგაძე.

ღამას 12 საათზე და 20 წუთზე კრება დაიხურა.

№ 114

ნეპულმარიში საზოგადო კრება

1916 წლის მაისის 12-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 8¹/₂ საათზე თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულო დარბაზში (ბელინსკის ქ № 2) ე. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ შემდეგი წევრები: ივ. აღ. ჯაყასიშვილი, აკ. შანიძე, დეკ. კ. კეკელიძე, ივ. მაჭავარიანი, ივ. რატიშვილი, თ. სახოკია, პ. ინგოროყვა, ლ. მელიქსედ-ბეგოვი, ი. აბულაძე, ს. გორგაძე, გ. ყიფშიძე, ირ. სონღულაშვილი, დ. კარიჭაშვილი, თ. კიკვაძე, ევგ. ყიფშიძისა და გარეშე საზოგადოება.

I. პირველად თავმჯდომარემ კრებას აუწყა გარდაცვალება პოეტის ირ. ევლოშვილისა (ხოხიტაშვილისა) და საზოგადოების ნამდვილას წევრას ვ. თ. არღუთაშვილის — მხარგრძელის, რომელიც სიცოცხლეში დიდის თანაგრძნობით ეპყრობოდა ჩვენს საზოგადოებას და რომლის სახსოვრად შეგკვიდრებმა ჩვენს საზოგადოებას შემოსწირეს 150 მანეთი ერთი ხელნაწერის შესაძენად, რომლის შეძენა ჩვენი მუზეუმისათვის განსვენებულმა სიცოცხლეში ვეღარ მოასწრო. მაცვალებულთა სსოვნას კრებამ პატივი სცა ზეზე ადგომით.

II. შემდეგ კრებამ მოისმინა და დაამტკიცა წინა კრების ოქმი (№ 113).

III. დასასრულ აკაკი შანიძემ კრებას გააცნო თავისი მოხსენება: „მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში (ჰ-ეს და ს-ანის ხმარებას საკითხი ზმნის ფორმებში)“ — შემდეგის პროგრამით:

1. ქართული ზმნის საზოგადო დახასიათება. 2. სუბიექტის აღმნიშვნელი ნაწილაკები ძველ ქართულში. 3. ობიექტის აღმნიშვნელი ნაწილაკები ძველ ქართულში ა) ნამყო სრულის წარმოება: ა) დამატება სახელობითი ბრუნვისა, ბ) მიცემითი ბრუნვის დამატება; ბ) აწმყო წარმოება. 4. ჰ-აუსი და ს-ანის ხმარება მე-12—18 საუკუ-

ნებში; ანტონ კათალიკოსის გრამატიკა; თანამედროვე სამწერლო ენა. 5. პრეფიქსების სმარება კილოებში: ა) დასავლეთის კილოები (იმერული, გურული), ბ) აღმოსავლეთის კილოები (ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური, თუშური, ხევისურული). 6. დასკვნა.

მოსხენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაზიარება მის შესახებ.

პ. მირიანაშვილი ნაკლად უთვლის მომხსენებელს რომ უკანასკნელს თავის მოხსენებაში ზმნების მაგალითები მოჰყავდა არა „სასელზმნის“ ფორმით არამედ უკვე მიმოხრილი ფორმები I, II და III პირებისა; ამასთანავე სადავოდ მიაჩნია — თითქოს ძველქართულ მწერლობაში პრეფიქსები ჰ-ანი ხ-ანი, აგრეთვე ინფიქსი ნ-არი იმ მნიშვნელობით არ იხმარებოდნენ რომელსაც მათ მომხსენებელი მიაწერს. არამედ უბრალო საკეთილსმოევანო ან ზოგჯერ „ორგანიულს“ ხმებს წარმოადგენენ. „ნ“ მაგალითად ნაზალიზაციონის ძალით ჩაერთვის სოლმე და არა როგორც ობიექტის მრავლობითის რიცხვის („ნი“) აღმნიშვნელი ინფიქსით (მაგალითები მოჰყავს „ვეფხისტყაოსნიდან“).

ა. შანიძე უპასუხებს ბ-ნს მირიანაშვილს და არღვევს თეიულის მის დებულებას.

ივ. ალ. ჯავახიშვილი აღნიშნავს მოხსენების დადებითს მსარეებს (მეთოდოლოგიურას მხრით) და პ. მირიანაშვილის შენიშვნას გაშო გაოცებას გამოსთქვამს: როგორ შეიძლება მომხსენებელს მოსთხოვოთ ზმნების მაგალითები მოიყვანოს „სასელზმნის“ ფორმით როცა მისი მოხსენების თემა პირდაპირ შეესება მე-III და მე-II-ე პირების პრეფიქსებს; აშკარაა როცა თემა ასეთია მაშინ მაგალითებიც მიმოხრილის ზმნებისა უნდა მოიყვანოთ და არა „სასელზმნისა“, ან როგორც ბ-ნი მირიანაშვილი ბრძანებს, „infinitiv“-ისა (?) — პრაქტიკულის მხრით დღევანდელი მოხსენება საყურადღებოა რამდენადაც იგი აშკარად გვიჩვენებს თუ როგორ უნდა წარმოებდეს სასოგადოდ ქართული ენის კვლევა. დღემდე ჩვენნი ძველგარნი უმეტეს შემთხვევაში დოგმატიკურს გზას ადკენ: წინასწარ შეიმუშავენ ბდენ ფორმულებს და შემდეგ მაგალითებით სცდილობდნენ ამ ფორმულების გამართლებას. ნამდვილად კი ასეთი მეთოდი ყოვლად უვარგისი და შეუწყნარებელია. ენის შესწავლა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ იმ გზით რომელსაც მისდევს ბ-ნი მომხსენებელი; ეს გზა კი ვასლავთ — ისტორიული გზა ე. ი. ძველი სანდო ტექსტებზე და თანამედროვე ცოცხალი კილოების შესწავლაზე დამყარებული. საჭიროა მხოლოდ ბ-ნმა შანიძემ უფრო განაერთოს და გააღრმავოს შეს-

წავლა იმ საკილოვნო მასალებიან რომელზედაც იგი ემყარება. ამას გარდა კარგს ინებებდა ბ-ნი მომხსენებელი რომ ამ ზაფხულს წ.-კ. საზოგადოების მიერ განზრახულს საპედაგოგო კურსებზე სოფლის მასწავლებლებს წაუკითხავდეს რამდენსამე ლექციას იმის შესახებ. თუ როგორ უნდა შეკრებილ იქნას ხალხში სალინგვისტიკო მასალები; უეჭველია ეს დიდად წახალისებდა მასწავლებლებს და შესაძლოა სოფი მათგანი ხელსაც მოჰკიდებდა ამგვარი მასალების ჩაწერას.

ივ. რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი მადლობით იხსენიებს ბ-ნის შანიძის შინა-არსიანს მოხსენებას. მხოლოდ დასძენს რომ ჩვენ-პედაგოგებს უფრო გვინტერესებს პრაქტიკული საკითხი, სასელდობრ ის თუ რომელ ფორმებს უნდა მიეცეს უპირატესობა დღევანდელს სალიტერატურო ენაში. ეს კი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ პრაქტიკულად, ე. ი. საერთო შეთანხმებით.

ს. გ ო რ გ ა ძ ე სავსებით ეთანხმება მოხსენების იმ დახასიათებას რომელიც ბ-ნმა ივ. ჯავახიშვილმა ბრძანა; პირდაპირ შეუწყყნარებლად მიაჩნია ბ-ნის პ. მირიანაშვილის პრეტენზია: რატომ *ininitiv*-ის ფორმებით არ მოიყვანა მომხსენებელმა ქართული ზმნები; როგორ შეიძლება იმისი მოყვანა რაც ნამდვილად არ არსებობს: ქართულს ხომ *ininitiv*-ი არ მოეპოება?! — რაც შეეხება ბ-ნის რატაშვილის მიერ აღნიშნულს პრაქტიკულ საკითხს, მისი გადაწყვეტაც შესაძლოა მოხდეს და უნდა მოხდეს მხოლოდ და მარტო ჩვენი ენის სამეცნიერო კვლევის საფუძველზე და არა უბრალო „საერთო შეთანხმებით“, რადგან რა ფასი ექნება თუნდაც ამისა და ათასი დილექტანტის ან პირდაპირ უვიცის შეთანხმებას თუ ამგვარ შეთანხმებას წინ სამეცნიერო კვლევა არ მიუძღვის?.

საღამოს 10^{1/2} ხაათზე თავმჯდომარემ კრება დასურულად გამოაცხადა.

№ 118

წლიური კრება
1916 წლის 20 ანაპნისთვეს.

კრება დაიწყო საღამოს 8^{1/2} საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი). დაესწრენ ნამდვილი წევრები: მღვდ. პ. კარბელაშვილი, ი. ზედგინიძე, ი. გიგოლაშვილი, ირ. სონღულაშვილი, ი. აბულაძე,

ს. გორგაძე, ნ. თაბუკაშვილი, გრ. ყიფშიძე, დეკან. ნ. თალაქვაძე, დეკ. კალ. ცინცაძე, მღკდ. ქრ. ციცქიშვილი, გრ. ნ. დიასამიძე, ივ. მაჭავარიანი, ექიმი მოსე კალანდარიშვილი, გერ. ქიქოძე, სპ. არ. ბაქრაძე, შალვა ქარუმიძე და კალ. დგებუაძე და გარეშე საზოგადოება.

I. პირველად მოხსენება წარმოსთქვა თავმჯდომარემ ე. ს. თაყაიშვილმა ლეჩხუმის მაზრის ზოგიერთი ეკლესიების შესახებ. მოხსენება შეესებოდა საარქეოლოგიო მოგზაურობის ერთ ნაწილს რომელიც მომხსენებლის ხელმძღვანელობით გამართულ იქმნა თავ. პავლე თუმანიშვილის მიერ 1910 წელს სვანეთსა და ლეჩხუმში. მომხსენებელი შეესო შემდეგს ეკლესიებსა და მათ სიძველეს: ლაბიჭინისას, ორბელინას (ასაღჭალა), ლაცურისას, მცხეთისას, ოყურემისას და ნაყურალეშისას. აღნიშნა მათი საარქიტექტურო ნიშნულობანი, მათში დაცული სიძველენი და კედლის მხატვრობა. თავისი მოხსენების დასასურათებლად მომხსენებელმა დამხწრეთ წარმოუდგინა ხე-მოაღნიშნულ ტაძართა და სიძველეთა, აგრეთვე ლეჩხუმის საყურადღებო ადგილთა ფოტოგრაფიული სურათები (ფოტოგრაფის ერმაკოვის მიერ გადმოღებულნი).

II. შემდეგ კრებამ მოისმინა საზოგადოების 1915 წლის მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის ანგარიში და სარევიზიო კომისიის აქტი 1916 წლის 21 აგვისტოს რიცხვით.

კრებამ დაამტკიცა ანგარიშები და დააეალა საბჭოს სახელმძღვანელოდ მიიღოს სარევიზიო კომისიის მიერ გამოთქმული სურვილები.

III. შემდეგ მოსმენილ და დამტკიცებულ იქნა 1916 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში სავარაუდო შემდეგის ცვლილებით: რაღვან ქაღალდისა და სტამბის სიძვირის გამო 1916 წელს წიგნების ბეჭდვა შეჩერებულია, ამ საგნისათვის გადადებული 2400 მანეთიდან ერთი ნაწილი მიემატოს ფრესკების გადმოსაღებ ფულს; აგრეთვე ნება მიეცეს საბჭოს, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, ნუ შეიზღუდება სავარაუდო ანგარიშის ჯამით, არამედ გაიღოს ხარჯები, მსოლოდ მომავალ წლიურ კრებას დაწვრილებითი ანგარიში წარმოუდგინოს უდმეტად დანასარჯის შესახებ.

IV. შემდეგი საკითხი შეესებოდა განსვენებულის მგოსნის აკაკი წერეთლის საფლავს. ამ საგნის შესახებ თავმჯდომარემ კრებას მოასხენა შემდეგი:

ყველას მოგესხენებათ რომ ჩვენი დიდებული მგოსნის საფლავი მეტად უსერხულ ალაგას არის მოთავსებული: ისეთი კლდის ძირშია

ამოთხრილა, რომელსაც არავითარი სიმაგრე არა აქვს და ყოველი ნიაღვრის დროს იშლება და ძირს ჩამოდის; ამის გამო მგოსნის საფლავი მუდამ განსაცდელშია, მუდამ გაწმენდა და თავზე ტრიალი სჭირდება. ამ საფხულს, საზოგადოების წევრმა იოსებ მერკვილაძემ საბჭოს სთხოვა გაეღო სარჯები კლდის შესამაგრებლად და საფლავის გასამშვენიერებლად; ამ საქმეს მისი აზრით უნდა დასჭირებოდა 200 მანეთამდე, საბჭო სიამოვნებით დასთანხმდა ამ წინადადებას, გადასდვა 200 მანეთი და მიანდო ბ-ნს მერკვილაძეს, საზოგადოების ხაზანადარს ირ. სონღულაშვილსა და ბ. ნესტორ კალანდაძეს რომელსამე ინჟინერთან ერთად დაეთვალთვინათ გასამაგრებელი კლდე და შესდგომოდენ საქმეს. საფხულის გასულს ბ-მა ი. მერკვილაძემ წარმოგვიდგინა ახალი მოსხენება და გასაწევი სარჯების ხარაუდო ანგარიში, რომლითაც კლდის დროებით გამაგრებასა და საფლავის გამშვენიერებას დასჭირდება 2400 მანეთამდე. საბჭომ კრებას დაუკითხავად ვერ გაბედა ამოდენა ფულის გაღება და ისიც აკაკისეულის თანხიდან (სხვა თავისუფალი თანხა საზოგადოებას არ მოეპოება) რომლის პირდაპირი დანიშნულება ხალხური სიტყვიერების შეკრება და გამოცემაა. ამას გარდა საბჭო დარწმუნებული არ არის რომ ეს 2400 მანეთი საქმეს საბოლოოდ უშველის და ერთი ან ძლიერი ნიაღვრის შემდეგ კიდევ ერთი ამდენი ხარჯის გაღება არ მოუეისდება. საბჭოში ორი აზრიც გამოითქვა, რომ არ იქნებოდა ურავო საზოგადოებას ესრუნა დიდებული მგოსნისათვის უფრო მტიციე და ბუნების სტიქიათაგან უზრუნველყოფილი განსასვენებელი ადგილი გამოენასა ან იქვე მთაწმინდაში, ან „ქართულ პანთეონში“, დიდუბეში.

თავმჯდომარის განცხადებამ ცხარე კამათი გამოიწვია. ორატორთა უმრავლესობა იმ აზრს ადგა, რომ შეუძლებელია დიდებული მგოსნის გვამი მთაწმინდიდან გადატანილ იქნას სადმე; უნდა ვიზრუნოთ იქვე დაესტოვოთ იგი და გაეამაგროთ საფლავი. დასასრულ კრებამ აირჩია საგანგებო კომისია რომელსაც დაავალა: საბჭოსთან ერთად შეისწავლოს დაწერილებით ეს საკითხი და თავის მოსაზრებანი წარმოუდგინოს შემდეგს კრებას. კომისიაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: დეკანოზები კალ. ცინცაძე და ნიკ. თალაქვაძე, თავ. გრ. დიასამიძე, ირ. მერკვილაძე, ი. ზედგენიძე, შალვა ქარუმიძე, სურთმოდღვარი სვ. კლდიაშვილი და ინჟინრები: ლევან ნიკ. დიასამიძე, კალგინი, ქურდიანი და ივ. ყიფშიძე.

V. შემდეგ კრებამ ირ. სონღულაშვილისა და ს. გორგაძის წინა-

დადებით აირჩია შემდეგი ახალი ნამდვილი წევრები: ლეკანოზი ნი-
კოლოზ ნათიძე, მასწავლებელი მიტროფანე ოტიას ძე კორძაძია და
კბ. ექიმი თეოდორე საყვარელას ძე ცხომელიძე.

აგრეთვე საბჭოს წინადადებით არჩეულ იქმნა მზრუნველ წევრად
ბ-ნა დიმიტრი ივანეს ძე შჩუკინი, რომელსაც უკვე შემოტანილი
აქვს საწევრო ფული 600 მანეთი.

VI. დასასრულ არჩეულ იქნენ საბჭოს წევრები, მათი ხაზი კან-
დიდატი და ხარევისიო კომისია:

ს ა ბ ჭ ო შ ი :

თამაჯლომარე საზოგადოებისა და საბჭოსა — ე. ს. თაყაიშვილი.

თამაჯლომარას ამსანაკი — დ. გ. კარიჭაშვილი.

მდივანი — ს. რ. გორგაძე.

მუზეუმიზა. და ბიბლიოთეკის მცველი — ი. აბულაძე.

საზინადარი — ირ. თ. სონდულაშვილი.

საბჭოს წევრები: ლეკანოზი კორნელი კეკელიძე.

შადღა ქარუმაძე.

გერონტი ქიქიაძე.

იოსებ ვოგოლაშვილი.

მათი კანდადატები: გერ. ს. იმნაიშვილი.

პაულე ინგოროყვა.

გრიგ. ნათაძე.

ს ა რ ე ვ ი ს ი ო კ ო მ ი ს ი ა შ ი : თავ. ივანე ალსაზი.

თავ. კოსტ. ზ. მაყაშვილი.

გრ. თ. ყაფშიძე.

საღამოს 11^{1/2} საათზე კრება დასურა.

№ 124

წლიური კრება

1917 წელს, დეკემბრის 16.

კრება გაიხსნა საღამოს 7^{1/2} საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში
(სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილისეული სახლი), ე. თაყაიშვილის თავ-
მჯდომარეობით. დაესწრენ წევრები: პ. იორ. თუმანიშვილი, ივ. რა-
ტიშვილი, გ. გაბაშვილი, ზ. ჩხიკვაძე, გერ. იმნაიშვილი, გიორგი
ჩუბინაშვილი, პართ. გოთუა, ს. გორგაძე, იოს. ყიფშიძე, აკ. შანიძე,
ე. იოსელიანი, სიმ. ქვარიანი, დიმ. ხოშტარია (დუტუ-მეგრელი),
ი. აბულაძე, დიმ. უზნაძე, ტარ. რცხილაძე, თედ. სახოკია, ექიმი
აბ. იაშვილი, ექიმი ივ. ელიაშვილი და გარეშე საზოგადოება.

I. პირველად თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ზეზე ადგომით პატივი სცა საზოგადოების ნამდვილ წევრთა დავით ნ. ბაქრაძისა და ასლად გარდაცვალებულის მიხეილ ზედგინიძის ხსოვნას.

II. შემდეგ კრებამ მოისმინა თავმჯდომარის მოკლე მოხსენება „საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების“ მოღვაწეობის შესახებ ათი წლის (1907—1917) განმავლობაში. მოხსენების გათავების შემდეგ დამსწრეთა მხრით ივ. რატიშვილმა მადლობა მოახსენა თავმჯდომარეს დაუღალავე და ნაყოფიერი მუშაობისათვის „საზოგადოების“ სახარკებლოდ.

III. შემდეგ კრებამ მოისმინა და დაამტკიცა „საზოგადოების“ 1916 წლის მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის ანგარიშები სარევაზიო კომისიის მოხსენებითურთ და 1917 წლის სავარაუდო ანგარიში. ანგარიშების განსილვის დროს პ. ი. თუმანიშვილმა შემოიტანა ორი წინადადება: ა) ერმაკოვისეულ საფოტოგრაფიკო კოლექციის შექმნის შესახებ; ამ კოლექციას, რომელიც 23.000 ნომრისაგან შედგება, დღეს ერმაკოვის მეუღლე მეტად აფასებს, ვინემ წინათ გვაძლევდა, სახელდობრ 80.000 მანეთს თხოულობს, მაგრამ დღევანდელ ფასებში ეს თანხა არც ისე დიდია რომ შეეშინდეთ და ეს იშვიათი კოლექცია ხელიდან გაუშვათ. საჭიროა დროზე იქნეს მიღებული ზომები რომ კოლექცია უცხოელებს არ ჩაუვარდეს ხელში; ბ) მეორე წინადადება შეესებოდა საქართველოს შესახებ საისტორიო ისწულებათა ბეჭდვის აუცილებელ საჭიროებას ევროპულ ენებზე; ამას მოათხოვს თანამედროვე მომენტი: ჩვენს მუსობელ სომხებს ევროპელები და ამერიკელებიც კი კარგად იცნობენ, რადგან თვით სომხებმა ვააცნეს თავისი თავი, ჩვენ კი ან სულ არ გვიცნობენ ან ძლიერ სუსტად; მართო რუსულ ენაზე წერა აღარა კმარა, საჭიროა უფრო ფართო აუდატორია იგულისხმით.

პირველი წინადადების გამო კრებამ დაადგინა: მიენდოს საზოგადოების საბჭოს, თვით წინადადების ავტორს პ. თუმანიშვილს, იოს. ყაფშიძესა და გიორგი ჩუბინაშვილს მიიღონ ზომები ერმაკოვისეული კოლექციის შესაძენად. სოლო მეორე წინადადების გამო მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლუცია: ამ პირველხანად სასურველია გადაათარგმნოს ივ. ჯავახიშვილის „ქართული ერის ისტორია“ შესაფერისი დამატებით, რამდენადაც ეს ავტორისათვის შესაძლო იქნება; ეთხოვოს ავტორს იტვირთოს ამ საქმის ხელმძღვანელობა, ხოლო პ. ი. თუმანიშვილს — საიმედო მთარგმნელების მონახვა ფრანგულსა და ინგლისურს ენებზე.

IV. დასასრულ, საბჭოს მოხსენების თანახმად, კრებამ აირჩია მზრუნველ წევრად ცნობილი ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია, რომელმაც უკვე გადმოსცა ჩვენს საზოგადოებას საწევრო 6000 მანეთი და 2000 მანეთიც შემოწირულობა. ბოლოს არჩეულ იქნენ ასალი ნამდვილი წევრები:

ხილიბისტრო ლორია,
ანა ივანეს ასული ზედგინიძისა
ხეიმონ ყაუხნიშვილი,
და ექიმი: დავით მგელაძე.

საღამოს 10 საათზე კრება დაიხურა.

მდივანი ს. გორგაძე.

№ 127

ნეულებრივი საზოგადო კრება

1918 წლის 6 თებერვლის

(ასალი ხტილით)

კრება გაიხსნა ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, საქურნეო საზოგადოების დარბაზში (სახსლის ქ.), ნაშუადღევის 1-ელ საათზე. კრებას დაესწრენ საზოგადოების წევრნი: მ. ჯანაშვილი, ლ. მელიქსედბეგოვი, ი. აბულაძე, ს. გორგაძე, ირ. სონდულაშვილი და გარეშე საზოგადოება:

1. პირველად თავმჯდომარემ მოკლედ აღნიშნა განსვენებულის კირიონ კათალიკოზის ღვაწლი სამშობლო ქვეყნისა, ეკლესიისა და კერძოდ „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის“, რომლის საპატიო წევრადაც ირიცხებოდა, და სთხოვა დამსწრეთ ზეზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისათვის.

2. შემდეგ თავმჯდომარისავე წინადადებით, კრებამ ასეთივე პატივი სცა ზეზე ადგომით ახლადგარდაცვალებულის ანტონ ქუთათელის ხსოვნას.

3. შემდგომ მოხსენებას ჰკითხულობს მ. გ. ჯანაშვილი კირიონ-კათალიკოზის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

4. დასასრულ საზოგადოება იხმენს ლ. მელიქსედბეგოვის მოხსენებას: „კირიონ-პატრიარქი რუსულ ისტორიოგრაფიის ასპარეზზე“.

კრება დაიხურა ნაშუადღევის 2 საათზე.

წიგნობის საზოგადო კრება
1920 წლის 21 მარტს.

კრება დაიწყო ხალხის მ საათზე, ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, საპროტოლოგო ინსტიტუტის დარბაზში. დაესწრენ წევრები: დავ. კარიჭაშვილი, ლ. მელიქსედბეგი, ს. გორგაძე, ირ. სონღულაშვილი, სოლ. იორდანიშვილი, დიმ. გორდეევი, ელენე აბულაძისა და ვარეშე საზოგადოება.

I. პირველად კრებამ მოისმინა და დაამტკიცა წინა კრებათა ოქმები № № 140 და 141.

II. შემდეგ მოხსენება წაიკითხა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა-ფილოლოგმა შალვა ამირანაშვილმა: „პეპუ მეუნარგია, ქართველი ოქრომჭედელი მე-XIX-ე საუკუნის პირველი ნახევრისა“. მოკლე საბიოგრაფიო ცნობების შემდეგ პეპუ მეუნარგიას შესახებ, მომხსენებელმა დაწვრილებით აღწერა დღემდე ცნობილნი ნაწარმოებნი ოქრომჭედლისა და დასასრულ წარმოადგინა მისი შემოქმედების მოკლე დახასიათება: პეპუ მეუნარგია იყო უკანასკნელი წარმომადგენელი ქართული საეკლესიო ოქრომჭედლობისა, რომლის ნაწარმოებთაც ეტყობა გავლენა ერთი მხრით დასავლეთის ევროპის ხელოვნებისა (კათოლიკების მეოხებით) და მეორე მხრით რუსულისა, მაგრამ ამასთანავე იგი ორიგინალობასაც არ არის მოკლებული.

აზრთა გაზიარებაში მონაწილეობას იღებს კერძო უნივერსიტეტის პრეიატ-დოცენტი დიმ. გორდეევი, რომელიც ეთანხმება შ. ამირანაშვილის მიერ წარმოდგენილს დახასიათებას პეპუ მეუნარგიასა. ამას შემდეგ შ. ამირანაშვილი მადლობას უცხადებს ბ-ნ გორდეევს იმ ხელმძღვანელობისათვის, რომელიც გაუწია უკანასკნელის მომხსენებლისათვის გასულ ზაფხულს სამეგრელოში მოგზაურობის დროს იქაური ძეგლების შესახსწავლად.

III. შემდეგ მოხსენებას აკეთებს ს. კაკაბაძე: „მე-14-16-ე საუკუნის მესხეთის თავადების სია“, რომლის შესახებ აზრთა გაზიარებაში მონაწილეობას იღებენ ე. თაყაიშვილი და დავ. კარიჭაშვილი.

IV. დასასრულ მოკლე მოხსენებას იძლევა ე. თაყაიშვილი „ჩანგლის ეკლესიის შესახებ“. სოფ. ჩანგლი მდებარეობს ყარსის ოლქში, ყაბიშმანის რაიონში, და მისი ეკლესია შესანიშნავია თავისი

გუმბათით, რომელშიაც, შიგნიდან, ირგვლივ აივანია გამართული ფრიად ხელოვნურად. ამგვარი აივანი შესაძლოა ყოფილიყო კიდეც ბანის ტაძრის გუმბათში, როგორც შენახული ნიშნები გვაფიქრებინებს. ამ ტაძრის წარწერა (დიდი) ეკუთვნის 1362 წ. და 1030 წ., როგორც მ. ბროსსე აფიქრობდა.

სალამოს 10¹/₂ საათზე კრება დაიხურა.
მღიანი ს. გორგაძე

№ 143

ჩვეულებრივი სასოგადო კრება
1920 წლის ივნისის 8.

კრება გაიხსნა სალამოს 7¹/₂ საათზე, საარქეოლოგო ინსტიტუტის დარბაზში (ოლღას ქ. № 40), ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ წევრები: ივ. ჯავახიშვილი, კორნ. კეკელიძე, დავ. კარიჭაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, აკ. შანიძე, დიმ. გორდევი, ივ. რატიშვილი, გ. იმნაიშვილი, ს. გორგაძე, ირ. სონდულაშვილი, ლ. მელიქსედ-ბეგი, ევგ. გამრეკელი, ს. კაკაბაძე, ბაკურაძე და გარეშე სასოგადოება.

I. პირველად კრებამ მოიხმინა და დაამტკიცა, მცირეოდენის შესწორებით, წინა კრების ოქმი № 142.

II. შემდეგ მოხსენება წაიკითხა გ. ჩუბინაშვილმა: «К вопросу понимания некоторых эпизодов из эпохи введения христианства в Грузию (к анализу текстов)».

თავისი ვრცელი მოხსენება ავტორს დამყარებული ჰქონდა უმთავრესად „ქართლის-მოქცევისა“ და წმ. ნინოს „ცხოვრებათა“ ტექსტებზე ანალიზზე. მოხსენების შინაარსსა მოკლედ ასე შეიძლება წარმოადგინო: 1) მასალა და ფორმა პირველი ეკლესიისა, რომელიც მირიანმა მცხეთაში ააშენა; 2) ორჯერ გაგზავნა მირიანმა მოციქული კონსტანტინე კეისართან თუ ერთხელ (თვით მოციქულობის მიზანთან დაკავშირებით); 3) რა ალაგას ალაშენა მირიანმა პირველი ეკლესია; მიზანი მეორე ეკლესიის აგებისა; მირიანის დასაფლავების ადგილი; 4) რა არის „სვეტიცხოველი“? ჯვართა აღმართვა.

როგორც მოხსენებიდან ჩანდა, ავტორი, მართალია, კრიტიკულად ეპყრობა თავისი მოხსენების წყაროებს, მაგრამ საერთოდ პრინციპუ-

ლად ნდობის ღირსად მიაჩნია ივინი. ამიტომაც იგი. შესაძლოდ სოფლის ამ წყაროების კრიტიკული ანალიზის გზით გამოიტანოს ასეთი თუ ისეთი დამაკმაყოფილებელი და ისტორიული სინამდვილის შესაფერისი დასკვნა ანუ პასუსი შემოჩამოთვლილ საკითხეზე.

მოსხენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: კ. კეკელიძემ, ივ. ჯავახიშვილმა, დ. გორდეევმა, ავ. რატიშვილმა და ე. თაყაიშვილმა.

კ. კეკელიძე და ივ. ჯავახიშვილი უიმედო ცდად სთვლიან რაიმე რეალური ისტორიული ღირებულების დასკვნა დაამყაროს მკვლევარმა იმგვარ წყაროებზე, როგორც „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა და „წმ. ნინოს ცხოვრება“. ეს წყაროები ძალიან გვიანაა შედგენილი და, როგორც ეტყობა ისეთი ავტორის მიერ, რომელსაც თითქმის არავითარი ან ძალიან მცირე საიმედო მასალა მოეპოებოდა იმ დროისა და ფაქტების შესახებ, რომელთაც მისი მოთხრობა შეესება. მაკალათად, ამ წყაროების ავტორს არა სცოდნია დანამდვილებით არც პირველი ქრისტიანი ქართველი მეფის სახელი, არც ის თუ საქართველოს რომელ ნაწილში მოხდა ტყვეობის გავლენით მცხოვრებლებს მოქცევა, არც ის რომ არმაზისა და ზადენის სახელობაზე, ზოროასტრის სარწმუნოების მიხედვით, არ შეიძლებოდა კერპები ყოფილიყო და სხვანი. ერთადერთი რეალური ხასიათის ცნობა მთელს მოთხრობაში შეიძლება ის იყოს, სადაც ლაპარაკია მთიელთა ურჩობაზე და ძალდატანებით მათს გაქრისტიანებაზე. დანარჩენი ყველაფერი საეჭვოა, გარდა იმისა, რასაკვირველია, რაშიც ქართულს მოთხრობა რუდკინის მოთხრობისაგან არ განირჩევა.

დ. გორდეევი, მთლად ვერ იზიარებს ოპონენტების აზრს, და შესაძლოდ სთვლის დაეთანხმოს მომხსენებლის ზოგიერთს დასკვნას, მაგალითად იმის შესახებ, რომ „სეტიცხოველი“ უნდა ყოფილიყო არა სეტი, არამედ „ძელი ცხოველი“, ე. ი. დიდი ჯვარი, რომელშიაც იმავე დროს მოთავსებული იყო მაცხოვრის ჯვრის ნაწილი: ამგვარი ჩვეულება ბიზანტიაშიც არსებობდა (ეგრ. წოდ. „ქსილოტიკები“)⁵⁶.

ივ. რატიშვილი შესაძლოდ სთვლის, რომ საქართველოში ამოთხე საუკუნის პირველ ნახევარში ზოროასტრის სარწმუნოება ანუ ცეცხლისთაყვანისმცემლობა ისეთი სიწმინდით არ არსებულებოდა, რო-

⁵⁶ ბ. გორდეევს სარწმუნოდ მიაჩნია ქართული წყაროების ის ცნობაც, რომ პირველა ეკლესიები მცხეთაში შეიძლებოდა სისა ყოფილიყო ან ზოგიერთი ნაწილები მაინც ხისა ქონდა, მსგავსად იმდროინდელის ბიზანტიური ბაზილიკებისა, რომელთაც სის სასურავიც ქონდათ ხოლმე.

გორც სასანიდები ჰქადაგებდენ: ისტორიამ იცის ნიმუშები ზოროას-ტრიზმის შერევისა ადგილობრივ კულტებთან და, სხვათაშორის, კერპთაყვანისმცემლობასთანაც. ამიტომ შესაძლოა ქართული წყაროების თქმულება არმაზისა და ზადენის კერპების შესახებ მცხეთაში მთლად ხიმართლეს არ იყოს დაშორებული.

ე. თაყაიშვილი ფრიად საყურადღებო ცდად სთვლის ბ-ნის ჩუბინაშვილის ცდას კრიტიკულად შეაფასოს, გააშუქოს და გაარკვიოს ის ესა, რომლითაც მომხდარა სხვადასხვა თქმულებათა ლიტერატურული გადამუშავება ჩვენში ქრისტიანობის გამარჯვების პირველი დროის შესახებ. როგორც პირველი ცდა ამ მიმართულებით, ბ-ნის მომხსენებლის შრომა მაღლობის ღირსია.

კრება დაისურა საღამოს 10 საათზე.

№ 166

ჩვეულებრივი სასოგადო კრება
1922 წლის, 24 ნოემბრისა.

კრება გაიხსნა საღამოს სრულ რვა საათზე, სელოვანთა სასახლეში (სიერგის ქ. № 13, ხოშტარიახეული სახლი), დაე. კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით.

1. პირველად მოხმენილ და უკამათოდ დამტკიცებული იქნა წინა კრების (4 აგვისტოს) ოქმი № 165.

2. შემდეგ პროფეს. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება: ა) ერთი ფურცელი სომხეთის აგრარული მოძრაობისა მე-X-ე საუკუნეში და ბ) მე-XVIII-ე საუკუნის დამდეგის დასავლეთ საქართველოს რუკა.

პირველ მოხსენებაში პატივცემულმა ავტორმა მსმენელებს გადაუშალა თვალწინ მეტად საინტერესო სურათი გლეხთა მოძრაობისა სომხეთში შეათე საუკუნის დამდეგს თანამედროვე ავტორებისა, საბუთებისა და ეპიგრაფიული მასალების თანახმად.

სოლო მეორე მოხსენებაში დამსწრე საზოგადოება ვაეცნო ქართული კარტოგრაფიის ფრიად ორიგინალურს სისტემას, რომელიც მიღებული ყოფილა ჩვენში მე-XVIII-ე საუკუნის პირველ ნახევარში. საილუსტრაციოდ წარმოდგენილი იყო პირები ორი რუკისა, რიმელთაგან ერთი წარმოადგენს სრულიად იმერეთის რუკას და

შედგენილია 1732 წლის მახლობლად, სოლო მეორე — სრულიად ხაქართველოს რუკას და შედგენილია ვახუშტი ბატონიშვილის რუკების მისედვით 1745 წელს.

კრება დაისურა საღამოს 10 საათზე.

მღივანი ხ. გორგაძე

№ 172

ჩვეულებრივი საზოგადო კრება

1923 წლის 3 ივნისისა

კრება გაიხსნა დილის 11 საათზე, ხელოვანთა სასახლეში (ხერვის ქ. № 13), დ. კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრენ: პროფ. ალ. ცაგარელი, ივ. ჯავახიშვილი, ივ. ელიაშვილი, ვუკ. ბერიძე, ს. გორგაძე, ირ. სონღულაშვილი, აკ. შანიძე, ივ. რატიშვილი, გ. ახვლედიანი, კ. კეკელიძე, ი. აბულაძე, სეფ. გაჩეჩილაძე, დიმ. ხომტარია, იას. ლორთქიფანიძე, ევგ. გამრეკელი, მარ. რცხილაძისა, ჯ. ნათაძე, დიმ. უზნაძე, პავლე ინგოროყვა და გარეშე საზოგადოება.

1. პირველად მოსმენილ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი № 171.

2. შემდეგ პროფ. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ასლად-აღმოჩენილის ქართლის-ცხოვრების ხელნაწერისა და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების შესახებ“. ხელნაწერი აღმოჩენილია „ხაქართველოს მუზეუმის (ყოფილი „კავკასიის მუზეუმის“) წიგნთსაცავში. მასში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თამარის ისტორიკოსის თხზულება, რომელიც განსხვავდება დღემდე ცნობილის თამარის ისტორიკოსის თხზულებისაგან. ამიტომ მომხსენებელი მას უწოდებს თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებას. ეს თხზულება, მომხსენებლის აზრით, შედგენილი უნდა იყოს 1210 წლის შემდეგ თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში. თხზულებაში ბევრი ასალი ცნობა და ფაქტია მოხსენებული, ზოლო დღემდე ცნობილი ამბები სხვა თვალსაზრისითაა გაშუქებული. აქ მოხსენებულია ოთხთა კასაბერისძეთა განდგომილება, აგრეთვე სარგის მხარგრძელი წოდებული „თმოგველად“ და სხვ. ძეგლს დიდი საისტორიო მნიშვნელობა აქვს თამარის ეპოქის შესასწავლად.

მომხსენების გათავების შემდეგ თავმჯდომარემ კრებას მიჰმართა

წინადადებით მსურველებს გამოეთქვათ აზრი მოხსენების შესახებ. რადგან მსურველი არავინ აღმოჩნდა, თავმჯდომარემ კრების სახელით მადლობა მოახსენა მომხსენებელს და ჭიუჭილებრივი კრება დახურულად გამოაცხადა, ნაშუადღევს 1-ელ საათზე.

საპარტიო წესდების საბაზისით და საერთოგანრივ საზოგადოების
1924 წლის 2 თებერვლის წლიური კრების

ოქმი № 187

კრება გაიხსნა ცენტრალური სამეცნიერო არქივის დარბაზში (ყოფ. ოლღას ქ. № 48), საღამოს 7¹/₂ საათზე, დავით გიორგის ძის კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით, მდივნობს სერგი რომანოვის ძე გორგაძე; მონაწილეობენ საზოგადოების ნამდვილი წევრები: პროფ. აკაკი შანიძე, დიმიტრი გორდევი, იოსებ ჭყიშვილი, მიხეილ ლობჯანიძე, შალვა ამირანაშვილი, იროდიონ ზონღულაშვილი, ვარლამ თოფურია, თედო სახოკია, სერგი ნესტორის ძე კაკაბაძე, პროფ. კორნელი კეკელიძე, პროფ. გიორგი ახვლედიანი, პროფ. გიორგი ჩუბინაშვილი, დოცენტი ლეონ მელიქსეთ-ბეგი, იუსტინე აბულაძე, თამარ ლომოურისა, სიმონ ყაუხჩიშვილი, სიმონ ჯანაშია, ივანე ელიაშვილი, იასონ ლორთქიფანიძე და ვარლამ ბურჯანაძე (სულ თავმჯდომარითა და მდივნითურთ 22 წევრი). დაესწრენ გარეშენიც.

რადგან კრება მეორედ იყო მოწვეული, წესდებით, თავმჯდომარე მას კანონიერად აცხადებს, და ვიდრე წესრიგს გამოაცხადებდეს, წინადადებას აძლევს კრების წევრებს ზეზე ადგომით პატივი სცენ ახლად გარდაცვალებულის, დიდი ისტორიული პიროვნების, ვლადიმერ ილიას ძის ულიანოვ-ლენინის ხსოვნას. წინადადება მიღებულია.

შემდეგ თავმჯდომარე აქვეყნებს კრების დღის წესრიგს, რომელსაც ამტკიცებს კრება. ამ წესრიგის თანახმად:

1. პირველად მოხმენილ იქნა წინა კრების ოქმი № 186, ს. კაკაბაძე თხოულობს, ოქმში შეტანილ იქნას შევსება, სახელდობრ ის, რომ ოქმში მოხსენებული ითანე ავალიშვილი იყო არა მხოლოდ წარჩინებული კალიგრაფი, არამედ ამასთანავე ჩინებული მხატვარიც. წინადადება მიღებულია. ოქმს კრება ამტკიცებს.

2. შემდეგ, მდივანი კითხულობს საზოგადოების ოქმი ედების 1920, 1921, 1922 და 1923 წლების ანგარიშებს. 1920 წლის

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ საზოგადოების წევრი დიმ. გორდევი აცხადებს, რომ ხსენებულ წელს, საზოგადოების თავმჯდომარის ე. თაყაიშვილას მინდობილობით, მას მოუსდენია საარქეოლოგო მოგზაურობა შიომღვიმისა, უბისისა და ჭიათურის მონასტრებში. კრება ადგენს: ეს განცხადება შეტანილ იქნას ოქმში, ხოლო წაკითხულ ანგარიშებს ამტკიცებს.

3. შემდეგ წაკითხულ იქნა საზოგადოების შემოსავალ-გასავლის ანგარიშები იმავე წლებისა (1920, 1921, 1922 და 1923-ისა) და ხარვეზიო კომისიის აქტი, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი, რომ საზოგადოების ქონება შევსებულ იქნას ჩერვონეცებით, ხოლო წლიური ანგარიშები ამიერიდან დგებოდეს არა რთული ბუხპალტერული წესით, როგორც აქამდე ყოფილა, არამედ მარტივად: მხოლოდ კასის შემოსავალ-გასავლის აღნიშვნით. კრება იღებს საჩუქრით კომისიის წინადადებას და ამტკიცებს მოხსენებულ ანგარიშებს.

4. მდივანი ჰკითხულობს საზოგადოების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას 1924 წლისთვის, რომელშიაც საზოგადოების შემოსავალ-გასავალი ნავარაუდევია 17.006 მან. და 40 კაპ. ჩერვონეცით. კრება ამტკიცებს ხარჯთაღრიცხვას და გამოსთქვამს სურვილს, რომ მომავალმა საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გამომცემლობის განახლებას.

5. მდივანი ჰკითხულობს საბჭოს საგანგებო მოხსენებას საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკისა და არქივის მდგომარეობის შესახებ (იგულისხმება ყოფ. ზადე-ლუტათო საკრებულოს არქივი და აწ გაუქმებულის „კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიის“ საქმეები). არქივის შესახებ გაიმართა აზრთა განაარება, რომლის დროსაც საზოგადოების წევრმა მიხეილ ლობჯანიძემ შემოიტანა წინადადება: დაევალოს მომავალ საბჭოს, როცა საჭირო იქნება, იშუამდგომლოს განათლების კომისარიატის წინაშე „საზოგადოების“ განკარგულებაშივე დატოვებულ იქნას დასახელებული არქივი, უკეთუ საბჭო ამჟამად საჭიროდ დაინახავს მეცნიერული მიზნით კრებამ დაადგინა საბჭოს მოხსენება მუზეუმ-ბიბლიოთეკა-არქივის შესახებ და მ. ლობჯანიძის განცხადება მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ მომავალი საბჭოსათვის.

6. მოსმენილ იქნა საბჭოს მიერ შედგენილი პროექტი ახლად დაარსებული საარქეოლოგო ხეივანის ინსტრუქციისა და მდივნის სიტყვიერი განცხადება „საზოგადოებასთან“, მისი წეს-

დების (§ 61-ის) თანახმად, საარქეოლოგიო სექციის დაარსების სა-
ჭიროების შესახებ. კრებამ დაადგინა: დაარსებულ იქნას საზოგადო-
ებასთან საარქეოლოგიო სექცია, ხოლო ინსტრუქციის წარმოდგენილი
პროექტი დაამტკიცა შემდეგი დამატებით § 5-ში: „სექციას უფლება
აქვს კოოპტაციის წესით მიიღოს ახალი წევრები საზოგადოების
წევრთაგან, თვითეულ შემთხვევაში საბჭოს თანხმობით“ (ს. კაკაბაძის
დამატება).

7. საკითხი საწევრო გადასახადის შესახებ.
წესდებით ყოველი ნამდვილი წევრი საზოგადოებისა იხდის წლიურად
3 მანეთს (§ 10). დღევანდელი კურსით, თუ ამ სამ მანეთს ჩერვო-
ნეცის მანეთებად ვიანგარიშებთ, ეს საკმაოდ დიდი ფული გამოდის
და ჩვენი საზოგადოების წევრს მისი გადახდა გაუჭირდება; ხოლო
თუ ბონებად ვიანგარიშეთ, არაფერს შეადგენს და გადახდევინებადაც
არა ღირს. ამ საკითხის გარშემო აზრთა გაცელა-გამოცელის შემდეგ,
კრება ადგენს: დაევალოს მომავალ საბჭოს გადასინჯოს საზოგადო-
ების წევრთა სია და მოიქცეს წესდების თანახმად, სახელდობრ
მე-10-ე მუხლში აღნიშნული „სამი მანეთი“ იანგარიშოს არა ბონე-
ბით, არამედ ჩერვონეცებით, მხოლოდ წევრებს მისცეს საშუალება ეს
ფული იხადონ ნაწილ-ნაწილ მთელი წლის განმავლობაში; ამას გარ-
და წევრთა სიის გადასინჯვისა და გამორიცხვის თუ არგამორიცხვის
დროს მხედველობაში იქონიოს არა მარტო საწევრო ფულის გადა-
მხედლობა ამა თუ იმ წევრისა, არამედ სხვაგვარი დამსახურებაც
წევრებისა „საზოგადოების“ წინაშე (როგორც მაგალითად პირადი
მეცნიერული დგაწლი, თანამშრომლობა, შემომწირველობა და სხვ.).—
ამას შემდეგ ს. გორგაძისა, გ. ახვლედიანისა და ს. კაკაბაძის წინადა-
დებით, კრება ირჩევს შემდეგ ნ ა მ დ ვ ი ლ წ ე ვ რ ე ბ ს საზოგადო-
ებისას:

1. მასწავლებელს ალექსანდრე ნამორაძეს,
2. გიორგი მოსეშვილს,
3. „ ირაკლი ტატიშვილს
4. სერგო შაკალათიას.
5. ანდრია შილაქაძეს.
6. ივანე სოფრომის ძეს ტყეშელაშვილს
7. დავით სეითის ძეს გამრეკელს.

8. საკითხი საბჭოს წევრთა რიცხვის გადიდება
შესახებ 13-მდე. წესდებით საბჭოს ჰყავს 9 წევრი, მაგრამ საზო-
გადო კრებას შეუძლია ამ რიცხვის შეცვლა (იხ. § 36, შენიშვნა 4).

შემოსული წინადადების თანახმად დადგენილ იქნა: საზოგადოების საბჭოს წევრთა საერთო რიცხვი, თავმჯდომართურთ, გადიდებულ იქნას ცამეტამდე.

ამის შემდეგ თავმჯდომარე 10 წუთით აცხადებს დასვენებას, რის შემდეგაც იწყება არჩევნები.

9. არჩევნები. წარმოდგენილია ერთადერთი სია, რომელსაც აქვეყნებს თავმჯდომარე. სიის ავტორები აცხადებენ, რომ დასახელებულ პირთაგან თანხმობა მიღებულია, ერთის გამოკლებით, სასელდობრ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორის ივანე ალექსანდრეს ძის ჯავახიშვილისა, რომელიც სიაში დასახელებულია საზოგადოებისა და საბჭოს თავმჯდომარედ და რომელსაც უარი განუცხადებია ავადმყოფობის გამო. კრება ერთხმად ადგენს: პროფ. ივანე ჯავახიშვილი არჩეულ იქნას საზოგადოებისა და საბჭოს თავმჯდომარედ, რაც მას ეცნობოს საგანგებო დეპუტაციით სამი კაცისაგან (დავ. კარიჭაშვილი, იასონ ლორთქიფანიძე და ექიმი ივ. ელიაშვილი) და ეთხოვოს, სანამ შესძლებდეს, გაუძღვეს „საზოგადოებას“ როგორც მისი თავმჯდომარე. შემოდის წინადადება: საარქეოლოგიო სექციაში მეცხრე წევრად დასახელებულ იქნას ლეონ მელექსეთ-ბეგი, მაგრამ ეს უკანასკნელი უარს აცხადებს მოუცლელობის გამო; რის შემდეგაც შემოდის წინადადება იმავე სექციაში წევრად ჩაირიცხოს პროფ. აკაკი შანიძე, ხოლო სარევიზიო კომისიაში — იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე. კრება იღებს უკანასკნელ წინადადებას, რის შემდეგაც დასახელებულ პირთაგან ამორჩეულნი აღმოჩნდნენ:

ა) საბჭოში:

1. საზოგადოებისა და საბჭოს თავმჯდომარედ — რექტორი სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროფესორი ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი.
2. თავმჯდომარის ამხანაგად — დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი.
3. მდიუნად — მუხეუმის გამგე (მცეელი) სერგი რომანოზის ძე გორგაძე.
4. მოლარედ (საზინადარად) — მუხეუმის გამგის თანაშემწე იროლიონ თომას ძე სონდულაშვილი.
5. წევრებად: პროფესორი კორნელი კეკელიძე.
6. — პროფესორი, აკაკი შანიძე.
7. — პროფესორი გიორგი ჩუბინაშვილი.
8. — სერგი ნუსტორის ძე კაკაბაძე (ცენტრ. არქივის გამგე).

- 9. — შალვა ამირანაშვილი.
 - 10. — სვიმონ ჯანაშია.
 - 11. — სვიმონ ყაუხჩიშვილი.
 - 12. — იოსებ ჭეპშვილი.
 - 13. — გიორგი ბოჭორიძე
- } (ცენტრ. არქივის თანამშრომლები).

მათ კანდიდატებად:

- 1. დოცენტი გიგო ნათაძე.
- 2. თედო სახოკია.
- 3. გიორგი ჯაკობია.

ბ) სარევიზიო კომისიაში:

- 1. იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე.
- 2. კონსტანტინე ზაქარაიას ძე მაყაშვილი.
- 3. მისხეილ ლობჯანიძე.

გ) საარქეოლოგიო ხეკციაში:

- 1. ხეკციის თავმჯდომარე—სერგი ნესტორის ძე კაკაბაძე (ცენტრ. არქივის გამგე).
- 2. პროფესორი გიორგი ჩუბინაშვილი.
- 3. პროფესორი აკაკი შანიძე.
- 4. შალვა ამირანაშვილი.
- 5. სვიმონ ჯანაშია.
- 6. ეარლამ თოფურია.
- 7. თედო სახოკია.
- 8. იოსებ ჭეიშვილი.
- 9. გიორგი ბოჭორიძე.

კრების დასასრულს, საზოგადოების წევრს მისხეილ ლობჯანიძეს შემოაქვს წინადადება: კრების სახელით მადლობა გამოეცხადოს საბჭოს ყოფილ წევრებს გაწეული შრომისათვის. წინადადება მიღებულია.

საღამოს 11 საათზე თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა.

ზემოთ ამ ოქმის მე-5 მუხლში (სტრ. ქ. 8) წითელი მელნით ჩამატებულია „უკეთუ საბჭო ამას საჭიროდ დაინახავს მეცნიერულის მიზნით“, სწორეა; აგრეთვე მე-9 მუხლში მე-10 წევრი „ბოჭორიძე“.

თავმჯდომარე კრებისა დ. კარიჭაშვილი.
მდივანი ს. გორგაძე.

კრება დაიწყო საღამოს 7 საათზე, ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში (კალოუბნის ქ. № 1). დაესწრენ ნამდვილი წევრები: დავ. კარიჭაშვილი, ივ. მაჭავარიანი, ვ. თოფურია, თ. სახოკია, ს. იორდანიშვილი, ს. გორგაძე, ირ. სონდულაშვილი, ბ. ჩიქობავა, ს. მაკალათია, ს. ჯანაშია, მის. ზანდუკელი და გარეშე საზოგადოება.

1. პირველად კრებამ მოისმინა და დაამტკიცა წინა კრებათა ოქმები № № 199, 200 და 201.

2. შემდეგ მოხსენილ იქნა ს. მაკალათიას მოხსენება „ფშაური წაწლობა, ზევსურული სწორფრობა და მათი ხატობა-დღეობები“.

მოხსენება წმინდა აღწერილობითის სასიათისა იყო, რადგან თვით მომხსენებელი იმ აზრისაა, რომ, ვიდრე ამგვარად დაწერილებითი აღწერილობა არ გვექნება სხვადასხვა ჩვეულებებისა საქართველოს ყველა კუთხეებში, მანამდე კვლევა ამა თუ იმ ზნე-ჩვეულებისა და მითუმეტეს ახსნა-გადაწყვეტა რომელიმე სადავო საკითხისა შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს.

მოხსენების გეგმა ასეთი იყო:

1) წაწლობა ფშავეში, მისი დაწერილებითი აღწერა და ფშაური ლექსები წაწლობის შესახებ ან მის ნიადაგზე აღმოცენებულნი.

2) სწორფრობა ზევსურეთში, მისი აღწერა და ზევსურული ლექსები სწორფრობის შესახებ ან რომლებშიაც სწორფრობაა ჩაგულისხმევი.

3) დასასრულ მომხსენებელმა წარმოადგინა დაწერილებითი აღწერილობა ფშაური ხატობისა კოპალე წმ. გიორგის სახელობაზე მკათათვის 31-ს, რომელიც მას პირადად უნახავს და ყოველივე ნაწილი დაწერილებით ჩაუწერია.

მოხსენების გამო გამართულ საუბარში თავმჯდომარემ ივ. ჯავახიშვილმა გამოსთქვა აზრი, რომ დღევანდელი ფშაური წაწლობა შესაძლოა სხვადასხვა გზით მიმდინარეობდეს: ადგილობრივ საფუძველს გარდა, მას შესაძლოა უცხო ერების კულტურული გავლენაც ედოს საფუძვლად, როგორც მაგალითად მაზდეიანობისა და სხვანი;

ამას გარდა ყურადღების ღირსია ის ადგილობრივი გადმოცემაც (მომხსენებლის მიერ აღნიშნული), რომელიც ამ ჩვეულებას ლაშა-გიორგის სახელთან აკავშირებს: საერთოდ კი მოხსენება ფრიად საინტერესო საკითხს შეეხებოდა და საკმაო სისრულითაც იყო წარმოდგენილი აღებულ ჩვეულებათა აღწერილობა, რისთვისაც მომხსენებელი განსაკუთრებული მადლობის ღირსია — ასე დააბოლოვა თავმჯდომარემ თავისი სიტყვა.

ხალამოს 9^{1/2} საათზე კრება დაიხურა.
თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი.
მდივანი: ხ. გორგაძე.

№ 230

ჩვეულებრივი კრება
იანვრის 16-ს, 1926 წ.

კრება გაიხსნა ხალამოს 7 ს. 10 წ. საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში. თავმჯდომარეობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი, მდივნობს სვ. ჯანაშია. ესწრებიან წევრნი: დ. კარიჭაშვილი, ირ. სონღულაშვილი, მის. ლობჯანიძე, ვ. თოფურია, ს. მაკალათია, ჭუმბურიძე, გ. ჩუბინაშვილი, გ. ასვლედიანი, ს. გორგაძე, ნ. ბერძენიშვილი, კვიციანიშვილი, გ. ჩიტაია, გ. ჯავახიშვილი, თ. ლომოური, ნ. დგებუაძე, დ. გამრეკელი, ს. ჯიქია, ჩ. შარაშიძე, შ. ამირანაშვილი, დ. გულია, მ. რცხილაძე, იუსტ. აბულაძე, ალ. წერეთელი და გარეშე საზოგადოება.

წინა ჩვეულებრივი კრების № 234 და არაჩვეულებრივი კრების № 235 ოქმების დამტკიცების შემდგომ კრება ისმენს პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენებას: „ზოგიერთი პალეოგრაფიულად მნიშვნელოვანი ძეგლის დათარიღებისათვის“. პირველად მომხსენებელი იხილავს უძველეს ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს და იძლევა მათს შესაძლებელს მიასლოვებითს დათარიღებას, რადგან ყველა ეს ძეგლი მოკლებულია საკუთარს ზედმიწევნის დატას, რაც საერთო თვისებას წარმოადგენს უძველესი წარწერებისას. კერძოდ ბოლნისის წარწერის გამო მომხსენებელს მოჰყავს თავის წინათგამოთქმულ მისაზრების დამტკიცებისათვის ახალი საბუთი, რომელიც უფრო სანდოდ ჰსდის დვინის 506 წლ. საეკლესიო კრების ძეგლისწერის სომხურ პირს. ამ მოწმობას წარმოადგენს იაკობ ხუცესისა, კირიონი-

სა და ძველისწერის სომხური პირის ჩვენებათა შესვედრა აფუცისა და იაკობ ცურტაველი ეპისკოპოსის იმავე ხანებში არსებობის შესახებ. შემდეგ მომხსენებელი იხილავს ახალ ეპიგრაფიკულ ძეგლს — ატენის სიონის მახლობლად ტყეში ნაპოვნ ჯვარის კვარცხლბეკის წარწერას, რომელიც პალეოგრაფიულად მნიშვნელოვანია იმ მხრით, რომ ბანი ოდნავ თავგახსნილია მაშინ, როცა კ-იე, და ყარი თავშეკრული იწერება. წარწერაში მოხსენებული სახელის „ვეჟან“-ის ფაქტური ფორმა, პალეოგრაფიული ნიშნები და ზოგიერთი სხვა თვისებები ამ წარწერას მე-7 ს-ის დასასრულს ან მე-8 ს-ის დასაწყისს მიაკუთვნებს. შემდეგ მომხსენებელი პალეოგრაფიულად ახასიათებს და ქრონოლოგიურად განსაზღვრავს ხუცური დამწერლობის ისეთს ძეგლებს, როგორც არიან: ჭილის იადგარი, ატენის წარწერა 853 წლ., სინას მრავალთავი, შადიშის სახარება, ქვის კვარცხლბეკის წარწერა, ოშკის მონასტრის წარწერა და სხვ. რაც შეეხება მხედრული დამწერლობის განვითარებას, მომხსენებელი ფიქრობს, რომ 1058 წლ., შიო-მღვიმის საბუთი და ოპიზის სიგელის დამწერლობა ჯერ კიდევ მხოლოდ გაკრულის ნუსხა-ხუცურს წარმოადგენენ. ოპიზის სიგელს მომხსენებელი ათარიღებს 1060—65 წლ. შუა პერიოდით. ჭიაბერის სიგელი მიცემული უნდა იყოს 1184—5 წლებში და წარმოადგენს შემდეგს საფეხურს ნუსხა-ხუცურის განვითარებისას მხედრულისაქენ. უკანასკნელი საკმაოდ ჩამოყალიბებულია დაეით ნარინის მე-XIII ს-ის მეორე ნახევრის სიგელში.

შემდეგ კრება ისმენს გიორგი ჩიტაიას მოხსენებას: „გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში“. მოხსენება შეიცავდა შემდეგს თეზისებს:

1. საცხოვრებელი ბინა, ბუნებრივი არე და კულტურული ვითარება.
2. საცხოვრებელი ბინების მრავალსახეობა და კულტურული ფენების გამორკვევის სიძნელე კავკასიაში.
3. საცხოვრებელი ბინების შინა კონსტრუქციის მსარე და არსებული ლიტერატურა გლეხის სახლის შესახებ.
4. ხის დამუშავება კავკასიის რეგიონებში და დამუშავების ტექნიკა.
5. ქვის დამუშავება და ქვის შენობის ძველი გეგმა.
6. საცხოვრებელი ბინების ტიპები ქვაბლიანის ხეობაში: დარბაზული, ოდური და ლაზური. საკვლევი ტერიტორიის განსაზღვრა.
7. დარბაზული ტიპი. აგების პროცესი: მოლოცვა, ბაჰლავარი, კედელი, სახლის გეგმა.

8. „მოდერბაზება“: სვეტი, საწარბე, ნიყური, ფათხა, ერდობანი. მოდარბაზების ვარიანტი.
9. შედარება ქართლური დარბაზის გვირგვინისა მესხურთან. კერა. ძველი ჩვეულება: ერდოსთან დაკავშირებული კულტი.
10. ბუსრის ანუ „ოჯაკის“ მოწყობა. დოლაბი, მუხანდარა, სექფი, აჯილაკი, ბაითელმა, კარი, დარბაზის დანიშნულება.
11. ბოსელი და მისი სახურავი: „ჩაღმა დახურვა“. დარბაზულის ვარიანტები.
12. ტერმინი „დარბაზი“; მისი ადგილობრივი მნიშვნელობა. ტერმინის ისტორიისათვის.
13. დარბაზთან დაკავშირებული სოციალური მომენტები და სარწმუნოებრივი ელემენტები: დიდი საგვაროვნო ოჯახი; ერდოს კულტი, აზრი ზეციურ და ამქვეყნიურ ცეცხლის თაყვანისცემის შესახებ.
სიმბოლური ორნამენტები.
მოსხენებებს კამათი არ გამოუწვევია.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი.
მდივანი: ს. ჯანაშია.

საზოგადოების 1926 წლის თებერვლის 20-ის წლიური კრების
ოქმი № 239

კრება გაიხსნა საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში სადამოს 7 ს. 10 წ. პროფ. ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. მდივობს ს. ჯანაშია. ესწრებიან ნამდვილნი წევრნი: 1) ივ. ელიაშვილი, 2) ე. თოფურია, 3) არნ. ჩიქობავა, 4) ალ. ბარამიძე, 5) შ. ჩხეტიანი, 6) დავ. გამრეკელი, 7) გ. ჩაჩანიძე, 8) ე. გამრეკელი, 9) ი. აბულაძე, 10) გ. ჩიტაია, 11) მ. ხუბუა, 12) თ. ლომოური, 13) ნ. ბოცვაძე, 14) ს. გორგაძე, 15) მ. ლობჯანიძე, 16) გ. ჯაკობია, 17) ირ. სონდულაშვილი, 18) ე. აბულაძისა, 19) იას. ლორთქიფანიძე, 20) ქრ. შარაშიძე, 21) დავ. კარიჭაშვილი, 22) გ. ჯავახიშვილი, 23) კ. კეკელიძე, 24) ს. მაკალათია, 25) ა. შანიძე, 26) ალ. წერეთელი და გარეშე აზოგადობა.

წინა ჩვეულებრივი საზოგადო კრებების № 236 და № 238-ისა და არაჩვეულებრივი კრების № 237 ოქმების დამტკიცების შემდგომ კრება იხმენს ალ. ბარამიძის მოსხენებას: „ამირანდარეჯანიანის შე-

მადგენლობა“. ტფილისის სიძველეთსაცავებში დაცული „ამირანდარეჯანიანის“ ხელთნაწერების აღწერის შემდგომ მომხსენებელი მოუთხრობს „ამირანდარეჯანიანის“ მოცულობის შესახებ, რომელიც იცვლებოდა დროთა განმავლობაში. მომხსენებლის აზრით, რომანის ძირითადი ნაწილი 12 კარისაგან შესდგება. ეგრეთ წოდებული „ჯიმშერიანი“, „ამირანდარეჯანიანის“ პირვანდელი ნაწილი არ არის. იგი წარმოადგენს რომანის ერთი ეპიზოდის (მზეჭაბუკას ამბავი) გაგრძელებას. „ჯიმშერიანის“ წყაროდ, გარდა ამირანდარეჯანიანისა, გამოყენებულია აგრეთვე „დილარიანი“. „ამირანდარეჯანიანისე“ წაბაძებით XIV ს-ში დამუშავებულია აგრეთვე გურგენ ჯიზიშვილის თავგადასავალი. უკანასკნელი თავისი მხატვრული ღირსებით მდარეა და „ჯიმშერიანზე“ ცაცილებით დაბლა დგას. ქრონოლოგიურად „ჯიმშერიანის“ გაჩენა წინ უსწრებს გურგენ ჯიზიშვილის მოთხრობას. მოხსენებლის გამო პროფ. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ მომხსენებლის მიერ წამოყენებული მოსაზრება „ჯიმშერიანის“ დამოკიდებულების შესახებ „ამირანდარეჯანიანისადმი“ არ შეიძლება გაზიარებულ იქნას: „ჯიმშერიანი“ ორგან ცაცილებით უფრო ადრინდელი ხანისაა, ვიდრე აღორძინების ეპოქა: „ჯიმშერიანი“ არაფრით არ განსხვავდება „ამირანდარეჯანიანისაგან“ სტილის თვალსაზრისით და იგი რომანის ორგანულ ნაწილად უნდა ჩაითვალოს. მომხსენებლის დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ მან შეისწავლა ხელთნაწერები და აგრეთვე აღმოაჩინა რომანის ახალი, დღემდის უცნობი თავი.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მომხსენებელს ძალიან კარგი შრომა გაუწევია ხელთნაწერების შესწავლით, მაგრამ რომანის შემადგენლობის საკითხის გადაწყვეტა დამყარებული უნდა იყოს ტექსტის კრიტიკაზე. ამ მხრით მთავარი უბედურება არის ის, რომ ტექსტი არ არის დადგენილი. შემდეგ საჭიროა გამოირკვეს რომანის ქართული ვერსიის ორიგინალური ელემენტი. ამ მხრით საინტერესოა რომანის მოქმედ პირთა სახელების შესწავლა. დარეჯანი, მაგ. შესაძლებელია ადგილობრივ ნიადაგზე იყოს წარმოშობილი სახელ ტირიჭანთან დაკავშირებით.

მომხსენებლის პასუხის შემდგომ კრება ისმენს საზოგადოების 1925 წლის მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის ანგარიშებს და სარევიზიო კომისიის აქტს, უკანასკნელის წინადადების თანახმად კრება ამტკიცებს ანგარიშებს.

შემდეგ კრება ისმენს და ამტკიცებს 1926 წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას.

თავმჯდომარე აუწყებს კრებას საბჭოს დადგენილებას: საზოგადოების თეორეტული ორგანოს სახელი „ძველი საქართველო“ შეცვლილ იქნას „მომომსილველი“-თ. ამ დადგენილებას კრება ადასტურებს.

გ. ჩიტაიას წინადადებით კრება ადგენს წლიური კრების სახელით გამოცხადოს მადლობა საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს უხვი შემოწირულებისათვის.

კრება გამოსთქვამს აგრეთვე სურვილს მიხ. ლ. ზოგანიძის წინადადებით საზოგადოების საჯარო კრებათა დღე, შაბათი, შეცვლილ იქნას, თუ შესაძლებელი დარჩება, რომელიმე სხვათი, თუნდაც პარასკეით.

დასასრულ, გ. ჩიტაიასა და ს. მაკალათიას წინადადებით კრება ირჩევს საზოგადოების ნამდვილ წევრად ვერა ბარდაველიძეს.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი.

მდივანი: ს. ჯანაშია

„მეურნეობის კრება თბილისის 11-ს 1927 წ.“

№ 252

კრება გაიხსნა სად. 7 ს. საქ. მუზეუმის აუდიტორიუმში დავ. კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით. მდივნობს სე. ჯანაშია. დაესწრენ ნამდვილნი წევრნი: თ. ლომოური, ნ. ბერძენიშვილი, ირ. სონდულაშვილი, დ. გამრეკელი, შ. ჩხეტია, ვ. თოფურია, შ. რცხილაძე, ალ. წერეთელი, გ. ჯავახიშვილი, შ. ამირანაშვილი, პ. ინგოროყვა, გ. ნიორაძე და გარეშე საზოგადოება.

წინა ჩვეულებრივი კრების № 250-ისა და არაჩვეულებრივი კრების № 251-ის ოქმების მოხმენისა და დამტკიცების შემდგომ პროფ. კორნ. კეკელიძე კითხულობს, მოხსენებას: „იერარქიული წესწყობალება ძველ საქართველოში“, რომელიც შეიცავდა შემდეგს დასკვნებს:

1. ვასტანგ გორგასლანამდე იბერიის ეკლესია წარმოადგენდა ერთს ადმინისტრაციულ ორგანიზმს, ან ეპარქიას, რომელზეც განაგებდა ერთი მწყემსთმთავარი.

2. ეპარქიალური მღვდელთმთავროს გარდა ძველს იბერიაში ცნობილი იყო აგრეთვე ინსტიტუტი „მეფის სასახლის“ ეპისკოპოსისა, რომელსაც ადმინისტრაციული ფუნქციები არ უნდა ჰქონებოდა.

3. თავდაპირველად იბერიაში უმაღლესი იერარქიული პოსტები ეკავათ როგორც ქართველებს, ისე ბერძნებს, სირიელებს და, უფრო ხშირად, სომეხებს; ნაციონალიზაცია იერარქიისა მხოლოდ მეექვსე საუკუნის გასულისათვის ჩანს დამთავრებულად.

4. ვასტანგ გორგასლანმა იბერიის ეკლესია 457—470 წლებში დაყო 13 ეპარქიად; ამან გამოიწვია ეკლესიის საჭეთმპყრობელისათვის კათოლიკოსის ტიტულის შემოღება, თუმცა ამ ტიტულს მისა მატარებლის საეკლესიათაშორისო მდგომარეობაში არავითარი ცვლილება არ მოუსდენია.

5. მეფობის გაუქმების შემდეგ იბერიაში კათოლიკოსის კანდიდატს იძლევა ორი სახელი ან გვარი, რომელთაგან ერთი უნდა იყოს ელანოფილური პარტიის, ხოლო მეორე სპარსოფილურის წარმომადგენელი.

6. იბერიის ეკლესია თავდაპირველად სომეხთა ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა; გამგე მისი — პირველად ეპისკოპოსი, შემდეგ კათალიკოსი, — ხელდასხმას სომეხთა კათალიკოსისაგანღებულობდა.

7. 607 წელს იბერიის ეკლესია საბოლოოდ ჩამოშორდა, ან გამოეყო, სომხის ეკლესიას; ერთ-ერთი მთავარი მოტივი ამ გამოყოფისა იყო კირიონ კათალიკოსის მიერ ბიზანტიაში შეთვისებული პენტარქიული თეორია.

8. სომეხთაგან განშორების შემდეგ იბერიის ეკლესია, იმავე პენტარქიული თეორიის კარნახით, დაექვემდებარა ანტიოქიის საპატრიარქოს.

9. დამოკიდებულება ანტიოქიის საპატრიარქოზე, რომელმაც მერვე საუკუნიდან ნომინალური ხასიათი მიიღო, საბოლოოდ შეწყდა მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში.

10. დასავლეთ-საქართველოს, აფხაზეთის, საკათალიკოსო ყალიბდება მათე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც მოსდა ლიკვიდაცია აქ არსებულის ლაზის ბერძნული მიტროპოლიისა და აბაზგეძის ავტოკეფალური არქიეპისკოპიისა.

11. აფხაზეთისა და მცხეთის კათალიკოსები იყვნენ სწორუფლებიანი გამგენი თავიანთი სამწყსოისა, ხოლო ურთიერთდამოკიდებულებაში მცხეთის კათალიკოსს, როგორც სატახტო ქალაქის და „მეფეთა-მეფის“ იერარქს, მინიჭებული ჰქონდა უპირატესობა პატრიარქისა.

მოსხენების გამო სვ. ჯანაშია შეკითხვის სახით ამბობს:

უსტანესის ლეგენდარული ცნობა იმის შესახებ, რომ ქართლისა და ავღაბრის კათალიკოზები ატარებდნენ ტიტულს მიტროპოლიტისა და მთავარეპისკოპოსისას, ხომ არ წარმოადგენს ფარულ კამათს ტერმინი „კათალიკოზი“-ს იმ ჩვეულებრივი მნიშვნელობის წინააღმდეგ, რომ ამ წოდებულების მატარებელი იერარქები თანასწორუფლებიანად ითვლებოდნენ? როგორ მოხდა, რომ მცხეთის კათალიკოზი უფრო მახლობელი აღმოჩნდა მეფის ტახტისათვის, მაშინ როცა საქართველოს დედაქალაქად დიდი ხნის განმავლობაში ქუთაისი იყო?

5. ბერძენიშვილი აცხადებს, რომ თავის წერილში ის არ ამტკიცებდა, თითქოს აფხ. კათალიკოზობა მე-XIII ს-ში პირველად შემოედოთ. აფხაზ. კათალიკოზობა უნდა ძველადაც არსებულებოდა და ბაგრატ III-ის დროს უნდა იყოს გაუქმებული. მე-XIII ს-ში ის კვლავ აღადგინეს. რაც შეეხება „მატიანე ქართლისაჲ“-სა, დავითის და თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში სიტყვა „კათალიკოზთა“-ს ზოგჯერ სმარებას, ამ გარემოებისათვის მასაც აქვს ყურადღება მიქცეული, მაგრამ რადგანაც არც ერთხელ ნიშნდობლივ არ არის თქმული „ორივე კათალიკოზი“, ან „აფხაზეთის კათალიკოზი“, ამიტომ აღნიშნული მოვლენა უშინაარსო ტრაფარეტად უნდა ჩაითვალოს. ორი კათალიკოზის უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ მომხსენებლის აზრი არ შეიძლება გაზიარებულ იქნას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა მე-XV ს-ის მიწურულში აფხ. კ-ზის კურთხევა ანტიოქიის პატრიარქის მიერ და ამ მოვლენის აფხ. კ-ზთა აღმატება-განდიდებად აღიარება გრ. ლორთქიფანიძის მიერ მე-XVIII ს-ში. თუ მანამდის აფხ. კ-ზი დამოუკიდებელი იყო, რა საჭირო იყო მისი აღმატება ან დამოუკიდებელი კ-ზის ანტიოქიის პატრიარქისადმი დაქვემდებარებას როგორ შეიძლებოდა განდიდება დარქმეოდა? აუხსნელი იქნებოდა აგრეთვე, რომ დს. საქ. საბუთებზე კათალიკოზთაგან ხელს აწერენ ზოგჯერ მხოლოდ ქართლის კათალიკოზი, მაგრამ არასდროს მარტო აფხ. კ-ზი. „სკლმწ. კარის გარიგება“-ში ჩვენ შენახული გვაქვს კ-ზთა ბრძოლის სურათი. აქ ბრძოლის საგანი უნდა იყოს ის უფლებრივი მოვლენა, რომელიც მკაფიოდ არის გამოთქმული XIII ს-ის შუაზე შედგენილ „მეფის კურთხევის წეს“-ში: სახელდობრ ის, რომ მთლიანი საქართველოს მეფის კურთხევის უფლება მხოლოდ ქართლის კ-ზს ჰქონდა და აქ აფხ. კ-ზს მხოლოდ მცირე ადგილი ეჭირა.

მომხსენებლის საპასუხო სიტყვაში სხვათა შორის აღნიშნული იყო, რომ ტერმინს „კ-ზი“ არა აქვს არც თანასწორუფლებიანობის მნიშ-

ენელობა. აფხაზეთის საკათალიკოსოს აღდგენაზე ლაპარაკი მერმინ-
დელ საუკუნეებში მაჩვენებელია მხოლოდ ამ საკ-სოს დაკანონებისა,
რაც საშუალებას აძლევდა მცხეთის კათალიკოსს ჩარეულიყო და-
საყვეთ საქართველოს ეკლესიის საქმეებში.

თავმჯდომარე დ. კარიჭაშვილი.
მდივანი: ს. ჯანაშია.

ჩვეულებრივი კრება მარტის 11-ს, 1927 წ.

№ 253

კრება გაიხსნა სად. 7 ს. საქართველოს მუზეუმის აუდიტორი-
უმში. თავმჯდომარეობს დავ. კარიჭაშვილი, მდივანობს ს. ჯანაშია.
დაესწრენ ნამდვილი წევრნი: ს. ყაუხჩიშვილი, არნ. ჩიქობავა, თ. ლო-
მოური, პ. ინგოროყვა, ს. მაკალათია, გ. წერეთელი, ნ. ბერძენიშვი-
ლი, ვ. თოფური, დ. გამრეკელი, მ. სუბუა, ქრ. შარაშიძე, ირ. სონ-
ღულაშვილი, გ. ბოჭორიძე, და გარეშე საზოგადოება.

წინა ჩვეულებრივი კრების № 252 ოქმის დამტკიცების შემდგომ
კრება იხმენს გ. ბოჭორიძის მოხსენებას: „არქეოლოგიური
მოგზაურობა რაჭაში“. მოგზაურობა მომხსენებელს შეუსრულეზა
1925-სა და 1926 წლებში. ამჟამად მომხსენებელი საზოგადოებას
წარმოუდგენს მხოლოდ ნაწილს მის მიერ შეგროვებული მასალისას.
თავდაპირველად იგი ვრცლად განიხილავს რაჭის არქეოლოგიის ლი-
ტერატურასა და ესება წინამორბედ მკვლევრებს, განსაზღვრავს რაჭის
ისტორიულსა და თანამედროვე საზღვრებს, განიხილავს ამ კუთხის
წარსულ ცხოვრებასა და მის როლს საქართველოს ისტორიაში,
აკლასიფიცირებს რაჭის ძეგლებს ქრონოლოგიურად და გეოგრაფი-
ულად, ჩამოსთვლის რაჭის ისტ. მონღეაწეთ და ბოლოს ახასიათებს
არქეოლოგ. ნაშთების თანამედროვე მდგომარეობას. შემდეგ მომხსე-
ნებელი აცნობს დამხწრეთ ეპიგრაფიკულ მასალებს ღებისა, გლოლი-
სა, ქვემო-ბარისა და ჯვარისას ტაძრებიდან და აღწერს ამ ტაძართა
სიძველეებს. განსაკუთრებული დაწვრილებით ჩერდება იხ ჯვარისას
გრაგოლ საკვირველთმოქმედის ნაჭედ ხატზე და ამ ხატის წარწერაზე
(მომხსენების ეს ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია ჟურნალ „საქართვე-
ლოს არქივის“ მესამე წიგნში, გვ. 206—208, ტფილისი, 1927 წელი).
მომხსენებელმა წაიკითხა აგრეთვე მის მიერ მოპოვებული ქვემო
ბარის ოთხთავის საყურადღებო ანდერძი 1013 წლისა.

მომხსენებელს შეკითხვები მისცეს ე. თაფურიამ, არნ. ჩიქობავამ და ს. ჯანაშიამ.

კმათი იხსნება არნ. ჩიქობავას შენიშვნებით ჯვარისას ხატის წარწერის შესახებ; ოპონენტი არ ეთანხმება მომხსენებელს წარწერის დათარიღებაში და პფიქრობს, რომ ძეგლი უფრო გვიანდელია. ჩვენ არ ვიცით, ამ წარწერის ასოების მოხაზულობა ბუნებრივი ევოლუციის შედეგია, თუ შემთხვევითი ან ადგილობრივი ხასიათის მოვლენა. თავგახსნილი ვ-იე თავშეკრული ბ-ანისა და ყარის არ შეიძლება ძველ დროს ეკუთვნოდეს. ძნელი გასაზიარებელია აგრეთვე მომხსენებლის მოსაზრება ონის მოცემული დამწერლობის სიძველეს შესახებ. ამ ასოხატვის კუდი არ არის შემთხვევითი მოვლენა, რასაც ნუსხურის სამი კბილი გვაფიქრებინებს. საყურადღებოა აგრეთვე, რომ აქ ონი თანაბარი სისხოს წრეს წარმოადგენს, ასომთავრულის ონი კი წრე არ არის და მსხვილი და წვრილი ხაზებისაგან შედგება. საინტერესოა წილას თავშეკრულობა, რომ ეს შემთხვევითი არ არის, ჩანს ნუსხური წილიდან რომელსაც თანაბარი მნიშვნელობის ორი კბილი აქვს. მრავალი ასო ჰადიშის სახარების დამწერლობას მოგვაგონებს. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ჩვენ აქ არა გვაქვს არც მთლიანად არქაული, არც მთლიანად ვულგარული მოხაზულობა, არამედ წარწერა წარმოადგენს შერეული დამწერლობის ნიმუშს. იხეთი დაწერილობა, როგორც „დაძვევ“, ჩვენ გვხვდება ჰადიშის სახარებაშიაც და იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ მაშინ 4-იე ახლო იდგა ინთან. — საბოლოოდ, წარწერა არქაულს არაფერს წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში მარტო პალეოგრაფიულად ამის დამტკიცება შეუძლებელია.

ს. მაკალათია არ ეთანხმება მომხსენებელს დების წარწერის დათარიღებაში. არც გლოლას წარწერის წაკითხულობა, რომელიც მოგვცა მომხსენებელმა, არ არის დამაჯერებელი. „დავითეთი“ უნდა იყოს ოჯახის მამასახლისის სახელი.

პ. ინგოროყვას არ მიაჩნია გამორიცხულად ის შესაძლებლობა, რომ ეს ძეგლი ყველა წარწერაზე ძველი აღმოჩნდეს. არ შეიძლება იმის თქმა, რომ რაც თავშეკრულია, ყველაფერი ძველია. მაგ. წილი მერმეც, მე-10—11-ე საუკუნეებშიაც გვხვდება თავშეკრული. ამიტომ საკითხს უნდა შევხედოთ გენეტურად, იმ ანბანის თვალსაზრისით, საიდანაც მოდის ქართული. ასეთი ან არქ. ბერძნული, ან არქაული ხემური უნდა იყოს. თუ ამ თვალსაზრისზე დავდგებით, მაშინ გამოვა, რომ ჯვარისას ხატის ასოების მოხაზულობა უფრო შეესატყვი-

სება თავის პირველწყაროს, ვიდრე ბოლნისის და ჯვარის საყდრისა. ასეთია ასოები ონი, ვიე, ყარი და სსვ. თავგასსნილი ვიე უფრო არქაულაა, ვიდრე თავშეკრული. არქაულობას უჩვენებს აგრეთვე ასოებს კუთხოვანი მოსაზრება.

არნ. ჩიქობავას შეუძლებლად მიაჩნია თავშეკრული ასოს მიღება თავგასსნილისაგან. ამასთან, თავშეკრული სასე ვიესი ხომ დადასტურებულია.

ვ. თოფურია მიაქცევს ყურადღებას იმ გარემობას, რომ „დამცევ“-ის მსგავსი ფორმა ძვ. ქართულში არ გვხვდება.

ს. ჯანაშია აღნიშნავს გ. ბოჭორიძის ღვაწლს ქართ. სიძველეთა აღრიცხვისა, დაცვისა და შევროვნების საქმეში, მით უმეტეს რომ მუშაობა მას უნდა ეწარმოებინა სრულიად არა ხელისშემწყობ პირობებში. მომხსენებლის პასუხის შემდგომ თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა.

თავმჯდომარე: ივ. ჯავახიშვილი
მდივანი: ს. ჯანაშია

წლიური სრება აპრილის 29-ს, 1927 წ.

№ 254.

კრება გაიხსნა საქ. მუზეუმის აუდიტორიუმში სად. 7 ს.-20 წ. თავმჯდომარეობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი, მდივანობს ს. ჯანაშია, დაესწრენ ნამდვილი წევრნი: თ. ლომოური, ნ. ბერძენიშვილი, გ. გოზალიშვილი, მ. ხუბუა, დ. გამრეკელი, ი. ცინცაძე, ლ. მესხიშვილი, ე. თოფურია, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, შ. ჩხეტია, გ. ბოჭორიძე, იას. ლორთქიფანიძე, ირ. სონდულაშვილი, ალ. ბარამიძე, დ. კარიჭაშვილი, ალ. ნამორაძე, შ. ამირანაშვილი, გ. ჩაჩანიძე, მ. ლობჯანიძე, გ. ნათაძე, ალ. წერეთელი, გ. ჯავახიშვილი, ი. ელიაშვილი, ქრ. შარაშიძე, ელ. ახათიანი, პ. ინგოროყვა, ს. გორგაძე და გარეშე საზოგადოება.

პირველად კრებას მოჰხსენდა საზოგადოების 1926 წლის მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის ანგარიშები და სარევიზიო კომისიის აქტი. ანგარიშები კრებამ დაამტკიცა. კრებამ მოისმინა და დაამტკიცა 1927 წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა. შემდეგ თავმჯდომარე ერცლად მოახსენებს კრებას საზოგადოების ქონებრივი მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ

საზოგადოების ერთადერთ სახსარს ამჟამად წარმოადგენს კერძო შემოწირულება და საწევრო გადასახადი. შემოწირულობის მოსალოდნელობა მომავალში მეტად განსაზღვრულია, ამიტომ თავმჯდომარეს შემოაქვს წინადადება, რომელსაც იღებს კრება, რომ მიღებულ იქნეს ყველა ზომა იმისათვის, რათა საწევრო გადასახადი აკრეფილ იქნას უკლებლივ.

შემდეგ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი კითხულობს მოსხენებას: „ქართული საერო მხატვრობის გენეზისისათვის“ (ვეფხისტყაოსნის მინიატურები), რომელიც უკვე დაბეჭდილია ჟურნ. „ქართული მწერლობის“ № 6-7-ში, გვ. 175-207, ტფილისი, 1927 წ.

მოსხენების შესახებ პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ს ი შ ვ ი ლ ი ამბობს: საფიქრებელია, რომ საერო მხატვრობა მართლაც არსებობდა საქართველოში ადრინდელ პერიოდშიაც. არაბ. მწერლობაში შენახულია ცნობა, რომ სახანიანთა სპარსეთში ყოველ ასალმეფეს ჰხატავენ და პორტრეტს დაეთარხანაში ინახავდნენ. ეს იყო ხოლმე ოფიციალური ორიგინალი. საქართველო მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპარსეთთან, ამიტომ შესაძლებელია აქაც ყოფილიყო ასეთი ჩვეულება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ცნობა მოხატული „ქართლის ცხოვრების“ შესახებ. ამირან დარეჯანიანის სევანური სურათები ესლა ფოტოგრაფიულადაც არის გადმოღებული, ამიტომ ესლა უფრო ადვილად შეიძლება მათი შესწავლა. სპარსეთში მომუშავე ქართველი მხატვარი ვერ ჩაითვლება ქართ. მხატვრობის წარმომადგენლად. ქართველის მიერ შესრულებული სახელოვანი ძეგლები უნდა გავარჩაოთ ქართ. ხელოვნების ძეგლებისაგან. ამიტომ ჯერ უნდა გამოკვლიულ იქნას, თუ რა ახასიათებს ნიშანდობლივ ქართულ მხატვრობას. აქ მთავარი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ჩაცმულობის გამოსატულობის შესწავლას. ქართველები ჩაცმულობის მხრით სავსებით განსხვავდებოდნენ თავისი მეზობლებისაგან, მაგ. სომხებისაგანაც კი. ამიტომ, „ვეფხისტყაოსნის“ ძველი მინიატურები რომ შემოგვრჩენოდა, იქ ჩაცმულობა სხვანაირი უნდა ყოფილიყო: საჭიროა შევისწავლოთ, არის ქართ. მხატვრობა ერთი შტო სპარსულის, თუ დამოუკიდებელია.

შემდეგ თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ საზ-ბის საბჭოს ესლანდელ შემადგენლობას უკვე გაუვიდა რწმუნების ვადა და საჭიროა მოეწყოს ახალი არჩევნები. ფარული კენჭის ყრით, კრება ირჩევს საზ-ბის საბჭოში შემდეგ პირთ:

1) პროფ. ივ. ჯავასიშვილს (20 ხმა), 2) პროფ. კ. კეკელიძეს

(17 სმა). 3) პროფ. აკ. შანიძეს, (20 სმა), 4) ს. გორგაძეს (19 სმა), 5) დ. კარაჭაშვილს (20 სმა), 6) პროფ. გ. ჩუბინაშვილს (17 სმა), 7) ს. ყაუხჩიშვილს (17 სმა), 8) სვ. ჯანაშიას (18 სმა), 9) გ. ბოჭორიძეს (16 სმა), 10) შ. ამირანაშვილს (15 სმა), 11) გ. ჯაკობიას (14 სმა), 12) პროფ. ვ. ნათაძეს (15 სმ.) და 13) ირ. სონღულაშვილს (17 სმა).

საბჭოს კანდიდატებად: 1) თედო სასოკიას (15 სმა), 2) თამ. ლომოურს (14 სმა) და 3) ალ. წერეთელს (13 სმა).

სარევიზიო კომისიაში: 1) იასონ ლორთქიფანიძეს (14 სმა), 2) კოტე მაყაშვილს (13 სმა) და 3) მისეილ ლობჯანიძეს (14 სმა).

საზოგადოებისა და საბჭოს პრეზიდიუმში კრებამ დაასხვლა: თაემჯდომარედ — პროფ. ივ. ჯავახიშვილი, თაემჯდომარის ამხანაგად — დავ. კარიჭაშვილი, მდივნად — სვ. ჯანაშია და მიღირედ — ირ. სონღულაშვილი.

თაემჯდომარე ივ. ჯავახიშვილი.
მდივანი ს. ჯანაშია.

ჩამოწმებული კრება დეკემბრის 30-ს, 1927 წ.

№ 260

კრება გაიხსნა საქ. მუსეუმის აუდიტორიაში საღ. 7 ს. თაემჯდომარე — ივ. ჯავახიშვილი, მდივანი — ს. ჯანაშია. დაესწრენ ნამდვილნი წევრნი: გ. ნიორაძე, მ. ლობჯანიძე, შ. ამირანაშვილი, ალ. ბარამიძე, შ. ჩხეტია, ვ. თოფურია, გ. ჩაჩანიძე, გ. ბოჭორიძე, გ. წერეთელი, ნ. ბერძენიშვილი, თ. ლომოური, ივ. მაჭავარიანი, იას. ცინცაძე, ლევ. მუსხელიშვილი, ქ. შარაშიძე, ვლ. ასათიანი, ირ. სონღულაშვილი, ალ. წერეთელი, გ. ჯავახიშვილი, ს. გორგაძე, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ს. ყაუხჩიშვილი, სტ. ჩხენკელი და გარეშე საზოგადოება.

კრების დადგენილი თაემჯდომარე მოახსენებს კრებას საზოგადოების დამფუძნებელი წევრის მისეილ მაჩაბლისა და გერმანელი მეცნიერის, ქართველთმცოდნეობაში მომუშავეის, პროფ. გუსენის გარდაცვალებას. კრება მიცვალებულთა სსოფნას პატივსა სცემს ფესზე ადგომით.

შემდეგ კრება ადგენს, 4/XI-ის № 258 ოქმს დაერთოს გ. ნიორაძის მიერ წარმოდგენილი განმარტება ს. მაკალათიას განცხადების გამო.

შემდეგ კრება იხმენს დოც. ნოე ყიფიანის მოხსენებას საინფორმაციო სასიათისას: „იდეოგრაფიული წარწერები ქვის ხანიდან გლოზელში“ (საფრანგეთი). 1914 წ. ვიშის მახლობლად სოფ. გლოზელში M. Fradin და M. Morlet-მ აღმოაჩინეს ნეოლიტის ფენებში ნაწილობრივ გამოძვარი თიხის აგურები ასობის მაგვარი ნიშნებით და ნავორები მეტამორფული მწვანე ქანები — პალეოლიტის ბოლო ხანისათვის დამახასიათებელ ცხოველთა გამოსახულებით. აღმოჩენამ გამოიწვია ცხოველი კამათი. ამტკიცებდნენ საგნების ზრულ სიყალბესაც. საგნების სინამდვილე დადასტურებულ იქნა ch. Deréret ორი გათხრით, 1926 წ. Viennot და Virigni-ს თანდასწრებით და 1927 წ. ქ. ოსლოს არქეოლოგის Bjorn-ის დასწრებით. იმავე დეპერე-მ შეისწავლა გლოზელის მიდამოები გეოლოგიურად. ამ აღმოჩენების შედეგების გამო ამჟამად შესაძლოა ასეთი აზრის შედგენა:

1) გლოზელის მიდამოების ფენები შეიცავს ნეოლიტის სულ პირველი დროის სასაფლაოს.

2) გლოზელელებს მიცვალებულთა კულტი ჰქონიათ და აწყობდნენ მათ სამარხებში სხვადასხვა საგნებს და წარწერიან აგურებს.

3) თიხის ჭურჭელთა შორის საინტერესოა საგანი მიცვალებულის თავის გამოსახულებით და პაწია ტურით, რაცა კმოწმობს, რომ ეს იყო მიცვალებულის ფერფლის ჭურჭელი. ამგვარად, გლოზელელებს გვამის დაწვის ადათი ჰქონდათ.

4) დასავლეთ ევროპაში დამწერლობა არსებული ბევრად უფრო ადრე, ვიდრე აღმოსავლეთში ჩაისახებოდა რაიმე წერის ნიშნები.

მომხსენებელს შეკითხვები მისცეს გ. ნიორაძემ, არნ. ჩაქობავამ და ალ. წერეთელმა.

თავმჯდომარე კრების სახელით მადლობას უხდის მომხსენებელს საინტერესო ინფორმაციისათვის.

შემდეგ მოხსენებას კითხულობს პროფ. ივ. ჯაფარიძე: „ეუთილუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის სადაურობა“. თამარის გამეფებას პირველ ხანებში ადგილი ჰქონდა არა ერთს დიდად საინტერესო ფაქტს. სხვათა შორის, მომხსენებელი ესება თამარას მიერ მოწვეულს საეკლესიო კრებას, რომლის მიზანი იმაშიაც მდგომარეობდა, რომ კათალიკოსობისაგან განეყენებინა საერო და საეკლესიო სელაზუფლებათა მიმტაცებელი მიქაელი. ეს მიტაცება უნდა მომხდარიყო გიორგი III-ის მეფობაში, დემნას განდგომილების შემდგომ, როცა ეკლესიამ, ისარგებლა რა მეფის გაჭირვებული მდგომარეობით, სპეციალური კრების საშუალებით წაუყენა მას და

შეასრულებანა კიდევაც გარკვეული მოთხოვნებიანი. კიდევ უფრო სხანტურესოა ის მოძრაობა, რომელსაც მეთაურობდა ყუთლუ-არსლანი. მომსხენებელი ამჟამად განისილაფს ყუთლუს პროგრამის სხადურობას, ისტორიკოსის დასასიათება — „წესი რამე სპარსთა განგებისა“ რეალობას არ შეეფერება. სპარსეთში არასოდეს არ ყოფილა ისეთი დაწესებულება, რომლის დაარსებებს მოითხოვდა ყუთლუ-არსლანი. თვით ეს გამონათქვამი პოლემიკურ გაზვიადებას უნდა წარმოადგენდეს. მეფის უფლების შეკვეცის იდეა თვით ქართულ ნიადაგზე უნდა განვითარებულიყო ქართული სამონასტრო წყობილების ევოლუციის გავლენით, ეს ევოლუცია მონარქიზმიდან რესპუბლიკანური წყობილებისაკენ მიემართებოდა. უკვე XI-სის პირველ ნახევარში ქართ. მონასტრების მთელ რიგში ჩვენ გვაქვს ფაქტი წინამძღვრის არჩევისა მისი. დანიშვნის მაგიურ. შემდეგ ეს წესი დაკანონდა. ეს იდეები გადადიოდა პოლიტიკურ სფეროშიაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ საკითხის გასარკვევად ტერმინოლოგია. „ისტორიანი და აზმანი“-ს ცნობით, თუმცა ყუთლუ-არსლანის გამოსვლა დამარცხდა, ახალი ვაზირები დანიშნულ იქნენ მაინც დიდებულთა „თანადგომითა და ერთნებაობითა“. მომსხენებელი უჩვენებს მთელ რიგ შემთხვევებს, როცა ეს ტერმინები ისმარება მონასტრის წინამძღვრის არჩევის აღწერილობაში.

მოსხენების გამო ს. გორგაძე საკითხს აყენებს, მონარქიული პრინციპის დარღვევა ქართ. მონასტრებში სომ არ იყო ბიზანტიელების ჩარევის შედეგი პოლიტიკური მიზნით.

არნ. ჩიქობავას აზრით, შესაძლებელია სიტყვები „სპარსთა წესი“ ყუთლუს კერძო ცხოვრების დასახასიათებლად იყოს ნახმარი.

ს. ჯანაშია გამოსთქვამს მოსაზრებებს, რომელთა მისედვით შესაძლოა ყუთლუ წარმოშობით ყივჩაყი ყოფილიყო. (1) თურქული სახელი, 2) უაზნობა; 3) ის ვაზირად არის დანიშნული გიორგი III-ის მიერ გარკვეულ პირობებში). ამიტომ შესაძლებელია გამონათქვამში „...წესსა სპარსთა გონებმაღლობისასა“ ყუთლუს ჩამოშავლობა იგულისხმებოდეს, ვინაიდან ტერმინი „სპარსი“ მაშინ ფართო მნიშვნელობითაც ისმარებოდა. მიქაელის მიერ სელისუფლებათა მიტაცება საფიქრებელია, რომ უფრო თამარის გამეფებისთანავე მომხდარიყო.

თაქედომარე ი. ჯავახიშვილი
მლივანი ს. ჯანაშია

კრება გაიხსნა საქ. მუზეუმის აუდიტორიუმში საღ. 7 ს. თავმჯდომარეობს პროფ. ივ. ჯაუახიშვილი, მდივნობს ს. ჯანაშია. დაესწრნენ ნამდვილნი წევრნი: იას. ლორთქიფანიძე, მ. ლობჯანიძე, გ. ნათაძე, ალ. ნამორაძე, თ. ლომოური, გ. ბოჭორიძე, იას. ნიკოლაიშვილი, ალ. ბარამიძე, ნიკ. ბერძენიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ი. ცინცაძე, ირ. სონდულაშვილი, შ. ჩხეტია. ა. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი, არნ. ჩიქობავა; სერ. შაკალათია, გ. ჯაუახიშვილი, გ. ჩაჩანიძე.

1. კრება ისმენს და ამტკიცებს 1927 წლის საზოგადოების მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის ანგარიშებს.

2. შემდეგ კრება ისმენს სარევიზიო კომისიის აქტს და

3. 1928 წლის ხეარაუდო ხარჯთაღრიცხვას, რომელსაც აგრეთვე ამტკიცებს. მის. ლობჯანიძეს შემოაქვს წინადადება საზოგადოების ფოტოგრაფიული ქონებისა და გამოცემის რეალიზაციისათვის სათანადო ღონისძიებათა მიღების შესახებ. თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ წინადადებას განიხილავს და მის შესახებ მსჯელობას იქონიებს საბჭო. დასასრულ, კრებამ ერთმხრივ გამოსთქვა სურვილი, რათა საწევრო გადასახადი აკრეფილ იქნას უკლებლივ.

4. შემდეგ თავმჯდომარე ჰხსნის კამათს წინა ჩვეულებრივ კრებაზე წაკითხულის ალ. ნამორაძის მოხსენების შესახებ: „ადმინისტრაცივი მეურნეობა საფრანგეთის სამუნიციპალო მმართველობის სფეროში დიდ რევოლუციამდე“.

პროფ. გ. ნათაძე — ამბობს: მოხსენების საგანი მეტად საინტერესოა. იგი მიჩქმალული იყო უკანასკნელ ხანებში ევროპ. ლიტერატურაში, რადგან ეს უკანასკნელი სხვა საკითხებით იყო დაინტერესებული. ამიტომ ჩვენი ინიციატივა საყურადღებოა. თვით მოხსენება საკმაოდ დიდსა და საინტერესო გამოკვლევას წარმოადგენს. მოხსენება ასწორებს არდაშევის გამოკვლევას, რომელსაც თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და რომელიც მხოლოდ პოლიტიკურ მსარეს აქცევდა ყურადღებას. მაგრამ აქ შეიძლება ასე ხელაღებით გადაწყვეტილ იქნას, რომ პირველ ხანას აქვს მხოლოდ პოლიტიკური ხასიათი, მეორეს მხოლოდ ეკონომიური. ამ მომენტს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. მომხსენებელს დასჭირდება სხვა საბუთების გამოყენებაც, განსაკუთრებით საარქივო მასალისა საერთო ეკონომიური მდგომარეობის გასათვალისწინებლად. მაშინ ეს შრომა დასრულებულად ჩაითვლება და ბევრს ასალს შეიტანს

მეცნაერებაში. კოლბერის მეურვეობას ვარკვეული ეკონომიური პოლიტიკა ჰქონდა ხარისხულად, ამისთვისაც უნდა მიექცია ყურადღება მომხსენებელს და საერთოდ უნდა ითქვას, რომ მთავრობის მოქმედებას ორსავე პერიოდში ეკონომიური ინტერესები ედო საფუძველად.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს მოხსენების ინტერესს. კარგად იყო აღნიშნული მომხსენებლის მიერ საკანონმდებლო ძეგლებსა და საბუთების შედარებითი მნიშვნელობა ამ საკითხის შესწავლასათვის. მთლად დამაჯერებელი არ არის მომხსენებელი, როცა ამბობს, რომ მე-18 ს-ში ქალაქები იმდენად იყვნენ დამორჩილებულნი, რომ მთლად მოკლებული იყვნენ თვითმოქმედებას. ამის საწინააღმდეგო საბუთები თვით მოხსენებაში იყო. შემდეგ, ასახსენებელი, თუ ქალაქები ისეთს საშინელს ფინანსიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, როგორც მომხსენებელმა დასაბუთა, როგორღა არსებობდნენ ისინი? გათვალისწინებული არ იყო ის სირთულეც, რომ ქალაქის თვითმმართველობის გარდა იყვნენ მცხოვრებნი, რომელთაც თავისი საკუთარი ინტერესები ჰქონდათ და საფრანგეთის მთავრობის მოქმედებაც გამოწვეული იყო სხვადასხვა მოტივებით. სოგიერთი საკითხის დამუშავების მეტი საფუძველიანობა საჭიროა. უმჯობესი აქნებოდა ერთი ან ორი ცალკე ქალაქის ისტორიის გათვალისწინება ორი საუკუნის განმავლობაში.

მომხსენებელი უპასუხებს ოპონენტებს.

5. შემდეგ კრება ისმენს პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენებას: „საქართველოს მთავრობის ფინანსიური პოლიტიკა XIII ს-ში“. ქვეყნები, რომლებიც მონდოლებს ემორჩილებიან, უკანასკნელთა საგადასახადო და სამხედრო-საბეგრო პოლიტიკის გამო, კატასტროფიულ ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ასეთივე ვითარება იყო საქართველოშიაც. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა ეკლესია თავისი ყმებით, რომელიც შეუვალობით სარკებლობდა მონდოლებისაგან. ასეთს პირობებში დაბადებულა აზრი, რომ უსამართლობაა ეკლესიის ყმების განთავისუფლება მონდოლთა გადასახადისაგან. მომხსენებელი ანალიზს უკეთებს XIII ს-ის საეკლესიო კრების ცნობილ ძეგლისწერას, რომელიც 1263-4 წ. უნდა ეკუთვნოდეს. ამ წყაროს მიხედვით ირკვევა, რომ მთავრობას გამოუცნა განკარგულება მეფეთა მიერ შეწირულისა და გადასახადის გადამხდელი მამულების ეკლესიისათვის ჩამორთმევისა და მათი გაჭირვებული კერძო პირებისათვის გადაცემის შესახებ. ეს აქტი

დაპყარებული იყო ქართ. სამართლის დებულებაზე, რომ მეფის განკარგულებას ძალა აქვს მხოლოდ მის (მეფის) სიცოცხლეში. საპასუხოდ ეკლესიას შეეძლო მხოლოდ სახსენებლების მოსპობა, მაგრამ ამისი არ შეკმინებიათ. რაკი პირდაპირ მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა ეკლესიას არ შეეძლო, მას დაუკრულაფხ ეს პირნი, რომელთაც ეს მამულები მიუღიათ. დაკრულვილთა ჩივილის გამო ვაზირთა უპირველესს აუხსნია. ეს ვაზირი უნდა ყოფილიყო ბასილი ჭყონდიდელ-ალავერდელი, რომელმაც თავის დროზე საკპისკოპოსო ჩოხაც გაიხადა. განკარგულება ესებოდა მხოლოდ საეპისკოპოსოების და მონასტრების შესაეაღს მეფეთა შეწირულს მამულებს. ეს გეგმა ბახილისა უნდა ყოფილიყო. რა მოჰყვა ამ ამბებს? პირდაპირი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ეკლესიის მუქარას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და მთავრობას თავისი განკარგულება არ გაუუქმებია. მხოლოდ ნაწილობრივ გადაუხადა სამაგაერო თავის მტრებს ეკლესიამ: საფიქრებელია, რომ ეკლესიას უნდა ვაეგრცელებინა აზრი, რომ უფლისწული გიორგის სიკვდილი ღეთის რისხვის შედეგს წარმოადგენს. შეიძლება აგრეთვე ვიფიქროთ, რომ ბასილი მწიგნობართუსუცესის ჩამოსხრნობა ეკლესიის მიერ ვაგრცელებული ცილისწამების მიზეზით უნდა მომხდარიყო. უამთად-მრიცხველის სიტყვებიდან ჩანს, რომ მას თვით არ სჯერა ბრალდება, რომელიც ბასილისათვის წაუყენებიათ.

მოხსენებას კამათი არ გამოუწვევია.

დასასრულ კრება საზოგადოების ნამდვილ წევრად ირჩევს სტეფანე ჩხენკელს ლ. მუსხელიშვილისა, ნ. ბერძენიშვილისა და ირ. სინდულაშვილის წინადადებით.

თავმჯდომარე იე. ჯავახიშვილი.
მდივანი ხ. ჯანაშია.

სამართალის სამსახურით და სამთნობრად
სახოგადოების ღინგვისტური განყოფილების
კრებათა ოქმები 57

№ 1

1908, წელს, სექტემბრის 27-ს

კრება გაიხსნა საღამოს 7 საათზე დავ. გ. კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში (ბე-

ლანსკის ქ. № 2) შემდეგი წყევლების თანდასწრებით: ე. თაყაიშვილი, ა. აბულაძე, პ. მირიანაშვილი, ი. კარგარეთელი, აბ. იაშვილი, გ. იმნაიშვილი, ვლ. ჩიხლაძე, ნიკ. მახათაძე, გრ. ვოლსკი, ი. მონადირიშვილი, დავ. ქადაგიძე, მ. ჯანაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ი. დაკიშვილი და ს. გორგაძე.

I. პირველათ თავმჯდომარემ დამსწრე წევრთ გააცნო განყოფილების წესდება და სთხოვა, წესდების თანახმად, აერჩიათ განყოფილების მდივანი. წინადადებით მიმართეს სუთ-ექვს წევრს, მაგრამ, მოუცლელობისა გამო, ყველამ უარი განაცხადა. ბოლოს სთხოვეს „სასოგადოების“ მდივანს ს. გორგაძეს დროებით მასვე ეტვირთნა განყოფილების მდივნობაც. გორგაძე დასთანხმდა, მსოლოდ იმ პირობათ, თუ ორის ან სამი კრების შემდეგ მაინც გაათავისუფლებენ ამ თანამდებობისაგან.

II. შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა მოკლე მოხსენება იმის შესახებ, თუ რა უნდა შეადგენდეს ლინგვისტიური განყოფილების მიზანს. მთავარ მიზნად მოხსენებაში აღნიშნულია — ქართული ენის ყოველმსრივი გამოკვლევა, რომელიც უნდა სწარმოებდეს შეერთებული შრომით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა:

1. შევსება და შესწორება დღემდე ცნობილი ლექსიკონებისა (როგორც მწერლობაში ხმარებული სიტყვებით, ისე ცოცხალ ენასა და მის კილოკავებში არსებული სიტყვებით);
2. შეგროვება ქართული სიტყვების ფესვებისა და ავრეთვე იმ ფესვებისაც, რომელთაც უცხო ენების ფესვებთან აქვთ ნათესაობა.
3. აღნიშვნა სხვადასხვა გრამატიკულის ფორმებისა და თვისებათა, რომელნიც შეინიშნებიან ქართულსა და მის მონათესავე ენებში;

მომხსენებლის აზრით, ამ შრომის მოსაწყობად საჭიროა ჩვენს სექციას იკრიბებოდეს კვირაში ერთხელ. დროებით, სანამ სალიტერატურო სექცია დაარსდებოდეს, ამავე სექციამ უნდა იტვირთოს ჰველი მწერლობის ნაშთების შესწავლაც. სექციის პროტოკოლები და შესამჩნევი მოხსენებანი და ნაკვლევნი უნდა იბეჭდებოდეს „სასოგადოების“ გამოცემაში.

სანგრძლივი კამათის შემდეგ, კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ამჟამად განყოფილების მთავარ-სასწრუნავად აღიარებულ ქნას ლექსიკონისათვის მასხალის შეგროვება და სრული ქართული

ლექსიკონის შედგენა (როგორც მწერლობიდან, ისე ცოცხალი ენის ჟილოკაეებიდან); დაწვრილებით ამ მუშაობის გეგმის შედგენა მიენდოს თავმჯდომარეს დ. კარიჭაშვილს, რომელმაც იგი უნდა წარმოუდგინოს განყოფილების მომავალ კრებას.

